თინა შიოშვილი

„ეს ხარ შენ...“

დავით თეიმურაძის შემოქმედება

ბათუმი – 2023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონოგრაფიაში შესწავლილია თანადროულობის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტისა და გამორჩეული მოქალაქის, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავკაცის, საპატიო ბათუმელის, ღირსების ორდენისა თუ სხვა მრავალ ჯილდოთა კავალერის – დავით თედორაძის შემოქმედება.

მამულ-დედულის, მოყვასის უკიდეგანო და უპირობო სიყვარული, მრავალტანჯული მშობელი ქვეყნის ტვირთმძიმე და იმავდროულად საამაყო წარსული, ძმობა-მეგობრობისათვის მუდმივი გულგახსნილობა, სიტყვისკაცობა და რაინდული ერთგულება, მზისა და სინათლის მუდმივი ტრფიალი და სამყაროს შეცნობის დაუოკებელი წყურვილი – აი, არასრული ჩამონათვალი იმ ზნეობრივი სათნოებებისა, რისთვისაც აგრერიგად უყვართ დავით თედორაძის შემოქმედება და რაც ამ წიგნის შექმნის ლაიტმოტივი გახდა.

რედაქტორი
ლალი კონცელიძე

ტექნიკური რედაქტორი
და დამკაბადონებელი
მალხაზ ფაღავა

კორექტორი
მარიკა ლაშხია

UDC (უაკ) 821.353.1.09
შ-678
ISBN 978-9941-500-33-6
© თინა შიოშვილი 2023
© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, 2023
© ა(ა)იპ „აჭარის მწერალთა სახლი“, 2023

„...მოვინახულებ... ერგეს...“

როცა სული მთხოვს
ტყეს და მდინარეს,
როცა ქალაქში ვერ ვძლებ,
მოვინახულებ პირმომცინარეს –
ჩემს უძვირფასეს ერგეს.

დავით თედორაძე

ქართული ხალხური ანდაზა გვასწავლის: „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადიც იქ არისო“. პოეტ დავით თედორაძისათვის სამყაროს დასაწყისიც და ცეცხლის პერანგში სულის წრთობის სათავეც აჭარის უმშვენიერესი სოფელი ერგეა, მარგალიტივით რომ ბრწყინავს საჭიკარტიას, არფაზონისა და წიფლნარის მთათა ზურმუხტებიდან, ხოლო ჭოროხის, წყალგველასა და მათკენ საწაწლოდ დაშვებული ქაფქაფა ჩანჩქერების ღალიან-ბარაქიანი ძუძუთი უხვად საზრდოობს და არსობის პურისა და სულიერი საგზლის უშრეტი ბეღელია.

ერგე ძველთაძველი ისტორიული სოფელია; იგი მერვე საუკუნიდან იხსენიება ქართულ ისტორიულ წყაროებში. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, „დავითმა ხუფთით წარვლო ჭოროხი და უგრძნეულად დაეცა თურქთა“. სწორედაც, ამ ღირსსახსოვარი ისტორიული ფრაზის შთაგონებაა დავით თედორაძის დიდებული ლექსი „დავითმა წარვლო ჭოროხი“ (თედორაძე, 2013: 10) – პოეტს ეამაყება, რომ მის მშობლიურ სოფელთან აუვლია ჩვენს სასიქადულო მეფეს თავისი სწორუპოვარი ლაშქრით, მტერი შე-

უმუსრავს და გამარჯვებული დაბრუნებულა დედაქალაქში. ეს აღფრთოვანება მან დიდებულად გამოხატა ამ სულშიჩამწვდომი ლექსით:

როცა სული მთხოვს
ტყეს და მდინარეს,
როცა ქალაქში ვერ ვძლებ,
მოვინახულობ პირმომცინარეს –
ჩემს უძვირფასეს ერგეს.
დავითმა წარვლო ჭოროხი,
თურქს დაეცა და
თბილისს
მიბრუნდა გამარჯვებული,
როგორც ვარსკვლავი დილის.
აქ, ჩემს სოფელში,
ღმერთის ტოლს –
მეფე-ბრძენს აუვლია.
ჭოროხი რიდით დამშრალა,
სხვა წყლებსაც დაუკლია,
ტყეს მოდებული ხანძარი
შებერვით ჩაუქრია.
სოფლის ამბავი უკითხავს,
ტაძარი აუგია,
ყმებთან წირვაზე დამდგარა,
სანთელი აუნთია.

აქ, ამ ძირძველ სოფელში, რეფიყ თედორაძისა და უმიან ცენტერაძის შრომისა და ცოდნისმოყვარულ ოჯახში, 1949 წლის 14 ივლისს დაიბადა მომავალი პოეტი და საზოგადო მოღვაწე – დავით თედორაძე. მშობლებმა ექვსი სასახელო შვილი გაუზარდეს ქვეყანას; დავითი მეოთხე შვილი იყო.

დავით თედორაძის დედა – უმიან ცენტერაძე უაღრესად სათნო, პირმშვენიერი და დიდსულოვანი ქალბატონი ბრძანდებოდა. მან დიდი როლი ითამაშა შვილების ზნეობრივ ფორმირებაში – ხშირად უყვებოდა აჭარის უმშვენიერეს ზეპირსიტყვიე-

რებაში შემორჩენილ ზღაპრებს, ლეგენდებს, თქმულება-გადმოცემებს; პატარების ცნობიერებას ამოგზაურებდა სამშობლო ქვეყნის გმირულ ისტორიაში, აზიარებდა იაკობ გოგებაშვილის უკვდავ ქმნილებებს და აგრერიგად ბრძნულად, მიზანმიმართულად აყალიბებდა მათში მამულიშვილებს, მოქალაქეებს, მომავალ ღირსეულ მშობლებს.

პოეტის მამა – ბატონი რეფიყი სოფელ-კუთხეში თავჩენილი, ჭკუასაკითხავი კაცი ბრძანდებოდა, შრომისმოყვარე, საუკეთესო მეოჯახე და აღმზრდელი; მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული, უაღრესად თავმდაბალი და სამართლიანი ვაჟკაცი შვილებისათვის ყოველმხრივ მისაბაძი, იდეალური ადამიანი იყო. „მამა გვზრდიდა რაინდებად საბას იგავ-არაკებით...“, – იტყვის მოგვიანებით პოეტი მამის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში „მამა-ჩემი“ (თედორაძე, 2015: 43).

დედისაგან მოსმენილი ზეპირსიტყვიერი მარგალიტებითა და იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“ თუ „ბუნების კარიდან“ დედისავე წაკითხულით უხვად გონებადაპურებული პატარა დავითი მშობლებმა ჯერ სოფელ ერგეს სკოლაში შეიყვანეს, მოგვიანებით კი სწავლა განაგრძო ქალაქ ბათუმის №1 სკოლა-ინტერნატში. უაღრესად ნიჭიერმა და მუყაითმა მოსწავლემ სულ მალე მიიქცია პედაგოგთა ყურადღება. განსაკუთრებულად უყვარდა მშობლიური ლიტერატურა და საქართველოს ისტორია, ბევრს კითხულობდა და მუდმივად იღრმავებდა ცოდნას.

პირველი ლექსი დავით თედორაძემ მეხუთე კლასში სწავლისას დაწერა; ბუნებრივია, თემა ქვეყნის ისტორიული ძნელბედობა იყო. ფეხბედნიერი გამოდგა პირველივე სტუმრობა მუზებისა – მას მერე მათი წყალობა არ მოჰკლებია; ახალგაზრდა პოეტის პირველი ლექსი დაიბეჭდა თელავის რაიონულ გაზეთ „ალაზნის განთიადში“; ამას მოჰყვა ჟურნალ „ჭოროხსა“ და ხელვაჩაურის რაიონულ გაზეთში „ოქტომბრის გზით“, გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ და რესპუბლიკის სხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ძარღვიანი, სამომავლო იმედებით აღსავსე ლექსები.

1966 წელს დავით თედორაძემ დაამთავრა ბათუმის №1 სკოლა-ინტერნატი და, მშობლების სურვილის მიუხედავად (სურდათ, გულმოწყალე ხასიათისა და მზრუნველობით გამორჩეული ვაჟიშვილი ექიმი გამოსულიყო), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე ჩააბარა გამოცდები. ქართულ კლასიკურ ლიტერატურასა და მშობელი ქვეყნის ისტორიაზე უკიდეგანოდ შეყვარებულმა ჭაბუკმა ღირსეულად, მიზანმიმართულად, ნაყოფიერად განვლო სტუდენტობის ღირსსახსოვარი წლები დიდებული პედაგოგ-აღმზრდელების გვერდით, რომლებიც იმხანად მოღვაწეობდნენ ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სტუდენტობის „ოქროს ხანის“ შთაგონებაა მოგვიანებით დაწერილი დავით თედორაძის ლექსი „სიმღერა ბათუმის უნივერსიტეტზე“, რომელზეც მშვენიერი მუსიკა დაწერა ბათუმელმა კომპოზიტორმა, ბერკლის (ვალენსია) მუსიკალური კოლეჯის მაგისტრმა ანა ქასრაშვილმა და რომელიც შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნად იქცა (გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, ოქტომბერი, 2016, გვ. 12).

1972 წელს, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე, დავით თედორაძე ერთი წლით სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს მონღოლეთში, გობის უდაბნოში; ამ ერთ წელიწადს პოეტი უაზროდ დაკარგულ დროდ მიიჩნევს.

1973 წლიდან დავით თედორაძე მუშაობას იწყებს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზედა განთიადის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, 1974 წლიდან კი – გამომცემლობა „საბჭოთა აჭარაში“ კორექტორად; მალევე გამომცემლობის საწარმოო განყოფილების გამგედ დაინიშნა, ხოლო 1975 წელს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტში გადაიყვანეს ინსტრუქტორად; 1979 წელს დავით თედორაძე დააწინაურეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში ჯერ – ინსტრუქტორად, შემდეგ კი – პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ. ყველა თანამდებობა, სადაც კი დავითი მუშაობდა, განათ-

ლებასთან და კულტურასთან ასოცირდებოდა და ბუნებრივია, მუზები ვერ შემოსწყრებოდნენ, პირიქით კი ხდებოდა – სწორედ ამ წლებში დაიწერა ლექსები, რომლებშიც აშკარად გაცხადდა პოეტის შეურიგებლობა როგორც პარტიულ აპარატში, ისე საზოგადოების ერთ ნაწილში გამეფებული ბიუროკრატიზმისა და ანტიმოქალაქეობრივი სენისადმი. დავით თედორაძე ამ თვალსაზრისით ბოლომდე დარჩა „შავთვალა მიმინოდ“, რომელიც ვერ და არ ემორჩილებოდა პარტიულ კონიუნქტურას; ცდილობდა, მშვიდობიანად და პრინციპულად აევლო გვერდი მიუღებელი კატეგორიებისათვის და, როგორც გამოცდილ ბაზიერ ბაბუაზე მოგონებაში გვაუწყებს, „...ჩვენც (თედორაძეები – თ. შ.) იმ შავთვალა მიმინოს ვგავართ – სხვის ჭკუაზე არ დავდივართ, არ ვთვინიერდებით“ (თედორაძე, 2004: 288).

1993 წლიდან დავით თედორაძე ჯერ „გამომცემლობა აჭარას“, ხოლო 1999 წლიდან სააქციო საზოგადოება „გამომცემლობა აჭარას“ ხელმძღვანელობდა. ჩვენი ქვეყნისათვის ამ უაღრესად მძიმე წლებში მან უდიდესი მოქალაქეობრივი გმირობა გამოიჩინა და მრავალ საინტერესო მხატვრულ, სამეცნიერო, პუბლიცისტურ, მემუარულ ლიტერატურას მისცა ასპარეზი; თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ იმხანად, იმ საყოველთაო ქაოსის დროს, დავით თედორაძის ძალისხმევამ აჭარაში წიგნი გადაარჩინა.

დავით თედორაძე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია 1981 წლიდან. იგი 16 პოეტური კრებულის ავტორია (მათ შორის 2 სომხურ ენაზე, ხოლო ერთი – რუსულ ენაზე): „ბეწვის ხიდი“ (ბათუმი, 1977), „ორღანი უკრავს“ (ბათუმი, 1980), „მზე ჩუქურთმებში“ (ბათუმი, 1983), „ცეცხლის პერანგი“ (ბათუმი, 1986), „გულის ძახილი“ (ბათუმი, 1989), „შენი ვარ“ (ბათუმი, 1995), „ერთტომეული“ (ბათუმი, 1999), „და მიდის წუთისოფელი“ (ბათუმი, 2004), „ხსოვნის ჩირაღდნები“ (ბათუმი, 2004), „მომავლისთვის, წინაპარისთვის“ (ბათუმი, 2012), „როცა სული მთხოვს“ (ბათუმი, 2013), „რჩეული“ (ქუთაისი, 2015), „მელაპარაკე ქართულად“ (ბათუმი, 2019). მისი ლექსები თარგმნილია

ინგლისურ, უკრაინულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

2009 წელს ქართველმა ხალხმა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში დიდი ზეიმით აღნიშნა პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – დავით თედორაძის 60 წლის იუბილე, რითაც მადლიერი მკითხველისა და მთელი საზოგადოების სიყვარული გამოიხატა პოეტის, მოქალაქის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ორგზის დეპუტატის, ბათუმის საპატიო მოქალაქის, ღირსების ორდენის კავალერის, ილია ჭავჭავაძის, მემედ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის, საგურამოს, ჟურნალ „ოლეს“, ფრიტიონ ნანსენის პრემიების ლაურეატის მიმართ; აგრეთვე, მინიჭებული აქვს „პოეზიის რაინდის“ წოდება; დაჯილდოებულია მშვიდობის ვარსკვლავის დიპლომითა და ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის „ჰაიოს-ქართლოსის“ ოქროს მედლით.

...დააბიჯებს ბათუმის ულამაზეს ქუჩებში ჯერ კიდევ ჭარმაგი, სიტყვის და რითმის დიდოსტატი, იუმორით შემკობილი, სიკეთით მზირალი თვალებითა და მზისკენ მქროლავი სურვილებით თხემით ტერფამდე სიკეთის, ადამიანობის, ზნეობრიობის ელჩი – პოეტი, რომელმაც იმთავითვე „ომი“ გამოუცხადა ქვეყნის ორგულებს, ფლიდებსა და სულგაყიდულებს...

იცის, რომ მწერლობა ბეწვის ხიდზე სიარულია, თუმცა დღემდე ეს ბეწვის ხიდი არასდროს ჩასტყდომია, რადგანაც მადლი, სიკეთე, გზადაგზა რომ უხვად აბნევს ირგვლივ, მსუბუქად ატარებს;

ლექსი ლექსისთვის არასოდეს დაუწერია, „როცა სული სთხოვს – წერს“;

სულის სალბუნად პირმომცინარე ერგეს მიაშურებს ხოლმე;

იქ, ერგეში, ჩიტების ენას სწავლობს და არც ფრთოსნები რჩებიან ვალში – დარდებს უკენკავენ გულიდან;

სულმა მოსთხოვა და ძმების – ოთარის, მემედის, თამაზის – თანადგომით რეალობად აქცია ოცნება – წინაპართა სამკვი-

დროში ააშენა წმინდა თევდორე მღვდლის სახელობის ეკლესია; მისი გვარი ხომ სამშობლოს შეწირული ბერიდან იღებს სათავეს;

არა და არ ცეკვავს სხვების დაკრულზე;

ცხოვრობს სიყვარულით, მისგან შორს არის სიძულვილი და შურიანობა;

მიმტევებელია და ადამიანში – სულის მაძიებელი;

ლექსშიც, ორატორულ გამოსვლებშიც, თამადის საპატიო ამ-პლუაშიც მუდამ ქადაგებს, რომ თავი უნდა „დავანებოთ კუთხურ კუნკულსა და იწილო-ბიწილოს; როცა მეზობლის მკვდარი მძი-ნარე არ გვეგონება და სხვის ჭირ-ვარამს საკუთარივით შევი-გრძნობთ, მაშინ გვეშველება“;

ლექსებში საკუთარ სულს სდებს და უშურველად აპურებს ადამიანებს, ხოლო „უკეთურებს არ აძლევს ნებას, სული გათე-ლონ...“

ცამდე მართალი და ჭეშმარიტი მამულიშვილია; ამიტომაც აძლევს თავს უფლებას, საქვეყნოდ განაცხადოს:

ვინც საქართველოს უორგულებს,
ცაც გაუშავდეს,
წყალიცა!..

მას ესმის უფლის ხმა და, სწორედაც, ამ დროს იწერება ღვთივკურთხეული სტრიქონები;

კარგად იცის, რომ „საქართველოში ოდითგან ლექსი მებრძ-ოლი იყო“;

ის მგოსანია და პირველივე პოეტური აღმაფრენიდან მზის-კენ, სინათლისკენ ილტვიან მისი ალალი, ტკბილქართული სტრ-იქონები; გულიც სამზეოზე გამოუტანია ყოველგვარი ბიწიერე-ბისაგან განზე მდგომ პოეტ-მოძღვარს და ქართველთა უზენაეს მნათობს მთელი გულით შეჰღაღადებს:

მზეო,
საქართველოს
სწრაფვა დაულოცე,
სული გაუღვიძე ამირანის!..

„...თვალებში მიდგას ზეცა მამულის...“

ლურჯი ოცნება
მზისკენ მიიწევს,
თვალებში
მიდგას
ზეცა მამულის...
დავით თედორაძე

დავით თედორაძის პირველი პოეტური კრებულის გამოსვლიდანვე (1977 წ.) ცხადი გახდა, რომ ქართულ პოეზიას შეემატა თავისთავადი, მშობელ ქვეყანაზე უკიდეგანოდ შეყვარებული ძლიერი ხმა, რომელსაც ვერავითარი პარტიული კონიუნქტურა ვერ დაიმორჩილებდა. ამ პატარა კრებულში ახალგაზრდა პოეტი, რომლისთვისაც უთავბოლო მოთმინება მიუღებელია („...მოთმენა ძნელია უთავბოლო...“), მოდის საკუთარი ლოზუნგით: არ დაიკარგოს მომავლის რწმენა, მამულის ერთგულ წინაპართა სული ჩავიდგათ:

რწმენა, მამულს რწმენა უნდა მხოლოდ,
უნდა ძვირფასი თარიღები!
სული ჩამიდგი წინაპრების
და ქუდზე კაცი დამიძახე...
რასაც ვნატრობდი და ვინატრებდი,
ვაიმე, თუ იგი დამიძრახეს!..
(თედორაძე, 1977: 8)

ამ ლექსით იმთავითვე გამოიხატა პოეტის ეჭვი – ვაითუ, შეილახოს, შეიბღალოს ქვეყნის ტრადიციები, ვაითუ, ქართველს

აღარაფერი შერჩეს ქართული, ვაითუ, „აღერიოს ერსა უცხოსა“ და აქამდე სიმწრითა და განუზომელი სისხლით შენარჩუნებულ დედულ-მამულს, ქართულ სულს საფრთხე დაემუქროს!.. ამიტომაც იხმობს ქუდზე კაცს თავად მამულის ნათელ კვალში ჩამდგარი ყმაწვილი მეციხოვნე. სწორედაც, ამგვარმა ლექსებმა ათქმევინა პოეტ მამია ვარშანიძეს კრებულს წამძღვარებულ წინათქმაში, „უთუოდ შეიყვარებს მკითხველი ნიჭიერი პოეტის ლექსებსო“. არც შემცდარა იმხანად უკვე ჭარმაგი, ხალხის უსაზღვრო სიყვარულით გარემოსილი პოეტი.

ჭეშმარიტ მგოსანს, როგორც დიდმა ილიამ ბრძანა, უნდა „ერის წყლული აჩნდეს წყლულად, ეწვოდეს მის ტანჯვით სული“. დავით თედორაძეს – მშობელი ქვეყნის ტკივილთა უზადო მოზარეს, თანადროულობაში თითქმის მივიწყებული ეროვნული ღირსების მუდმივ მოტრფიალეს, მამულის გამო ცრემლებითა და გულისტკივილით აღსავსე შემოქმედს, უსაზღვრო წუხილი ასდევნებია, წუხილი, რომელსაც მრავალჭირგამოვლილი სამშობლოსადმი მისივე უმადური შვილების უკეთურება და ახირება ჰქვია; დიახ, მავანთა გზააბნეულობა და უმადურობა ჯიჯგნის მშობელი დედის ნაიარევ გულს და პოეტიც მთელი არსებით ნატრობს, მალამოდ იქცეს, რათა დაწყლულებულ მკერდზე დაეფინოს უსაყვარლეს მამულს, მოუშუშოს ნაიარევი:

მწარეა შენი ტკივილი,
გრძნობა ამუნჯებს ენას,
ნეტავ, მალამოდ მაქცია
შენს მკერდზე დასაფენად!
რარიგად აგხირებიან
ღვიძლი შვილები შენი,
ნეტავი, ვიყო მალამო,
შენს მკერდზე დასაფენი!
მივიწყებულო ღირსებავ,
ჩემო ერო და ბერო,
ცრემლებით, გულისტკივილით
როდემდე უნდა ვწერო?

(თედორაძე, 2015: 5)

ეს დიდებული სტრიქონები – პოეტის სულიდან ამოხეთქილი საწუხარი უვერტიურად უძღვის 2015 წელს დასტამბულ დავით თედორაძის „რჩეულს“; მგოსნისეული საწუხარი სრულად გამოხატავს მისი ავტორის კრედოს, შემართებას, პოეტური და მოქალაქეობრივი ვალდებულების გასიგრძეგანებას, რომ მარტოოდენ „ტკბილ ხმათათვის“ არ მოუვლენია იგი განგებას; კარგად იცის, რომ, რაკი მგოსანია, ვერა და ვერ შეეგუება, რომ უკეთურებამ გაიმარჯვოს, გადათელოს კეთილშობილი სული... პოეტის, მისი ნაღვაწის უმთავრესი მისიაც ხომ ეს არის! – ნუგეში სცეს სვეგამწარებულს, უშველოს მის საფიცარ საქართველოს.

ჯერ კიდევ 70-იან წლებში, როცა დავით თედორაძის პოეზიას ახლად ეცნობოდა ქართველი (შემდგომ წლებში კი – სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი და ინგლისურენოვანი) მკითხველი, ცხადი გახდა, რომ მისი უპირველესი საზრუნავი და საფიქრალი მშობელი ქვეყანა იყო:

ლურჯი ოცნება მზისკენ მიიწევს,
თვალებში მიდგას ზეცა მამულის...
(თედორაძე, 1977: 39)

ამ პაწია პოეტურ კრებულში, „ბეწვის ხიდი“ რომ დაარქვა ავტორმა, უკვე კარგად ჩანდა, რა სულიერი საგზლით შემოდიოდა იგი ქართულ პოეზიაში და ისიც, თუ რა უაღრესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ რთულსა და საპასუხისმგებლო ტვირთს; მისეული მამულიშვილური კრედო დიდებულად გაცხადდა ლექსში „...შენთვის მომკვდარა...“, რომლითაც პოეტი მიმართავს სამშობლოს:

შენთვის მომკვდარა რამდენი მეფე,
მაგრამ კვდებოდნენ მონები მეტწილ...
მარადიული სათნო დუმილი –
თავის გაწირვა – ხიდია ბეწვის,
რაზეც ჯამბაზი და მუშაითი
ვერ გავა, თუმცა, თავს რაცხს სამისოდ.
რა იქნებოდნენ არაგველები

უბეწვისხიდოდ
და უკრწანისოდ!..
(თედორაძე, 1977: 39)

ეს ღრმა მამულიშვილური ვალი, რომელიც ქართულ პოეტურ სივრცეში იმთავითვე განსაზღვრულია და არცერთ ჭეშმარიტ შემოქმედს მისთვის გვერდი არ აუვლია, დავით თედორაძის შემოქმედებაში კიდევ უფრო მაღალ რეგისტრშია აყვანილი ლექსით „შენ ხარ მგოსანი“ (თედორაძე, 1995: 5), რომლითაც პოეტი მიმართავს ყველა თანამოკალმეს (პირველ რიგში კი – საკუთარ თავს):

შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ;
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს!

მოქალაქეობრივი სისუსტის გამოჩენა, უმწეობა, დავით თედორაძისათვის მიუღებელ-გაუმართლებელია; აკი ამიტომაც უდიდესი ძალისხმევითა და შემართებით აცხადებს:

შენ გავიწყდება, რომ ხარ უმწეო,
როცა მგლებივით ძრწიან მზაკვრები...
(თედორაძე, 1995: 5)

დიახ, პოეტს მოდუნების უფლება არ აქვს, არ უნდა შედრკეს და, როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, უნდა „წმინდა გრძნობა უშიშარად მოჰფინოს ხალხში“, რადგან მოძულეა „ლიქნისა და ორგულების“, რადგან სულით ხორცამდე შეძრულია მამულის ტკივილებით და ომახიანად შეუძახებს საკუთარ თავსაც და თანამოდარდესაც, არ შეშინდეს („არ მოდრკე, ბიჭო!...“), არასოდეს შეეგუოს ლიქნსა და ქვეყნის ორგულობას.

სამშობლოს გამო მუდმივი ჭრილობის მატარებელი პოეტი, სადაც უნდა იყოს, მუდამ მის მონატრებაშია:

მოსაწყენი გახდა ბონი,
დამავიწყდა ვენაც მალე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენატრები უკვე, მგონი,
საქართველოვ, გენაცვალე!
საქართველოვ, გენაცვალე!
(თედორაძე, 2019: 48)

დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირისათვის სამშობლოს წალკოტში ტანჯვაც კი ბედნიერებაა და რაც უნდა ავი შეემთხვეს დედის უბეში, მისაღებია:

შენს წალკოტში ტანჯვა მიჯობს
ამ ევროპულ რია-რიას,
თუმცა, ხშირად დედინაცვლობ,
მაინც,
მაინც დედა გქვია!
დედა გქვია!
(თედორაძე, 2019: 48)

მტრებით გარემოცულ ჩვენს სამშობლოში რომ „ოდითგან ლექსი მებრძოლი იყო“, კარგად იცის პოეტმა და ისიც გასიგრძეგანებული აქვს, რომ ყოველი სტრიქონი, ბოგანოს მიანიჭებს მისი წერის უნარს უზენაესი თუ – მეფეს, ერის სულის ამოძახილი უნდა იყოს:

წერდა მეფეც და ბოგანოც,
ლექსი დუშმანმაც გვიქო,
ერის სულს შემოეხვია,
როგორც ვენახი – ჭიგოს.
(თედორაძე, 2015: 11)

ყოველი ეპოქის ჭეშმრიტი მამულიშვილების უმთავრესი საწუხარი – „ქართლის ჭირი“ ვერც ჩვენს თანადროულობას ასცდა. ახალმა დრომ, გარდასულ ტკივილებთან ერთად, ახალ-ახალი საწუხარიც არ დააყოვნა და ვერც პოეტი იცხოვრებს „სიხარულითა და აღმაფრენით“, რამეთუ სამშობლოს დარდით აქვს გული დასერილი. ლექსში „საბა-სულხანის ცრემლში გული უნდა ჩაკეპო“ (თედორაძე, 2004: 86) იგი უარს უცხადებს ყოველგვარ

კომფორტს და სამშობლოზე დარდით დასერილ გულს გვთავაზობს:

დღეს სხვამ იცხოვროს
სიხარულით და აღმაფრენით,
მე კარგად ვიცი,
რა მომელის, რას მიპირებენ.
უარი ვარდებს,
კომფორტებს და
დაფნებს დაფენილს,
სამშობლოს დარდით დასერილი
გული ინებეთ!

პოეტი შეძრწუნებულია იმით, რომ ახალი განსაცდელის წინაშეა მესხეთ-ჯავახეთი მაშინ, როდესაც გუშინდელი ტკივილი არ მოშუშებულა, მკერდმოგლეჯილია მარადიდი, ტაოს ტაძრები მდუმარებენ... ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, პოეტის წარმოსახვაში წამოიმართება აჩრდილი დიდი დავით აღმაშენებლისა, ნატვრა მისი ხმის გაგონებისა, მისი შემართების განმეორებისა:

ვინ მოუმრავლა სევდის ტბები
მესხეთ-ჯავახეთს?!
მკერდმოგლეჯილი მარადიდი
რისთვის მანახეთ?!
რისთვის მიჩვენებთ
ტაოს ტაძრებს,
რისთვის მაღონებთ?!
აღმაშენებლის უტკბილესი
ხმა გამაგონეთ!

თანადროულობის სასოწარკვეთისაგან თავის დაღწევად პოეტს სულხან-საბა ორბელიანისეულ ცრემლში გულის წრთობა დაუსახავს, რათა ახლაც, ამ შეჭირვების ჟამსაც, ვიქართულოთ, თორემ მავანნი „ძაღლში გაგცვლიან“, ცხოვრება რომ გაიადვილონ:

საბა-სულხანის ცრემლში
გული უნდა ჩაკეპო,
რომ იქართველო თვით ქართველმა
აქ სანაქებოდ.

პოეტისათვის, ვისაც „მამული სიცოცხლედ უღირს“, ტკბილ-მწარე განსაცდელია ერის ისტორია, მისი შუქ-ჩრდილები, სასახელო გამარჯვებები თუ ძმათა უაზრო შუღლით დაგლეჯილი მამულის სევდა და კითხვა – „ვის ვთხოვო პასუხი ნახმლევის?“ – მოპასუხეს ითხოვს; ითხოვს ისევ და ისევ პირუთვნელი პოეტისაგან, რაგინდ მტკივნეული და მწარე იყოს, რამეთუ მარტოოდენ „ტკბილ ხმათათვის“ არ არის ზეციდან მოვლინებული!..“ „კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო“, – უთქვამს ჩვენს ბრძენ წინაპარს; არც ეშმაკს სძინავს და ყოველ წუთში წამოგძახებს, წამოგვაყვედრებს, რაა მიზეზი: „ღალატი, შური და ცილობა“ – მისივე მაცოცხლებელი და ხელშემწყობი გარემო, რათა სიკეთის წილ ეს იარაღი ჰქონდეს მომარჯვებული. სულში ეშმაჩაბუდებულიც, სამწუხაროდ, ისევ ჩვენივე სისხლისა და ხორცის ნაწილია, აგრერიგად სამარცხვინოდ რომ შემორჩა მისი ავბედითი ნამოქმედარი ჩვენს ბედკრულ სამშობლოს... მთავარი მოპასუხენი, პოეტის აზრით, მაინც ქვეყნის მმართველები არიან, მათ მოეკითხებათ ძმათა სისხლში ჩამხრჩვალ აჩრდილთა ცოდვა, თუმცა, ქართულ ჯიშსა და გენს დღესაც სხვა სწრაფვა და მიზანი აქვს – ძმათა სისხლით დიდება არ მოიპოვება. ლექსში „მეფეებს მოკითხეთ“ (თედორაძე, 2015: 154-155) ავტორი ამგვარ დასკვნას გვთავაზობს:

მეფეებს მოკითხეთ, წინამძღოლთ,
ნაჭრებად ჩამოქნა მამულის!..
სხვაფრივ აქ ლომები ვბინადრობთ,
სხვა სწრაფვით,
სხვა მიზნით,
სხვა გულით.
და ვიცით – დიდებას წარმავალს
ამაოდ ეძებდნენ ძმათა კვლით...

ამ ღრმა სოცალური პრობლემისადმი დამოკიდებულების საკითხის საბოლოო პასუხად პოეტი გვაცნობს სარიჩაირის საზაფხულო იალაღზე მყოფი მწყემსის ფილოსოფიურ შეხედულებას ლექსით „ხელმწიფეს მე რომ ვუშველი“ (თედორაძე, 2015: 173) – უბრალო მშრომელს, მთიელი კაცისათვის დამახასიათებელი სიდინჯითა და სიბრძნით სრულიად მარტივ ჭეშმარიტებას ათქმევინებს:

...თავს და ცხვარს
ერთად დაღუპავს
მწყემსი, გართული ჭამით.

და, რაკი ეს იცის მწყემსმა, ის ერთგულად დარაჯობს ცხვარსაც და თავსაც, ქვეყნის სათავეში მყოფთ კი, გაუთავებელი მიტინგების გამო, საყვედურით მიმართავს:

ნუთუ სამშობლო
კეთილი
არ იმართება სხვაფრივ?!
მთლად აგვირიეთ ქვეყანა
მოწოდებებით მძაფრით!
ხე რომ ხე არის,
ღავღავით
იქნება, ის ხეც გახმეს...
ხელმწიფეს მე რომ ვუშველი,
კარგად ექნება საქმე!..

სამშობლოსადმი უანგარო, უპირობო მსახურების ჰიმნია დავით თედორაძის ლექსი „საქართველოს მზე გვეხატოს გულზე“ (თედორაძე, 1995: 126) პოეტი ემიჯნება პირადი კეთილდღეობის მიზნით ფარისევლურ ლოზუნგებს ამოფარებულთ და აცხადებს, რომ მშობელი დედისადმი მსახურება და თავგანწირვა უანგაროა:

მისი იყოს გამორჩენის სიხარული,
ვინც ლოზუნგობს შეზლონგების გულისთვის,
მე მოვკვდები საქართველოს სიყვარულით,
არცრას ველი დედის სამსახურისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მერამდენედ მოუწოდებს თანამემამულეთ ქვეყნის უხმაურო მსახურებისაკენ, ერთმანეთისა და მამულის სიყვარულისაკენ, რომლის მადლმაც უნდა გაამთლიანოს და გადაარჩინოს სამშობლო:

ვტკბები მზით და მლოცველით უხმაუროდ
ვმსახურებ და ვუნთებ თაფლის სანთელს,
შენ დაიხსნი ჩემს სამშობლოს, სიყვარულო,
შენი მადლი არ მოაკლდეს ქართველს!

პოეტი შეახსენებს ყველას, რომ მრავალჭირგამოვლილი მამულის დაცვა-შენარჩუნებას უდიდესი ძალისხმევა სჭირდება, მისი მტრები ჩვენს ბედზე უჩვენოდ ბჭობენ და, ამიტომაც, ეროვნული სიფხიზლე გვმართებს, მარადჟამს უნდა „საქართველოს მზე გვეხატოს გულზე“.

დავით თედორაძის პოეზიის გულსავსე, გულგახსნილი ლირიკული გმირისათვის მთელი საქართველო საოცნებო და სათაყვანებელი სავანეა, თუმცა, მრავალჭირგამოვლილი მშობელი კუთხე – აჭარა და ამ ძირძველ კუთხეში სიცოცხლის ძარღვად მომდინარე აჭარისწყალი, მისი თვალწარმტაცი ხეობა, რომლის ღალიან-ბარაქიანი რძით არის ნაკვები პოეტის სული, მაინც გამორჩეულია – იქ არის მისი „ბაღდადი“, იქ არის მისი ადგილის დედა, იქ იწმინდება ყოველდღიური ცხოვრებისეული მიეთმოეთით დანისლული გული ნისლებგადაყრილი მთებით, იქ სხვანაირი სიყვარულის ცეცხლი ედება მის გულს:

...ასე უბრალოდ
ვუცქერ და ვტკბები,
ასე ყოველდღე შვილს ეტრფის მამა...

...და უხარია პოეტს, ცაზე ლაღად რომ ფრენენ მტრედები, რომ საქართველოს ამ დიდებული კუთხისათვის ისტორიას ჩაბარდა დიდი ღამე, როცა წინაპრებმა გახიზნეს და გადამალეს ვაზიც და სკებიც და რომ დღეს ეს ძირძველი კუთხე საქართველოს ეიმედება:

...ეს იყო უწინ,
გათავდა გლოვა,
შენს ცაზე ლაღად ფრენენ მტრედები.
დალოცვილი ხარ შვილთა სიმრავლით
და საქართველოს ეიმედები!
(თედორაძე, 2015: 65)

მშობლიურ კერას განსაკუთრებული, საკრალური ხიბლი და მიზიდულობის ძალა აქვს. სხვა შვებას ჰგვრის ადამიანს, რწმენას უძლიერებს, სიცოცხლეს ურწყულებს... ეს უწმინდესი ადგილი პოეტისათვის აჭარის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი ერგეა; ლექსში „ზაფხული ერგეში“ (თედორაძე, 2004: 50) მშობლიური სოფლის ღვთაებრივი სიმყუდროვით აღფრთოვანებული პოეტი წერს:

ახლა აქ ყოფნა შვებაა,
რწმენა ამოდის მიწიდან,
მთები ხომ მიყვარს, – ეს წყალი,
ეს სიმყუდროვე მიზიდავს.

მშობლიურ გარემოში ბოროტებაც სიკეთით არის ძლეული, ყველას და ყველაფერს ერთგულების ბეჭედი აზის:

აქ რომ ვარ, ასე მგონია,
კეთილმა სძლია ბოროტი,
აქ ყველა ჩემი ტოლია,
მიერთგულებენ ბოლომდი.

ჩიტების ჭიკჭიკით დამტკბარი სოფლის იდილია დარდიანი გულის მალამოა, ენერგიის წყაროა, იმ ენერგიისა, სამშობლოს მსახურებაში რომ უნდა დაიხარჯოს:

გამაღვიძებენ ჩიტები,
დარდს ამომკენკვენ გულიდან,
გამალაღებენ, დამღლიან
სამშობლოს სამსახურითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მუდამჟამს, როცა პოეტის სული მითური ანტეოსივით ენერგიის ნაკლებობას იგრძნობს, მშობლიურ ერგეს მიაშურებს, რათა აღივსოს სიცოცხლის ძალითა და სიყვარულით.

ლექსში „ვტკბები, სიახლით ვტკბები“ (თედორაძე, 2015: 190-191) გამოთქმულია პოეტის აღფრთოვანება აჭარის მთიანეთით. შემოდგომაზე სულ სხვა ფერებით ირთვებიან მთები და ქედაში, შუახევსა თუ ხულოში ასული მგოსანიც ხარობს და ხალისობს, ეფერება ყველას და ყველაფერს, მთის ლაღი ჩანჩქერივით გადაუშლია გული:

შემოდგომაა,
ჭალებს მოუკვეციათ თმები,
წამომდგომია თავზე
მთები,
მთები და მთები...
მეც მთის სიმაღლეს ვნატრობ
და ჩანჩქერივით გულს ვშლი...

მთას შეხიზნული პოეტის შთაგონება ქარვისფერი ღელეებითა და ხვავრიელი ყანა-ბაღჩებით ტკბება, მზითა და უჩვეულო სიუხვე-სიანკარით ევსება სული:

სული ივსება მზით და
სიუხვით, სიანკარით,
აღარც ქალაქი მახსოვს,
აღარც ზღვა, აღარც ბარი,
კვლავ ვეფერები ქედას,
შუახევსა და ხულოს,
რომ ყვავილობდე მარად,
მზით შემოსილო სულო!

შავი ზღვის მარგალიტი – უმშვენიერესი ბათუმი – დავით თედორაძის პოეტური შთაგონების ერთ-ერთი უშრეტი წყაროა, საოცრად ფერწერული სტრიქონების ადრესატია თავისი ზღვითა და ზურმუხტი შემოგარენით, კაშკაშა მზითა და ხშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმებით. ლექსში „როცა წვიმები ამირბარობენ“ (თედორაძე, 1995: 254) პოეტი წვიმიან, წარბშეკრულ ცას ემიჯნება და ძველი წარმართივით შესთხოვს ცა-ღრუბლის გამგებელს, ამოაგოროს უბიდან მზე, რათა ისევ აჟრიამულდეს ქალაქი, „იენძელონ და იასამანონ“ მზესდანატრებულმა ქალებმა, თორემ ბათუმს წვიმა არასოდეს უკვირს:

...ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და სიცოცხლეს მიეც ხალისი,
დაბრუნდებიან სიყრმის სიზმრები
და სიყვარულიც მოვა თავისით.
მაგრამ ვის მისწვდეს
სიბრძნე სურვილთა,
როცა წვიმები ამირბარობენ,
ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და ქალაქი ამიგალობე!

ეს მშვენიერი ლექსი დიდებულად ეხმიანება ძველად საქართველოში გავრცელებული ტრადიციული „ლაზარობის“ („გონჯაობის“) რიტუალში წარმოსათქმელ ლოცვას, ბოლო დრომდე რომ შემორჩა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს და, მათ შორის, აჭარას. მისი ერთ-ერთი აჭარული ვარიანტი ამგვარია:

ახ, ლაზარე, ლაზარე,
ცას ღრუბლები აჰყარე!
შეგვეწყინა წვიმა-წყალი,
ღმერთო, მოგვე მზისა თვალი!
(ბსუქცფა)

ხარაულელი სახალხო მთქმელი მუსემბე ზაქარაძე კი ასე მიმართავს მზეს:

ჩვენთან მოდი, მზეო,
ღრუბელიდან გამოდი,
ჩემ ორდოში ჩამოდი!
მიანათე სახლებსა,

არ დაგიგებთ მახესა!
ხნა და ფარცხვა დაგვიანდა,
გული დაგვინაღვლიანდა.
მოგვათბუნე, ზითვალო,
მაგზე რატომ ზიხარო?
დიგიკლავ ზროხას, ცხვარსა,
ნუ გამოეკარ ცასა!
(ბსუქცფა)

ლექსში „ჩანს ბათუმი“ (თედორაძე, 2015: 67) პოეტი უიშვიათესი ვერბალური ფერებით გვიხატავს მწვანე კონცხიდან ჩამავალი მზის ფონზე განფენილ სამოთხის მსგავს ქალაქს, რომლის ხილვაც აღაფრთოვანებს და სიხარულით ავსებს:

...სამოთხეა,
სამოთხეა!
მიხმეთ,
მიხმეთ ანგელოზებს!
ვდიდგულობ და ვეფერები,
ქალაქი მაქვს,
ქალაქი მაქვს
ზღვამიბმული საყელოზე!..

ეს გრძნობა-მოფერება სულაც არ არის უბრალო პათეტიკა! ჩამავალი მზის ფერით შემოსილი პოეტის სათუთი სული ზეიმობს, ტკბება უმშვენიერესი მშობლიური პეიზაჟით და ესმის, როგორ მღერის შადრევანი დედაენის საგალობელს:

ვეფერები,
პათეტიკამ ამიტანა,
შევიმოსე ჩამავალი მზის ფერით,
დატკბი, სულო,
ამგვარი და ამისთანა
არ გქონია დღე, კვირა და წელი!
დატკბი, სულო,

შადრევანი ცას სწვდება და
დედაენის საგალობელს მღერის.

დავით თედორაძე საოცარი სითბოთი და სიყვარულით ეფერება და ესიყვარულება საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულს, გულში იკრავს და სულს უბერავს, იშვიათი სითბოთი და სინაზით გაფერადებულ სტრიქონებს უძღვნის მშობელ ხალხს სარფის კარიდან არხილოსკალომდე. ლექსში „არ მომიწყინო და-ძმები“ (თედორაძე, 2019: 87-88) პოეტი აღფრთოვანებით ესალმება აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ მეციხოვნეს – კახეთს და გამოსთქვამს აღტაცებას ბალღების ჟრიამულით აღსავსე უხვი, ხმიერი და ძლიერი, ხოხბის ყელივით მშვენიერი ალაზნის ველისა და კახეთის გულსავსე სოფლის – არხილოსკალოს შემყურე.

თავადაც გულგახსნილი და მოყვასის სიყვარულით აღსავსე პოეტი სტუმრად სამშობლოს არცერთ კუთხეში არ გრძნობს თავს, მისთვის უცხოა კუთხური კარჩაკეტილობა, იგი ოდენ ერთიანი, ძლიერი საქართველოს მომღერალია:

საქართველოში ქართველი
არსად არ არის სტუმარი,
უარი კუთხურ ზღუდეებს
და კუთხურ კუნკულს უარი!
შენ გენაცვალე, კახეთო!
სამთაწყაროს და „ფიროსმანს“
ჩემი ყოველი სტრიქონი
მიერთვას ძღვნად და მილოცვად!

ვის, თუ არა ერის წყლულების მოზარე მგოსანს, ხელეწიფება, ხშირად იმოგზაუროს თავისი ქვეყნის წარსულში, სადაც უამრავი სადარდებელიც დახვდება და სასიხარულოც, საძრახისიც და საამაყოც და, რაც უმთავრესია, ჭეშმარიტი პოეტი „ქართლის ცხოვრების“ ცარიელი ფურცლების მიღმაც ჭვრეტს და სულის სასწორზე სწონის მშობელი ერის ყოველ ნაბიჯს, წარსულს, დღევანდელობას, სამომავლო მუხტს და მაინც ამაყი და თავაწეული რჩება, რადგანაც მის საფიცარ სამშობლოს უკიდურესი

შეჭირვების ჟამსაც არავის წინაშე დაუხრია თავი; არადა, დღემდე კაცობრიული აზროვნების დასაშვები ზღვრის მიღმა რჩება კითხვა: როგორ გადავრჩით, რა ძალა, რა მუხტი დევს ქართლოსიანთა გენში, ამგვარ მტრულ გარემოცვას რომ გავუძელით, არ გადავშენდით, დღემდე მოვედით!.. ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ეს იგავმიუწვდომელი ფენომენი დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირის ფილოსოფიური განსჯის საგანიც არის; ლექსი „არ აღრეულხარ“ (თედორაძე, 1999: 16) სწორედ ამ საიდუმლოს ამოცნობას ემსახურება:

ვფიქრობ,
სულ ვფიქრობ –
სად იწყება,
სად,
სად მთავრდება
ჩემი ნანატრი საქართველო –
დარდიც, ხალისიც...
გაიმძვინვარებს
ხან საძრახი,
ხან სასახელო
ქართლის ცხოვრება
და დამზაფრავს უცებ კრწანისით.

პოეტის თვალწინ გაიელვებს მშობელი ქვეყანა თავისი ოთხივე კუთხით; ხან კრწანისი ზაფრავს, ხანაც – დასამოძღვრავი ტბეთისა თუ შატბერდის გაუცხოება, თუმცა, ამერ-იმერში მაინც ჩანს ფესვმაგარი მუხის სამომავლო ყლორტები:

განფენილია ქართლის სული
გაღმაც,
გამოღმაც,
შატბერდის მრევლი,
ტბეთის მრევლი
ითხოვს დამოძღვრას...
ფესვძლიერო და სვეძლიერო
ამერ-იმერო,

ენას იმშვენებ,
სისხლს იმშვენებ, საბედნიეროდ!

დიახ, სწორედაც, ეს არის ის უმთავრესი, რამაც გადაარჩინა ჩვენი გენი! – სისხლი არ აგვირევია, თუმცა, იმავე სისხლის ფასად დაგვიჯდა, მაგრამ არ „აღვერიენით ერსა უცხოსა“! ამიტომაც ჟღერს უდიდესი ეროვნული სიამაყით დავით თედორაძის სტრიქონები:

არ აღრეულხარ,
არ გაცვლილხარ
მონღოლ-თათარში!..

დიახ, ჩვენს მრავალტანჯულ ერს არც სისხლი აურევია და არც ენა დაუკარგავს, დღემდე იმშვენებს! ესეც სხვაზე უკეთ იცის ოსმალთა სამსაუკუნოვანი უღლისაგან ღირსეულად, უბიწოდ, მშობლიური ენის შემნახველი კუთხის შვილმა; ის სიბრძნეც კარგად უწყის, რომ მდინარე ისწრაფვის ზღვისაკენ, თუმცა ვერ ავსებს; იცის, რომ ენა „სამშობლოს გულია“; ამიტომაც ეხამუშება ქართველთაგან სხვათა ენაზე ლოცვაც კი უაღრესად ტოლერანტ პიროვნებას – პოეტ დავით თედორაძეს და მისთვის ჩვეული სიმბოლიკით, სათუთად და მამულიშვილურად გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას ლექსში „მელაპარაკე ქართულად“ (თედორაძე, 2019: 51):

არ არსებულა,
არ თქმულა,
ზღვა ამოევსოს მდინარეს...
– მელაპარაკე ქართულად, –
გუმბათი ეტყვის მინარეთს.
. . . . . .
ამ ენის სათავეებთან
უფლის სურვილი ჩათქმულა...
ქედს ნუ მოვიდრეკთ დევებთან,
მელაპარაკე ქართულად!

ლექსით „ბორკილად მადევს ავტონომია“ (თედორაძე, 2015: 57) დავით თედორაძემ ერთ-ერთმა პირველმა აიმაღლა ხმა ერთიანი სახელმწიფოებრივი აზროვნების ბორკილად არამოკეთეთა მიერ საქართველოს ავტონომიებად დაყოფის წინააღმდეგ; მით უფრო – ძირძველი ქართული რეგიონის – აჭარის ამ ხელოვნურმა წარმონაქმმა, მავანთა მიერ მზაკვრულად ჩადებული ნაღმის მიმართ. სწორედაც აჭარის მადლიან მიწაზე გაზრდილ ქართველ ვაჟკაცს უნდა გასჩენოდა ჯანყი ამგვარი ანომალიის მიმართ, რაც იმხანად, კომუნისტური მმართველობის ჟამს, მით უფრო მის პარტიულ სტრუქტურაში მომუშავე პოეტისაგან, ერთობ სარისკო იყო. დავით თედორაძე კი ამას არ შეშინებია – სამასი უმძიმესი წლის მანძილზე უცხოტომელთაგან ვერდათრგუნული ამაყი სული ნებას არ მისცემდა, არ ეთქვა:

სამასი წელი მკლავდნენ მორკინალს –
სულს მიმღვრევდნენ და ახლა მოვკივი,
ბორკილად მადევს ავტონომია,
დედათბილისო, ამხსენ ბორკილი!

დიახ, დედასამშობლოს გულს – თბილისს შესჩივის პოეტი, ბოლო მოუღოს ამ უაზრობას, რათა ერის დაყოფა-დაწიაწიების სურვილი არ გაუჩნდეს მტერს:

მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა;
მწარე წარსული, სავსე გმირობით,
გიხმობდა დედას გადასარჩენად, –

იგონებს პოეტი გარდასულ ტვირთმძიმე ხვედრს და გამოთქვამს სურვილს, რომ ახლა მაინც ნუ განასხვავებენ აჭარას საქართველოს სხვა კუთხეთაგან, რადგან სურვილი და სწრაფვა – „მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი“ – გმირული წარსულისადმი, მაცხოვრის რჯულისათვის, ქრისტიანობისათვის წამებულ ამ კუთხის შვილების ხსოვნასა და პატივისცემასთან ერთად, ქვეყნის ერთიანობის, სიძლიერის საწინდარია, რასაც ბორკილად ხელოვნურად შექმნილი ავტონომია ადევს:

თუ შვილს ეძებდი მტერთან მორკინალს –
მტერი ვძლიე და მწარედ მოვკივი:
ბორკილად მადევს ავტონომია,
დედაშვილობას, ამხსენ ბორკილი!

საქართველოს ძირძველ ქართულ კუთხეში – აჭარაში ისტორიული ბედუკულმართობის გამო გამრუდებული სულიერი გზის ერთ-ერთ საწინდრად და იმედად ეგულება პოეტს მეთორმეტე საუკენეში ამ კუთხის ერისთავების – აბუსერისძეების მიერ აგებული სხალთის ტაძარი და მთელი პათეტიკით მოუწოდება ყმაწვილებს:

ბალღო!
მოეფერე ამ ტაძრის ჩუქურთმებს!
სანთელი დაუნთე ქვითხუროს!
მტერს რომ უნდოდა და რომ ჰგონია,
წარსულს წაუღია ის ხულო.
მე ვიცი, რაც მჭირს და მაცრემლებს
და შენთვის რა ტვირთსაც ვკისრულობ,
ტბელის გენია რომ ანათებდა,
შევხარი,
შევნატრი იმ ხულოს!

...და მტკიცედ სჯერა მტერთაგან განაწამები კუთხის შვილს, რომ მცხეთას დანთებული მაცხოვრის შუქი და მადლი კვლავაც ძალუმად მოედება აქაურობას:

დაღლილს და დაღარულს წიოკობით,
დღეს მინდა, სურვილი მისრულონ:
მცხეთას რომ უხარია,
თბილისს რომ უხარია,
იქნები ყოველთვის ის ხულო!

ასეთია სამსაუკუნოვანი გვემით ნათმენი სულის ყივილი, მაგრამ, როცა მცირეოდენი უნდობლობაც კი ჩნდება, მაშინაც პოეტის ვალია, გააჟღეროს გულნატკენობის მიზეზი:

პირჯვარს ვიწერთ,
შევაქციეთ სხვა რჯულს პირი,
დედათბილისს
სიყვარულით ჩავეკარით,
უნდობლობის ქვაბში
ეჭვით ვიხარშებით,
ამას სჯობდა,
ქაშუეთთან დავეკალით!
(თედორაძე, 2015: 59)

სამშობლო ქვეყნის პატრიოტი პოეტის კალამი ერთნაირი სიყვარულითა და აღტაცებით უმღერის და დიდების შარავანდედით ამკობს, როგორც გარდასულ ეპოქათა გმირებს, რომელთა ხსოვნა, მართლაც, სანთლებივით ანთია ყოველთა ქართველთა გულებში, ისე მის თანამედროვე პატრიოტებსაც, განსაკუთრებით – სიტყვითა და კალმით მებრძოლთ, და აქ უპირველესი მაინც პოეტი ფრიდონ ხალვაშია. დიახ, უყვარს პოეტ დავით თედორაძეს მისი უფროსი თანამოკალმე – მშობლიური კუთხისა და სრულიად საქართველოს მეხოტბე და მოამაგე. ფრიდონ ხალვაში ერთ-ერთი იმათგანია, ვინც პოეტისათვის „არ ბერდება“, „არ ბარდება ფოთოლცვენის თარიღს“, „არ აცვდება კურთხეული დიბა“, რადგანაც მარადი მხედარია მამულისა; ის ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა, რითაც მაგალითს აძლევს შთამომავლობას და სწორედ ეს მოსწონს თავადაც ქვეყნისათვის გულანთებულ დავით თედორაძეს:

...საქართველოს მტერთან მტრულად აენთება,
საქართველოს მტერს თვალებით თიბავს.
(თედორაძე, 2015: 54)

დიახ, ბატონ ფრიდონ ხალვაშის მსგავსი მოღვაწენი ერის აღმზრდელები არიან, „ჭირსა შიგან გამაგრების“ უებრო მაგალითს იძლევიან, გულით დააქვთ სამშობლოს სიბრძნის საგანძური, სიწმინდისა და ერთგულების მაძიებლები არიან და ამ სათნოებებს უხვად აბნევენ ერში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამმოძღვრა და
„ჭირსა შიგან გამაგრება“
ამომკვეთა ჩუქურთმებად გულზე
. . . . . .
მე ვინც მიყვარს –
არ ბერდება,
არ შედგება სიძულვილის კლდეზე,
დადის, დააქვს
ჩემი კუთხის საგანძური,
სიწმინდეს და ერთგულებას ეძებს.
(თედორაძე, 2015: 54-55)

სამშობლო ის ყოვლისმომცველი ფენომენია, რომელსაც უკეთური აზრი, ფიქრი, წარმოსახვა ვერ უნდა შეეხოს; სამშობლო ღვთისაგან დალოცვილი კვრივი ადგილია, შვილთა აღმზრდელ-დამკვალიანებელი, რომელიც მზრუნველიც არის და, იმავდროულად, – საზრუნავიც; ასეა ოდითგან ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის და პოეტისათვისაც მშობელი ქვეყანაა მუდმივი ფიქრისა და ზრუნვის საგანი, დიდი სახლი – ნავსაყუდარი... როგორ შეიძლება მის ბინადრებთან გაუცხოება, მათი უნდობლობა! დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირისათვის სამშობლო ქვეყანა ერთსულ და ერთხორც მოაზროვნეთა სამყაროდ წარმოიდგინება, სადაც მგელსაც კი უნდა ენდო:

საქართველოში?! –
საქართველოში მგელსაც ვენდობი,
დე, მოძუნძულდნენ მშიერი მგლები!..
(თედორაძე, 2015: 188)

მიუხედავად ამ მზადყოფნისა, მშობელი ქვეყნის სიმშვიდისა და კეთილდღეობის გულმოდგინედ მოდარაჯე პოეტის გულთამხილაობას ვერ გამოეპარება დედულ-მამულის მოუშუშებელი სატკივარი – გამანქურთებულ ქართველთა მიერ უცხოტომელების ჩამოსახლება-გაბატონების მცდელობა, სიმშვიდეს რომ ურღვევს და მომავალს უსპობს ქვეყანას და ისიც ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის საწუხარს ჩივის:

მოსპეს ჩვენი სიმშვიდე
ლაყბობით და ბჭობით,
გვისახლებენ შინ სკვითებს
მანქურთების ჯოგი.
(თედორაძე, 2019: 55)

პოეტი დაუფარავად ამხელს ქვეყნის ვაი პატრონებს, უმოწყალოდ რომ ჰყიდიან და ასხვისებენ წინაპართა სისხლითა და ოფლით მორწყულ ქართულ მიწას:

სულერთია მეფისთვის,
ვიღვიძებთ თუ ვიძინებთ,
არ ვვარგივართ ყეფისთვის
ხმაში ვგავართ ტყის ჩიტებს.
. . . . . .
სულ ფეხებზე ჰკიდიათ...
გინდ მოვკვდეთ, გინდ გავლოთდეთ,
საქართველოს ჰყიდიან! –
მოიზიდეს ბზიკები
სურნელოვან ყვავილით...
(თედორაძე, 2015: 16)

ლექსი „უშველეთ საქართველოს“ (თედორაძე, 2015: 22-23) დავით თედორაძის შემოქმედების პატრიოტული ნაკადის ალამდარია; მიზანდაკარგული შვილებისაგან შეჭირვებული სამშობლოს ტკივილების ვერდაფარვისა და მათი განსაკურნავი მალამოს ძიების გზაზე დამდგარმა პოეტმა ამ ლექსს გალაკტიონ ტაბიძის, ასევე, დიდი გულისტკივილით ამონაკვესები სტრიქონები წაუმძღვარა ეპიგრაფად:

რაა მასზე გულდამწყვეტი,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე –
ეს არ არის საქართველო!
(გალაკტიონი)

პოეტთა საწუხარი არ იცვლება... არც დავით თედორაძის თანადროული საქართველოა მომღიმარი და მხრებგაშლილი და ეს პოეტური გადმოძახილი, სამწუხაროდ, ძალაში რჩება, თუმცა – გალაკტიონისეული ტემბრის კიდევ უფრო გაძლიერებით, კიდევ უფრო მაღალ რეგისტრში აყვანით: „უშველეთ საქართველოს!“ – ზარივით გუგუნებს მრავალჭირგადახდილი მამულის გადასარჩენად პოეტის გულმხურვალე მოწოდება:

უშველეთ საქართველოს –
ბრძოლებით დაღლილს და დაქანცულს,
უშველეთ საქართველოს –
მოუსყიდველ და ამაყ სულს!

„გარემოების საყვირია“ ყველა დროის მგოსანი, მით უფრო – შეჭირვების ჟამს ერის წყლულების შემყურე! ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული დავით თედორაძის პატრიოტული ლირიკაც – პოეტი უდიდესი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და გულისწუხილით აღიარებს უნდობარ რეალობას:

ასე რამ მოგვსპო და რამ დაგვაჩიავა?!
არ ვღირვართ მარაბდის,
დიდგორის ნიავად!..

იგი მოუწოდებს მამულის ჯანსაღ, სანდო და მხნე შვილებს, არა გამაძღარ-გაზულუქულებს, არამედ – „მშიერ მუშაკებს“, მაცხოვრის რჯულისათვის მებრძოლებს, „ვაჭრობისა უმეცართ“, მაგრამ ამაყ მწიგნობრებს, უშველონ, გადაარჩინონ დედულ-მამული:

უშველეთ საქართველოს,
ვინც დარჩით მხნე და სანდო –
მშიერო მუშაკებო,
მებრძოლნო ქრისტესანნო,
მხდალო ვაჭრებო და
ამაყო მწიგნობარნო!
უშველეთ საქართველოს,
უშველეთ საქართველოს!

სამშობლოსათვის ბრძოლის წმიდათაწმიდა გზაზე იმედიან შუქურად და წინამორბედად პოეტს ეგულება სულმნათი რუსთველისა და ილიას წიგნები:

რუსთველის წიგნს მოგართმევთ,
ილიას წიგნს მოგართმევთ
ზარბაზნებად და ქვემეხებად...
სამშობლო –
ღვთისმშობლის წილხვდომილი,
როგორ გეთმობათ და გემეტებათ!

პოეტის უტყუარმა გუმანმა კარგად იცის, რომ სამშობლო ქვეყნის მომავალს ზარბაზნებით ბრძოლა კი არა, სიბრძნესთან ჭიდილი სჭირდება, განათლებულ-დაუნჯებული, ჭკუადამჯდარი მომავალი სჭირდება და შეახსენებს ყველას, დროულად მიხედონ მამულს:

უშველეთ საქართველოს,
ვინც ჯვარის გამოსახვით
ხვდებით აალებულ განთიადს,
სანამ გაყიდულა,
სანამ მთაწმინდაზე
ქვეყნის ჩირაღდნები ანთია,
უშველეთ საქართველოს,
უშველეთ საქართველოს!

დიახ, სიბრძნე და განათლებულობა ესახება პოეტს სამომავლო საგზლად, რაც მშვენივრად გამოხატა მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის – შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ჰიმნში „სიმღერა რუსთაველის უნივერსიტეტზე“ (გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2015: 12):

რუსთაველის მადლი გამკობს,
რუსთაველის ხიბლით თბები,
შენი სუნთქვით ვიკვებები,
შენს ემბაზში ვინათლები,

მენატრება შენთან ყოფნის წუთები...
დღეს სულ სხვაა ბათუმიც და ზღვისპირიც,
ახალს ვეტრფით, განა წარსულს მივტირით!
მოდით, ნახეთ, რის დარია,
მშვენდება და მიხარია,
ბათუმია საქართველოს ქვითკირი!

პოეტი გულით შეჰხარის ახალი თაობის სტუდენტებს – თვალებში მზეჩაწნულ გოგო-ბიჭებს და უხარია, რომ მის მშობლიურ უნივერსიტეტს „ბუნებას ვეღარავინ გამოუცვლის“ – ის, უფლის მადლით დალოცვილი, ერის სამსახურში იყო ყოველთვის და დღესაც ამ კეთილშობილურ, სამომავლო სქმეს ერთგულობს:

სულს სწყურია სილაღე და ალერსი,
მზე ჩაუწნავთ გოგო-ბიჭებს თვალებში,
მოფარფატე თოლიებო,
ქათქათა მაგნოლიებო,
მინდა თქვენი მოფერება ამ ლექსით.
კვლავ გიმღერი უფლის მადლით დალოცვილს,
შენს ბუნებას ვეღარავინ გამოცვლის;
სულს გიმშვენებს კელაპტრები,
მიყვარხარ და მენატრები,
ტაძარი ხარ მუდამ ჩემი სალოცი!

ლექსში „ნეტა, ამ დღეებს მკვდარი ვენახე“ (თედორაძე, 2004: 99) დავით თედორაძის ლირიკული გმირი იმედგაცრუებულია, ფრთებდაჭრილი და სასოწარკვეთილია იმ უნდობარი რეალობის გამო, „ქვეყანა ხელთ რომ იგდეს რეგვნებმა“ და ყოველდღე ახალ-ახალი ტკივილით შხამავენ სამშობლოს გულშემატკივართ; პოეტს აღარ სურს, იხილოს ახალი ბაზალეთი, ძმათა შორის სისხლისღვრა, უბედურება და, გულამოსკვნილი, ამბობს:

ყურთა დახშობა სჯობს მის ძაგებას,
თვალთა დათხრა სჯობს ახალ ბაზალეთს!
მაინც რა მოხდა, ძმობის მაქებართ
ასე ერთურთი რით შევაზარეთ!

ერთადერთს ნატრობს და ოცნებობს სამშობლო ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარული, დღევანდელობის გაუტანლობითა და შუღლით შეძრული მგოსანი – იხილოს ყრმობისდროინდელი თვალით აღქმული უშფოთველი სამშობლო:

დარდმა გამხრა და სისხლიც გახევდა,
ნეტა, ამ დღეებს მკვდარი ვენახე,
ოღონდ, მამულო, ყრმა რომ გხედავდი,
ისე მყოლოდი და შემენახე!

ოდითგან სტუმრის ღვთისკაცად დამსახავი, გულღია და კარღიაა ქართველი კაცი; უშურველსა და უბოროტოს, არასოდეს გაულაშქრავს სხვაზე, არავისი არაფერი მიუტაცებია, მუდმივად თავდაცვით ომებში იყო, მუდმივად საკუთარ მიწას იცავდა, სტუმრად მოსულს მტერსაც კი შეიფარებდა, შეუნდობდა, შეიკედლებდა, ძმობა-მეგობრობას ასწავლიდა და ეშმაკის კლანჭებიდან იხსნიდა... ასეთია ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ტვირთმძიმე ისტორია, რომლის ქარტეხილებსაც ღმერთისა და თავდადებულ მამულიშვილთა უდიდესი ძალისხმევით გავუძელით, ღვთისმშობლის მადლიან კალთას შეფარებულებმა. სულ მუდამ ცოტანი ვიყავით და დიდ იმპერიებს ლუკმად ვეგულებოდით, თუმცა, ვერასოდეს გადაგვყლაპეს... ასე იყო, და, სამწუხაროდ, დღესაც ასე გრძელდება... ამ ვითარებასაც, ბუნებრივია, უპირველესად პოეტის კალამი უნდა გამოეხმაუროს, უნდა იქუხოს, როცა მადლი ცოდვად გვიბრუნდება, როცა, ურცხვად შემოსულნი, მშიერ მგლებივით შეგვყურებენ, როცა ხიზნები გვიდიდგულდებიან და მზაკვრული მიზნები ამოძრავებთ. ლექსით „დროა, სიმართლეს ქართველებმა თვალში ჩავხედოთ“ (თედორაძე, 2013: 154) დავით თედორაძემ განგაშის ზარი შემოჰკრა:

ტკბილო მამულო,
მადლი ცოდვად დაგიტრიალეს!
საქართველოში დიდგულობენ
ურცხვად ხიზნები;
ენა ქართული,
ლტოლვა ჩვენი აღიზიანებთ,

გულაღრენილებს
მზაკვრულ მიზნებით.

ასეთ დროს შეუძლებელია, კვლავ ელოლიავო სტუმრად მოსულს, რომელიც შეიკედლე, დააპურე და, მადლიერების ნაცვლად, შენს ოჯახში გაბატონებას ცდილობს:

არა ერთი და არა ორი
მწარედ თავხედობს,
გულს უკორტნიან
სატანა და
ჭინკა ცდუნების...
დროა, სიმართლეს
ქართველებმა თვალში ჩავხედოთ,
არც მიტევება,
არც შენდობა უმადურების!

ლექსში „ნეტა, კაცი შემახვედრა“ (თედორაძე, 2015: 289) დავით თედორაძე, სამშობლოზე ვაი-მზრუნველებით შეძრწუნებული, ილია ჭავჭავაძეს ნატრობს, პოეტის შემართებული ძალისხმევა ილიას მსგავს მამულიშვილს დაეძებს, რადგან მისეული შეგონება სჭირდება ერს, რომელსაც ათასგვარი ცრუ მოძღვრები შესევიან:

ახლა, როცა საქართველო
მზრუნველებით გავსილია,
ნეტა, კაცი შემახვედრა,
მათქმევინა – ჰგავს ილიას.
თუნდაც, ძმათა შეგონებით,
თუნდაც, „ქვათა ღაღადისით“,
თორემ მტრების გასახარად
ქართველებში რა არ ისმის!..

პოეტი ემიჯნება „გულზე დასაქარგი სიტყვით“ კეკლუცობას და სულმნათი აკაკის მონატრულიც არის, რადგანაც, მართალი სიტყვის უქონელნი, „გავბრიყვდით და გავტიალდით“:

ეჰ, როდემდე ვიკეკლუცოთ
სიტყვით, გულზე დასაქარგით,
ნეტა, კაცი შემახვედრა,
მათქმევინა – ჰგავს აკაკის.
თუნდ, ჩონგურის აკვნესებით,
თუნდ, ბრწყინვალე „განთიადით“,
თორემ მტრების გასახარად
გავბრიყვდით და გავტიალდით.

მართალია, ოპტიმისტი პოეტი იმედით შეჰყურებს მშობელი ქვეყნის მომავალს, თანადროულ ვითარებას – ქართველთა გათითოკაცებასა და ურთიერთგაუცხოებას კი სახადს, საყმაწვილო სენს უწოდებს, მაგრამ, მიუხედავად ამგვარი თვითდაჯერებისა, მაინც არ ღალატობს ჩვეულ გულწრფელობას და გულგრილ, თავკერძა ვაი ქართველებზე შეფარულად ამხელს თავისი და ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის სათქმელს ლექსით „არ ითქმება“ (თედორაძე, 2004: 37):

საქართველოს
ენაცვალოს
რაც გვაქვს და რაც გვაბადია!
რაც გვჭირს, ალბათ, სახადია –
ქართველების
საყმაწვილო სენი.
ჩვენ ამათზე რაებს ვფიქრობთ...
არ ითქმება,
არ ითქმება მადლფენილი ენით...

ლექსი „ბინდმა შთანთქა სამომავლო გზა-შარა“ (თედორაძე, 2015: 108) კი აშკარად გამოცხადებული ჯანყია იმათ მიმართ, ვინც მამულს სისხლი გაუშრო; პოეტი კი მზად არის, სამშობლოში სამშობლოსათვის მოკვდეს:

ოცნებიდან გამოვიქეცი,
ისევ მიწას ვუბრუნდები,
მეც ვიცხოვრებ მიწიერი გოდებით! –

ვინც გაგძარცვა,
ვინც გაგყიდა,
ვინც სისხლს გიშრობს – ვუხირდები,
სამშობლოში სამშობლოსთვის მოვკვდები!

პოეტმა მშვენივრად იცის, რომ საქართველო იყო მამა-პაპის სადარდებელი და არც იმას მალავს, რომ მასაც სხვაგვარი საქართველო მოსწონდა და უყვარდა; იგი გამოთქვამს გულისტკივილს, რომ დღევანდელ სოციუმში გამეფებული რყევები და გაურკვევლობანი სამომავლო გზას აბუნდოვანებს. იმავე წუხილითა და სულისკვეთებით არის გაჟღენთილი დავით თედორაძის ლექსი „ამნაირი სამშობლო, სჯობდა, სულ არ მეხილა“ (თედორაძე, 2004: 46). პოეტი ესაუბრება შვილებისაგან დაკორტნილ-დაწიაწებულ სამშობლოს, ისევ მას შესჩივის გულის დარდს:

შვილებს არ დაეკორტნე,
დაგაკლებდა მეხი რას?!
პანტაც ჰყვავის, პანტასაც
თავი მოაქვს ხეხილად, –
ამნაირი სამშობლო,
სჯობდა, სულ არ მეხილა!

პოეტის უსაშველო ჯანყის მიზეზია სიძულვილის ზეობა, უვიცისა და უზნეოს კეთილად შერაცხვა, რაც სახეს უკარგავს მდიდარი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქვეყანას:

სიძულვილი სიყვარულს
სუროსებრ ჩაგრეხილა,
უზნეო და უვიცი
იხსენება კეთილად, –
ამნაირი სამშობლო,
სჯობდა, სულ არ მეხილა.

ბოროტება მოსჭარბებია ქვეყანას და მეწყერად, ზვავად და ქარტეხილად დასტყომია თავს საყვარელ მამულს, თუმცა ჭეშმარიტი მამულიშვილის სულში ამოკვეთილია გადარჩენისადმი

სწრაფვაც და რწმენაც, რადგანაც ამნაირი სამშობლოს ხილვა მეტად მტკივნეულია:

ბოროტება ბოგინობს
მეწყერ-ზვავ-ქარტეხილად,
სწრაფვა გადარჩენისკენ
სულში ამოკვეთილა, –
ამნაირი სამშობლო,
სჯობდა, სულ არ მეხილა!

მისამღერის ფუნქციამინიჭებული სტრიქონები – „ამნაირი სამშობლო, სჯობდა, სულ არ მეხილა!“ – ზნედაკარგული შვილებისაგან გაწამებული სამშობლოს ტანჯვით თავადაც გატანჯული პოეტის სულის მტკივნეული ამოძახილია, სულში ისტორიულად ჩაბუდებული გადარჩენისაკენ სწრაფვაა.

ქვეყნის მსახურების უნდაური, ეგოისტი და მოღალატე ვაიშვილებისაგან დაკორტნილ-გაწეწილი მამულ-დედულის თემა დავით თედორაძის შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია; მით უფრო, რომ უფლისაგან სამშობლო ქვეყნის მსახურების ნიჭმომადლებულთა დაღუპვისა და გაწირვის მიზეზიც გამანქურთებული ქართველი ხდება. მერაბ აბაშიძისადმი მიძღვნილი ლექსიც ამისი დასტურია:

საქართველოს,
ჩვენს მამულს,
დასტრიალებს ძერა,
მისმა დარდმა დაგღუპა,
მეც მკლავს,
მეც მსპობს, მერაბ...
(თედორაძე, 2015: 123)

ლექსი „საქართველოსთვის ვიცოცხლე“ (თედორაძე, 2019: 161) დავით თედორაძის გულწრფელი აღსარებაა მამულის წინაშე. დროის მსვლელობას, წუთისოფლის წარმავლობას წინ ვერაფერი დაუდგება, რაც უნდა სიცოცხლის წყურვილი კლავდეს ადამიანს; სამშობლოს მსახურების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა კი,

პოეტის აზრით, ერთგული შთამომავლობის აღზრდა, საიმედო ცვლის დატოვებაა; ამ მხრივ ვალმოხდილი პოეტი წელგამართულად და ხმაგაუბზარავად მიმართავს მშობელ ქვეყანას:

ოღონდ შენ კარგად დამირჩი,
შეწუხებულო რჯულითა,
ჯავრისგან გამოსახსნელად
შვილებს გიტოვებ გულითადს!

მართლაცდა, მხოლოდ ქვეყნის წინაშე ვალმოხდილს, შეუბღალავი გზით მავალ მგოსანს შეუძლია, განაცხადოს:

ერთი რამ –
ეგეც იცოდეს
სრულად ქართველთა გულმა,
საქართველოსთვის ვიცოცხლე,
დარდებით გაბასრულმა.

ღირსეული შთამომავლობის აღზრდის ციკლის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია შვილისადმი მიძღვნილი ლექსი „ირაკლის“ (თედორაძე, 1995: 189) – ვაჟიშვილისადმი პატრიოტი მამის გულგახსნილი საუბარი და ადამიანის უწმინდესი, უმთავრესი მოვალეობის შეხსენება – სამშობლოსადმი ერთგულება და თავდადება – სათავე ყოველგვარი გრძნობა-გულისწადილისა; პოეტი იხსენებს განვლილ ახალგაზრდობას, იხსენებს ათასგვარ საცთურთა მახეებს და ამაყი იმით, რომ სული ვერ აუმღვრიეს, შვილსაც ურჩევს, ამ უცთომელი გზით იაროს, არ მოიხიბლოს ოქროს ბრჭყვიალით, ერის ინტერესებისათვის მებრძოლი იყოს ყველგან და ყოველთვის:

მახრჩობდა ვნება –
მთვარის წაწალი,
სულს მიმღვრევდნენ და შველას ველოდი...
გრძნობა და სიტყვა გულს დასახალი
იწყება, შვილო,
საქართველოთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენც შეგბოჭავენ კოშმარულ სიზმრით,
აგიცახცახებს ბაგეს კრწანისი...
არ გამიცივდე ოქროზე ფიქრით,
ერისთვის ტანზე თაფლი წაისვი!
ერისთვის,
შვილო,
თუკი იცოცხლებ,
ამომევსება სული ვარდებით...

შვილებისადმი, მომავალი თაობისადმი ანდერძად დანაბარებია პოეტის სტრიქონები: სიფრთხილე გამოიჩინონ, რადგანაც მათი წინაპრების სისხლით დაცულ სამშობლოზე ბევრს უჭირავს თვალი:

არმენი სამცხეს ჯიჯგნის,
აზერი – საინგილოს,
ქართველი უფლის წიგნით
სამართლის პოვნას ცდილობს,
რუსი არ მალავს სურვილს,
ფრთხილად იყავი, შვილო!
(თედორაძე, 2015:266)

საქართველოს ორგულთადმი, ცრუ პატრიოტებისადმი, უგვანო და უგვარო თანამემამულეებისადმი, მშობელ ქვეყანას რომ ძირს უთხრიან და პირადი კეთილდღეობისათვის ასხვისებენ მშობლიურ მიწა-წყალს, უკეთილშობილესი პოეტის ჩანგს ზოგჯერ წყევლაც კი აღმოხდება; ადამიანი, ვისთვისაც მშობლიური სიტყვის მოფერება, ტკბილქართულად მოუბრობა უდიდესი ღვთაებრივი ვალი და პირადი მოთხოვნილებაა, ანათემას გადასცემს სამშობლოს ორგულებს, უსამშობლო რენეგატებს; ეს იძულებაა, მშობელი ქვეყნის ორგულთა და გამყიდველთა სივერაგით გამოწვეული, თორემ არც აკაკის სურდა, „ფურთხის ღირსი“ ეწოდებინა ქართველთა იმ ნაწილისათვის, თავს რომ ბედნიერად გრძნობდა დამპყრობლის წიხლქვეშ და წამოდგომაზე არც ფიქრობდა... დიახ, იძულებამ, სამშობლოს შეჭირვებამ

ათქმევინა დავით თედორაძეს ლექსი „ვინც საქართველოს უორგულებს...“ (თედორაძე, 2015; 9):

ვინც საქართველოს უორგულებს,
ცაც გაუშავდეს,
წყალიცა!
ვინც საქართველოს უორგულებს,
სულიც დაუბრმავდეს, თვალიცა!
ვინც საქართველოს უორგულებს,
ხორციც დაენაცროს,
ძვალიცა!

საუკუნეთა მანძილზე დაგროვილმა თმენამ და მშობელი ქვეყნის გულზე აბრიალებულ ცეცხლზე ხელისმთბობელთა ვერმიღებამ ამგვარად ამოხეთქა მზისგულა და სიკეთეს ადევნებული, უაღრესად კაცთმოყვარე და მიმტევებელი პოეტის შემოქმედებაში:

მადლი არ ეღირსოს!
უმადურმა,
ყვავი და ყორანი კვებოს!
დედა გველს შეაჭამოს,
მამის სისხლით
თმა-წვერი შეიღებოს!
ჩაძაღლდეს მისი ნაშიერიც
უწყლოდ უდაბნოს ხანძრითა!
გვარიც წაბილწული,
ჯიშიც წაბილწული,
იხსენებოდეს ღვარძლითა!
ვინც საქართველოს უორგულებს!..

პოეტისეული ეს ანათემა, ალბათ, უაღრესად მტკივნეული, უნდობარი, მაგრამ მაინც გულის სიღრმეში ვერდატეული ამოძახილია საქართველოს ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილისა, ქვეყნისათვის დამაშვრალი ადამიანებისადმი პატივისცემისა და ნათელი ხსოვნის დასტურია, თორემ ვინ, თუ არა თედორაძეების სათნო

და ღვთისნიერ, ეკლესიის მაშენებელი დიდი ოჯახის თავკაცმა და მაცხოვრის ჭეშმარიტ გზაზე მავალმა შემოქმედმა მშვენივრად უწყის, რომ „წყევლა არს ბოროტი თავად, მას არამც შესწევს ძალა ბოროტის დასათრგუნავად“ (ქად., 1913: 123); ეს ლექსიც ოდენ ვერბალური ამონაკვნესია სამშობლო ქვეყნის წყლულთა მოზიარე პოეტისა... ქვეყნის ღალატიც ხომ მიუტევებელი ცოდვაა, მომავლის წინაშე უპასუხისმგებლობა და აწმყოში უცილობლად დასაგმობი!.. პოეტის სიტყვები – თანადროულობის გამოსაფხიზლებელი, მზისაკენ, სიკეთისაკენ მოსატრიალებელი მკაცრი და მომთხოვნი, უპირობო მუხტია, თორემ, ალბათ, ამ სტრიქონების წერისას, წინაპართა ტრადიციების მსგვსად, ისიც გულში ამბობდა, „პირი ხისკენ მიქნია!“, „ხესა და ქვას ეყურებოდეს!“-ო და, იმავდროულად, გულისგულში ცრუთა და ორგულთა მოქცევას, მათი სულების განწმენდას შესთხოვდა არსთგამრიგეს.

სამშობლო ქვეყნისადმი ტრფობა-სიყვარული ღვთისაგან ნაბოძები უზენაესი გრძნობაა, ცხოვრების ერთ-ერთი უპირობო საზრისი და მიზანია, რომელიც არაფერს, თვით იგავმიუწვდომელ დროთა ცვალებადობასაც კი, არ ემორჩილება. ლექსში „რა საკითხავია“ (თედორაძე, 1995: 50-51) პოეტი წელიწადის ხვადსხვა დროში ეძიებს მამულისადმი გრძნობის გამოხატვას, შეკითხვის ადრესატი კი შემთხვევით როდი შეურჩევია: სიმწვანით შემოსილი, ალუბლების, ატმებისა და ტყემლების ნაირფერებით აფერადებული უმშვენიერესი გაზაფხულის ფონზე ეკითხება მშრომელ გლეხს, უყვარს თუ არა მშობელი ქვეყანა:

გაზაფხულია –
სიმწვანე მოსძალებია მთა-ბარს,
ალუბლები და ატმები თავს იწონებენ,
ჰყვავიან,
ტყემლებს ჩაუცვამთ დედოფლის
უსპეტაკესი კაბა...
ვკითხე გლეხს:
– გიყვარს მამული?
მითხრა:
– რა საკითხავია!

იგივე შეკითხვა მეორდება ხვატისაგან დაგოლვილი, წყარო-ებდამშრალი, სამხრეთის ცხელი ქარების სათარეშო ზაფხუ-ლის დროსაც, თუმცა გლეხკაცის სიყვარულს სამშობლოსადმი მისხალიც არ დაჰკლებია:

იყო ზაფხული...
ხვატისგან ველ-მინდვრებს აჩნდა ღარები,
დაშრა წყარო და შეყვითლდა
მწვანით მოსილი მთანია,
ჩრდილი არ იყო,
მზე წვავდა სამხრეთის ცხელი ქარებით...
ვკითხე გლეხს:
– გიყვარს მამული?
მითხრა:
– რა საკითხავია!

ვერც შემოდგომურმა აბეზარმა წვიმებმა შეაცვლევინა სამ-შობლო ქვეყნისადმი ოდინდელი, დედის რძესთან ერთად შეთვი-სებული, განცდა მშრომელ კაცს:

შემოდგომაზე –
წვიმებმა იწვიმეს გადაუღებლივ,
იწვა ტალახში სოფელი,
არ იღებოდა კარია,
ცა ფეხად ჩამოდიოდა,
ცა შეშლილი და უძღები...
ვკითხე გლეხს:
– გიყვარს მამული?
მითხრა:
– რა საკითხავია!

უხვთოვლიანმა, ზვავიან-მსხვერპლიანმა ზამთარმაც ვერ შეიტანა იოტისოდენა საყოყმანო და საჩოთირო მშობელი ქვეყ-ნისადმი მისი ჭეშმარიტი ჭირისა თუ ლხინისუფლის – გლეხის ალალ, უპირობო სიყვარულში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ზამთარი ითოვა,
იყო ზვავი და მსხვერპლი,
ბილიკს ვერ გაიტანდი,
მეზობლის ნახვა გაჭირდა...
ვითომ გულგრილი იერით,
ვითომ გულგრილი სახით,
ვკითხე გლეხს:
– გიყვარს მამული?
მითხრა:
– მაგითი რა გინდა!

სხვა რა ენდომებოდა მშობელი ქვეყნის მოყვარულ პოეტს! სხვა რისი მდომელი შეიძლებოდა, ყოფილიყო!.. ასეთი პასუხის მოსმენა უნდოდა და მოისმინა კიდეც! ამიტომაც მიმართა მამულ-დედულის უღალატო მსახურსა და შემნახველს, ჭეშმარიტ პატრიოტს – მშრომელ გლეხს კითხვით: „გიყვარს მამული?“ – და პასუხი ოთხივე შემთხვევაში იდენტურია: „რა საკითხავია!“

დასკვნაც სრულიად ბუნებრივი, ისტორიულად გამოცდილი შეხედულებაა: დიახ, სწორედაც გლეხკაცია ქვეყნის შემნახავ-განმკითხავი, უღალატო და მარადიული მოყვარული მშობელი მიწისა! უპირველესად ის წარმოადგენს მამულს, რომელსაც საქართველო ჰქვია:

თვალებს მოადგა სისოვლე,
აბა, მე რისი მდომი ვარ!
ჩემო ღვიძლო და სიცოცხლევ,
შემნახავ-განმკითხველო,
იყავი, მარად იყავი!
შენ გქვია საქართველო!

ქვეყნის ძლიერების, კეთილსინდისიერების ერთგულ დარაჯად, სიწმინდის, სიქველის, სიკეთის სიმბოლოდ და მომავლის იმედად დავით თედორაძეს გლეხკაცი მიაჩნია; ჯერ კიდევ სიჭაბუკეში დაწერილი ლექსი „გლეხის პორტრეტი“ (თედორაძე, 1980: 45-46) ოდაა მშრომელი, პატიოსანი მუშაკისა, ვის მხრებ-

ზეც ოდითგანვე დგას ქვეყანა. იშვიათი მხატვრული სახეებით დაგვიხატა პოეტმა ქვეყნის მარჩენლის შთამბეჭდავი სახე:

ხელები გლეხის – წიბოშანი,
გული – წყაროსავით აუმღვრევი.
გლეხი – ბიბლიური კიდობანი,
გლეხი – სიკეთე დაუთვლელი.
გლეხი – საქართველოს სალამური,
მისი სანთელი და საკმეველი...
მიწის ჭეშმარიტი უფალი,
ხნულში მარცვლების გაღვივება,
გლეხი – დედამიწის მკურნალი...

ქვეყნის მარჩენლისადმი მიმართული ამ საოცარი მეტაფორებიდან არცერთი რომ გეზედმეტება, პოეტმა დიდებული ვერბალური ძეგლი დაუდგა ქართველ გლეხკაცს და იქვე მოიბოდიშა კიდეც:

გლეხი მაპატიებს სულგრძელობით,
ვერ არის საკადრისად დახატული,
რთველის საოცარი სურნელება,
გლეხი – აუმღვრევი ნაკადული.

ლექსი „ქვემო ჯოჭოში“ (თედორაძე, 1999: 209-210) კიდევ ერთი ოდაა ქართული სოფლის ისტორიული მეციხოვნისა – მშრომელი გლეხისა. ამჯერად პოეტის ადრესატია უმშვენიერესი ქართული კუთხის – აჭარის ერთ-ერთი მარგალიტი – სოფელი ჯოჭო, სადაც „უფლის კალთა ჩამობერტყილა“ და ყველაფერი იმის წყალობით, რომ ქართველი გლეხის „სულში მეფობს სილამაზე მინდვრის ყვავილის“. აღტაცებული პოეტი მადლობას უხდის მამულ-დედულის ჭეშმარიტ პატრონსა და მოამაგეს და მორიდებულად შეახსენებს, რომ სამეურნეო საქმიანობამ არ უნდა დაავიწყოს მხედრული ვალი:

ქვემო ჯოჭოში
უფლის კალთა ჩამობერტყილა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა, გლეხო,
მიღორძინე მამულ-დედული!
დაკავებული თუმც ბრძანდები
თოხით მეტწილად,
არ დაგავიწყდეს ვალი მხედრული!

პოეტი აღტაცებულია წინაპართა ტრდიციების ერთგული შემნახველ-დამცველი სოფლით, სადაც კაცი კაცობს და ქალი ქალობს, სადაც წუთისოფლის არსობის პურს აცხობენ, ლოცვას არ აკლებენ უზენაესს და არ ძალუძს პოეტს, დაფაროს ეს აღტაცება:

მანდარინების ტყეში
ისე როგორ გავივლი,
ნიავს ან ზეცას არ გავანდო
ეს აღტაცება?!
. . . . . .
მამრნი –
(არ ვამბობ სხვათა შორის)
კაცურკაცობენ,
მდედრნი ქალობენ,
პურს უცხობენ წუთისოფელს და
გამჩენს სწყალობენ...

მეცხრამეტე საუკუნეში, მძაფრი ეროვნული შეჭირვების ჟამს, ბეთანიის ეკლესიის კედლიდან მომზირალ თამარ მეფის ფრესკას შეჰღაღადა ეროვნულ სატკივარზე რომანტიკოსმა გრიგოლ ორბელიანმა და არგამოფხიზლება ინატრა: „არ გამოვფხიზლდე, რომ აღარ ვჰგრძნობდე ჩემი სამშობლოს სულით დაცემას...“ (ქ. პ., 1977: 218); ოცდამეერთე საუკუნეში, ავბედითად აშლილ-დაგეშილი შინა და გარე მტრების ღავღავის შემყურე პოეტი დავით თედორაძე ლექსში „ვედრება“ (თედორაძე, 2015: 17) მშობელი ქვეყნის დიდებული საჭეთმპყრობლის – დავით აღმაშენებლის უდრეკი სულითა და ნებელობით ამაყი და იმედიანი, ამირანისეული სწრაფვით აღსავსე, აცხადებს, რომ მის უდრეკ

ერს დროებითი ბინდი ვერ შეაშინებს და ძველი წარმართივით სჯერა სამშობლო ქვეყნის მზით გაბრწყინებისა, დიდი წინაპრის კელაპტრებისაგან დღემდე მომდინარე ნათლისადმი სწორებისა:

მზეო,
ამობრწყინდი,
მზეო,
ამობრწყინდი,
მზეო,
საქართველოს ენატრები!
სურვილს მინათებენ,
სურვილს მინათებენ
აღმაშენებლის კელაპტრები!

სრულიად საქართველოს წინაშე წარმოსათქმელად, იმედის მუხტის, სამშობლოს უკეთესი მომავლის რწმენით არის გაჟღენთილი დავით თედორაძის ლექსი „გული მაინც გულობს“ (თედორაძე, 1995: 198):

შიშით არ მიმიხედავს
არასოდეს უკან,
ჩემი მზე და მთვარეა
საქართველოს რუკა!..

„...საქართველოში ოდითგან ლექსი მებრძოლი იყო...“

აბჯარასხმული წუხილი
ცრემლად გაჰყვება
სტრიქონს, –
საქართველოში ოდითგან
ლექსი
მებრძოლი იყო!

დავით თედორაძე

„საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“ პოეზიით მადლმოსილება უფლის საჩუქარია; ღმერთის რჩეულს, მასთან მოლაპარაკე პოეტს, „სუნთქვაში, „გულისფეთქვაში“ ლექსი სწორედ მაშინ რომ ჩაესახება, როდესაც „უფლის ხმა ესმის“, – კიდევ ერთხელ გაჟღერდა ჩვენი თანამედროვე პოეტის – დავით თედორაძის ლექსით „უფლის ხმა როცა გესმის“ (თედორაძე, 2015: 11):

სუნთქვაში,
გულისფეთქვაში,
ჩაისახება ლექსი,
როდესაც ღმერთთან საუბრობ,
უფლის ხმა როცა გესმის.

უფლისეულ უზენაეს საჩუქარს იმავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობითა და მოვალეობით უნდა შეხვდეს ჭეშმარიტი შემოქმედი – ესეც კარგად იცის პოეტმა:

აბჯარასხმული წუხილი
ცრემლად გაჰყვება სტრიქონს, –
საქართელოში ოდითგან
ლექსი მებრძოლი იყო.

დიახ, დიდი რუსთველიდან და ჩვენი მეფე-პოეტებიდან მოყოლებული, ხალხის გულის მესაიდუმლე სახალხო მთქმელებამდე „პიიტები ბატისფრთიანნი“ გამუდმებით მამულის ზნეობრივ და ფიზიკურ სადარაჯოზე იდგნენ, სათანადო პასუხს სცემდნენ შინაურსა თუ გარეულ მტერს, ხარობდნენ ქვეყნის სიხარულით და წუხდნენ ავბედითობისას, სამომავლო იდეალებს ქადაგებდნენ და ბრძნული სიტყვების ნაკადულებით არწყულებდნენ ერის თვითშეგნებას:

ხან სიხარული მოსავდა,
მიეცემოდა ტრფობას,
მოძღვარი გახლდათ, იწყებდა
მოზარდის სულის წრთობას.
წერდა მეფეც და ბოგანოც,
ლექსი დუშმანმაც გვიქო,
ერის სულს შემოეხვია,
როგორც ვენახი – ჭიგოს.

ამ უწმინდეს იდეალებს ერთგულობს პოეტი დავით თედორაძე, რომელთაც მიმდევარი ბევრი ჰყავს ქართულ პოეზიაში და, რაც მთავარია, მისეული წრფელი, მამულის სიყვარულით მფეთქავი, გული და უფლისეული ხმაც, სწორედაც, უპირველეს მოვალეობად კარნახობს: დიდი ილია ჭავჭავაძის მსგავსად, „ერის წყლული აჩნდეს წყლულად, ეწვოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დაედაგოს მტკიცე გული“. ეს გზა კი ია-ვარდით როდია მოფენილი, ნარ-ეკლიანია და დამსმენთა, მოღალატეთა გერემოცვით არის დაბინძურებული. მიუხედავად ამისა, პოეტს წუთისოფლის ლაბირინთების არ ეშინია, მისი სული სუფთა და უმწიკვლოა და ჩინ-მედლების მაძიებელთა დასტა, ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, „მცნებას ვერ შეაცვლევინებს“. სწორე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც, ვაჟასეული სტრიქონები უძღვის ეპიგრაფად მის ერთ-ერთ საპროგრამო ლექსს „ვის მოვაწონო თავი“ (თედორაძე, 2015: 47):

> რაც უნდა ჭირი მამკერძონ,
> ბილწთ არ შევეკვრი ზავითა,
> მცნებას ვერ შემაცვლევინებ
> მოზღვავებულის ავითა!..
> (ვაჟა-ფშაველა, 1986: 52)

პოეტი, გმობს რა მედროვეთ, რომელთა ნამოქმედარს „ქაჯიც ვერ ამოხსნის“, მადლობას უძღვნის უფალს, რომ იმდაგვარი ძალისხმევით დააჯილდოვა, არასოდეს დაუზავდება „პოეტთა გაბითურების“ მსურველთ:

> ...მადლობა უფალს,
> არა ვარ
> ბილწთან შეკრული ზავით!

ჯერ კიდევ ჭაბუკობისას პოეტ მამია ვარშანიძის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ მშვენიერ ლექსში „მგოსნის სამოსი“ დავით თედორაძემ დიდებულად გამოხატა მგოსნობის ამქვეყნიური მისია:

> მამულზე ფიქრი და მზე მამულის –
> აი, ლამაზი მგოსნის სამოსი!..
> (თედორაძე, 1980: 74-75)

ხოლო ლექსში „რისთვის დამცინით, ყვავილებო ატმის და კომშის“ (თედორაძე, 2004: 234) საქვეყნოდ განაცხადა, რომ პოეტად არ ითვლება, ვისაც სამშობლოს დარდი არა აქვს:

> მე დამცინოდნენ ყვავილები ატმის და კომშის,
> ვიყავ მოკლული სევდისაგან და არა – ომში.
> იყო ქარ-წვიმა,
> იყო თოვლი,
> მზე იყო მარტის,
> ვაი პოეტს, რომ არა ჰქონდეს
> სამშობლოს დარდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით თედორაძემ, ჩვენი დიდი „სამოციანელების“ მსგავსად, ლამის კოდექსად ჩამოაყალიბა ჭეშმარიტი პოეტის სახე ლექსში „პოეტს“ (თედორაძე, 1995: 149). ეს მშვენიერი ლექსი ზოგადიც არის და თავად ავტორის საკუთარ თავთან ბაასიც, თუ როგორი უნდა იყოს, რუსთველის სიტყვით რომ ვთქვათ, „მოშაირე“: უპირველესი, რაც ჭეშმარიტ მგოსანს მოეთხოვება, არის სიყვარული, რომლითაც უნდა ამაღლდეს, რათა ერმა მიიღოს, აკურთხოს და უმთავრესი კი – მთელი სიცოცხლის მანძილზე სამშობლოს უნდა ემსახუროს.

უპირველესად
სიყვარული უნდა გბოჭავდეს,
უნდა ამაღლდე,
გაპკურებდეს ერი ცის მირონს.
სანამ საკუთარ
სიცოცხლეს და სვებედს მოჭამდე,
უსმინე,
დედასაქართველოს ტკივილს უსმინე!

ჭეშმარიტი პოეტი ახალგაზრდების აღმზრდელი, მათი წინამძღოლი უნდა იყოს, ილია მართლის გზით უნდა იაროს, მტერს და მოყვარეს სათანადო პასუხი უნდა გასცეს, წინაპართა ვალი პირნათლად გადაიხადოს:

წინ გაუძეხი
ახალგაზრდებს
მარად მშფოთვარეს,
დიდი ილიას ხატი შუბლზე
მარად გეხატოს,
უთხარ სათქმელი
გალაღებულ მტერს და მოყვარეს,
წინაპართათვის
წმინდა ვალი გადაგეხადოს!

ამ წმინდა გზაზე პოეტი უნდა პირველობდეს, თუნდაც, ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავ პირველი,
თვით სიკვდილშიც იყავ პირველი!
შენ პოეტი ხარ,
შენ სიცოცხლის ხარ შემწირველი!

არასოდეს, არაფრის გამო გაყიდის პოეტი სულს, რამეთუ მისეული მისია სულ სხვაა:

ვეფერები თვალებით
ზღვას, მიწის და ცის ფერებს,
ხვალ დასაწერ ლექსებს და
ხვალ დასაწერ სიმღერებს.
(თედორაძე, 2015: 35)

იმავე სულისკვეთებას გამოხატავს დავით თედორაძის ლექსი „შენ ხარ მგოსანი“ (თედორაძე, 2019: 44); უკეთურთაგან სულის გადარჩენა, უნუგეშოსათვის ნუგეშისცემა და მშობელი ქვეყნის სამსახური – აი, ჭეშმარიტი მგოსნის უმთავრესი მისია ამქვეყნად, რაგინდ უმწეო იყოს, რაგინდ მგლებივით ესეოდნენ მზაკვრები:

შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ;
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს.
შენ გავიწყდება, რომ ხარ უმწეო
როცა მგლებივით ძრწიან მზაკვრები...

ლიქნისა და ორგულობის მოძულე პოეტი, უსაშველოდ რომ სტკივა ქვეყნის ტკივილი, მოუწოდებს შინაგან ძალებს, გამაგრდეს, ბოლომდე ზიდოს ქვეყნის მსახურების უმძიმესი მგოსნური ტვირთი:

გტკივა, ტკივილმა ლამის შეგშალა,
შენ გიხუჭავენ თვალებს გახელილს,
არ მოდრკე, ბიჭო, ერს და ქვეყანას,
მაინც შერჩება შენი სახელი!

სამშობლოს სხეულზე მუმლივით შესეულ უბირთა ავი ზრახვების გასაზიარებლად როდი აგზავნის უფალი ამქვეყნად პოეტს, ის ხომ ერის აღმზრდელია, სიკეთის მთესველია, მტერ-მოყვრის გამრჩევია; ამიტომაც ეაჯება არსთა გამრიგეს:

გამჩენელო,
ერს ჩაუდგი
ევროპიდან მომავალი
საბას სული!
თურქთან?! –
ნურას უკაცრავად...
ამაოა,
რუსსაც ნუ ვთხოვთ
გადიხადოს ჩვენი მწარე
მოთმინების საფასური.
(თედორაძე, 2015: 81)

სიკეთითა და სიყვარულით აღვსილი გულის პოეტი არც განსაცდელს უშინდება, არც დარდების გამოლევას ევედრება უფალს, რადგანაც, როგორც აკაკი წერეთელმა ბრძანა, მგოსნის გული სარკეა და მხოლოდ მის სახეს გამოაჩენს, „რასაც შიგ ჩაუხედია“; სადარდებელს და „წყევლა-კრულვიანს“ კი რა დალევს მზისქვეშეთში, სადაც პირველი ისარი მუდმივად პოეტს ხვდება – იგი ხომ სხვაზე მგრძნობიარეა, სხვაზე მეტად შეიცნობს სამყაროს გულისცემას; ამ ორომტრიალში კი მთავარი მაინც სიყვარულია მგოსნის – უტყუარი და კეთილგონიერი თანამგზავრი. ლექსში „სიყვარულს მუდამ ველოდი“ (თედორაძე, 2015: 135) დავით თედორაძე აღსარებასავით ამოსთქვამს:

არც რა მრგებია არასდროს
მეფეთა ხალათებიდან,
არც დაზღვეული ვყოფილარ
ჩაშვება-ღალატებიდან.
მომკითხავ-განმკითხავისგან
სიყვარულს მუდამ ველოდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდიდი – ქართველობით და
ამაყი – საქართველოთი.

სიყვარულის მძებნელი და მთესველი პოეტი, რომლის სულს ბოროტების ბაცილა ვერ შეეყრება, დასაგმობს ყოველთვის დაგმობს, ვერ გაჩუმდება ბოროტების წინაშე; არადა, ურჩევნია, ლირიკული ლექსები წეროს, მაგრამ, როცა მართალი სიტყვა სჭირდება ქვეყანას, დუმილი ოქრო არ არის, მოქალაქეობრივი ძალისხმევა ჭარბობს და სწორედაც აქ უნდა დაიხარჯოს მგოსანიც:

აბა, როდემდე უნდა ვუსმინოთ
კატის კნუტების კნავილს!..
არ გათეთრდება,
არ გათეთრდება,
არ გათეთრდება ყვავი!!!
მეც მირჩევნია, მეც მირჩევნია,
ვწერდე ლირიკულ ლექსებს,
რომ არ მითხრიდნენ,
რომ არ მიხმობდნენ
ჯიშს, ჯილაგსა და ფესვებს!
(თედორაძე, 1999: 68-69)

ლექსით „თანდათან როგორ ღონდები“ (თედორაძე, 1999: 116) დავით თედორაძე, როგორც თავისუფალი სულის პოეტს შეშვენის, დიქტატორებისათვის ტაშის დამკვრელ მეგობრებსაც ემიჯნება და ძმათა შუღლის დანახვას ასგზის სიკვდილი ურჩევნია:

თანდათან როგორ ღონდები,
სულო, მნატვრელო რაშის,
კარგავ მეგობრებს, რომელნიც
დიქტატორს შეხვდნენ ტაშით.
შენ არ გხიბლავდა განძი და
მგმობელი იყავ უღლის,
სიკვდილი ასგზის გიჯობდა
დანახვას ძმათა შუღლის.

გაუცხოებულ სოციუმში, ძმებს შორის გაუთავებელ შუღლში მხოლოდ მტერი ხარობს, რაც მგოსნისათვის მიუღებელია:

არც ზეცა გხიბლავს, არც – მიწა,
აღარც – მთა, აღარც – სერი,
გოდებ და გესმის მომსპობი
ჩაქირქილება მტერის.

არც კარის მეხოტბეებს სწყალობს ჭეშმარიტი პოეზიის მადლით ნაკურთხი პოეტი; იგი აფრთხილებს მლიქვნელებს:

მოფერებამ და სიყვარულმა
ავარდნა იცის,
თავში ავარდნა,
იმას იქით
სიკვდილი ზმუის.
ხვალ,
პატივგების ნაცვლად, ხალხი
დაგაყრით სიცილს,
არც ვის შეარჩენს მომავალი
ქადილს და ტყუილს!

დავით თედორაძის პოეზიის გულმართალ, უმწიკვლო ლირიკულ გმირს მტკიცედ სჯერა, როცა დრო ყველაფერს გაცხრილავს, ვაი-პოეტების „საქმენი საგმირონიც“ გამოაშკარავდება:

დაიწმინდება,
გაიცრება
მერმისის საცრით
დღე დღევანდელი,
სავსე ბოღმით
და სავსე ლიქნით;
ახალი კაცი
ამ წალკოტში
ახალ ვაზს ჩაყრის...
გადმოიღვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიცა დგას
კოკასა შიგნით.

ლექსში „კეთილად მოიხმარონ“ (თედორაძე, 2015: 228) პოეტი გამოხატავს სულიერ სიმტკიცეს, შეურიგებლობას ზაკვისა და შუღლისადმი და ამაყობს, რომ ვერავინ მოახერხებს მის ქედზე უღლის დადგმას; არასოდეს დაიკვნესებს ლაღი და თავისუფალი, რადგანაც ლექსია მისი სულიერი საზრდო და დარდის სალბუნი:

სიყვარულია ძლიერი,
არა – ზაკვა და შუღლი,
ამაოდ ცდილობს ზოგ-ზოგი
ჩემს ქედზე დადგმას უღლის.
ლაღი ვარ, თავისუფალი,
თავს არ ვიცოდებ კვნესით,
ავს რასმეს დამიპირებენ –
დარდებს ვიქარვებ ლექსით.

ამგვარია ნაღდი პოეტი, ამგვარია მისი რეაქცია ყოველგვარი უკეთურების მიმართ – ლექსია მისი ფარიც და ხმალიც:

ვწერ – სიტყვავ, ხმალზე ძლიერო,
უერთგულესო ფარო,
ჩემზე ნასროლი ისარი
კეთილად მოიხმარონ!

მართლაც, მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე მშობლიური სიტყვა, მით უფრო ლექსად ნათქვამი, ფარიც იყო და მახვილიც, მკაცრი ტრიბუნაც იყო და სიყვარულის ცეცხლიც, მეგობრობის საგალობელიც და დარდიანი გულის მალამოც. დავით თედორაძის ღრმად მოქალაქეობრივი პათოსით გაჟღენთილი ლექსი „მაჯისცემა“ (თედორაძე, 2015: 234), რომლითაც პოეტს სათითაოდ გამოაქვს სააშკარაოზე მისი თანადროული სოციუმის მანკიერებანი და, ილიას მსგავსად, „ჩვენს ჭირს არ მალავს“, თითოეული „ქართლის ჭირის“ მხილებას ერთი და იმავე სიტყვებით ასრუ-

ლებს, რითაც კიდევ ერთხელ გახაზავს პოეტის ფარისა და მახვილის – ცამდე მართალი ლექსის ძალას:

...მახსოვრობის
ხეივნები
ცრემლით დაიტბორა...
ვწერ,
დალახვროს, წამალია
ეს ოხერი ლექსი!

თავაშვებული, უშრომელი და მუქთახორა ბრბოს მაცქერალი პოეტი თავს ისევ ლექსის წერით იმშვიდებს:

ვიღაც მიეთმოეთები
ზვიადობენ
ბრბოში...
უბედურებს, უშოვიათ
უშრომელი გროში...
ვწერ,
დალახვროს, წამალია
ეს ოხერი ლექსი!

როცა გაუკულმართებულ სოციუმში ენაბლუ და ენამწარე ენამჭევრის როლს მოირგებს, როცა ალალ-მართალ ადამიანს ჯვარზე აცვამენ, როცა კაი ყმის სახელს არ უფრთხილდებიან, მაშინაც პოეტის კალამია მძაფრი გრძნობების მხილების საუკეთესო იარაღი; მაშინაც, როცა ნიღბოსნების მასკარადია და ჭინკა მაესტრობს, როცა ხვალ ტყვიისათვის გაგიმეტებს ის, ვინც დღეს გუნდრუკს გიკმევს, როცა სიყვარული ჩამკვდარია და გაუცხოების სენი მძვინვარებს, ისევ და ისევ ლექსია თავშესაფარი – თავდაცვისა და ქვეყნის დაცვის უტყუარი ფენომენი, მართალი სიტყვა პოეტისა, რომელიც წინაპრის სიბრძნის კვალშია ჩამდგარი, „ვინც არა ჰგავს კახაბერსა“, კახაბერად ვერ დასახავს:

ვისაც ხალხი არა ჰგუობს,
ვერც მე ვიტყვი კახაბერად,

ვეთაყვანე,
ერის სულში
ვინც გაიდგა ფესვი!
მლიქვნელების ჯოგმა უღვთოდ
დამამხო და დამაბერა...
ვწერ,
დალახვროს, წამალია
ეს ოხერი ლექსი!

ლექსია პოეტის მაჟორული განწყობის გამომხატველი მაშინაც, როცა სერზე ბამბის ქულებად გაშლილა ცხვრის ფარა და მწყემსის სალამური მთა-ბარს ატკბობს, როცა მამულში დიდებული დარი დგას:

აი, ცხვარი განფენილა,
ბალახს წიწკნის ცხვარი,
სერზე ზის და სალამურით
მთა-ბარს ატკბობს მწყემსი.
დგას მამულში
დიდებისთვის
დიდებული დრო...
ვწერ,
დალახვროს, წამალია
ეს ოხერი ლექსი!

პოეტისეული ღვაწლის ყველაზე უანგარო და გულმართალი შემფასებელი ყოველთვის იყო და არის მშობელი ხალხი, ვის გარეშეც არაფრად ღირს შემოქმედის გარჯილობა, – ასე სჯერა დავით თედორაძეს და ლექსშიც „იყო და რჩება ხალხი“ (თედორაძე, 1999: 147) ამაყად აცხადებს, რომ სწორედ მშრომელი ხალხის სამსახურშია და მის წილ ტვირთს პატიოსნად ეზიდება:

უპირველესი საზომი,
ვის გარეშედაც არ ღირს
შემოქმედების ცეცხლი,
იყო და რჩება ხალხი,

ხალხი,
ძვირფასი ხალხი!
მის სამსახურში ვდგები,
მის სამსახურში ვდგები,
ჩემსას მივათრევ მარხილს.

ამგვარ ტვირთქვეშ კიდევ უფრო თვალწარმტაცად მოჩანს სამშობლოს სანახები, რასაც თავისი მოუღლელი ჩანგით უნდა ემსახუროს პოეტი, რათა უკვდავი „ნანას“ მსგავსად შერჩეს მამულს მისი სიმღერაც:

ირგვლივ სამშობლოს მთები
ისე ლამაზად ჩანან,
მწყურვალესავით მინდა,
როგორც უკვდავი „ნანა“,
ჩემი სიმღერაც შერჩეს
ამ მთას,
კორტოხს და ჭალას...

პოეტს ღრმად სწამს, რომ შემოქმედის ცეცხლი ნაპერწკლადაც არ ღირს, ამაოდ დაშვრება პოეტი, თუ ლექსში არ იგრძნობა ხალხის მძლე მაჯისცემა, მშობელი მიწის ძალუმი სუნთქვა:

შემოქმედების ცეცხლი
ნაპერწკალადაც არ ღირს,
თუ არ იგრძნობა ლექსში
მძლე მაჯისცემა ხალხის,
ხალხის,
მშრომელი ხალხის,
მარად ცოცხალი ხალხის!
თუ არ იგრძნობა ლექსში
ქართული მიწის სუნთქვა,
ამაოდ დამშვრალ პოეტს
ლექსი ამაოდ უთქვამს.

მართალი, მოუსყიდველი სულის პოეტი, ქვეყნის უანგარო მსახური, „მონის სულის სულმუდამ განგაშით გამფანტველი“ და ჯოგის ნაწილი ვერასდროს გახდება; ამისათვის როდია ზეცისაგან მოვლენილი! ლექსში „წერილი მეგობარს“ (თედორაძე, 1999: 136-137) დავით თედორაძე ასე მიმართავს მეგობარს:

შენ მიცნობ და იცი, მონის სულს
სულ მუდამ განგაშით ვფანტავდი...
იმედებს, ცასავით მონისლულს,
ვატარებ მარტიდან მარტამდი.
ვერასდროს ვივარგებ საჯოგედ,
ვერ ვცეკვავ ვერავის ნებაზე...

დიახ, გაუხედნავია ჭეშმარიტი შემოქმედის სული, იგი „ხან მიწისაა, ხან – ცისა“ და ყოველთვის წრფელია, მთის წყაროსავით ანკარა და შეუბილწავი. ლექსი „უნდოდათ ჩემი სულის გათიბვა“ (თედორაძე, 2015: 267) მოუხელთებელი, თავისთავადი, დაუმორჩილებელი მგოსნის სულის კანონიერი სიამაყით სავსე მონოლოგია; სულისა, რომელიც ვერა და ვერ გათიბეს ავმა მთიბელებმა, რადგანაც სამშობლოში მყარი სათნოების ტაძარი უდგას და მარადჟამს მზად არის თავგანწირვისათვის:

უნდოდათ ჩემი სულის გათიბვა
და ვერას გახდნენ
მთიბელები,
ვერცრა იღონეს.
საქართველოში
სათნოების მიდგას ტაძარი,
თავის გაწირვის
ათასი გზა გამოვიგონე...

სიმართლისათვის მოწოდებული პოეტის ჩანგი მხოლოდ მართალ კაცთან ჰპოვებს საერთოს და, მოძმეთა სიყვარულით აღსავსე, შეუნდობს ყველას, ვინც სიყვარულში ჩაიფერფლა, ვინც მზით შემკობილი სხვისი გული შეიცნო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენდობა ყველას,
სიყვარულით ვინაც გათავდა,
ვინც იგრძნო გული,
სხვისი გული –
მზით შემკობილი!
უნდათ, გავჩუმდე?!
გავჩუმდები კაცთან მართალთან,
მართალი კაცი მუდამ იყო ჩემი ძმობილი.

ლექსით „მეგობარ პოეტებს“ (თედორაძე, 1999: 139) დავით თედორაძე მოუწოდებს თანამოკალმეებს, ერის ტკივილებს ყრუ-მუნჯივით არ შეხვდნენ, სათქმელი თამამად თქვან:

გადმოალაგეთ თქვენი სათქმელი,
ლექსს ვერ მოგვიტანს ვაჟ ხურჯინით,
ერის ტკივილებს, ხალხის ტკივილებს
ნუღარ შევცქერით ჩვენ ყრუ-მუნჯივით!

ამ გზაზე პოეტი სიკვდილსაც არ უნდა დაერიდოს:

მოგვკლან,
მწერალი ბევრი მომკვდარა
თავისუფლების ტკბილი წადილით!..

მეგობრებისადმი მიმართული ეს ლექსი მხურვალე მოწოდებაა პოეტური მისიის შესრულებისაკენ, რაც მამულის, ხალხის ხსნისა და სიყვარულის ტოლფასია:

ჩვენ მდიდრები ვართ,
სულმა იხაროს,
კუჭით ახვრებმა ზომონ მამული,
ხმა ამოიღეთ, ხმა ამოიღეთ,
თქვენ შეგიძლიათ ხსნაც, სიყვარულიც!

ღმერთთან მოლაპარაკე პოეტს არ სჩვევია ყალბი გრძნობები, ფარისევლობა, რადგან უფლის წინაშეა ანგარიშვალდებული; ამიტომაც შეუძლია, სულს სილაღის უფლება მისცეს და წვრილმანებისაგან გაათავისუფლოს:

ვისაც ვეკუთვნი,
უწმინდესი გრძნობით შევხარი,
ყალბი ალერსი
არ მჩვევია –
განსჯის უფალი.
გალაღდი, სულო,
შენ დარჩები მარად მჭექარი
და ყოველგვარი წვრილმანისგან
თავისუფალი!

პოეტს, რომელსაც უფალმა ერის ჭირისა და ლხინის მოზიარეობა დაუსახა მისიად, მუდმივი შეუთავსებლობა აქვს მლიქვნელებთან და ამა სოფლის „დიდებულებთან“. ლექსში „დუელი მაქვს მლიქვნელებთან“ (თედორაძე, 2015: 268) პოეტი თავის უზენაეს სურვილს გვიმხელს: „არაფერი მინატრია ერთგულების გარდა“ და არც იმას მალავს, რომ ფარისევლებსა და „სამეფო კარს“ არ სწყალობს; ისიც კარგად იცის, რომ ამ ქვეყანას მისი „ორი ლექსი მაინც შემორჩება“:

სოფელს ჩემი ორი ლექსი მაინც შემორჩება,
არაფერი მინატრია ერთგულების გარდა...
დუელი მაქვს მლიქვნელებთან
და სამეფო კართან...

სიყვარულის, პირიმზის, ცრემლების მძებნელი პოეტი, რომლის სულს ხშირად ტერენტი გრანელისეული განწყობა ეუფლება, „სულს ლექსებით იმშვენიერებს“, და აქაც ღვთივკურთხეული პოეზიაა სულის სავანე.

საქართველოს დიდებაზე მლოცველი და წუთისოფლის სიხალისეს ვერაყოლილი პოეტი, ვინც გასაცემი უკვე გასცა და საკმაოდაც იმარტვილა, ლექსებში, დალოცვილ მგოსანთა სავანეში ჰპოვებს მაცოცხლებელ ელექსირს:

ვერ ავყევი წუთისოფლის სიხალისეს
წმინდანების მძებნელი და
საქართველოს დიდებაზე მლოცველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაცემი გავეცი და ვიმარტვილე,
მაცოცხლებდნენ დალოცვილი მგოსნები.

მისაბაძ, ჭეშმარიტ მგოსნად, მრავალთა შორის, პოეტს ტერენტი გრანელიც ეგულება – ეპოქაში ვერჩატეული, ნათლისმკმეველი ანგელოზებით თვალებში, ვინც ვერა და ვერ შეეჩვია ნიღბოსანთა ალესილ ხანჯლებს, თუმცა სხვაზე მეტად სწყალობდნენ მუზები, „ცრუ მგოსნები ჰყავდა ვალებში“; გრძნობით აღსავსეს, ალერსი აკლდა მუდმივად, თუმცა, თავად ზეცასთან იყო გამიჯნურებული და დატოვა კიდეც ჭეშმარიტი პოეზია:

არ ღირსებია, მეოცნებეს,
არვის ალერსი,
ზეცას ეტრფოდა,
გრძნობით სავსე
იყო,
თქვა ლექსი.
(თედორაძე, 1995: 168)

ჭეშმარიტი პოეტის ცხოვრება ქართული მითოსის გმირის – მინდიას ყოფას ჩამოჰგავს – არჩევანის გაკეთება უწევს სულიერსა და მატერიალურს შორის. ლექსში „ანზე სით მოხვალ“ (თედორაძე, 2013: 91) პოეტი გვიმხელს:

ცოლი საყვედურს არ მალავს,
ვუძლებ, რაკი ვარ ქმარი, –
ოჯახს არ ჰყოფნის ლექსი და
ვერ ატკბობს ჩემი ქნარი.

ეს ზეცისა და მიწის ბრძოლაა ოდინდელი, რასაც შემოქმედი აგრერიგად მტკივნეულად განიცდის და ზეცის გადარჩენას ლამობს:

გაფატრულია გულ-ღვიძლი
ხორცის საკეპი დანით,
ცოტაც და ჩამოიქცევა
სულის ერდო და ბანი.

პოეტის უმწიკვლო ყოფიერება, ზეცისაკენ მზერა შეუვალია და აქ ალტერნატივა არ არსებობს – მას ღვთის შეწევნა სჭირდება მხოლოდ:

ო, ღვთისნიერო, მიშველე,
ან-ზე სით მივალ, – მკითხე,
რომ თენდებოდეს ყოველთვის
მე რომ მიყვარდა, ის დღე!

სულიერისა და მატერიალურის ოდინდელი ჭიდილი შესანიშნავად გადმოსცა დავით თედორაძემ ლექსში „ბრძენი პირიქით აკეთებს“ (თედორაძე, 2015: 224), რომელიც გულწრფელი აღიარებაა პოეტისა:

ხვალ, ცხრა საათიდან
ოცდაერთ საათამდე
ვიქნები სამსახურში
და ჩემი სული
მეყოლება დილეგში გამომწყვდეული.
მე, უბედურმა,
ხორცისათვის გავწირე სული, –
ბრძენი პირიქით აკეთებს ამას.

ნათელ გზაზე მოსიარულე მგოსანს საიმედო მისაბაძი მაგალითიც ჰყავს უფროსი მეგობრის – პოეტ ფრიდონ ხალვაშის სახით; პოეტისა, უმწიკვლოდ, ყოველგვარი ზიგზაგების გარეშე რომ გამოატარა თავისი ჩანგი ცხოვრების აღმართ-დაღმართებში:

ფრიდონი ბრძენია, –
ხელისუფალთ
ცერად და განდაგან გაჰყურებს...
ლექსს მარილს აყრის,
ცრემლისფრქვევით
ისვრის
ქვემეხივით სამყურებს.

აკი თავადაც, ჯერ კიდევ ჭაბუკობისას, სამთავრობო სტრუქტურაში მომუშავე დავით თედორაძე ასე მიმართავდა გამრჯე, სოფლის სიფაქიზისა და სინდისიერების მტვირთველ მამას:

...სამსაათიანი თათბირის შემდეგ
ისევ შენ მოგისმენ, მამი!
(თედორაძე, 1980: 57)

აკი უშიშრად და ცალსახად გაილაშქრა საქართველოში ქართველთა ავტონომიის არსებობის წინააღმდეგ:

სამასი წელი მკლავდნენ მორკინალს,
სულს მიმღვრევდნენ და ახლა მოვკივი:
ბორკილად მადევს ავტონომია,
დედათბილისო, ამხსენ ბორკილი!
(თედორაძე, 2004: 266)

ჭეშმარიტი პოეტის ვალია, იღვაწოს ერის მთლიანობისათვის, აღმოფხვრას „მწარე წარსულის“ ნაკვალევი და ამაშიც დედაქალაქს შესთხოვს შველას:

მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა!
მწარე წარსული, სავსე გმირობით,
გიხმობდა დედას გადასარჩენად,
მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა!
(თედორაძე, 2004: 266)

სიმართლისათვის, ქვეყნის ინტერესებისათვის მასავით ბასრი სტრიქონების ავტორის, მეგობარი პოეტის – ვახტანგ ღლონტისადმი მიძღვნილ ლექსშიც ხომ იმავეს ამბობს, რომ ნაღდი პოეტი ხელმწიფეზე აღმატებულია, „ჩინოვნიკები“ მოდიან და მიდიან, ჭეშმარიტი პოეზია კი რჩება ხალხის გულში:

ნაღდი პოეტი, არ ვცოდავ,
თვით ხელმწიფეზეც დიდია,

ჩინოვნიკები მოდიან,
ჩინოვნიკები მიდიან.
შენ რჩები ლექსით, სახელით
სამშობლოს გულში ჩარგული,
სისხლით და ნერვით პოეტი,
სულით და სუნთქვით ქართველი.

და რაკი ჩინოვნიკები მოდიან და მიდიან, ხოლო პოეტის მართალი სიტყვა მუდმივად ერში რჩება, სწორედაც, მან უნდა იტვირთოს ერის ტკივილები. ლექსში „კოლეგებს“ (თედორაძე, 2013: 11) დ. თედორაძე გულისტკივილით ამხელს, რომ „მეფისათვის“ პოეტი არაფერს ნიშნავს:

სულ ერთია მეფისთვის
ვიღვიძებთ თუ ვიძინებთ,
არ ვვარგივართ ყეფისთვის,
ხმაში ვგავართ ტყის ჩიტებს.

მაშინ, როცა ქვეყანას უმოწყალოდ ჰყიდიან, „გვისახლებენ სკვითებს“ და ქვეყნის პატრონები მანქურთებად ქცეულან, ლექსს, აბა, ვინ დააფასებს:

გულს ვის მოვფხანთ გალობით,
სულ ფეხებზე ჰკიდიათ...
გინდ, მოვკვდეთ, გინდ, გავლოთდეთ.
საქართველოს ჰყიდიან!
მოიზიდეს ბზიკები
სურნელოვან ყვავილით...
დღეს ლექსს ძალა არა აქვს,
არის გულის ქავილი.

ლექსში „ჩემი ძველი გატაცება“ (თედორაძე, 1999: 97-98) პოეტი არ მალავს, რომ წლებს ყველაფერი მიაქვს, ხოლო ჭეშმარიტი შემოქმედი რჩება ჭეშმარიტი სიტყვით, საკუთარი ნაღვაწით:

ჩემი ძველი გატაცება
წლებმა დაასამარა,

ვრჩები სიტყვის,
ოდენ სიტყვის
და ლექსების ამარა.

წლების თვალსაწიერიდან პოეტისათვის თითქმის ყველაფერი ლექსად ჩამოქნილ სტრიქონებთან ასოცირდება:

მოვიდა ლექსი
და ამ თოვაში
ოქროს გვირგვინად მედგა ნათელი,
ვცოცხლობდი შენთვის,
ვკვდებოდი შენთვის,
ლექსი ვიყავი, სხვა – არაფერი.
(თედორაძე, 1990: 103)

პოეზიის აუხსნელი, იგავმიუწვდომელი ფენომენის, მგოსნობის ჯადოსნური სივრცის სიკეთისა და უბიწოების, გულმართლობისა და თავისთავადობის დიდებული ირაციონალური სურათი შექმნა დავით თედორაძემ ლექსით „მე – სურვილების სივრცის სტუმარი“ (თედორაძე, 2015: 284):

მე – სურვილების სივრცის სტუმარი –
მგოსნების ბაღში გავშლი პურმარილს,
აქ სადღეგრძელოს
არვინა სვამს, ძმაო, დაკვეთით:
ვაჟა-ფშაველას გაჰქცევია მთისკენ თვალები,
გალაკტიონი მიხსნის გაკვეთილს –
როგორ გადადის უკვდავებაში
სივრცე, დუმილი და გაოცება...

ჯერ კიდევ ჭაბუკი დავით თედორაძე ლექსების მეორე კრებულში „ორღანი უკრავს“ დაბეჭდილ ლექსში „...თვითონ უნდა ავაგო...“ (თედორაძე, 1980: 20) გამოთქვამს მზადყოფნას, თავად გაიკაფოს გზა პოეზიის ლაბირინთებში, თავად ააგოს რწმენის ტაძარი; ღვთივკურთხეული ერგეს უმშვენიერესი სანახებიდან აფრენილი მართვეს ფრთებით და ადგილის დედის მადლით აღვ-

სილი, იმედიანად აცხადებს, რომ მისეული სიტყვის ნიშს აუცილებლად მიაღწევს, რომ არ გააჩნია გარდასახვის შიში:

> თვითონ უნდა ავაგო
> ჩემი სამლოცველო!
> ჰა, ძვირფასო, ფანდური –
> ნიში, სიტყვის ნიში!
> ლექსო, ომში მხედარო,
> სულის მზევ და მცველო,
> ისევ სალამურით და
> ისევ თუთის ფანდურით
> ვერთობი და ვერ მბანგავს
> გარდასახვის შიში!

პოეზიის უმძიმესსა და, იმავდროულად, საპატიო გზაზე დავით თედორაძემ კარგა ხანია, საკუთარი ნიშაც მონიშნა და გამორჩეული მგოსნის სახელიც დაიმკვიდრა სამშობლოს ტანჯულ მკერდზე „მალამოდ დასაფენი“ უბადლო სტრიქონებით.

„ხმლებით ნაწერი გვაქვს ისტორია...“

ხმლებით ნაწერი
გვაქვს ისტორია,
ქართველთა
დაჩოქება
არ მოდის!

დავით თედორაძე

ქართველი ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარი ისტორიისანი არიან. ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და ეგრეც არის, საცა ერი ერობს“ (ჭავჭავაძე, 1984: 611). მართლაც, ჩვენი ქვეყნის ტვირთმძიმე ისტორიის მანძილზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ეროვნული თვითმყოფადობისა და საერთო-ეროვნული სულისკვეთების აღზრდასა და მის ტრადიციად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ენიჭება გმირი წინაპრების მაგალითებს, მათ სიყვარულსა და თავდადებას მამულისადმი. მათი ხსოვნის „სანთლებად ანთების“ პრიორიტეტი, ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიასთან ერთად, ისტორიულად ქართველ პოეტებსაც ეკუთვნის და ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი დავით თედორაძის შემოქმედებაც არის; პოეტმა არაერთი

მგზნებარე სტრიქონი მიუძღვნა გმირი წინაპრების მამულიშვილური სულისკვეთების წარმოჩენას. ერთ-ერთი ღირსსახსოვარი სახე ამ თვალსაზრისით მეფე დავითია – დავით მეოთხე, განუზომელი სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად, აღმაშენებელი რომ უწოდა მშობელმა ხალხმა. ამ დიდებული მოღვაწის, ქვეყნის უბადლო პატრონის, სწორუპოვარი სტრატეგის მამულიშვილური საქმეებით აღფრთოვანებული მგოსანი ლექსში „აღმაშენებელი“ (თედორაძე, 2015: 14-15) აცხადებს:

უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!

„ცხრა ერს ეყოფაო“ – საქვეყნოდ აცხადებს პოეტი და ამაყია იმით, რომ იმ ერთადერთი ერის შვილია, ვისი მეფობაც უფალმა არგუნა წილად დავით აღმაშენებელს:

მეფე
აფხაზთა,
ქართველთა,
კახთა,
სომეხთა,
რანთა...
სხვას,
სხვას ვის ჰყავდა
თუნდ მაშინ,
თუნდ სხვა დროს,
ქართველთ გარდა!

ლაკონურად, პოეტური კალმის ერთი მოსმით ჩამოთვლის პოეტი იმ დიდ გამარჯვებებს, რომლებიც დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით შეძლო ქართველმა ხალხმა, რის შედეგადაც შვება იგრძნო მტერთაგან მრავალგზის აოხრებულმა ქვეყანამ; ძლევამოსილ გამარჯვებათა შემოქმედმა მეფემ აღადგინა და ააგო ტაძრები, გზები, ხიდები – ააღორძინა საქართველო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა ხმალი იშიშვლა,
მტერი გაფუჭდა შიშისგან!
გადაირბინა
ტაოსკარი
თურქის ლაშქარმა,
ვით ტურის ჯოგმა,
ძუ ავაზის
ღრენით დამფრთხალმა.
უკუქცეულმა
სპარსმაც შარა გაავერანა
და გაიშალა,
აღორძინდა ქართველთ ქვეყანა!
აგო ტაძრები,
ხანაგები,
გზები,
ხიდები...
კაი დრო იყო,
საქართველოს სცნობდნენ დიდებით.

დავით აღმაშენებლით აღფრთოვანება, მისი საგმირო საქმეებით ეროვნული სიამაყის გრძნობის წარმოჩენა დავით თედორაძის პოეზიის აქტუალური თემაა. ლექსით „დავითმა წარვლო ჭოროხი“ (თედორაძე, 1999: 40), რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს „ქართლის ცხოვრებისეული“ ცნობა „დავითმა ხუფთით წარვლო ჭოროხი და უგრძნეულოდ დაეცა თურქთა“, პოეტი გადმოსცემს იმ უდიდეს სიხარულსა და სიამაყეს, რასაც, მშობლიურ ერგეში მყოფს, განაცდევინებს იმის გააზრება, რომ აქ, ამ მადლიან მიწაზე, დიდ წინაპარს – დავით აღმაშენებელს გაუვლია, თურქებისათვის ჭკუა უსწავლებია და გამარჯვებული მიბრუნებულა თბილისს:

...დავითმა წარვლო ჭოროხი,
თურქს დაეცა და
თბილისს

მიბრუნდა გამარჯვებული,
როგორც ვარსკვლავი დილის.

დიახ, ეამაყება პოეტს, რომ მეფეს, რომელმაც გააერთიანა ფეოდალური საქართველო, ქვეყნიდან განდევნა თურქ-სელჩუკები და ბუნაგამდე სდია, მისი სამშობლო აქცია უძლიერეს სახელმწიფოდ, რომელიც გადაჭიმული იყო „ნიკოფსიითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არაგეწადმდე“, რომ დიდებულ გვირგვინოსანს მის სოფელზე აუვლია და მისეული სიკეთე დაუტოვებია; ლექსისეული ჰიპერბოლები, დავით მეფის ციკლის ხალხური პოეზიის მსგავსად, ჩვენი ქვეყნის სასიქადულო პატრონსა და მზრუნველს გოლიათად წარმოგვიდგენს:

აქ, ჩემს სოფელში,
ღმერთის ტოლს
მეფე-ბრძენს აუვლია,
ჭოროხი რიდით დამშრალა,
სხვა წყლებსაც დაუკლია,
ტყეს მოდებული ხანძარი
შებერვით ჩაუქრია,
სოფლის ამბავი უკითხავს,
ტაძარი აუგია.
ყმებთან წირვაზე დამდგარა,
სანთელი აუნთია.

დავით თედორაძის პოეზიის ლირიკულ გმირს, შთაგონებულს ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორიით და მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო ლირიკით, სჯერა, რომ ვისაც ერთხელ მაინც არ უნახავს საკუთარი სისხლის ფერი, ვახტანგ გორგასალივით ღმერთის რჩეული ვერ გახდება:

უნდა ნახო ერთხელ მაინც
ფერი საკუთარი სისხლის,
გახდე ვახტანგ მეფესავით
ღმერთის სიყვარულის ღირსი.
(თედორაძე, 1980: 6)

ღმერთის რჩეულთ კი, როგორც ქართული ხალხური მითოპოეზიის კოლექტიური ავტორი გვიქადაგებს, ციდან ზარების რეკვაც ესმით და მათთა ფერხთა ქვეშ იალბუზიც კი იდრიკება:

უნდა მოუსმინო ყურით
არნახული ზარის რეკვას,
იალბუზზე გედგას ფეხი,
დიდმა მთებმა იწყონ დრეკა.
(თედორაძე, 1980: 6)

წინაპრის ხსოვნისადმი, მისი მონატრებისადმი მიძღვნილი ეს მშვენიერი ლექსი ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო ლექსით – „…ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა…“ – არის შთაგონებული, თუმცა, პოეტმა მას ახალი სიცოცხლე შთაბერა, თანადროული ფუნქცია მიანიჭა, განაცხადა რა, რომ, მართალია, თითზე ჩამოსათვლელნი, მაგრამ მეოცე საუკუნეშიც არიან ვახტანგ გორგასლის დარი გმირი მამულიშვილები:

უხმაუროდ იწვის ზოგჯერ
იის, თაფლის სანთელი,
მეოცეშიც გვყვანან, ძმებო,
თითზე ჩამოსათვლელნი!
(თედორაძე, 1980: 6)

აღორძინების ეპოქის ლეგენდარული მეფის – თამარის უქრობი შარავანდედით მოსილი ხატება მისი ნაამაგარი ქვეყნის შემდგომი ისტორიის მანძილზე მისაბაძი, სამაგალითო, საამაყო და საოცნებოა.

„თამარ მეფის ბუმბერაზ პიროვნებას, მის გამჭრიახ სახელმწიფოებრივ საქმიანობას, მის ზნეობრივ სისპეტაკესა და მოწამეობრივ კდემამოსილებას, ქვეყნისათვის დაუღალავ სამსახურს, ხალხისათვის დედაშვილურ ზრუნვას, მის ზღაპრულ სიმშვენიერესა და უბიწოებას, გულმოწყალებასა და გაწონასწორებულობას უმღეროდა ხალხი როგორც უშუალოდ თამარის ეპოქაში, ისე – შემდგომ საუკუნეებში“ (შიოშვილი, 2014: 3). და-

ვით თედორაძის ლექსი „თამარი“ (თედორაძე, 1995: 120) ამ საერთო-სახალხო სიყვარულის გამოხატულებაა. პოეტი უდიდესი მადლიერებით იხსენიებს ქართველთა დიდ დედად წოდებულ მეფეს, ვისაც „უშენებია ძლევად მტრისა დედასამშობლო“, ვისი ძალისხმევითაც „საქართველომ ჰყო ძაბუნად მტერი“, რის გამოც ერის სულში აიგო სამარადისო ტაძარი; ამიტომაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ღვთისშვილთა სწორად, ხოლო ქრისტიანული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი მეფე თამარი დავით თედორაძის ლექსის საამაყო, სათაყვანებელი, ეროვნული ძალების მოსაკრებელი და სამომავლო არსებობისათვის აუცილებელი ფენომენია:

უშენებია ძლევად მტრისა
დედასამშობლო...
და საქართველომ ჰყო ძაბუნად
მტერი სრულიად.
საუკუნეთა ქარაფებში
მას ვინ ჩაქოლავს,
ტაძარი მისი უმაღლესი –
ერის სულია!

საქართველოს ისტორიას სისხლით და მახვილით, თავგანწირვითა და აღმშენებლობით, მშობელ ხალხთან ერთად, ღირსეული მეფენი ქმნიდნენ; ამგვარ გვირგვინოსანთა ოდაა დავით თედორაძის ლექსი „დღეს მეფეს დავლოცავ“ (თედორაძე, 2015: 159). პოეტის თანადროული საქართველო რომანტიკისა და ლხინის საბაბს არ იძლევა: ოსი და აფხაზი აგვიშარდნენ, ქართველი ქართველს ვეღარ გუობს, უფსკრულის პირას დამდგარა დიდი თამარისა და რუსთველის ნასათუთევი ქვეყანა და უამრავი წყევლაკრულვიანი კითხვა ისმის:

...აფხაზს რა უნდა?!
ოსი რას ითხოვს?!
ქართველი ქართველს
ვიღასთვის სწირავს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთველის ქვეყანა
თამარის ქვეყანა
დამდგარა უფსკრულის პირას!

ამგვარ ვითარებაში ჩავარდნილი ქვეყნისათვის სანატრელია მეფე გიორგი ბრწყინვალე – ერის მამა და მზრუნველი, ურჩებისა და ორგულების უებარი „წამალი“:

დღეს მეფეს დავლოცავ,
ბრძენსა და სხივნარევს,
ერისთვის მოღვაწე მამას –
გიორგის!
გიორგის!
გიორგი ბრწყინვალეს! –
ურჩების დალოცვილ წამალს!

სწორედაც, ამგვარ გვირგვინოსნებს – ზნესრულთ, ზნეკეთილთ, ქვეყნის ჭეშმარიტ პატრონთ აცოცხლებს ერის მახსოვრობა, ძეგლებს, სწორედაც, მათ უდგამენ და არა – ტახტის ვაი მძებნელებს, ეშმაკეულთ, მამულის მოღალატეთ. ლექსით „ძეგლს დაუდგამს ღირსეულს“ (თედორაძე, 1999: 160) დავით თედორაძე სამშობლოსათვის თავდადებულ მმართველთა ღირსეულ დაფასებაზე და „მეფუნიების“ ისტორიულ ხვედრზე ესაუბრება მკითხველს:

მეფეს ზნესრულს,
ზნეკეთილს,
არა მეფუნიას,
ძეგლს დაუდგამს ღირსეულს
ღირსეული ერი.
ტახტის ზოგი მძებნელი
ქაჯთან შეკრულია,
სატანების დასშია,
მათთან ერთად მღერის.

ტაძარშიც, ღვთის წმიდათაწმიდა სახლში, ანგელოზთა გარემოცვაში, პოეტის სულიერი აღმაფრენა კვლავ სამშობლო ქვეყა-

ნას, მის ისტორიას დასტრიალებს – მამულისათვის დამაშვრალი მეფე ერეკლე ახსენდება და უფალს შეჰღაღადებს:

ხეო ქართლოსისავ, მსხმოიარევ,
არასდროს გეგრძნოს დანაკლისი!
(თედორაძე, 1980: 64)

ეს დანაკლისი მრავალრიცხოვანია ჩვენი ქვეყნის ძნელბედითი ისტორიის მანძილზე. ლექსში „...მწიგნობარია თუ აშიკია (მინაწერი პოეტ მირზა გელოვანის წიგნზე)“ (თედორაძე, 1980: 56) – დავით თედორაძე ასაუბრებს მარად ჭაბუკად დარჩენილ პოეტ მირზა გელოვანს, რომლის სიცოცხლეც კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს ბოროტებასთან – გერმანელ ფაშისტებთან ომში გაიხარჯა. ეს მშვენიერი ლექსი, დატვირთული პატრიოტული აფორიზმებით, ყველა დროის მამულიშვილთა სათქმელია:

მწიგნობარია თუ აშიკია,
მამული ყველას ენაღვლება...
სიცოცხლე ძვირფასია განუსჯელად,
სული აკიაფე კელაპტრებად!
ვისი თავგანწირვაც საჭიროა,
სამშობლოს დიდებისთვის ყველა კვდება...

აქვე ანტიკური ქოროსავით გაჟღერებული სტრიქონების – „მშვიდობა, მშვიდობა მენატრება!“ – მრავალგზისი განმეორება ლექსის ლაიტმოტივის, მირზა გელოვანისა და მის მსგავსთა უმთავრესი იდეალის გამომხატველია, რასაც ბოლო სტროფშიც მამულის მშვიდობიან ცხოვრებას შეწირულ პოეტს, ხალხური ეპიტაფიისათვის დამახასიათებელ სტილში ათქმევინებს ავტორი:

მამულო, იცოცხლე და იღორძინე,
ყველა უცოდველი დაიხსენი,
გამარჯვებულებო, იქორწინეთ,
გამარჯვებულებო, გამიხსენეთ!

დავით თედორაძის პოეზიის ლირიკულმა გმირმა კარგად იცის, რომ „ხმლებით ნაწერი ისტორიის“ მქონე ერის დაჩოქება

შეუძლებელია, რომ სამშობლოსათვის თავშეწირულებს უფალი სამოთხით აჯილდოებს; ლექსში „სიტყვა სპასალარისა ბრძოლის წინ“ (თედორაძე, 2015: 24) სამშობლოს დამცველ მხედართმთავარს პოეტი ათქმევინებს:

ხმლებით ნაწერი
გვაქვს ისტორია,
ქართველთა დაჩოქება
არ მოდის!
სამშობლოსათვის დაღუპულებს
უფალი აჯილდოებს
სამოთხით.

ვინ მოსთვლის, რამდენჯერ თქმულა ეს წმინდა სიტყვები შემოსეულ მტრებთან ბრძოლის წინ!.. სიტყვები, რომელთა ცხოველმყოფელობა და მრწამსიც საუკუნეთა სიღრმიდან, მშობელი ხალხის უტყუარი და მრავლისმეტყველი ზეპირსიტყვიერი წიაღიდან მოედინება და ყოველთვის, ყველა თაობის პატრიოტთა წმიდათაწმინდა კრედოა:

…მკერდჩანგრეულის სახელი
სამოთხის კარზედ სწერია.
(ქ. ხ. პ., 1974: 99)

ხალხის ხსოვნაში დარჩენა, მისი სიყვარულის მოპოვება მოუსყიდველი და გულმართალია; ისტორიას არ შერჩენია არცერთი ცრუ და ვაი-პატრიოტი. ამაში დარწმუნებული პოეტი წერს:

უკვდავების კარების
კარისკაცებს ვენდობი, –
ულირსს გააბანცალებენ
კინწისკვრით და პანღურით.
ვერ იყიდი გროშებით
შეღავათს და შენდობას,
ვერ მოხიბლავ მარტოდენ
ნიჭითა და ქართულით.
(თედორაძე, 1980: 4)

„დროის მახრით დახრული“ მრავალი გვირგვინოსანი გადაშენდა, ერის სულში ყველამ როდი დაიდგა ტახტი!.. ამგვარი ხვედრი მხოლოდ სამშობლოსათვის თავგანწირულებს ერგოთ:

დროის მახრით დახრული
მოკვდნენ
გვირგვინოსნები,
ერის სულში რამდენ შვილს
შერჩენია
სატახტო –
ვითვლი ასე ხმამაღლა,
ხორხი ხავერდს ნატრულობს,
გაღმერთებ და გენდობი,
თავგანწირვავ ქართულო!
(თედორაძე, 1980: 4-5)

ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ქეთევან წამებული, მისი ერთგულება სამშობლოსა და ქრისტეს რჯულისადმი ყოველთა ქართველთა სულიერების წრთობის უშრეტი წყაროა და, ბუნებრივია, დავით თედორაძის პოეზიის ერთ-ერთი პატივდებული, სათაყვანო გმირი. ლექსში „დედა ქეთევანი უკანასკნელ და სამარადისო გრძელ დღეს“ (თედორაძე, 1980: 15) პოეტი აცოცხლებს სიკვდილის მომლოდინე ქართველი დედა-დედოფლის ბოლო დღეს, ცდილობს, წარმოიდგინოს, რას გრძნობდა ულმობელი შაჰ აბასის მიერ სიკვდილმისჯილი საქართველოს სათნოება და სიწმინდე და, ალბათ, არ ცდება, როდესაც ქეთევანისეულ ფიქრებს ამგვრად გადმოსცემს:

ვარ ბედნიერი,
შემჭამა ფიქრმა,
მე სიკვდილითაც უნდა გავერთო
და, სამარემდე ძვლები თუ მიმყვა,
გვექნება, ალბათ, რაღაც საერთო.
რადგან მზე
ჩაღმა ჩამავალია,

ვთხოვ უფალსა და ვნატრობ,
ნურვინ მოუშლის ჩემს საქართველოს
გამგებელსა და პატრონს!

დავით თედორაძის პოეზიის პატრიოტული ნაკადისათვის ძალზე დამახასიათებელია მშობელი ქვეყნის ისტორიული სურათების გაცოცხლება, გარდასულ დროთა გმირების საუფლოდან გამოხმობილი წინაპრებით სულის ავსება. მრავალტანჯულ საქართველოს რუკაზე შეხედვაც კი პოეტის ხილვებს აპურებს ცოტნე დადიანისა თუ სამასი არაგველის ვაჟკაცობით, სიკვდილზე ამაღლების ხიბლით, თუმცა, გულს უდარდიანებს კრწანისის სევდიანი ისტორია თუ დედაქალაქიდან დროებით ერეკლეს გახიზვნა და თითქოსდა ესმის კიდეც მავანთაგან აგორებული, ყურით მოთრეული ჭორი, „იღუპებაო საქართველო!“ მაშინდელ ერეკლესეულ გულისთქმას ეხმიანება პოეტის სიტყვები „კარგი რა კეთდება აჩქარებით“ და იმედი, რომ

არაგვის ხეობაში იზრდებიან
ოი, რა დიდგულა ვაჟკაცები!
(თედორაძე, 1980: 38)

ლექსის დასასრულს პოეტი ამაყად აცხადებს:

ყველა შემღრინავი განესვენა,
დარჩა ისტორია დანატორი.
ღმერთო, გადავრჩით და უკვდავი ვართ,
მარადისობის თანატოლი!

გადავრჩით, თუმცა, მამულის გულშემატკივარს, ისტორიული წარსულით ამაყს, დღესაც ენატრება ერის სინდის-ნამუსის გამომხატველი ერისკაცების ხილვა:

მომენატრება კაცი ამაყი,
მამულიშვილი, სინდისი ერის...

და ამ მონატრების ჟამს მოგონებაში ცოცხლდება ცოტნე დადიანის სახება და გარდასულ ეპოქათა გმირებზე მოგონებათა

წიაღში ჰპოვებს პოეტი სულის შვებას და სამომავლო იმედით იმუხტება.

გმირი წინაპრებისადმი მადლიერება, მათი ხსოვნისადმი პატივისცემა და სიყვარული დავით თედორაძემ უიშვიათესი პოეტური სამკაულებით შემკობილი სტრიქონებით გამოხატა ლექსში „მეფეების სპასალარი“ (თედორაძე, 2015: 32-33). ამ დიდებული ლექსით იგი ხოტბას ასხამს ყველა დროის ქართველ მხედართმთავრებს, რომელთა გარჯილობაც ომის დროს გამარჯვების საწინდარი, მშვიდობიანობისას კი ქვეყნის აღმშენებლობა და წინსვლა იყო; ამიტომაც ხამს მათი გახსენება, მოფერება:

სიყვარულში სწორუპოვარს
გიხსენებთ და გეფერებით,
ღვთისგან პირჯვარდაწერილო
სპასალარო მეფეების!

მართლაც, ხმალშემართული მხედართმთავრები ჩვენი გმირი მეფეების უმთავრესი დასაყრდენნი იყვნენ; რომ არა მათი რუდუნება, მშვიდობისათვის თავგანწირული შემართება, ვერ ვიამაყებდით უძველესი და უიშვიათესი კულტურით:

ფარნავაზთან ერთად ქმნიდი
ქართულ ანბანს სასოებით,
გადაგქონდა ეტრატებზე
საამბორო ასოები.
ჭოროხისპირ დავით მეფის
ლაშქარს გადასახე ჯვარი,
შვიდმნათობი თამარისთვის
ბრძოლით გახსენ ტაოსკარი.

რომ არა ქართველ სპასალართა გმირული შემართებანი, ვერ დადგებოდა ის ოქროს ხანა, ქართველ ერს რომ ბრძენი შოთა რუსთაველი წარმოუჩინა:

აბრეშუმით ქსოვდი დროშას,
უმზადებდი რუსთველს მელანს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინის მიჯნურს გაჰყევ
ტარიელის დასახსნელად;
მოუსინჯე ქაჯებს ღონე,
ხანჯლით გამოსჭერი ყელი;
დაჰკარი და დაიმონე
პირუტყვნიც და პირმეტყველნიც.

ღირსსახსოვარია ქართველ მხედარმთავართა ღვაწლი – მათი სიკეთის, მამაცური ბრძოლებით მოპოვებული მშვიდობიანობის შედეგი იყო ყველა დროში მამულის აშენება-დამშვენება:

აშენებდი, ამშვენებდი
მამულს – მუმლით შენაწუხარს,
შინ შვილებთან ბრუნდებოდი,
ტოტებძლიერს ჰგავდი მუხას.
„დედაენას“ გადაშლიდი
მოძღვართუხუცესი, ქველი,
იყავ მარჯვე მოსაუბრე,
გულწრფელი და გულფიცხელი.

ამგვარ, ღვთისაგან პირჯვარდაწერილი, მხედართმთავრების უკვდავ სახელებს ეფერება პოეტი და გამოთქვამს რწმენას, რომ მათ, როგორც პირნათელმა მამულიშვილებმა, უფლის სიახლოვეს დაივანეს:

გვჯერა, ღმერთთან ახლოსა ხარ,
ხსოვნას შენსას ვეფერებით,
ღვთისგან პირჯვარდაწერილო
სპასალარო მეფეების!

ისტორიული წარსულის გაფრთხილება, მომავლისათვის მისი შენახვა-გადარჩენა, ერის არსებობისათვის სისხლხორცეულად აუცილებელია; უწარსულოდ აწმყოც უფერულია და მომავალიც ბუნდოვანი. ლექსით „ახლა ყველაფერი ძვირფასია“ (თედორაძე, 1980: 6) დავით თედორაძე მოძღვრავს თანამედროვეთ, რომ ყვე-

ლაფერი ფასდაუდებელია, რაც შემოგვრჩა და წარსულთან გვაკავშირებს:

ახალა ყველაფერი ძვირფასია,
ახლა ყველაფერი ლამაზია –
გადარჩენილი ხიდია თუ
გადარჩენილი დარბაზია.

ხიხანის ციხესიმაგრის სიმაღლიდან მომზირალი მგოსნის ერთობ ფართო თვალსაწიერი ხედავს, რომ ჩვენი წმინდა ტაძრები დღეს ოდენ ღამურათა თავშესაფრად ქცეულა:

დიდგულა წინაპრების შენახული,
ტაძრები ღამურების ფუტურია,
ნახავ და სული გრჩება შელახული,
ფიქრობ – პატრონი უყურია...

მართალია, „ირგვლივ წარმავლობა ნებიერობს“, მაგრამ პოეტს მომავლის რწმენას უმტკიცებს ის სასიხარულო ამბავი, რომ სხალთის ტაძარს მზრუნველი პატრონის ხელი დაეტყო:

ირგვლივ წარმავლობა ნებიერობს,
აწმყოს წარსულიდან გადავყურებ,
ჩემო კეთილო და ბედნიერო,
სხალთა, როგორც იქნა, გადახურეს!

სხალთის უძველესი ტაძრის განახლება პოეტისათვის უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობის მტვირთველია მრავალჭირგამოვლილი აჭარის ნათელი მომავლისათვის ერთიან საქართველოში.

სამშობლოსათვის თავდადებული წინაპრების წინაშე მუდმივ ვალშია ყველა თაობა, თუმცა მავანი ამ მოვალეობას ვერ და არ გრძნობს და სწორედ ამგვარ უმადურთ და უდღეურთ მიმართავს დავით თედორაძე ლექსით „ვალი ადევს საქართველოს“ (თედორაძე, 2015: 177):

ვალი ადევს საქართველოს
ბუმბერაზი ილიასი...

შენ არ ჩანხარ,
სანატრელო,
მოიხადო ვალი!

ქვეყნის ჭირ-ვარამის მოზიარე პოეტი კი ნატრობს, გულგოროზმა ქართველობამ თვალი გაახილოს და გონს მოეგოს:

წყურვილი მკლავს,
წყურვილი მკლავს –
ახლა მაინც,
ახლა მაინც
საქართველომ გულგოროზმა
გაახილოს თვალი!

გმირული წარსული, ქართველ კაი ყმათა საქმენი საგმირონი, რაც ყოველ დროს ამშვენებდა ივერთა მამულს, ის საიმედო ფესვია, რომელიც ხენეშ ნერგს ვერ აღმოაცენებს, აწმყოსა და მომავლის საიმედო გარანტია – ასე სწამს ყველა გულანთებულ მამულიშვილს, ასე სწამს პოეტ დავით თედორაძეს, რომ ქართული სული მოუდრეკელია და ღრმად ოპტიმისტურ ლექსში „ჯვარი დასწერეთ და გაუფრთხილდით“ (თედორაძე, 1995: 42) ამას ხმამაღლა აცხადებს:

რაინდი
გმირი და
კაი ყმა
არასდროს ჰკლებია ივერიას,
ქართული სული არ მოდრკება,
გორგასალივით ძლიერია!

დიდი დავით აღმაშენებლის ბოკვრებად ეგულება პოეტს რუსთაველის გამზირზე მოსეირნე ჭაბუკები, რომელთა შორის ჭვრეტს ახალი დროის ცოტნე დადიანებსა და სამას არაგველს:

აღმაშენებლის ბოკვრებია,
რუსთველის გამზირს რომ მოჰყვებიან,
ათასში ათი ცოტნეა და

სამასი უტეხი არაგველი,
არ აგერიოთ ისინი სხვებში,
ისინი სხვებში არ აგერიოთ!

დიახ, ახალ თაობაში ეძებს პოეტი სამშობლოს მომავალს და მოუწოდებს თანამედროვეთ:

ჯვარი დასწერეთ და გაუფრთხილდით
ქართული სისხლის მქუხარებას!

მიუხედავად უსანდომო, მედროვე სოციუმისა, სადაც „მშიერი მტაცებელია, მაძღარი – ძუნწი“, მეგობრის – მხატვარ ზურაბ ხაბაძისადმი მიძღვნილ ლექსში „მომავლისათვის, წინაპრისათვის“ (თედორაძე, 2015: 21) დავით თედორაძე მაინც ამაყია თავისი მოდგმით და იმ კულტურული მემკვიდრეობით, რაც წინაპრებს შეუქმნიათ და ძვირფას საუნჯედ უანდერძებიათ მომავლისათვის:

მე კალამს ვლოკავ,
შენ გაგჩრია კბილებში ფუნჯი,
მაინც ვამაყობთ ჩვენი მოდგმით,
ჩვენი საუნჯით.

მართალია, აწმყო ბევრი ნიუანსით მიუღებელია ჭეშმარიტი შემოქმედისათვის, მაგრამ გარჯა-რუდუნება მომავლისა და წარსულისათვის პოეტს აუცილებლად მიაჩნია:

ვწეროთ და ვხატოთ,
მომავლისთვის, წინაპარისთვის,
ხვალ რომ გაჩნდება, იმ ბიჭისთვის
და იმ ქალისთვის...
ვწეროთ და ვხატოთ, მეგობარო,
მხოლოდ ხვალისთვის!

ლექსი „როცა ვუყურებ ხანდაზმულ ხერთვისს“ (თედორაძე, 2013: 208) სამშობლოს წარსული ტკბილ-მწარე მოგონებებით არის სავსე. მრავალ ქარტეხილთა მომსწრე ხერთვისისა თუ ზა-

რზმის ხილვისას პოეტის თვალწინ ცოცხლდება მამულისათვის ბრძოლის ასპარეზად ქცეული სერების გარდასული სურათები, თითქოს ესმის ცხენთა ჭიხვინიც და გმირი წინაპრების მიერ მშობელი მიწისათვის დაღვრილი სისხლით სიამაყით ივსება – ამაოდ როდი გაიხარჯა მათი ძალისხმევა, ამაოდ როდი დადეს თავები ქვეყნის სამსხვერპლოზე! – აქ, ამ მიწაზე, კვლავაც ქართველი კაცი ბინადრობს, გრძელდება სიცოცხლე:

მაგრამ სულ სხვაა მაინც მთავარი,
ქართველი კაცი არის ცოცხალი!..

...და აქვე პოეტის შთაგონება უმზერს, ბრძოლის ველიდან მომავალ გამარჯვებულ დავით სოსლანს როგორ ეგებება თეთრ ცხენზე ამხედრებული თამარი:

თეთრი ფაშატით მოდის თამარი,
გამარჯვებული ხვდება სოსლანი.

ეს მშობელი გენის ვერგადაშენების სიხარულია, სიამაყეა გმირული წარსულით... ისე კი, ისე უფრო ლაღი იქნებოდა პოეტი, „რომ არ ჰქონდეს სამშობლოს დარდი“...

სამშობლოს ყოველი მტკაველი მისი გმირული ისტორიის მატიანეა. ლექსით „ვინ იცის, ხვალ რა მოხდება“ (თედორაძე, 2015: 78-79) დავით თედორაძე გამოხატავს აღფრთოვანებას და სიამაყეს ხერთვისის მრავალბრძოლაგადანახადი ციხით; მისი ხილვისას ერთდროულ სიამეს განიცდის პოეტის თვალიც და გულიც, თუმცა, ცრემლებს ჰგვრის აქ გადანახადი ბრძოლებისა და მტერთა გახსენება და აქვე, ამ სანახებში, სახელოვან წინაპართა გახსენებისას, კვლავ მისთვის ჩვეულ ბრძნულ პოეტურ რეზიუმეს გვთავაზობს, რომლითაც ლაპიდარულად არის ჩამოქნილი ქართველთა სამი შეუვალი კრედო, ძველთაგან ვაზივით რომ ჩაეწნა-ჩაეგრიხა ქართველთა ცნობიერებას სამყაროს შეცნობის ურთულესსა და ხანიერ გზებზე: 1. ქართველი მშობელი მიწის ერთგულია, 2. ქართველისათვის ტაძარი უფლისჩენის ადგილია, უფლის სახლია, 3. ქართველი სიკვდილს არ უშინდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ვქნათ, თუ დრონი მეფობენ,
დროს ვერც ვერავინ აჯობა.
სამს არ მოიშლის ქართველი,
რომც ჩაუთვალონ ქაჯობად:
თამარის ენით საუბრობს,
ტაძარს თვლის უფლის სხივადა,
სამშობლოს არვის დაუთმობს,
სიკვდილი უღირს ჩირადა.

ეპიტაფიური ხასიათის ლექსში „მამულის ცაზე ვარსკვლავები მუდამ ინათებს“ (თედორაძე, 2015: 136-137) დავით თედორაძე ასაუბრებს მამულისათვის თავშეწირული, მტრის რისხვად სახელდებული ვაჟკაცის სულს, რომელიც ამაყია იმით, რომ სამშობლოს შესწირა სიცოცხლე და იმავეს ურჩევს მომავალ თაობასაც, ვისაც სურს, ხალხის ბრდღვიალა გულში დაიდოს ბინა და უკვდავებას ეზიაროს:

თუ გინდა, იყო შენი ხალხის ბრდღვიალა გულთან,
ვიდრე იცოცხლებ, მამულისთვის იზრუნე მუდამ!
მაშინ საფლავშიც გაგითბება დაღლილი ძვლები
მამულის მზით და
სახელი მკვდრების გაჩირაღდნდება
წინაპრების წმინდა სახებად,
რადგან ჩვენ მოვკვდით
საქართველოს გადასარჩენად,
ჩვენი სიკვდილი სიცოცხლეს ნიშნავს!

სამშობლოს ერთგული, მისთვის სისხლდათხეული წინაპრის სული მშვიდი და კმაყოფილია იმით, რომ მის „გულზე მტერს ფეხის დადგმა აღარ ეღირსა“ და ლოცავს უძვირფასესი მამულის მომავალს, რასაც დაუფიქრებლად შესწირა სიცოცხლე:

მამულის ცაზე ვარსკვლავები მუდამ ინათებს,
სიცოცხლე მამულს, „იავნანას“, აკვნის მრავლობას,
ვინაც აშენებთ რუდუნებით, ვინაც ინახავთ
წმინდა სავანეს, რომ გადასცეთ შთამომავლობას!

ლექსში „ხაზართა სარძლო“ (თედორაძე, 1980: 67-68) დავით თედორაძე აცოცხლებს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ტკივილიან ფურცელს – ქართლის დაპყრობის შემდეგ ხაზართა მეფე ხაკანის მიერ ქრისტიანი ქართველი ასულის ცოლად შერთვის სურვილის გაცხადებასა და ქართულ ტრადიციებსა და ქრისტიანულ სათნოებებზე აღზრდილი ქალწულის განსაცდელსა და ტრაგედიაზე, იმ მძიმე ვითარებაზე, რაც მტრებმა დაატრიალეს ქრისტიანულ ქვეყანაში:

მტკვრის გაღმა დადგეს საპატიოდ
მუხის მეჩეთი,
ქრისტეს მოძღვრების ნაკადული
უღვთოდ დააშრო,
რწმენაზე იყო შეგდებული
ქართველთა ბედი,
არც შეჭამადი,
არც მირონი,
აღარც სალოცი.

ქართველი ქალის მიერ უსანდომო მტრის თანამეცხედრეობის ნაცვლად სიკვდილის არჩევანის ტრაგედიებით, სამწუხაროდ, მდიდარია ჩვენი ქვეყნის ტვირთმძიმე ისტორია; ამგავრი ხვედრი ერგო ხაზართა სარძლოსაც, რასაც, საუკუნეთა შემდგომ, დიდი გულისტკივილით ეხმიანება პოეტი დავით თედორაძე და სამშობლოსა და სარწმუნოების ერთგულ ღირსეულ ქართველ ქალთა სადიდებლად აყენებს სტრიქონებს:

ო, საქართველოვ, თვითმკვლელობას
სჯობს შეჭმა გველის,
ხშირად ორიდან, ვიცი, ერთი
იყო უცილო.
ნუ ამოშრება დედაკაცში
ქართული გენი,
რომ თვითკმაყოფილ მტერს და დუშმანს
აღარ ვუცქიროთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაპართა ამაგის, მათი გარჯილობის დაფასების, არდავიწყებისა და თაობებისათვის სამაგალითოდ დასახვის პარალელურად დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირი მის თანამედროვეთაც მოუწოდებს, ღირსეულ წინაპართა საქმეების ასევე ღირსეულად გაგრძელებას. მეგობარ ედნარ ხვიჩიასადმი, რომელიც მშენებელი ინჟინერი იყო, მიძღვნილ ლექსში „იყავ კურთხეული“ (თედორაძე, 1980: 23-24) პოეტი ეკითხება დღევანდელი საქართველოს მშენებელს:

ერის ისტორიას თვალი გაადევნე,
სვეტიცხოვლის ამგებს
რას აუგებ?
საქართველო გეყვარება სამარემდე –
ვიცი, მაგრამ შენზეც ასაუბრე
მოდგმა ფიცხელი და ბრძენი,
ხომ არ გამიცრუებ, იმედი მაქვს,
ზორბა მშენებელო, შენი!

ლექსში „მოგზაურობა ციხისძირის სანახებში შთამომავლობასთან ერთად“ (თედორაძე, 2015: 198-199) ძველი ეპიკური მთხრობლის ბრძნული ტონალობითა და ხიბლით წარმოგვიდგენს დავით თედორაძე ციხისძირის ისტორიულ სანახებს, შთამომავლობას ესაუბრება პეტრას ნაციხარისა და ზოგადად ყველა ისტორიულ ნაგებობათა უდიდეს ეროვნულ ფასეულობებზე; პოეტისათვის ძვირფასია წინაპართა დალოცვილი ხელით შექმნილი ყოველი ისტორიული ძეგლი, სადაც მათი აღმშენებლების სპეტაკი სულები ტრიალებენ:

აქ, ამ სამოთხეში,
ამ ქართულ მიწაზე,
იპოვი ყველაფერს,
რაც ქვეყნად არ არის,
გამოგეცხადება თვითონ თამარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებული წარსულის მქონე შთამომავლობას იგი მოუწოდებს, ღირსეულად განაგრძონ წინაპართა საქმენი, აწმყოსა და მერმისზე იფიქრონ და ილოცონ:

გამოგეცხადება
შოთაც და დემეტრეც,
დადექ და ილოცე,
გამჩენელს ევედრე –
მქონემან წარსულის –
აწმყო და მერმისი,
ჩემი იბერია
თუ ჩემი ეგრისი.

პოეტი მოაგონებს მომავალ თაობას, როგორი შემართებით პატრონობდა ერს „გულადი გუბაზ მეფე“ და მისნაირი მამული-შვილები:

ილოცე...
ილოცე... სუნთქვა უნაზესი
იქნება სტუმარი
გულადი გუბაზ მეფის.
აქ იყვნენ მგლები და
ზარს სცემდნენ უფლებით,
მე რაც მივითვალე,
გიტოვებთ უკლებლივ.

მრავალტანჯული მშობელი კუთხის – აჭარის გმირულ ისტორიას იტევს უდიდესი სიყვარულითა და კანონიერი სიამაყის გრძნობით გაჟღენთილი ლექსი „სანთლის შუქი“ (თედორაძე, 1999: 6-7). დიახ, კანონიერ სიამაყით, რადგან იმ ბნელ საუკუნეებში, როცა ქართველთათვის სულიერი სიწმინდის სიმბოლოები – ჯვარი, ხატი, სანთელი – დამპყრობთაგან იკრძალებოდა, მაინც შეძლო სულიერების გადარჩენა; თუ როგორ, ამაზე პოეტისეული სტრიქონები მოგვითხრობენ:

ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,

ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.

უმძიმეს ხანაში ნენეს უწმინდეს კალთას შეფარებულმა, მშობელი მიწის ერთგულმა ხალხმა უდრეკი სული ტკბილი ქართული „იავნანის“ ჰანგზე და ნამალევად დანთებული სანთლის შუქზე გამოაწრთო:

ვერ ჩამიქრეს –
კლდე გამიხრავს
ჯავრისაგან კბილით,
„იავნანა“ მშველოდა და
კაბა-კალთის ჩრდილი.

ხანძთის განძის მცველ ხალხს, მეწყერივით მოვარდნილ მტერს რომ მედგრად ხვდებოდა, ტაოს დარდიც აწუხებდა და კლარჯეთისაც:

შევინახე ხანძთის განძი,
ტაოს დარდი მწველი,
მეწყერივით მოვარდნილი
მიჩეხია მტერი.
კლარჯეთს ცრემლი არ გაუშრა,
ბევრჯერ მომატირა –
აღსრულდესო დედის ნატვრა, –
შესაწირავს სწირავს.

უმშვენიერეს აჭარისწყლის ხეობას რომ ეფერება, პოეტს როდი ავიწყდება საზღვრის მიღმა დარჩენილი იმერხევი და კურო-პალატთა ნაამაგარი არტანუჯი:

ვეფერები აჭარისწყლის
ხეობას და სივრცეს,
აქ არტანუჯს გავიხსენებ,
სულს იმერხევს მივცემ.

ლექსით „მე აქ ვბინადრობ“ (თედორაძე, 2019: 166) ავტორი, აღფრთოვანებული მშობელი კუთხის სილამაზითა და გმირული ისტორიით, ამაყად აცხადებს:

აღზევებულმა მწვანე კონცხით,
რაღა ვინატრო,
სხვა –
უკეთესი მამულები არსად მინახავს,
აქ სისხლს ანთხევდნენ წინათ მტრები.
მე აქ ვბინადრობ
და გულსაოხად
სულსალბუნად ვყავარ წინაპარს.

პოეტი ეფერება მშობლიურ გარემოს, ხარობს ფრინველთა გალობით და ბედის ირონიასაც თვალს უსწორებს – ორადგაყოფილი მარადიდის ცრემლზე რუს კოლეგასთან საუბრობს, მაგრამ მაინც მაჟორულია მისი ხმა, რადგან ქართული გენი და საუფლო ხმა ვერ დაშრიტა ულმობელმა დრომ:

დრომ ვერ დაშრიტა გენი ჩემი
და ხმა საუფლო,
გალობს ბულბული,
ჩიტი მღერის,
ნათობს ცისკიდე,
რუს კოლეგასთან მარადიდის
ცრემლზე ვსაუბრობ,
რომ საქართველოს სიყვარული
უფრო მიმძიმდეს.

„ქართლის ცხოვრების“ დაწერილი თუ დაუწერელი ფურცლებით ამაყი პოეტი შეახსენებს ყველა ჯურის მტერსა თუ მოყვარეს, რომ მისი ხალხის გმირული ისტორია აქვს სავიზიტო ბარათად, სიბრძნითა და სიდარბაისლით გააოცებს და შეაშფოთებს, დაღვრილი „სისხლის კოცონით“ გააგებინებს, რომ ქართველი პირადულს არასოდეს წუხდა, საქვეყნო ბედი ადარდებდა მუ-

დამ... ამის მომსმენსა და გამგებს კი არამც და არამც არ უნდა გაუჩნდეს კითხვა: რისთვის იცოცხლა ამგვარი შემართების, ამგვარი ტკივილისა და ქარცეცხლნაგემებმა ერმა:

მე შენთან „ქართლის ცხოვრებით“ მოვალ
და გაგაოცებ სიდარბაისლით...
საქართველოში თუ იყო გლოვა,
უპირველესი იყო კრწანისი.
გეტყვი და მჯერა – სისხლის კოცონით
შეშფოთდებიან შენი თვალები,
მაინც ნუ იტყი, რისთვის ვცოცხლობდი!..
(თედორაძე, 2015: 203)

სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირ ქართველ წინაპართა შორის დღემდე ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის სიყვარულით, პატივიცემითა და მოწიწებით იხსენიება ბერი თევდორე, რომლის უმაგალითო გმირულმა საქციელმა მამულის ერთგულების, მისთვის თავგანწირვის სულისკვეთებით თაობები აღზარდა. ლექსს „მღვდლებს ძეგლებს არ უდგამენ“ (თედორაძე, 1980: 7), რომელსაც ეპიგრაფად უძღვის სიტყვები თევდორე ბერის ციკლის ხალხური თქმულებიდან: „გამთენიისას გაიგო მტერმა თევდორეს საქციელი“, პოეტი ხოტბას ასხამს გმირ სასულიერო პირს, რომელიც ქვეყნისათვის თავად იყო ძეგლის სიმტკიცის კაცი და შეგნებულად შეეწირა მშობელ ქვეყანას:

მაგრამ განა მღვდელი იყო
შავი ანაფორიანი –
საქართველოს რწმენის ჭიგო,
კაცი სულით გოლიათი!
კაცი ძეგლად ჩამოსხმული
სულში ოთხი მილიონის,
კველთით ცხირეთს წამოსული
სიკვდილისკენ მიდიოდა.

თევდორე ბერის გმირული თავგანწირვა მამულისათვის სამაგალითოდ დარჩა, მისი გმირობის ამსახველი ამბავი ბოლომდე

ქართული ზეპირსიტყვიერების მრავალვარიანტიან გადმოცემებში ცოცხლობს და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც იჩემებენ, რომ მისი თავშეწირვის ადგილი სწორედ იქ არის. ეს საერთო სახალხო სიყვარულია, წინაპრის სამაგალითო დაფასებაა და დავით თედორაძის ლექსიც ამის დასტურია:

რა შეეძლო უმეტესი! –
მამულს ნატვრა აუსრულა,
ჩემი სულის უღელტეხილს
მზედ დაჰნათის დაისრული!

ლექსით „თევდორე“ (თედორაძე, 2015: 143) დავით თედორაძემ კიდევ ერთხელ გამოხატა მშობელი ხალხის აღტაცება წინაპრის გმირობითა და თავგანწირვით:

გამიოცა საქართველო ბერმა აღსასრულითა.
ვკითხე, –
სიდან მოდიოდა,
მითხრა:
– ხალხის სულიდან.
არ ინება ოქრო-ვერცხლი,
მამულს ჭვრეტდა რჯულში,
აკუწეს და ჩაუსახლეს საქართველოს სულში.

პოეტი ნატრობს, სიზმრად მაინც იხილოს კველთიდან ცხირეთს გალობით მიმავალი ბერი, დაეძებს მის ნაკვალევს, მის მოდგმას თანადროულობაში და ოცნებობს, თევდორე კველთელის – ამ სწორუპოვარი წინაპრის გზაზე მავალი იყოს შთამომავლობა, იამაყოს წინაპრის გმირობით:

იდიდგულე, შვილო ჩემო, წინაპრით და მიწით,
ათქმევინე იმპერიებს – გვარზე ხტისო კვიცი!

თევდორე მღვდლისა და სხვა მრავალ მამულიშვილთა თავშეწირულობასთან ერთად, სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიას ახსოვს სამარცხვინო მოღალატენიც, ტახტისა და მიწიერი სიკე-

თის გამო რჯულისა და სამშობლო ქვეყნის გამყიდველნი, რომელთაც სულში ეშმაკები ჰყავდათ ჩაბუდებულნი და, სულთნებისა თუ შაჰების ნებათა აღმსრულებლები, რჯულგამოცვლილები, ძმათა სისხლში ისვრიდნენ ხელებს, დასცინოდნენ წმინდა ხატებს და უცხოთა რჯულზე ლოცულობდნენ; აი, ამ რენეგატების შებილწულ სულებს მიმართავს პოეტი ლექსით „უნდა შემორჩე“ (თედორაძე, 2015: 146-147):

ეშმაკი,
ვიცი, ეშმაკია ჩაბუდებული
შენს ბებერ სისხლში!..
ხითხითებ, ხვრინავ
წმინდანების ნათელ ჩრდილებთან!
შენ უნდა იხსნა მაჰმადი თუ
თვითონვე გიხსნის,
სამეფო ტახტზე წამოსკუპდი
შაჰის იმედით.

ღალატის სენით დაღდასმული ტიტულები და დაუოკებელი სწრაფვა „პირველკაცობისაკენ“ ერის სიყვარულისა და თანაგრძნობის გარეშე – აი, ის სამარცხვინო მონაპოვარი, რაც ზოგიერთ რენეგატ ქართველს რგებია სამარცხვინო ცხოვრებაში... სწორედაც, მათ აჩრდილებს მიმართავს პოეტი:

ო, ტიტულები,
დაღდასმული ღალატის სუნით,
სწრაფვანი „პირველკაცობისკენ“ –
ერის გარეშე...
ვის, ვის პატრონობ ძუკნა ძაღლის
მყივანა სულით,
თუკი მიუგდებ უცხო ჯილაგს
ძმებს სათარეშოდ!

ამგვარი სულგაყიდულები ყველა დროში იყვნენ და არიან; „ქართლის ცხოვრებიდან“ მოხმობილი ეპიგრაფით („...ხოლო დაჯდა

ქართლსა ბაგრატ, რომელი გარდაქცეულიყო სჯულსა მაჰმადისასა და არც იყო ღირსი მეფობისა...“) და საკუთარი ლექსის პათოსით პოეტი თანამედროვე სულგაყიდულებსაც შეახსენებს:

ხალხი ხალხია,
არ იგუებს რჯულგაცვლილ ცვედანს,
ვიდრე საკუთარ თავს ეფარვი,
ვინ მოგცემს დროშას!
საქართველოში უწოდებდნენ
სამშობლოს დედას,
უარმყოფელი შეთქვლეფია
ღდინგაცლილ დრო-ჟამს.

შეახსენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ტახტიც მოუპოვებია, ისტორიას და მისეული დროის ქაოსს შემორჩება უღირსად, შთამომავლობისათვის მისი სახელი შავი ასოებით არის ჩაწერილი „ქართლის ცხოვრებაში“:

მაგრამ შენ რახან ტახტზე ადი,
ღირს ხარ თუ არა,
უნდა შემორჩე მატიანეს,
იმ წელთა ქაოსს...
ჩემთვის კი, ჩემთვის
ერთადერთი რამ არის ცხადი –
ჩასვენებულხარ ქრისტეს აქეთ
ჩქთ წელს, ხანო!

საუკუნეებია, ქართველ მამულიშვილთა გულისყური ისტორიული ქართული მიწებისკენაა მიმართული, სადაც ჩვენთა წინაპართა მიერ ნაგები ეკლესია-მონასტრები და ციხესიმაგრეები დღემდე შემორჩა, სადაც ბოლო დრომდე ისმის მრავალგზის გვემული ქართული ენა და, სადაც, როგორც გოგლა ლეონიძე ამბობდა, „აჩრდილნი მამა-პაპათა შემოგძახიან: თქვენ გელოდებით!“ (ლეონიძე, 1962: 308). მართლაც, დიდხანს ველოდით... ვერ აუცხადდა ბევრ დიდებულ მამულიშვილს ოცნება, ფეხი და-

ედგა ძველქართულ მიწაზე, მოელოცა დადუმებული ტაძრები, რაზედაც გოგლა ლეონიძე აგრერიგად წუხდა:

ისე დავბერდი,
ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...
როდის მოუვათ მათ გაზაფხული?
(ლეონიძე, 1962: 308).

სამწუხაროდ, ვერ აღისრულა გულისწადილი ბუბუნა პოეტმა... ჩვენი თაობა მოესწრო, სტუმრად მაინც ჩასულიყო და მოსიყვარულებოდა წინაპართა ნაკვალევს, შავშელებს, კლარჯელებს, ტაოელებს... სანთლები დაენთო იშხანში, ოშკში, ხახულში, ბანაში... ისინიც გველოდნენ, თურმე, და მუდმივად გვსაყვედურობენ, აქამდე სად იყავითო...

დავით თედორაძემ ერთ-ერთმა პირველმა მოინახულა სარფგაღმა დარჩენილი ისტორიული საქართველო და არაერთ სიყვარულით სავსე სტრიქონში გამოხატა მონატრებულ ჩვენებურებთან შეხვედრის სიხარული... მანამდე კი... მანამდე აჭარასთან ერთი ხელის გაწვდენაზე არსებული ჩვენი ოდინდელი მამულის გაუცხოებამ მასაც ადინა სიმწრის ცრემლები... ლექსში „...დაახლოებით ათი წლის წინათ...“ პოეტი იგონებს იმ დროს, როცა პატარა ღელის პირას მეგობრებთან მჯდარი, მონატრებულ მზერას სტყორცნიდა გაღმა ნაწილს და დიდხანს, ძალიან დიდხანს ესიზმრებოდა „ზღვისკენ ჩავლილი პატარა წყალი...“ (თედორაძე, 2015: 186).

ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, მტერთაგან წაგვრილი იმერხევის მონახულებამ, იქაური ბუნებით ტკბობამ, აგრერიგად ტყუპისცალივით რომ ჩამოჰგავს აჭარისას, საოცარი სითბოთი და სიყვარულით აღსავსე ლექსი „იმერხევი“ (თედორაძე, 2015: 73) ათქმევინა დავით თედორაძეს, თუმცა, იმავდროულად სიხარულის ცრემლიც ადინა:

წყალზე
თამარის ხიდია და

ხიდზე – ყვავილი,
ჰგავს ეს ხეობა აჭარისას
ტყუპისცალივით.
ვნახე ძმები და
სიხარულის ცრემლით ვიტირე…

სასიამოვნო რეალობა – ჩვენებური ხასიათი, სიტყვა-პასუხი, სათნოება და შინაგანი, მეფური სიამაყით სავსე გამოხედვა – ყველაფერი ემშობლიურება პოეტს ამ დალოცვილ კუთხეში:

სულ ჩვენებური ხასიათი…
აზავთებული…
სიტყვაც,
პასუხიც,
სათნოებაც,
მზერაც მეფური
ისე ამშვენებთ,
როგორც მიწას
ან ხეს – ყვავილი…
ჰგავს ეს ხეობა აჭარისას
ტყუპისცალივით.

იმერხეველ ქართველებს უძღვნა პოეტმა ლექსი „გადაგერჩინოთ გვარის გვირგვინი“ (თედორაძე, 2019: 116). იმერხეველთა თავდაჭერილობა, მოხდენილი, ბრძნული ძველქართული სიტყვა-პასუხი, ზნეკეთილი გამომეტყველება, პოეტს რომ სულმნათ წინაპრებს – პაპებსა და ბებიებს – ახსენებს, იმედს უნერგავს, რომ აქ არ გადაშენდება ქართველობა:

რა კარგები ხართ,
რა საყვარლები!
ასე ამაყად თავი გეჭიროთ,
გადაგერჩინოთ ენა ქართული
და ქართველობა გადაგერჩინოთ!
როგორ გიხდებათ

სიტყვა-პასუხი,
როგორ იმშვენებთ მზერას ზნეკეთილს,
ეგეთი მახსოვს ჩვენი პაპები
და დიდედებიც მახსოვს ეგეთი.

იმერხეველები, რომლებიც დღესაც წინაპართა მიწაზე სახლობენ, ერთგულად უვლიან მამულ-დედულს, სადაც დაიბადნენ და, წინაპართა დარად, არავის არაფერს ეცილებიან, ლაღნი და ზრდილნი, ბოროტებას არ იკარებენ, არ მოდრკნენ და დღემდე შეინახეს მშობლიური ენა, დავით თედორაძის პოეზიის გამორჩეული ადრესატები არიან:

თქვენნაირები
არ მოდრკებიან,
ასე ამაყად თავი გეჭიროთ!
გადაგერჩინოთ ენა რუსთველის
და საქართველო გადაგერჩინოთ!

ბორჩხელ ქართველებთან შეხვედრის სიხარულს, ეგზომ მონატრებულ სისხლთან და ხორცთან სტუმრობით აღტაცებას გამოხატავს ლექსი „ბორჩხაში“ (თედორაძე, 2015: 71). სულმა სული, გულმა კი გული უმალ იცნო და, როგორც პოეტი ამბობს:

გავშინაურდით,
გავიკრიფეთ
სიტყვის მტევნებად,
დიასახლისი დედასავით
თავზე გვევლება.
უერთმანეთოდ
დავღლილვართ და
ცრემლად ვქცეულვართ,
ასე შორიშორ როგორ გაძლოს
ერთმა სხეულმა? –

კითხულობს პოეტი და იგონებს ცრემლნარევი სიხარულით სავსე შეხვედრას, სისხლის ყივილის დიდებულ წუთებს, უამრავ

შეკითხვას წინაპარზე და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, იმედიან განწყობას, რომლის სასწაული სხივი ჭოროხსაც მოეფინა:

იყო კითხვები,
გახსენება –
პაპის,
დიდედის,
ჭოროხს ეფინა
სასწაული სხივი იმედის...

ლექსი „ვცნობ ქართველებს ღიმილზე“ (თედორაძე, 2019: 114) ისტორიული ბედუკულმართობის გამო სამშობლოს მოწყვეტილ ქართველებთან, ძველთაძველ ქართულ მიწასთან შეხვედრის სიხარულითა და სიყვარულით არის აღსავსე; პოეტი მზერით, ღიმილით სცნობს თავის სისხლსა და ხორცს, ეძებს ანალოგებს სარფსაქეთა საქართველოსთან და ამ ბედნიერ წუთებში ლექსად იღვრება:

სხვა სიყვარულს რა უნდა,
თუკი გული გულობს...
ბორჩხა ქედას მაგონებს,
ართვინი კი – ხულოს.
აჩუქურთმებს დილის მზე
სოფლებს სასწაულად...
ვცნობ ქართველებს ღიმილზე
და ვეხვევი ძმურად.

პოეტის სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ აქვს, რაკი ხედავს, რომ არც სულით, არც ხორცით არ შეცვლილან დედის უბეს საუკუნეებით მოსხლეტილი ქართველები, მშობლიური „იავნანათი“ გაზრდილან, ჯიში და გენი შეუნარჩუნებიათ:

კაცი ხულელს ჩამოჰგავს,
ქალბატონი – ქედელს,
ქართულ „იავნანათი“
გაუზრდიათ დედებს.

ჟამთა სვლას ვერ გაუხუნებია ქართული სიტყვის მადლი, ქართულად ეფერებიან, „ჩვენებურს“ უწოდებენ:

ჟამმა ვერ გახრა სიმუხთლით
მშობლიურ სიტყვის ჯადო,
მოდიან, მეფერებიან, –
ჩვენებური ხარ მთლადო.
მეც ვეფერები გულგახსნით
და ქართველობას ვუქებ
ხოფელ,
ბორჩხელ და ართვინელ
თვალებსაცერა გურჯებს.

დადუმებული, შეჩერებული ისტორიის თითქოსდა უტყვ, მაგრამ, მაინც, მრავლისმთქმელ მოწმეებად დგანან დედასამშობლოს მოწყვეტილი ტაო-კლარჯეთის ტაძრები თუ ტაძართა ნანგრევები; ერთ დროს მისი ამშენებელ-დამამშვენებელი ქართველი კი დღეს ოდენ სტუმარია, რაც გულსაკლავი რეალობაა და რასაც ვერ დაფარავს ქართველი პოეტის სულის წუხილი:

ქარიშხლებს გადარჩენილი
იშხანი შემხვდა მდუმარი,
მომრავლებია გულთბილი
გურჯისტანიდან სტუმარი.
მოსაოხრებლად წარსულის,
ღვთისგან ჯვარგადასახული,
სულისშემძვრელი ტკივილით
მიცქერს ბანა და ხახული.
(თედორაძე, 2015: 18)

...დგანან მდუმარენი, ამდენ ხანს უსანთლ-უმირონოდ, უკურთხებლად, ჩაქცეული გუმბათებითა და ჩალეწილი ჩუქურთმებით და რომელი ქართველის გული გაუძლებს, რომ არ ამოიგმინოს:

...რა ხელმა ქნა?
ამის მნახველს

ქვასაც ცრემლი წამოუვა,
ქვაც იტირებს –
ამდენი ხნის უმირონო,
უკურთხები,
ჩაქცეული გუმბათები,
ჩალეწილი ჩუქურთმები!..
(თედორაძე, 2015: 18)

...და რა გასაკვირია, ისტორიის ბედუკუღმართობისა და მწარე ირონიის შემდეგ ნათქვამი პოეტის სიტყვები:

ნეტა, თვალით არ მენახა,
არ მეყლაპა ცრემლი მწარე!..
(თედორაძე, 2015: 18)

დაუნდობელი ისტორიული ქარტეხილებისაგან წაგვრილი ტბეთის დიდებული ტაძრისადმი, რომლის შემონგრეულ-შემოძარცვული კედლებიც ნათლად ღაღადებენ მის წარსულ დიდებაზე, მიძღვნილ ლექსში „ტბეთის ტაძარს“ (თედორაძე, 2019: 65-66) დავით თედორაძე უდიდესი გულისტკივილით და სიყვარულით ეფერება ერთიანი საქართველოს ოდინდელ მშვენებას:

მინდა, შენს ქვებს ვეფერო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სულის მაცხოვნებელო
ტბეთის დიდო ტაძარო!

პოეტი გამოთქვამს წუხილს, რომ ვერ მიეშველა ამ უიშვიათეს, ოდესღაც გრანდიოზულ, ქმნილებას, როცა უმოწყალოდ არბევდნენ:

უფლის კვართით დაწინდულ
საქართველოს შვენოდი,
წუხდი,
ჟამით დაბინდულს
გარბევდნენ,
ვერ გშველოდი...

ახლა კი... ახლა მთელი საქართველოს ტკივილს გადმოსცემს პოეტი მრევლსმოწყვეტილი ტაძრის გაუცხოების გამო, ულმობლად რომ ეშლება წმინდა სხეული:

ახლა ასე, შორიდან,
შენს ხატს უნდა ვეფერო,
სულის მაცხოვნებელო
სალოცავო ბებერო!
სალოცავო მზეგრძელო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სათნოების მთესველო,
ტბეთის დიდო ტაძარო!

მშობელი მიწა – წინაპრების ძვლებითა და ხორცით, მათი უწმინდესი სისხლით გაპოხიერებული სალოცავი, დედამიწა რომ უწოდა ქართველმა, კიდევ უფრო სანატრელი და მოსაფერებელია, როცა ცოტა ხნით განეშორები. ლექსში „ნუ გეშინია, არ ჩაგიტყდებით“ (თედორაძე, 2015: 172), პოეტმა გადმოსცა ის დიდი სიხარული და აღტაცება, რაც უცხოეთიდან დაბრუნებულ ყველა ქართველს დაუფლებია:

დამთავრდა ფრენა,
მე მიწას ვიღებ, ვიღებ და ვკოცნი –
ეს არის ჩემი წინაპრების ძვალი და ხორცი,
ეს არის ჩემი გამთბარი სულის ჯადო და მადლი,
დაბრუნებოდეს ყველა შვილი სალოცავ ადგილს!

დიახ, პოეტი ლოცავს ყველა შინდაბრუნებულს, ვისთვისაც ძვირფასია წინაპრის ხსოვნა და სანთელს უნთებს, ვისაც ახსოვს კრწანისში მამულს შეწირული ლომგული ვაჟკაცები, ვინც ცოტნე დადიანივით მოძმეთა დასახმარებლად საკუთარ „სულს აოხებს“:

დაბრუნებოდეს,
ვისაც უყვარს წინაპრის ლანდი,
ვინც სანთელს უნთებს,
ხსოვნის სანთელს

ლომებს კრწანისის,
ვინც ცოტნესავით სულს აოხებს
ძმების გულისთვის,
ვისაც გული აქვს და სიყვარულს ვინაც განიცდის...

პოეტისეული ეს დალოცვა იმავდროულად მგზნებარე მოწოდებაც არის, რათა არ მიინავლოს მამულიშვილური მუხტი, რათა მომავალ თაობას მუდამ ახსოვდეს, ვისმა გმირულმა შემართებამ განაპირობა მათი აწმყო; რათა მუდამ ცხოველმყოფელი იყოს ქართველთათვის წინაპართა ხსოვნა, რომელთა სულები ახლაც გვამხნევებენ, გვამაგრებენ და მოგვიწოდებენ, მათებრ თავდავიწყებით გვიყვარდეს სამშობლო ქვეყანა.

გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთან – შალვა წიკლაურთან ქალაქ ჰანოვერში სტუმრობისას დაწერილ ლექსში „ახლა ერს უნდა ილია“ (თედორაძე, 2015: 36-37), პოეტი გვაცნობს სამშობლომონატრებულთა სევდიან განწყობას, რასაც წვიმაც თანაუგრძნობს; როცა საქართველოს ნოსტალგია მოძალებულია და ამინდზე, თბილისურ მზეზე საუბრობენ, პოეტის აზრით, ილიას მონატრება უფრო სარგო და საჭიროა:

ეჰ, ბედის ბორბალს რა ვუყოთ,
სად მიაბრუნებ სადაურს,
აქ გულს ერთმანეთს გავუყოფთ,
შინ ვეცილებით ხატს და პურს...
თბილისში მზეა, ამინდი,
როგორც ამბობენ, თბილია.
...ამინდს გაუწყრეს გამჩენი,
ახლა ერს უნდა ილია.

სახელოვან, მისაბაძ წინაპართა შორის დავით თედორაძეს არამც და არამც არ ეგულება მედეა; ის პოეტისათვის სამშობლოს გამყიდველია, უცხოტომელს გამოდევნებული, ქართველ ქურუმთა საუკუნოვანი სიბრძნის გამცემი; ამიტომაც ბათუმში მისი ძეგლის გახსნას პოეტი დითირამბით ვერ შეხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ვერჩი მედეას –
იყოს თავისთვის,
უსაზღვრო ცოდვით და ხიბლით.
სამშობლოს გამყიდველს
როცა ძეგლს უდგამენ
სამშობლოს ერთგულთა ჯიბრით, –
ეს არის ტკივილი,
ეს არის სირცხვილი,
ეს არის ღირსების აქნა...
ხალხმა რა ილონოს,
ხალხმა რა ინატროს,
იმედწართმეულმა, რა ქნას?! –
(თედორაძე, 2019: 105)

კითხულობს დავით თედორაძის ლირიკული გმირი და კიდევ უფრო მტკივნეულ შეკითვას სვამს: მედეას განდიდებით რას ვეუბნებით ჩვენი ქვეყნისათვის შეწირულ, თავდადებულ ქალბატონებს – თამარს, ქეთევანს და უამრავ წამებულთ:

რა ვუთხრათ თამარს და
რა ვუთრათ ქეთევანს,
რა ვუთხრათ წამებულ ქალებს,
ვერ ვხედავთ? ვერა ვგრძნობთ?
თუ ჩვენი სურვილით
ვითხრით და ვიბრმავებთ
თვალებს...
(თედორაძე, 2019: 105)

მამისადმი მიძღვნილ მშვენიერ ლექსში „სამშობლოს დარდი მაცვია“ დავით თედორაძე ესაუბრება გარდაცვლილი მამის სულს; მამის გამოცდილი სამყაროდანაც ჭვრეტს წუთისოფლის შუქ-ჩრდილებს; მამას ანდობს გულისტკივილს, რომლის უმწიკვლოდ განვლილი გზაც პოეტისათვის სამაგალითო და მისაბაძია და ვერც მასთან მალავს უპირველეს სადარდებელს – სამშობლოს შეჭირვებულ მდგომარეობას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ყველაფერი მკაცრია და
თვალები სევდით დამეღარა,
სამშობლოს დარდი მაცვია და
გული ტარებით დამეღალა.
(თედორაძე, 2015: 39)

ლექსით „მომენატრება ქართლის ციხე-კოშკები“ (თედორაძე, 2019: 163) დავით თედორაძემ გამოთქვა სიყვარული, პატივისცემა და მონატრება წინაპართა მიერ აგებული ციხე-კოშკებისა, რომლებიც, გმირ მამულიშვილთა შემართებასთან ერთად, ქვეყნის თავდაცვას განაპირობებდნენ და მნახველს დღესაც აოცებენ წინაპართა მიერ ამ სიმაღლეებზე აზიდული ლოდები:

მომენატრება
ქართლის ძველი ციხე-კოშკები,
მოვინახულებ
და შვილივით მოვეფერები
სათოფურებს და
წინაპრების ზურგით ატანილ
ვეება ლოდებს ამ სიმაღლეზე.

ქვეყნის ამ ფხიზელი დარაჯების ცქერისას პოეტის თვალწინ ცოცხლდება სანუკვარი სურათები; თითქოს ცხადად ხედავს, როგორ იკრიბებიან საქართველოს სადროშოები მამულის დასაცავად:

შეიკრიბება საქართველოს სადროშოები
წმინდა დროშებით –
ჩალისფერებით,
რომ შენ აღზევდე,
რომ საქართველოს
სიცოცხლისკენ
ეჭიროს თვალი;
შეიკრიბება
საქართველოს სადროშოები
წმინდა დროშებით
ჩალისფერებით.

...და ესმის, იგებს, იცის, მშობელი ქვეყანა და ერის სული ვის საიმედო ხელშიც იყო, ვინ იღვაწა და იბრძოლა, ვინ შეძლო, „არყოფნისაგან გარდამოეხსნა“ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო:

მე ვუგებ ძეგლებს,
სინათლით და მზის შუქით ვუგებ,
საქართველოს და ერის სული
ვისაც ებარა,
ვინაც იღვაწა,
ვინც იბრძოლა,
ვინც შეძლო უკეთ,
გარდამოეხსნა
არყოფნისგან ჩემი ქვეყანა.

დიახ, ამაყია ქართველობა გმირული ისტორიით, ამაყია პოეტი დავით თედორაძე, რომლის მაძიებელ სულს ხშირად უწევს გარდასულ დროთა მონახულება და სისხლით ნაწერი ისტორიის ტკბილ-მწარე ფურცლების ვნებათაღელვათა გადატანა... და მაინც... მაინც სიხარული და სიამაყეა მგოსნის თანმდევი, როცა იცის, რომ

ციხისძირთან, ბამბუკების
გაუვალი ტყის იქით,
ბერძნებს მიწა გაუსკდებათ
გუბაზ მეფის ყიჟინით...
გონიოს ჩრდილს ვეფარები,
ზღვასთან სახლი დავიდგი,
ჭოროხ-ჭოროხ ეპარება
თურქებს მეფე დავითი...
ბათომს ზევით ველიცა მაქვს
ბევრით მსგავსი დიდგორის,
ასკერების სასაკლაო –
კახაბერის მინდორი!..
(თედორაძე, 1980; 86)

ხმლებით ნაწერი გმირული ისტორიის შემოქმედი ხალხის გადაშენება შეუძლებელია; გმირთა ხსოვნა, მათი ვაჟკაცობა, მამულისადმი მსახურება ის საიმედო საგზალია, რაც დღეს სიამაყეს გვგვრის და სამომავლო შემართებისათვის ფრთებს გვასხამს – ამგვარია ჟამთსაცავში აგრერიგად მოწადინებით ნამოგზაურები პოეტის – დავით თედორაძის დასკვნა, რაც მისებური ორიგინალობით გადმოსცა ლექსში „ინტერვიუ“ (თედორაძე, 1995: 176). ეს მშვენიერი ლექსი ჩვენი ერის საამაყო ისტორიის შეხსენებაა ყველა ჯურის ჩვენკენ მზირალისათვის, სამოქმედოა მომავალი თაობისათვის, რათა იცოდნენ, „ვისი გორისანი არიან“.

პოეტი უპირველესად იმის შეხსენებას ცდილობს, რომ წინაპართა ნამოსახლარია ჩვენი მშვენიერი ქვეყანა, არავისი მიწა მიგვითვისებია; აქ ბინადრობდნენ და იღვწოდნენ ჩვენი მამა-პაპანი, ვაჟკაცები და გმირი მეომრები და მათი შთამომავლები არავის დაუხრიან თავს:

ბრძანება თქვენი –
წინაპრები აქვე სახლობდნენ,
აქვე ხარობდნენ
სილამაზით შეუცნობელით;
იყო ვაჟკაცი,
იყო ომში,
თუმცა მოხუცდა –
ბუზს არ აიფრენს ჩემი მშობელი!

პოეტი ამაყია, რომ მისი ხალხი არავის შეჰყურებს ხელებში, მისი სამყოფი სარჩოს გარჯით მშოვნელია; არც ოქრო ახარბებს, მშობელი მიწის სიყვარულით არის გაჟღენთილი და ფიქრები დედასამშობლოს დასტრიალებს:

ბრძანება თქვენი –
გვაქვს საყოფი პური და ღვინო,
არ ვართ ღარიბი.
ბაბუა გვყავდა გულმოყვასი,
კარგად გაიგო

ქვეყნის მხურვალე მაჯისცემა...
ბრძანება თქვენი
გამდევარი არ ვართ ოქროსი;
მიწა გვიყვარს და სიდუხჭირე
ღმერთმა გვაშოროს;
ვერ დავიმშვენებთ ვერასოდეს
ენას ბოქლომით! –
ჩვენი ფიქრები დასტრიალებს
დედასამშობლოს!

ეს სრულყოფილი წარმოჩენაა ჩვენი ერის ისტორიისა და თანადროულობისა, რომელსაც პოეტმა საოცრად მიგნებულად „ინტერვიუ“ დაარქვა და მტერ-მოყვარეს კიდევ ერთხელ გააცნო „ხმლებით ნაწერი ისტორიის“ მემკვიდრეთა ეროვნული მრწამსი.

„სარფი – ტკივილი...“

სარფი – ტკივილი,
სარფი – სიზმარი,
და გაფრთხილება
ჩვენი მარადი...

დავით თედორაძე

„სარფი, როგორც სოფელი და როგორც მეტაფორა, მხატვრული ლიტერატურის ყურადღების ფარგლებში მას შემდეგ მოექცა, რაც საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარმა ორად გაკვეთა სოფელი და საქართველოს სხეულიდან საუკუნეთა განმავლობაში ჩამოჭრილი ნაწილების, ხელოვნურად დადებული საზღვრების ერთ-ერთ სიმბოლოდ აქცია“ (ჩოხარაძე, თანდილავა, თავდგირიძე, 2015: 306). ისტორიის სიმუხთლით ორად გაყოფილი სოფელი სარფი დავით თედორაძის (და რომელი ქართველის არა!) მოუშუშებელი საწუხარია. ისტორიის ბედუკუღმართობამ რკინის ფარდა ჩამოაფარა სოფელს, შუაზე გახლიჩა და გაღმა-გამოღმა დატოვა სისხლით და ხორცით ნათესავნი ერთმანეთის ვერც ჭირს იზიარებდნენ და ვერც – ლხინს. დავით თედორაძის პირველი პოეტური ნაბიჯები და შემდეგ უკვე ლექსთა ორი კრებულის („ბეწვის ხიდი“ – 1977; „ორღანი უკრავს“ – 1980) ერთ-ერთი ტკივილიანი თემა, სწორედ, ამ პრობლემას უკავშირდება. კრებულში „ორღანი უკრავს“ ცალკე რუბრიკა – „ლაზიკა“ (გვ. 24-35) – ეძღვნება ყოველთა ქართველთა საწუხარს – ოდესღაც დიდი ლაზიკის ერთ-ერთ ფესვმაგარ და ხალხმრავალ სოფელ სარფს.

ლექსში „...დამესიზმრა...“ (თედორაძე, 1980: 27-28) ვეცნობით პოეტის ოცნებას ერთიან სოფელზე, რომლის ავბედითი საზღვარი პატარა ღელეა და რომელსაც ლაზმა მხატვარმა და პოეტმა ხასან ჰელიმიშმა „ორ ძმას შორის ცხარე ცრემლი“ უწოდა:

საზღვრის ღელეო, საზღვარი არ ხარ,
შენ ორ ძმას შორის ცრემლი ხარ ცხარე,
შენც ხომ ჩემსავით გულდამწვარი ხარ –
ასე უგულოდ ზღვას ჩამდინარე.
(ჰელიმიში, 2005: 50)

წინამორბედი პოეტის ლექსში გამოხატული უნდობარი რეალობისა და ამით გამოწვეული მწუხარების ნაცვლად, დავით თედორაძე ლექსში უმშვენიერეს, სანდომიან სიზმარს გვთავაზობს: ისტორიული ძნელბედობის ჟამს სოფლის გამყოფი და საზღვრად დასახული პატარა ღელე პოეტისეულ ზმანებაში ხევსურის ხმალია, გაღმა-გამოღმა სარფი კი – წაწლები, ერთმანეთისკენ რომ ილტვიან დღემუდამ:

დამესიზმრა: სარფის ღელე
ხმალი იყო ხევსურის
და წაწლობდა ორი სარფი –
ერთი სისხლის ერთგული.

სარფის სტუმარი პოეტი უდიდესი ტკივილით ეხმიანება ლაზ მეგობარს – გუბაზ ვანილიშს, რომელიც თითქოსდა შესჩვევია ამ რეალობას და ნატრობს, ღმერთმა ამ გამრუდებული ისტორიის არშეჩვევის განცდა მისცეს, რათა მუდამ გაისმოდეს ტკბილი, სულშიჩამწვდომი ლაზური „ნანა“, გმირ ვაჟკაცებს რომ უზრდიდა ძველთაგან კოლხებს:

...შეჩვეულხარ, გუბაზ ჩემო,
და მე მართობ ლეგენდებით...
ვატყობ, გულმა მიღალატა
და ჩემს გამჩენს ვევედრები,

არშეჩვევის გრძნობა მომცეს,
თუნდ სხვა ფიქრი გადაღობონ,
მე ვიმღერებ ლაზურ „ნანას“
ყრმათა ჩემთა სალაღობოდ!

აკი არც შეჩვეულა და გულგაგლეჯილი ლაზური სოფლის ტკივილი მრავალ სტრიქონში გააჟღერა. ლექსით „მე გუშინ, ძმებო, სარფში ვიყავი“ (თედორაძე, 1980: 29) დავით თედორაძე გვიმხელს ქართველთათვის ამ უდიდესი საწუხარის მისეულ განცდას:

ძუძუმწოვარა ბავშვის სუნივით
მიზიდავს სარფი, გავცდი კვარიათს,
მთა მაღალია, როგორც დუმილი
და ვგრძნობ, ამ მიწის დიდი ვალი მაქვს.

მთებიდან ჩამონაჟური წყლის წვეთები პოეტის წარმოსახვაში ლაზი ასულის ცრემლებია, ლექსის ავტორის დარად რომ მოთქვამს წარსულზე:

ალაგ მთებიდან წყალი მოწვეთავს,
წყალი თუ ცრემლი ლაზი ასულის,
დგას ისტორიის მოწმედ მთვარე და
ჩემს ნორჩ სხეულში ტირის წარსული.

სარფი – მძიმე წარსულის, შუაგახლეჩილი ქართული სულისა და სხეულის ტკივილიანი რეალობა იმითაც არის საწუხარ-სავაგლახო, რომ აქ მოსული ტურისტისათვის საზღვარგაღმა ტერიტორია „თათრეთია“:

აქ დღეში ცხრაჯერ მოდის ტურისტი,
ორი სამყარო სურს, რომ იხილოს,
გაღმა მხარეზე იტყვის – თათრეთი...
და მოგინდება, ისევ იტირო...

პოეტის დასკვნით, ქართველთა მოუნელებელ ტკივილთან ერთად, მარადი გაფრთხილებაა ჩვენთვის სარფი, ხოლო ლექსის ბოლო სტრიქონები – ქვეყნის ჭეშმარიტი ჭირისუფლისეული განცდის გულწრფელი გამოხატვა:

სარფი – ტკივილი, სარფი – სიზმარი
და გაფრთხილება ჩვენი მარადი...
მე გუშინ, ძმებო, სარფში ვიყავი
და სოფელივით დავპატარავდი.

საზღვრის ღელის გასწვრივ მავთულხლართებით და ხაკისფერი ღობით გაღმა-გამოღმა მცხოვრები ერთი სისხლისა და ხორცის მქონე ადამიანთა ასე უმოწყალოდ გათიშვა წლების განმავლობაში აქაურთა უდიდესი ტრაგედიაა. ორივე მხრიდან კაგად მოჩანს, რა უჭირთ, რა ულხინთ, თუმცა, ემოციების აშკარად გამოხატვა ეკრძალებათ. ლექსში „ტირილი იყო სარფში“ (თედორაძე, 1980: 30-31) პოეტი გულისტკივილით გვაცნობს, როგორ განიცდიან გაღმა-გამოღმა სოფლის მკვიდრნი ერთმანეთის გაჭირვებას... და ლექსად იკინძება უმძიმესი სურათი:

ხანდახან საქმე არ წაუვა
კაცს ხოლმე წაღმა,
ტირილი იყო გამოღმა და
ტიროდნენ გაღმაც.
შუა სოფელში ხაკისფერი
ღობე და ღობე,
ფორთოხლის ჩრდილში მოხუცები
სხედან და ბჭობენ.
ცხოვრობს სოფელი ადათებით
ძველით და ახლით,
დგას ჯარისკაცი მავთულხლართთან,
აქვეა ძაღლი...
(თედორაძე, 1999: 52)

მზის ჩასვლას კი, როცა მიცვალებული, წესისამებრ, მიწას უნდა მიებაროს, გაღმელთა გულისტკივილი გაჰყვება:

მზემ სახეკეთილ დიაცივით
ზღვაში ჩაყვინთა...
გამოასვენეს და გამოჰყვა
გული გაღმიდან.

აქ კი მდუმარე, ხაკისფერი
ღობე და ღობე…
სასაფლაოზე მოხუცები
დგანან და ბჭობენ.

სარფის გულის მესაიდუმლე და ხშირი სტუმარი – პოეტი დავით თედორაძე ამ ისტორიული სოფლის ყოველი მონახულებისას დარდით და ტკივილით ივსება, „ყელგამომშრალი“ ბრუნდება უკან, – დღევანდელ საქართველოს ძველი ლაზიკის დიდებად ეს ნახევარსოფელიღა შერჩენია, რომელსაც ნაკრძალივით ესათუთება პოეტის ჩანგი, თუმცა, რაც უნდა უთხრას, მთავარი მაინც უთქმელი რჩება:

ყელგამომშრალი ვბრუნდები სარფით,
ცრემლის სიგრძეა ლაზთა სამანი,
დღეს როგორც ნაკრძალს, ვესათუთები
და ვერ ვუთხარი მაინც მთავარი…
(თედორაძე, 1980: 32)

ცნობილი ლაზი თვითნასწავლი მხატვრისა და პოეტის – ხასან ჰელიმიშის ცხედრის თბილისიდან სარფში გადმოსვენებისადმი მიძღვნილ ლექსში „დაბრუნება“ (თედორაძე, 1980: 33-34) დავით თედორაძემ მთელი სისავსით გადმოსცა დედინაცვლად ქცეულ წუთისოფელში ხელოვანის გატანჯული ცხოვრება. ქართულ ხალხურ ფილოსოფიაში სიკვდილის ტრადიციული, გაპიროვნებული წარმოდგენა და მისადმი სიცოცხლისმოყვარე ჩვენი ხალხის მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ეპითეტები დ. თედორაძის ლექსში მისთვის ჩვეული ლაპიდარული და ღრმაშინაარსიანი შედარებით გამოიხატა:

ჩაფარივით ჩაუჯდა
ნათელმოსილ გზაზე
სიკვდილი.

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ესოდენ პატივმიუგებელი, მუდმივად მარტვილი და ხიზანი ხელოვანის უდროო სიკვდილით გამოწვეული გარინდების, საერთო სახალხო წუხილისა და გული-

სტკივილის პოეტისეული აღქმა ბევრად აღემატება ხასან ჰელიმიშის ავტოპორტრეტს – საიდანაც ახალგაზრდა, იმედებით აღსავსე ლაზი ვაჟკაცი იმზირება:

ვერა, ვერ დახატავდა
ასეთ ავტოპორტრეტს!
სიჩუმე...
სული ცისკენ მიფრინავს,
არწივები კორტნიან,
იშუშებს...

ამ უაღრესად წუხილიან ლექსში დავით თედორაძე სვამს ძველსა და მარად ახალ ზოგადკაცობრიულ პრობლემას, რაც ოდითგანვე წუთისოფლის თანმდევია და ვერა და ვერა, ვერც ეს წყევლაკრულვიანი პრობლემა გადაჭრა ადამის მოდგმამ – ცოცხალი ადამიანის მიმართ გულგრილობას ვიჩენთ, მიცვალებულს კი ვაღმერთებთ:

ვაგლახ, წუთისოფელო,
წარსულში და აქეთ
(კაცმა რომ თქვას, შემთხვევით)
ისევ ვებღაუჭებით
გულგრილობის საჭეს,
მოკვდება და ვემთხვევით.
ტირის მთელი სოფელი
და სველ საფლავს ავედრებს
(ნეტავი, მეც მენახა)
უზენაეს თამადის
ძვლის, ხორცის და ხავერდის
შენახვას.

დავით თედორაძის პირველივე პოეტურ კრებულში – „ბეწვის ხიდი“ – პროჟექტორთა შუქით ნახაზი უაღრესად შთამბეჭდავი ღამეული სურათია დახატული ლექსით „...წიფლნარში გატყდა...“ (თედორაძე, 1977: 23). მართალია, აქ საზღვრისპირა სოფლის – სარფის დასახელება არსად არის, მაგრამ მკითხველი ადვილად

ხვდება, სად დახაზა პროჟექტორის შუქმა ცა და სად შეიძლება დადგეს ლაზური ღამე, რასაც აგრერიგად ნატრობს პოეტი:

წიფლნარში გატყდა ხმელი ხის ტოტი,
გაიფაჩუნა ბნელში რაღაცამ;
მიყუჩდა ხევში ავი ხმა ჭოტის,
ცა პროჟექტორის შუქმა დახაზა.
ნეტავი, იყო შენ მხოლოდ ჩემი
ერთადერთი და სათნო ასული,
დაგიხატავდი დღეს ამგვარ სურათს
და გვექნებოდა ღამე ლაზური.

დავით თედორაძის შემოქმედებაში სარფის, ლაზეთის თემა იმთავითვე ტკბილ-მწარე განცდებთან, ჩვენი ქვეყნის უმძიმესი ისტორიის ფურცლებთან არის დაკავშირებული; ეს, ბუნებრივია, ყოველთვის ახსოვდათ და ახსოვთ ლაზებს, უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავენ ჭაბუკობიდანვე მათი მშობლიური სოფლის უბადლო ტრუბადურის მიმართ, ვისი სტრიქონების მოსმენაც გულს მალამოდ ეფინება. ერთ-ერთი ასეთი სურათია დახატული დავით თედორაძის ლექსში „…გაიცინა ლაზმა…“ (თედორაძე, 1980: 35):

…ამშვენებდათ ცრემლები
ქალწულებს და დედებს.
ერთმა მანდილოსანმა
ჩამოიღო ფანდური,
ლაზიკაზე იმღერა
სევდიანი ქართულით.
აგვაცრემლა და უცებ
მოსჭრა ლხინის თარგზე:
– კიდევ ერთი ლექსი
დაწერეთო სარფზე!

გვჯერა, კიდევაც დაწერს პოეტი გულშიჩამწვდომ ლექსებს სარფზე, ლაზებზე, ლაზიკაზე, გარდასულ დროთა დიდებაზეც და, იქნებ, ღმერთმაც ინებოს, გამთლიანდეს მთელი ჩვენი ქვეყანა და შუაგაყოფილი სოფლის სევდაც ისტორიას ჩაბარდეს…

„...ახირებულად მძულდა საღამო“

მე,
სხვათა შორის,
მზის მოტრფიალეს,
ახირებულად მძულდა
საღამო.

დავით თედორაძე

სამყაროს შემეცნების პირველივე ნაბიჯებიდან მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის კულტურაში უზენაესი ღვთაება მზე სითბოს, სიცოცხლის, ენერგიის, ხედვისა და შეგრძნება-შემეცნების ტრადიციული სიმბოლოა; მითოსური მსოფლგაგებიდან დღემდე ასტრალურ სხეულთაგან უპირატესია მზე, რომელიც იმთავითვე დედად – ყოველგვარი სიკეთის საწყისად შერაცხა ჩვენმა წარმართმა წინაპარმა: „მზე დედაა ჩემი!“ – ეს ხმამაღალი განაცხადია სიცოცხლისა და წინსვლისაკენ სწრაფვის სურვილით გულანთებული ქართველური ტომებისა, ღრმა წარსულიდან მომდინარე და ყველა ისტორიული ეპოქისათვის მისაღები და სავარგო. მზე – სამყაროს შემოქმედის მიერ სიცოცხლისა და სინათლის წყაროდ შექმნილი, ყოვლისმხილველი თვალი დემიურგისა, ქრისტიანული კონფესიისათვის თავად მაცხოვარია, „სიმართლის მზედ“ წოდებული. არც ის არის შემთხვევითი, რომ მეგრულში სიტყვები „მზე“ და „რძე“ ერთი ლექსემით – „ბჟა“ – გამოიხატება. ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ღამით მიწაზე რძეს ასხამდნენ და სჯეროდათ, რომ ამით მზეს ამოსვლაში ეხმარებოდნენ...

ძველეგვიპტელებმა ააგეს მზის საკულტო ქალაქი ჰელიოპოლისი (ახლანდელი „ელ-მატარია“), სადაც ფარაონმა ეხნატონმა (მე-15 ს. ჩვ. წ-მდე), მანამდე ასებული 3000 ღვთაების ნაცვლად, ერთადერთ ეგვიპტურ ღვთაებად მზის ღვთაება („ამონ-რა“) გამოაცხადა; მზიური წარმომავლობისად ითლებოდნენ ირანის მეფეებიც, მაგრამ მზისადმი მიძღვნილ არქაულ მისტერიებსა და ჰიმნებს შორის, ალბათ, ობოლი მარგალიტივით ბრწყინავს სვანთა წინაპრების – სანიგებისა და ჰენიოხების – მიერ შექმნილი და უხსოვარი დროიდან მომდინარე საგალობელი უზეშთაესი ღვთაებისა – „ლილეო“... აკი კოლხეთის მეფე აიეტიც „ჰელიოსის შვილად“ მოიხსენიება და რა გასაკვირია, რომ მზის ქალური, დედობრივი საწყისი გახდა საფუძველი საერთოქართული (და საერთოკავკასიურიც) ღვთაების – „დიდი დედის“ წარმართული კულტისა...

არც ის არის გასაოცარი, რომ დავით თედორაძისათვის – პოეტისათვის, რომლის მშობლიურ ქალაქს „წვიმიანი მზიანეთი“ შეარქვეს, მზე უპირველესი სიყვარულით აღბეჭდილი ფენომენია, ყველაზე და ყველაფერზე სანუკვარია და, თუ რამ მოერევა, ეს მზეზე დარდია მხოლოდ:

მომწონს ქარების წივილი,
წვიმაც,
სეტყვაც და
ბარდნაც...
და მაინც დიდი ტკივილით
დამამხო მზეზე დარდმა.
(თედორაძე, 2015: 8)

„წვიმიან მზიანეთად“ მონათლული ქალაქის მკვიდრი პოეტი, რომელსაც ბათუმური წვიმა სულაც არ აკვირვებს, მაინც ცის წარბის გახსნისა და მზის მომლოდინედ რჩება:

წვიმს –
ბათუმს წვიმა როდის უკვირდა,
ცა წარბის გახსნას არც კი აპირებს,

ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე – სიხარულით რომ ამატიროს!
(თედორაძე, 1995: 254)

მზეს – სიცოცხლისა და სიხალისის დაუშრეტელ წყაროს ელოდება პოეტი და შესთხოვს ზეცას:

ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და სიცოცხლეს მიეც ხალისი,
დაბრუნდებიან სიყრმის სიზმრები
და სიყვარულიც მოვა თავისით.
(თედორაძე, 1995: 254)

პოეტს არ მოსწონს, წვიმისას სახლებში შეყუჟული ქალაქი, მისი სტიქიაა ახმაურებულ-აგალობებული ბათუმი – სიყვარულის, სიმღერების, ღიმილის მფრქვევი და ეს ყოველივე კი მზის გამოჩენას მოჰყვება ხოლმე; ამიტომაც ასეთი დაჟინებულია პოეტის ვედრება უზენაესისადმი:

...ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და ქალაქი ამიგალობე!
(თედორაძე, 1995: 254)

ლექსში „ჩანს ბათუმი“ (თედორაძე, 1999: 207) მგოსანი აგვიწერს ჩამავალი მზის ხანძრით აბდღვიალებულ ზღვას, რომელიც ბათუმს მიწიერ სამოთხეს ამსგავსებს:

ჩამავალ მზის ხანძარი
გასჩენია ზღვას...
ჩანს ბათუმი
სიმაღლიდან, –
სამოთხეა,
სამოთხეა!
მიხმეთ, მიხმეთ ანგელოზებს!..

ძველი წარმართის დარად ელტვის და უგალობს პოეტის ლირიკული გმირი ოქროსფერ მნათობს – დედა მზეს, რათა გაბრ-

წყინდეს, გაათბოს, გაალღოს, სიცოცხლის ძალითა და წყურვილით აღავსოს მამულის ბაღში „დარდების გამყიდველად“ ჩამდგარი გულანთებული პოეტი:

მზეო,
ამოდი,
გაბრწყინდი,
გამათბე,
გამალაღე!..
ბაღში ვდგავარ და
დარდს ვყიდი,
მყიდველი დამანახე!
(თედორაძე, 2015: 8)

ეს ღაღადისი ოცდამეერთე საუკუნის პოეტისა ორგანულად ეხმიანება და ერწყმის ძველთაგან კოსმოსში გაბნეულ წინაპართა ლოცვა-ვედრებას:

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა!
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი, აგერ გორავსა!
(ქ. ხ. ს., 1970: 37)

ანდა:

ლილევოდა, დიდება შენდა,
დიდება შენდა, ზეციურო!..
(„ირინოლა“, 1968: 11)

ქართული ფოლკლორული ტრადიციის თანახმად, მზე ქვეყნის სანთელია:

...იკურთხოს შენი გამჩენი,
შენა ხარ ქვეყნის სანთელი!
(ქ. ხ. პ., 1972: 80)

ეპიკურ ნაწარმოებთა გმირები მზის სიმბოლიკის მატარებლები არიან (ამირანს ოქროს კბილი აქვს); მზის პირის ნაბანი უკვდავების წამალია; მზე პერსონიფიცირებულია, ადამიანური თვისებები მიეწერება, რადგანაც ამ უზენაესი ღვთაებისადმი სწრაფვა, მისი მადლისა და მფარველობის მოპოვება, ადამიანთა მუდმივი სანუკვარი ოცნება იყო. პოეტი დავით თედორაძე – ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი გულთამხილავი და სიკეთის მკრეფავი – ადამიანებშიც ეძებს მზეს; თავად მზისგულა, მზეს მინდობილი მგოსანი, ყველას მოუწოდებს, ერთად გაამზეურონ გულები, მზეზე გამოფინონ; გულით მოუხმობს სტუმარს, რომელსაც საქართველოში ოდითგან ღვთისაგან გამოგზავნილად სთვლიან:

...თვალიც ამომიღამდება
მოლოდინში სტუმრების.
ბახუსიც ვერ დამიწუნებს
ამ წალკოტს და ამ ღვინოს!
სად ხარ?
სად ხარ?
ღმერთის კაცო,
გული მზეზე გავფინოთ!
(თედორაძე, 2019: 50)

დავით თედორაძის ლირიკაში უმზეობა მოწყენის, უხალისობის მიზეზია:

მარტია,
საჭიკარტია
ნისლმა ჩაიკრა, ჩაბელა –
აღარ გვაღირსა წარმტაცმა
მზემ მწველი თვალის გახელა.
მოწყენილია სოფელი...
(თედორაძე, 2015: 19)

მზის სხივებით სავსე გულის პოეტი ეტრფის დედა-მნათობს და სძულს ბინდი:

მე, სხვათა შორის,
მზის მოტრფიალეს,
ახირებულად მძულდა საღამო, –

წერს დავით თედორაძე ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში „მამულის ცაზე ვარსკვლავები მუდამ ინათებს“; მზეს ელტვის, მზეს ეფიცხება მისი პოეზიის ლირიკული გმირი, ტკბება მისი სითბო-სინათლით და, როგორც ჭეშმარიტ მლოცველს შეეფერება, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე, უხმაუროდ უნთებს სანთელს უზენაეს ღვთაებას და აღავლენს ლოცვას:

ვტკბები მზით და მლოცველივით უხმაუროდ
ვმსახურობ და ვუნთებ სანთელს...
(თედორაძე, 1977: 42)

მზისადმი სწრაფვა, მისი ყოვლისმომცველი სიკეთის სხივებში ლივლივი, პოეტისათვის სულიერი აღმასვლის აუცილებელი პირობაა, სხვანაირად ვერ იქნება ისე ლაღი, ისე თამამი და უმწიკვლო შეყვარებული, თუ მზესთან არ არის წილნაყარი. ერთ-ერთ მშვენიერ ლექსში „რას მეტყვი მზის მახარობელს“ დავით თედორაძე სახალხოდ ამხელს საიდუმლოს, რაც მისეულ სატრფიალო ლირიკას უაღრესად ორიგინალურ ხიბლს მატებს, ალამაზებს, რაც ესოდენ უნდა ასულდგმულებდეს ჭეშმარიტ მიჯნურს, მით უფრო – პოეტს, და ყოველივე ამისათვის კი უმთავრესია მზის სხივებით გაბრწყინდეს სული:

სიყვარული არა მწამს,
თუ ვერ გაგალამაზებს,
თუ სულს ვერ აგიყვავებს
ბულბულების გალობა...
მთელი ჩემი სიცოცხლე
ცხოველ სხივებს ვპარავ მზეს...
(თედორაძე, 2015: 130)

„ვარდის ფურცლობის“ მიზეზთა მიზეზიც ხომ მზეა და დიდი რუსთველიდან მოყოლებული, ეს პოეტური სახე მიჯნურობის,

ურთიერთგანდობის სიმბოლურ დროდ და პაემნად აღიქმება, როგორც მზისა და ვარდის თანხვდენილობის შედეგად ყვავილთა დედოფლის გამობრწყინება. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ გამიჯნურებული პოეტი, რომელიც მზის სხივებით არის აღვსილი, რომლის სულშიც მზე დარობს, ამაყად აცხადებს:

ვარდის ფურცლობის დრო არის,
სულში მზეა და დარია,
თვალი სულ შენსკენ მიჭირავს,
სულ შენსკენ მომიხარია.
(თედორაძე, 2015: 130)

პოეტის ლირიკული გმირი წუხს, ვაითუ სატრფოს გზა-კვალი აერიოს, ფონი ვერ მონახოსო, თუმცა უზენაესი მზეა თავდები და, რაკი გამოჩნდება ცის კაბადონზე, რაკი ქალაქში მზის საგალობელი ისმის, სულიც მზეობს და მიჯნურისგანაც სასურველ პასუხს ელის, რადგანაც თავადაც ხომ მზის მაცნე-მახარობელია:

მზე,
მზე ანათებს,
ქალაქში
მზის საგალობელს გალობენ,
აყვავდა სული,
მიყვარხარ!
რას მეტყვი
მზის მახარობელს?
(თედორაძე, 2015: 131)

დავით თედორაძის სატრფიალო ლირიკის თანახმად, უბეში მზეჩაბუდებულია სატრფოც; ეს ის მზესთან წილნაყარობაა, რაც ესოდენ ხშირად გვხვდება ხალხურ ლირიკულ ლექსებსა თუ ეპიკურ ქმნილებებში და რაც პოეტისეულ მიჯნურობის ხატებას კიდევ უფრო მეტ ფიზიკურსა და სულიერ მომხიბვლელობას სძენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე
უბეში ჩაგისვამს და,
აღზევებული,
სხვა საუფლოში
არც აპირებს
თვალის გახელას.
(თედორაძე, 1995: 229)

მარად მზის მძებნელი, მზის კვალზე მავალი პოეტი მშობლიურ მთებშიც მზეს შეჰღაღადებს, სულს ივსებს მისი შუქით, სიუხვითა და სიანკარით, მზით შემოსილ აჭარის მთიანეთს ესალბუნება:

სული ივსება მზით და
სიუხვით, სიანკარით,
. . . . . .
კვლავ ვეფერები ქედას,
შუახევსა და ხულოს,
რომ ყვავილობდე მარად,
მზით შემოსილო სულო!
(თედორაძე, 2015: 191)

მზე – ძველთაგან უპირველეს ღვთაებად შერაცხილი, მარადიული კოსმიური ჩირაღდანი, მანათობელი სანთელი მრავალფეროვან მხატვრულ წარმოსახვათა მანტიას ირგებს და მაინც მისი ფუნქციური მრავალმხრივობიდან ის სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემის გამომხატველ მეტაფორად ჩამოყალიბდა; დავით თედორაძის უაღრესად თვითმყოფად პოეზიაში ის სასურველი, მრავალგზის ნაფიქრ-ნალოლიავები სტრიქონების სიმბოლოდაც გვევლინება; პოეტის სურვილია, მზიანობა არ მოაკლდეს მის ლექსებს, მზითა და სიცოცხლით აღავსოს და დააფრთიანოს; იცის მგოსანმა, კარგად იცის, რომ თვით მასშია მზიურობა, მის სულში ბინადრობს ჩახჩახა მზე და „მზის სტრიქონებზე“ მეოცნებეა, მზით, მისი მადლით სურს იაროს ამქვეყნად:

...ვიდრე ამქვეყნად ვიქნები,
გზა უნდა გამიმზიანოთ! –

მიმართავს იგი თავის ნაამაგარ ლექსთა სტრიქონებს. დაე, მზის მადლი არ მოჰკლებოდეს დავით თედორაძის გულსა და სულში ჩამწვდომ, მზეს მიფიცხებულსა და მინდობილ პოეზიას! დაე, მუდმივად მზის ორბიტაზე ეტრიალოს და, როგორც ხევსურები იტყვიან, „მზის საფიცარი ნუ დაელევის!“

„არაფერი არ ყოფილა...“

არაფერი არ ყოფილა
ცქერა ცის და მიწის,
სული სულთან თუ არ მივა,
გული თუ არ იწვის,
თუ არ გადაისარკება
ოცნებათა რკალი
უცაბედად მოვარდნილი
სიყვარულის ძალით.

დავით თედორაძე

დავით თედორაძის უაღრესად მრავალფეროვანი პოეტური პალიტრის ერთ-ერთი კაშკაშა ფერი სიყვარულია. ყველგან და ყველაფერში სიყვარულის მძებნელი და თავადაც სიყვარულის მთესველი შემოქმედი „ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარის“ უბადლო ტრუბადურია. უხინჯო გულის, უმდიდრესი სულისა და უზენაესი მისწრაფებების პოეტი იმთავივე დარწმუნებულია, რომ უფალი მას აუცილებლად დააჯილდოვებს სიყვარულით. ლექსში „ყვავილების გზაზე ვდგავარ“ (თედორაძე, 1999: 290-291) იგი წერს:

როგორც ამოვარდნა ქარის,
ანდა თებერვალში თოვა,
მეწყერის და წყალის ძალით,
ჩემთან სიყვარული მოვა.

სჯერა და ეძებს, ხოლო ვინც ეძებს, პოულობს კიდეც:

ასე მწამს და
ასე გეძებ,
უშენობა არ იქნება,
გეძებ,
სანამ მზეს შევხარი,
სანამ ეს მზე ჩამიქრება.

ლექსზე ძვირფასი პოეტს რა გააჩნია და სურს, სიყვარულით სავსე სტრიქონებით გააგონოს გულისთქმა სატრფოს:

ბევრი მახსოვს სახალისო
თიბათვე და ღვინობისთვე,
სჯერა მაინც მაღალისო
გულს და
გული ვერ მოითმენს
უშენობას, სიყვარულო,
ჩემი ყრმობის კაბადონო,
მინდა, ლექსმა იხმაუროს,
თან გულისთქმა გაგაგონოს,
გაგაგონოს,
გაგაგონოს!
თან გულისთქმა გაგაგონოს!

ამ უაღრესად ჟღერად ლექსშიც, როგორც პოეტს სჩვევია, მიჯნურობის მთელი ფილოსოფია სულ ორ ლაკონურ სტრიქონ-შია ჩატეული:

მიჯნურობას არ ჰყოლია
შეგირდი და შერმანდინი...

არც მას სჭირდება შეგირდი და შემწე, ყვავილების გზა ეგულება მეგზურად სატრფოს გულამდე:

ყვავილების გზა მგონია,
სიყვარულო,
შენამდი.

ამიტომაც ყვავილების გზაზე დამდგარა მეოცნებე რაინდივით და სამოთხეს სიყვარულში ეძიებს:

ყვავილების გზაზე ვდგავარ,
სულიც აქვე ამომხდეს! –
მეოცნებე რაინდს ვგავარ,
ვეძებ შენში სამოთხეს.

სიყვარულის ფენომენს პოეტი მოკლედ და ლაპიდარულად ახასიათებს ლექსში „სულს შევავედრებ ძველ მიჯნურს“:

სიყვარულს?!
წერტილი!
ეს არც ასაკის ბრალია,
არც დაღლის,
არცა ღალატის!
გისმენ,
სიმშვიდე მომვარდა,
დამიპყრო ძალისძალათი...
(თედორაძე, 2015: 187)

დავით თედორაძის სატრფიალო ლირიკა უპირველესად იმით არის მომხიბლავი და საინტერესო, რომ ვერსად შეხვდებით სიტყვებს „მიყვარხარ“, „სატრფოვ“, „მიჯნურო“ და სხვა, ქალისადმი ვაჟის გრძნობის გამომხატველ ბანალურ სიტყვებსა თუ ფრაზებს. აქ მხოლოდ შედეგზეა საუბარი, იმ ყოვლისმომცველ, სიცოცხლისა და ბედნიერების ტკბილ-მწარე ელექსირზე, რასაც ეს ღვთაებრივი გრძნობა იწვევს ადამიანში და განა შეიძლება, არ აღმოხდეს შეყვარებულ პოეტს:

ჩამოღამებულ სულში ინათა
და, როგორც ზღვაში

ჩაძირულ ხომალდს,
შენს სუნთქვას ვეძებ ახლა...
(თედორაძე, 1995: 248)

სიყვარულის ღვთაებრივი განცდა უდიდესი სამომავლო იმედებით ავსებს პოეტს, რომელსაც არ უყვარს დუმილი:

ჩვენ გადავივლით ჟამთასვლის ბექობს
საყვირებით და სხვა საკრავებით;
როგორც უნაზეს ფრესკას გელათის,
გეცმევა ჩემი სულის პერანგი,
როგორც ღიმილი ანგელოზების,
სავსე იქნები მზით და ოცნებით.
ჩამოღამებულ სულში ინათა,
წაიღე გული!..

პოეტის ლირიკულ გმირს სწამს, რომ სიყვარული მარადიული ღვთივკურთხეული გრძნობაა:

კურთხეულია
სიყვარული
ყოველთვის, მაიკლ!..
(თედორაძე, 2015: 104)

არც სატრფოს გარეგნული პორტრეტის ვრცელი ეპოპეა ახასიათებს დავით თედორაძის ლირიკულ გმირს; ბრძენი სახალხო მთქმელის დარად, ერთი პატარა შტრიხიც საკმარისია, რომ წარმოაჩინოს ადრესატის ღვთაებრივ-დედოფლური იერი:

მობრძანდები, მოგყვება
მამრთა ასი თვალი,
დამიჩრდილე ფრესკები,
ასჯერ დედოფალო!
(თედორაძე, 2015: 120)

პოეტისათვის ზეაღმატებულია ხილვა ამაყი, თავისთავადი მშვენიერებისა, არავის რომ არ „აწონებს თავს და ისე ბუნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივად მოაბიჯეებს თვალხარბ დედამიწელთა შორის, როგორც – უფლის რჩეული, ციდან რომ ესმის მგალობელთა ჰანგები:

გატყობ, არვის ამჩნევ და
გატყობ, არვინ გინდა,
მგალობლების გალობა
გესმის მხოლოდ ციდან...
(თედორაძე, 2015: 120)

უმშვენიერესი, თვალებში მზეჩამდგარი სატრფოს ხიბლის წარმოსაჩენად პოეტს, მართლაც, არ სჭირდება ფერთა პალიტრის უხვად გახარჯვა – სულ პატარა ნიუანსი, სულ პატარა შტრიხი და სული გრძნობას ვეღარ დაიტევს, გული სხვისთვის ვეღარ გაიმეტებს:

დადიხარ და
მირონივით
აკმევ სურნელს მკათათვის,
სუნთქვასავით მსუბუქი ხარ,
გრძნობას სული ვერ იტევს...
თვალებში მზე ჩაგდგომია,
სხეულს გიწვავს ბადაგი...
მომკალ თეთრი ღამეებით,
აწ ფიქრს გამოვერიდე,
გულმა როგორ გაგიმეტოს,
როგორ დაგთმოს სხვათათვის!
(თედორაძე, 1995: 240)

ანდა:

მზე,
მზე უბეში ჩაგისვამს და, აღზევებული,
სხვა საუფლოში
არც აპირებ თვალის გახელას.
(თედორაძე, 2015: 171)

პოეტ დავით თედორაძისათვის ქალი სამყაროს ყვავილია, რომელსაც გაგება და გაფრთხილება სჭირდება. ლექსში „ყვავილი ქარში“ (თედორაძე, 2004: 292) პოეტი ქარს მინდობილ ყვავილს კაცს მინდობილ ქალს ადარებს და ცხადად ესმის უხეში ქარისაგან დაბუბნილი ყვავილის კვნესა, რაც პოეტისათვის ქალის კვნესის ტოლფასია და ამ პატარა, საოცარი ფილოსოფიით გაჟღენთილი ლექსის ზეადამიანური გზავნილიც შესაბამისია: „უნდა გაუგო ყვავილს და უნდა გესმოდეს ქალისაც“:

ქარს ნებდებოდა ყვავილი
კაცს მოწყურებულ ქალივით,
ქარი მოჰგავდა ჯაყოსა,
დაბუბნა, კი არ აკოცა!
კვნესა აღმოხდა ყვავილსა,
ქალისას ჰგავდა, ქალისას...
უნდა გაუგო ყვავილს და
უნდა გესმოდეს ქალისაც.

პირად ცხოვრებაში უაღრესად მოკრძალებული, დახვეწილი პოეტის ლირიკული გმირიც ასევე მორიდებულია სატრფოსთან, თუმცა, ნატრობს, სიზმრად იხილოს გულისსწორი, „ფიქრებს აწყობს“ და ხვდება, რომ უმისობა შეუძლებელია და მაშინ პოეტის ქნარს სიჩუმე აღარ ძალუძს:

ჩაუგორდა სურვილს ნატვრა,
შენ რას ფიქრობ, ნეტა, ახლა...
ნეტა, ახლა შენს ბაგეებს დამაკონა!
ნეტა, ახლა,
ნეტა, ახლა შენგან თქმული –
მინდიხარო, – გამაგონა!..
გნახავ, სული აივსება,
გათბება და გაიშლება...
(თედორაძე, 2019: 185)

ჯერ კიდევ პირველ პოეტურ კრებულში „ბეწვის ხიდი“ გააჟღერა სრულიად ახალგაზრდა მეოცნებე პოეტმა უპასუხო სიყ-

ვარულით გამოწვეული განცდები ლექსში „ფიქრი ზამთრის მიწურულს“ (თედორაძე, 1977: 45). ეს არის გაზაფხულის პირას, თოვლის დნობისას, საწვეთურების მონოტონურ ხმას აყოლილი მეოცნებე კაცის მონატრება უკარება გულისსწორისა:

მალე აღარსად იქნება თოვლი,
მიეძალება ხეებს კვირტები,
მე, მეოცნებე თავისთავადი,
შენ გაზაფხულის დღეებს გპირდები,
თუმც, მიბარბაცებს ჭორი საჯაროდ
და შენ მისტუმრებ სადღაც უარით...
და რჩები ცივი კილიმანჯარო –
ასე შორი და გარდაუვალი.

შეყვარებული პოეტი, რომლის გულსა და გუნებას სატრფოსადმი ლტოლვის გარდა, სხვა, კიდევ უფრო დიდი, სიყვარული და პასუხისმგებლობა აქვს გაცნობიერებული, სრულიად ალალად და გულუბრყვილოდ ამოიძახებს გულზვიადი მიჯნურის მისამართით:

სამშობლოს გამო მქონდა ჭრილობა,
წყენაც, ტკივილიც ვმალე,
ახლა შენ აკლდი ჩემს უძილობას,
დარდით დაბინდულ თვალებს!
(თედორაძე, 2019: 45)

ეს უიშვიათესი, ალბათ, უპრეცედენტო აღსარებაა სამშობლოზე მოდარდე მგოსნისა, უეცრად რომ დასცხრომია მიჯნურობის ქარბორბალაც, მით უფრო, თუკი მიუწვდომელია და ესეც გააზრებული აქვს პოეტს:

რომც მოგეფერო, რომც გაღიარო
ჩემი სიმღერის ლიბოდ,
ისევ და ისევ, გულნაღვლიანმა,
გული გულდაგულ ვქლიბო,

ვერ მოგიპოვებ, შენი წადილი
სხვა მზეს, სხვა სივრცეს ერთვის...
„რა ლამაზია მაინც ამ დილით!“ –
ვფიქრობ, სულ ვფიქრობ ჩემთვის.
(თედორაძე, 2019: 45)

დავით თედორაძის პოეზია, რა თემასაც უნდა ეხებოდეს იგი, სავსეა პრობლემებისადმი ფილოსოფიური ჭვრეტით და არც სატრფიალო ლირიკას აკლებს ამ სიკეთეს, მისეული შემეცნებით გადმოგვცემს ამ მარადიული გრძნობის არსს. ლექსში „გულმა როგორ გაგიმეტოს“ (თედორაძე, 2019: 190) პოეტის ლირიკული გმირი, რომლის სულიც გრძნობას ვეღარ იტევს, როცა მზიანთვალება სატრფოს შესცქერის, განა, მრავალთა მსგავსად, მიეჭრება და სიყვარულის ახსნას იწყებს, ის უღრმავდება ყოვლისმომცველ გრძნობას, აგრერიგად რომ შეცვალა მისი ცხოვრება, თეთრად რომ ათენებინა ღამეები და ამგვარ ფილოსოფიურ დასკვნას გვთავაზობს:

არაფერი არ ყოფილა,
ცქერა ცის და მიწის,
სული სულთან თუ არ მივა,
გული თუ არ იწვის,
თუ არ გადაისარკება
ოცნებათა რკალი
უცაბედად მოვარდნილი
სიყვარულის ძალით.

ამიტომაც ამბობს პოეტი:

მე, სიყვარულით
მომსპარი და გაღმერთებული,
შენს სულში ვსახლობ,
სხვა სურვილი ჟამმა დაბელა.
(თედორაძე, 2015: 171)

ნარნარი, ნატიფი, ნაზი სატრფოს ერთი ყელის მოღერებაც კი შეყვარებული პოეტისათვის დიდთოვლობაგამოვლილი დედამი-

წის გამოღვიძებას, ზვავის გამრღვევი ღელის ქუხილის ტოლფასია:

...თითქოს, მიწას გაეღვიძა
დიდთოვლობის მერე,
თითქოს,
ზვავი გაირღვა და
დაიქუხა ღელემ,
სისხლი ამითამაშდება,
ყელს რომ მოიღერებ.

...და გამიჯნურებული პოეტი მშველელს უხმობს:

...ზევახ,
გახსენ მიჯნურთათვის
ბროლის კოშკის კარი!

ლექსი „გნატრობ“ (თედორაძე, 1980: 48) პოეტის მიერ სატრფოს სიზმრეული ხილვით გამოწვეული განცდებია, ზმნათა მძივებით აკინძული:

სიზმარში გნახულობ ხშირად,
მეფერები,
მაბრუებ,
მათრობ...
გამომეღვიძება,
თვალებს მივაბჯენ ჭერს და
გნატრობ.

დავით თედორაძის ლექსი „რას მეტყვი მზის მახარობელს“ (თედორაძე, 2015: 130-131) სიყვარულის ჭეშმარიტი საგალობელია; ეს მადლიანი, ადამიანთა გამაკეთილშობილებელი და, როგორც ბრძენმა შოთა რუსთველმა ბრძანა, ამამაღლებელი გრძნობა ლექსის ლირიკული გმირისათვის სილამაზის შეცნობის, სულის აყვავების სიმბოლოა:

სიყვარული არა მწამს,
თუ ვერ გაგალამაზებს,
თუ სულს ვერ აგიყვავებს
ბულბულების გალობა...

მზის მომღერალმა და მისი სხივების მოტრფიალე პოეტმა კი ამგვარი სიყვარულის გამხელა იცის:

მთელი ჩემი სიცოცხლე
ცხოველ სხივებს ვპარავ მზეს,
სხვა მინდოდა დამეწვა,
დამწვა შენმა ქალობამ...

ამ მშვენიერი ლექსის მომდევნო სტრიქონები შთაგონებულია ფშავში განთქმული მოლექსე ქალის – ხვარამზე სამუკაშვილის (სამუკათ ხვარამზის) სატრფიალო ლექსით „...სიყვარულმა და ნდომამა...“, რომელიც ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში:

სიყვარულმა და ნდომამა
სირცხვილ არ იცის ქალისა!
ნეტავი, ნისლად მაქცია,
გადმოვივლიდი ქარითა,
იქ დავიწყებდი წვიმასა,
საცა შენა ხნავ ხარითა!
(თსუფა, №1160)

დავით თედორაძის ლექსშიც ყელმოღერებული სატრფო ხვარამზედ არის სახელდებული და, როგორც ფშავში ნარჩევ ვაჟკაცებს სწვავდათ პირმშვენიერი მოლექსე ასულის ეშხი, ისე ელვასავით სწვავს ლექსის ლირიკულ გმირს სატრფოს სიტურფე:

ყელს მოიღერებს ხვარამზე,
თმა გათეთრდება ნატვრითა,
სიყვარულმა და სურვილმა
გული დაწვა და დაფლითა.

ქარმა წამიღოს უიღბლოდ,
ელვამ დამიწვას თვალები,
ჩემს სატირალში მოვიდნენ
სულ შენნაირი ქალები!

ლექსის ლირიკული გმირი უიმედო შეყვარებულია, თუმცა, გრძობას მაინც ვერ ფარავს და, იშველიებს რა ხალხური ანდაზის – „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“ – სიბრძნეს, გაზაფხულის ვარდებს აბრალებს, ისინი მაქეზებენო:

წყალწაღებულის ფიქრია,
მე რომ მჭირს,
მე რომ დაგეძებ,
რა ვქნა,
ვარდები ჰყვავიან,
რა ვქნა,
ვარდები მაქეზებს!

სიყვარულზე, გაზაფხულზე, ვარდზე საუბრისას შეუძლებელია, არ გაცოცხლდეს რუსთველისეული ფრაზა – „მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსვლა მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა“ – და უმალ სახეზე გვაქვს მეთორმეტე საუკუნიდან მომდინარე ღირსსახსოვარი ფრაზის ტრანსმისია, გადამდნარი თანამედროვე პოეტის ცეცხლოვანი შთაგონების ქურაში – და სრულიად ორიგინალური, ახლებური ფუნქციით დატვირთვა, ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის მადლიანი ფერუმარულით შეზავებული („თვალი სულ შენკენ მიჭირავს, ავდარია თუ დარია...“); არადა, გენიოს წინაპრისეულ სიტყვაზე უკეთ ვისი ასოციაცია მოფრინდებოდა, როცა შეყვარებული პოეტის შინაგანი განწყობის დასტურია საჭირო:

ვარდის ფურცლობის დროც არის,
სულში მზეა და დარია,
თვალი სულ შენკენ მიჭირავს,
სულ შენკენ მომიხარია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე,
მზე ანათებს,
ქალაქში
მზის საგალობელს გალობენ,
აყვავდა სული,
მიყვარხარ!
რას მეტყვი მზის მახარობელს?

სიყვარულს რომ დარდიანობა ახლავს, არახალია, თუმცა, დავით თედორაძის ლექსში – „წვიმა წვიმს და ნამი – არა“ (თედორაძე, 1999: 253-255), სიყვარულის მუდმივი თანამდევი ეს ლექსემა პოეტის ყოვლისშემძლე კალამმა უმთავრეს სამკაულად აქცია:

„წვიმა წვიმს და ნამი – არა“,
დამწვარ გულზე გადიაროს,
ღრუბელივით ჩამიარა,
სულს მიკლავს და ვდარდიანობ.
ვდარდიანობ,
ვდარდიანობ.
დარდმა დარდი შეიკედლა,
ფიქრი გამიბარდიანა,
სხვა გზა
ჩემთვის არსად არის,
შენთან მოვალ დარდიანა.
დარდიანა,
დარდიანა.

ლექსის ანდერძისებური სტროფი მომავალ ბედნიერ წყვილთა არსებობის სურვილია:

ცრემლი შუბლზე დამაპკურე,
რომ სიკვდილი ვაღიარო,
დამფალ ოთხგზის გასაყარზე,
გულზე წყვილმა გადიაროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიაროს,
გადიაროს!

ლექსის ლირიკული გმირის სული კი, სატრფოსაგან ვერშემ-ჩნეული, წვიმით გადათქორილი სავარდე და სავენახე მდელოს ედარება და პოეტი სინანულით ამბობს:

...ვხედავ წვიმით გადათქორილ
სავარდეს და სავენახეს,
ნეტა, ერთხელ, როგორც მიჯნურს,
მხოლოდ გულით დაგენახე!
დაგენახე, დაგენახე.

სევდიანი სიყვარულით ნაკარნახევი ელეგიაა ლექსი „ვდგა-ვარ და გამჩენს ვვედრი“ (თედორაძე, 2015: 135):

გულს შეეყარა ცხარედ
მოურჩენელი სენი...
წამომაბოდებს მწარედ
დამაქცევარი ენით:
რატო არა ხარ ჩემი!
რატო არა ვარ შენი!

სიყვარულის ქარტეხილებიანი გზის გავლის შუქ-ჩრდილებია გამოხატული დავით თედორაძის ლექსში „...მოჰგავს ფოლადის დნობას“ (თედორაძე, 2019: 165):

მოჰგავს ფოლადის დნობას
ჩემი შენდამი გრძნობა.

მქონდა განცდები მძიმე,
როცა ვკარგავდი იმედს.

ძლივსღა ვიგრძენი შვება,
სულში სინათლე წვება.

შენი მტევნებით თრობას
მიქადის წინათგრძნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით თედორაძის სატრფიალო ლირიკის ადრესატი შემკულია უმშვენიერესი პოეტური სამკაულებით, მეტაფორებით, შედარებებით; იგი ხან „ცისკრის ვარსკვლავია“, ხან – „ზღვას დაფენილი მზის სხივი“, ხან – „ცალს ჩამორჩენილი გნოლი“, რომლის სიტურფე აბრმავებს პოეტს, ძილს უფრთხობს თავისი მწველი თვალებით (თედორაძე, 1999: 256); გამიჯნურებული მგოსანი კი მუდამჟამს მზად არის სიყვარულისათვის და, როგორც დაგვალულ მიწას წყალი, ისე სწყურია სიყვარული:

სიზმრებში აგოგმანდები
ცალს ჩამორჩენილ გნოლივით...
სხვა რაღა გითხრა, მწყურიხარ
წყურვილით არგაგონილით!

ლექსში „ქალი სასწაულია“ (თედორაძე, 2015: 153) იგი წერს:

რა მაქვს სასინანულო,
რა მაქვს საწუწუნო,
მზად ვარ სასიყვარულოდ,
მზად ვარ საღიღინოდ...

და ისევ პოეტურ-ფილოსოფიური დასკვნა:

ვეძებ, ვუხმობ, მწყურია,
როგორს გვალვას – წყალი,
ქალი სასწაულია,
ცხოვრებაა ქალი!

მართალია, დიდმა შოთა რუსთველმა ბრძანა, „სიყვარულსა მალვა უნდაო“, მაგრამ დავით თედორაძის სატრფიალო ლექსის – „ასე ამოდის მარტში ყვავილი“ (თედორაძე, 2013: 321) – ლირიკულ გმირს სწამს, რომ სიყვარულს, რაც უნდა ბურუსი ფარავდეს, აუცილებლად გასთქვამენ შეყვარებულის თვალები, ის აუცილებლად ამომზეურდება, „ამოიკოკრება მზითა და სიხარულით“ გულის სალბუნად; ეს ისეთივე რეალობაა, როგორც „იღვიძებს დილით ცის ნამი“, როგორც „ამოდის მარტში ყვა-

ვილი“. – ასეთია პოეტისეული შემეცნება, მისეული სიყვარულის ფილოსოფია:

და ბოლოს ისევ გათქვეს თვალებმა,
ამ გრძნობის მიღმა რაც იმალება...
და, რაც ბურუსით იყო ფარული,
ამოიკოკრა მზით, სიხარულით.
შენც ამზეურდი, ამოანათე,
გულს უსალბუნე წყაროსთვალივით,
ასე იღვიძებს დილით ცის ნამი,
ასე ამოდის მარტში ყვავილი.
არ ვიცი, ახლა რა ცოდვას ვიდებ,
ან ტკბილ ოცნებას საით მივყვები,
ნეტა, ყოველთვის ჟრუანტელს მგვრიდეს
შენი თვალებით თქმული სიტყვები!

მიჯნურის მრავალრიცხოვან ეპითეტს შორის დავით თედორაძის სატრფიალო ლირიკაში ერთ-ერთი უპირატესია მზე, მზის თვალი, მზის სხივი. ლექსი „შემოანათებ მზის თვალივით“ (თედორაძე, 2015: 162), სწორედაც, მზის თვალივით მანათობელი სატრფოს მშვენებით არის გაბრწყინებული:

შემოანათებ მზის თვალივით,
მეც სიხარულით გავიწუწები...
შენს სილამაზეს არ აკლია ჯადო-მარილი,
გაიცინებ და ყვავილობენ ბაგე-ტუჩები.

ამ მზის თვალებით ხარობს პოეტი, ამ თვალთა სიხარულს ესალმება და ლოცავს:

არ დამანახოს შენს თვალებზე უფალმა ცრემლი,
თვალები შენი მოცქრიალე ისეც ტბებია,
თვალები ჩემი გულისწადილს ვერ უმხელს ვერვის,
თვალები ჩემი შენს სიხარულს ესალმებიან.

ზღვა დაუშრეტელი, მოზღვავებულ-მოძალებული და ხშირად უმართავი ძალების სიმბოლოა და უმეტეს კულტურებში სიცოც-

ხლის საწყისს უკავშირდება. მითოპოეტური წარმოსახვების თანახმად, ზღვა (ზოგადად, წყალი) სიცოცხლის წარმომშობი წიაღია და ქალურ საწყისთან – „დიდ დედასთან“ ასოცირდება; იმავდროულად მითოლოგიური ზღვა, ოკეანე, ამბივალენტური სიმბოლოა: მის იდუმალ სიღრმეში ათასი ჯურის ურჩხულები, ამოუცნობი არსებანი ბინადრობენ; ფსიქოანალიტიკოსების აზრითაც, ოკეანე ასოცირდება „კოლექტიურ არაცნობიერთან“, რომელიც სათავეა სულიერების მზისა; იმავე ანალოგიით აზვირთებულ ზღვას სიზმრებსა თუ პოეტურ მეტაფორებში უკავშირდება სულიერი შფოთვა, რაც ესოდენ ხშირია ქართულ პოეზიაშიც და რა გასაკვირია, რომ ზღვისპირელი პოეტი ზღვასთან მიმართებაში აღიქვამს ყოველგვარ ამქვეყნიურ ვნებათაღელვას; ეს მით უფრო თვალსაჩინოა სატრფიალო ლირიკაში, პოეტის განცდებისა თუ მიჯნურის სახე-სიმბოლოთა გადმოცემისას. ლექსში „ისემც გულმა იხაროს“ (თედორაძე, 1999: 261) სატრფოს მშვენიერებით აღფრთოვანებული პოეტი ამბობს:

როგორც შვენი
ზღვას და ზღვისპირს,
ისემც გულმა იხაროს,
ლამის მთების ჩანჩქერივით
სულში ჩამოიღვარო!..
როგორც შვენი
ზღვას და ზღვისპირს,
ისემც გულმა იხაროს!

დავით თედორაძის სატრფიალო ლირიკის გმირი სიყვარულთან მიმართებაში სულსწრაფია; ლექსში „დღეს სიყვარული უფრო მჭირდება“ (თედორაძე, 2015: 170) პოეტისეული აღსარებაა:

მე გავიარე ქრისტეს ასაკი,
ახლა ყოველ წუთს სიმძიმე ახლავს...
ქუჩაში მხვდება ლამაზი ქალი
და ვგრძნობ კეფაზე ბერდანკის დახლას...
ჩემს უბედურ დღეს ბევრი იტირებს,
ბედნიერებას არცვინ მპირდება,

ხვალ შეყვარებას ნუ დამიპირებთ,
დღეს სიყვარული ურო მჭირდება!

პოეტს ხიბლავს სათნოებასთან და მეფურ სიმშვიდესთან წილნაყარი, „ოდნავ დაფეთებული ქალის შემოხედვა“, ძველ ქართველ ბანოვანთა სადარი სიამაყე და შენატრის იმას, ვისაც ამგვარი ქალი გულს გაუხსნის:

მიყვარს ქალის შემოხედვა
ოდნავ დაფეთებულის...
შენ გშვენოდა სათნოება
და სიმშვიდე მეფური.
შენ გშვენოდა სიამაყე
ივერიის დედათა,
თითქოს შვიდი ანგელოზი,
შვიდი მეფე გებადა.
რა საყვარლად იღიმები,
რა საყვარლად საუბრობ!
ნეტა, ვისაც გულს გაუხსნი,
ცეცხლს მიართმევ ჩაუქრობს!
(თედორაძე, 2015: 184)

დავით თედორაძის სატრფიალო პოეზიის ლირიკული გმირი-სათვის უცხო არ ყოფილა გართობა-გატაცებანი, თუმცა, საბოლოოდ მაინც რუსთველისეულ ცნებას – „გული ერთსა დააჯეროს“ – ერთგულობს:

მე ვერთობოდი, საშინელი იყო გართობა,
იყო უსაზღვრო გატაცება,
შემკული გვემით...
უარი დამებს, სიყვარული, ძვირფასო, შენ ერთს,
სიწმინდეს შენსას,
სათნოებავ,
თაყვანი ჩემი!
(თედორაძე, 1995: 266)

ერთისადმი სიყვარულის ერთგულება პოეტმა გამოხატა შემდეგ სტრიქონებშიც:

ცა იყო თეთრი,
უსაზღვროდ თეთრი,
ქალაქიც თეთრად იყო ნაფერი,
მომწონდი, მაგრამ მიყვარდა ერთი,
მინდოდა ლექსი, სხვა – არაფერი...
(თედორაძე, 2015: 194)

წუთისოფლის აღმართ-დაღმართიანი გზები არც სიყვარულისათვის გადაშლილა მუდმივ მწვანე მდელოდ – არის ზეაღსვლაც, მზესთან ლაციციც და არის დაღმართიც, სიბნელეც და ნისლიც... პოეტის მგრძნობიარე სულის სიმები ერთხელაც თუ შერხეულა ტრფობის თითებით, სამარადისოდ ილექება ცნობიერებაში და, თუნდაც ოჯახურ სიმყუდროვეშიც, თავს იჩენს ხოლმე მამრისეული შეურიგებლობაც:

მას ახლა სძინავს ქმრის მკლავზე ტკბილად,
მეუღლეს უთბობს მხარს გაშლილ თმებით...
ფიქრობ და გულის სიღრმეში გტკივა...
(თედორაძე, 1999: 280)

ასეა ცხოვრება, თუმცა, პოეტისეული ფიქრი სხვაზე სათუთი და წმინდაა, ვერ იმშვენებს უარეს ხედვებს, ოღონდაც, მაინც არ ასვენებს კითხვა:

ან იმ ქალს შენთვის რა უნდა ეთქვა?
ან შენ რატომ ხარ ტრფობით დამწვარი?!
(თედორაძე, 2013: 301)

ამქვეყნად ყველაფერს თავისი დრო აქვს... მართალია, გალაკტიონ ტაბიძემ უკანასკნელი სიყვარულის ხიბლს დიდებული ჰიმნი მიუძღვნა და ბრძანა, „როგორც ყვავილი შემოდგომის ხშირად პირველს სჯობსო“, მაგრამ არც ის დავიწყებია, რომ ბოლო სიყვარულის ახლო სამომავლო პერსპექტივა მაინც მწუხარედ, უსიხარულოდ ჭკნობაა:

...და ჭკნება, ჭკნება სიყვარული
უკანასკნელი,
ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ
უსიხარულოდ...
(ტაბიძე, 1973: 47)

დავით თედორაძის პოეზიის ლირიკულმა გმირმა კი კარგად უწყის, რომ მიჯნურობა სიჭაბუკეშია ადვილი, მისი დაკარგვაც, შეიძლება, ადვილად გადაიტანო, სიჭარმაგეში კი „სიგიჟეს ჰგავს“:

მიჯნურობა
ადვილია სიჭაბუკეში...
ქალს დაკარგავ –
უფრო ლამაზს ეძებ ნუგეშით.
მე კი რა ვქნა?!
გულს რა ვუყო,
შენზე დაგეშილს?
მიჯნურობა
სიგიჟეს ჰგავს სიჭარმაგეში.
(თედორაძე, 2015: 197)

დავით თედორაძის პოეზიამ პირველი სიყვარულით გაფურჩქვნილი ცისა და საოცარი მთვარის ნათების ხიბლი ბოლომდე შეინარჩუნა; საქართველოში მშვენიერ ასულს რა გამოლევს, მაგრამ იმ ერთის მიმართ გაჩენილი წრფელი გრძნობის ერთგულება ნამდვილად ხელეწიფება პოეტს:

დღემდე მინახავს ქართველი ქალის
ბრწყინვალება და ლამაზი სული,
მაგრამ არასდროს, დღემდე არასდროს,
არ ავყოლივარ გრძნობებს და სურვილს...
მე ოცნებების ამარა დავრჩი
და ვიცი, გრძნობა სიდან მიყელებს,
პირველ სიყვარულს შევაკვდი ბავშვი,
ზღაპრული კოშკი ვერ ავიშენე!
(თედორაძე, 1980: 84)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც... იმედი, რომ ყველაფერი მოგვარდება, არასოდეს ტოვებს სატრფოს თანხმობის მომლოდინე პოეტს:

> და, თუ მეღირსა შენი დასტური,
> ჩასვენებული სულის ხვარამზევ,
> იქნები ერთადერთი ასული,
> ვინაც სიცოცხლეს გამილამაზებს.
> (თედორაძე, 1980: 85)

რომანტიკოსმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ბოლომდე ჩასწვდა რა სიყვარულის ტკბილ-მწარე არსს, აღიარა მისი ძალმოსილება, მაგრამ არც ის გამორჩენია, რომ შვებასთან ერთად, ჭმუნვის მიზეზიც არის („სიყვარულო, ძალსა შენსა“). ყოველი შეყვარებული ხომ მეტნაკლებად რომანტიკოსია, შეყვარებული პოეტი – მით უფრო და რა გასაკვირია, რომ განსაკუთრებულად მტკივნეულად განიცადოს დაკარგული სიყვარული. ვერც დავით თედორაძის სატრფიალო პოეზიის ლირიკული გმირი გადაურჩა ამ მწარე განცდას – ეჭვისა და ჭორის უფსკრულებში გადაჩეხილი ოდესღაც ფრთებგაშლილი სიყვარულის გარდაცვალებას. ლექსში „...შარშან...“ (თედორაძე, 2015: 180) პოეტი უდიდესი გულისტკივილით წერს გაუსაძლისი ტკივილისა და გლოვის თაობაზე, რაც სიყვარულის დაკარგვით არის გამოწვეული:

> შარშან
> სიყვარულმა,
> შენმა სიყვარულმა,
> ფრთები რომ ჰქონდა გაშლილი,
> ეჭვის და ჭორის უფსკრულებში
> დალია სული.
> როგორც უახლოეს მიცვალებულს,
> ღამეებს ვუთევ...

იმავე სევდის მტვირთველია ლექსი „მახსოვს და ცეცხლი მინთია“ (თედორაძე, 2004: 327). საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნა მზის ამოსვლისა და ცის გახსნის ტოლფასი იყო, მასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

განშორება კი ყინულეთად აქცევს ირგვლივ ყოველივეს და ბინდში შთანქავს წუთისოფელს:

მიყვარდი,
შენს საუფლოში
ამომდიოდა მზე,
დღეს ავერანებს ბალახი
შენკენ მომავალ გზებს.
მახსოვს თვალები ავაზის
და მკერდზე ტუჩი –
ურჩხული...
ცის გახსნა მახსოვს მრავალგზის
შენი უსაზღვრო ჩურჩულით.
მახსოვს და ცეცხლი მინთია,
ვარ ყინულეთის მფლობელი,
თვალწინ უსივრცო ბინდია,
ბინდში შთაინთქა სოფელი...

დაკარგული სიყვარულის ტრაგიკულ განცდასთან ერთად, დავით თედორაძის ღრმად ოპტიმისტური, უაღრესად ჰუმანური ლირიკისათვის დამახასიათებელია მონატრებაც და იმავდროულად გრძნობებთან გამკლავებაც – ოდესღაც ამაღლებული გრძნობისადმი მარადიული პატივისცემა მაშინაც კი, როცა ეს გრძნობა თოვლივით დნება. ლექსში „ვეჩვევი უშენობას“ (თედორაძე, 2015: 287) პოეტი მაღლდება პირად ტკივილებზე:

მტრედს ვატან მწარე წერილს –
სიტყვებს, აკინძულს მძივად.
ნეტა, ვის კარზე მღერი,
ვისი ტკივილი გტკივა!
სურვილი ერთად ყოფნის
თოვლივით იწყებს დნობას,
სიხარულს ვეღარ მომგვრი,
ვეჩვევი უშენობას.

ლექსი „ქარებს ვუსმინოთ“ (თედორაძე, 2015: 288) კიდევ ერთი გამონათებაა სულის სიძლიერისა – პოეტი სატრფოსთან ერთად უმშვენიერეს მაჭახლის ხეობაში ყოფნის სიყვარულით სავსე დღეს რომ იხსენებს, კვლავაც მისებური ფილოსოფიური დუმილით ცდილობს და ლექსის ადრესატსაც მოუწოდებს, ზედმეტი სიტყვებით არ შებღალონ მშვენიერი დღის მახსოვრობა:

მახსოვს, ჰო, მახსოვს და კიდევ დიდხანს
მემახსოვრება ის დღე, გულჩინო,
ახლა ერთმანეთს ნურაფერს ვკითხავთ,
გავიტრუნოთ და ქარებს ვუსმინოთ.

ამ დალოცვილ მზისქვეშეთში ხომ უკვალოდ არაფერი ქრება! არც ყოვლისმომცველი სიყვარულის გადაშენება-დავიწყებაა შესაძლებელი. ეს კარგად იცის დავით თედორაძის სატრფიალო პოეზიის ლირიკულმა გმირმა და ლექსში „სულს შევავედრებ ძველ მიჯნურს“ (თედორაძე, 2004: 329) ამბობს:

...სულს შევავედრებ ძველ მიჯნურს,
მივწერ სევდიან წერილებს,
ავმეტყველდები, სიბრძნის წიგნს
ისევ ის დამაწერინებს.

ამგვარი პოზიცია, ამგვარი განწყობა მარადი მიჯნურობის მადლით დაჯილდოებულ ადამიანთა ხვედრია ოდენ. მართლაც, დავით თედორაძე თავისი გულმართალი პოეზიით მარადიული მიჯნურია, კვლავაც იმ განცდათა ფერადოვან ალყაშია, ჭაბუკობისას რომ წერდა:

მიეძინება ყველას,
ღამე ოცნებას აშლის...
პატარძლებივით დგანან
გარეთ ხეები ვაშლის.
სიო შეარხევს ფოთლებს,
ელამუნება მინებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწინ მიდგახარ ახლა
და რაღა დამაძინებს!
(თედორაძე, 1977: 25)

მარადი მიჯნურის კალამს ეკუთვნის ლექსი-შედევრი“ სველი ზღარბები“ (თედორაძე, 1999: 257-258), რომელშიც დავით თედორაძემ მისებური, წვიმიანი ბათუმის ეშხით შეზავებული ალეგორიით გადმოგვცა სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალა, რაც ყველა სულდგმულს საწყის წერტილთან აბრუნებს მარად, ეს საწყისი კი იქ არის, სადაც შენთვის ძვირფასი ადამიანი გეგულება. მეგობრებთან პურობაში დათენებულლი ღამის შემდეგ, გამთენიისას, მოსულმა წვიმამ პალმებიც აატირა და „უწყინარი ღამის მდგმურები“ – ზღარბებიც გალუმპა, ბინებისაკენ რომ მიბაჯბაჯებენ; ოჯახში ბრუნდება შეზარხოშებული პოეტიც, რომელმაც სუფრაზე, „ცხრამეტი კაცის სიყვარული მოითარეშა“ და ყრმობის ულამაზეს წლებსა და სიყვარულს მისტირის. ზღარბებივით სველი, ისიც მიდის თავის შეუცვლელ სავანეში, რათა საყვარელი ადამიანის გვერდით ჰპოვოს შვება სულისა:

...მოვდივარ შენკენ,
საყვარელო,
სველი ზღარბივით,
ამავსე ცრემლით,
უძილობით,
საყვედურებით...

.

„ნუ გამითელავთ ყვავილებს...“

ნუ გამითელავთ
ყვავილებს და
ამ მწვანე ბალახს,
მომნატრებია
სოფელი და
ლაღად დავდივარ...
დავით თედორაძე

სამშობლო ქვეყნის ბუნება ოდითგან საიმედო თავშესაფარია ყოველგვარი შეუთავსებლობისაგან, საწუხარისაგან გასაქცევად, როგორც ბარათაშვილმა ბრძანა, „ფიქრთ განსართველად“. დავით თედორაძის ლირიკულ გმირს ზღვის მოტრფიალეთაგან სავსე და ახმაურებული ქალაქისაგან, „გულმავიწყი წვიმის ჯიბრზე“ თავდასაღწევად ნავსაყუდლად ეგულება ტყის სიმშვიდე და სიჩუმე, სადაც ბალახსაც კი არ ემძიმება. ლექსში „ჩემი აღალიდან“ (თედორაძე, 2015: 121) პოეტი წერს:

> გულმავიწყი წვიმის ჯიბრზე ტყის სიჩუმეს
> ვსტუმრობ,
> ო, ის ჩიტი ხუმარაა, დილის აქეთ ხუმრობს;
> მგალობლების ქორო მიყვარს – სულის სიხალისე,
> ბალახს აღარ ვემძიმები, მზით და ცით ავივსე.

აქ, ამ იდილიურ გარემოში, დაივანებს პოეტის მშფოთვარე სული, აქ ივსება საოცარი ძალით მითური ანტეოსივით, რათა ისევ დაიხარჯოს ქვეყნის სიყვარულში, მისადმი მსახურებაში.

პოეტის სათუთი მსოფლშეგრძნება ერთნაირად ელოლიავება მშობლიური მთა-ბარის ყველა ქმნილებას, დედამიწის მოსართავად რომ შეუქმნია არსთაგამრიგეს. ლექსი „ნეტავი შენ, ნეკერჩხალო!“ (თედორაძე, 1999: 248) ჟამთა ბრუნვისაგან ათასფრად აფერადებული ნეკერჩხლის ხისადმი ამ უზენაესი გრძნობის ჭეშმარიტი გამოხატულებაა:

ნეტავი შენ,
ნეკერჩხალო,
ნეტავი შენ!
როგორ გიხდება
ჟამთა ბრუნვა,
როგორ გიხდება!..

შემოდგომა გარკვეულ მინორულ განწყობას უქმნის პოეტის შთაგონებას – ლამაზია ოქროსფერი ტყის ხილვა, მაგრამ ჩამოსავარდნად გამზადებული „სისხლჩაქცეული ფოთლების წუხილი“ ოდინდელი ყოფნა-არყოფნის სევდის აღმძვრელია და ამ პრობლემის გადაწყვეტაში საწუხარი, უნდობარი, ვერმისაღები კაცობრიული უღონობაც კარგა ხნის აღიარებულია; ლექსში „ვერც რით ვუშველე“ (თედორაძე, 2015: 233) ამ ძველსა და მარად ახალ დილემაზე წუხს პოეტი:

მინდოდა,
მაგრამ ვერც რით ვუშველე
შემოდგომის ტყეს,
სისხლჩაქცეული ფოთლების წუხილს...
მინდოდა,
მაგრამ ვერც რით ვუშველე...

პოეტის სათუთ მზერას ყანას შესეული კალიების „რაინდობაც“ არ გამოპარვია და თავდახრილი თავთავების სევდაც გაუთავისებია:

ახლა ისეთი ჩუმი საღამოა,
თითქოსდა, მიწა ლოცვად გარინდულა...
ნახეს დრო კალიებმა,

ნახეს და...
ყანას შესევიან „რაინდულად“...
ვაიმე, თავდახრილი თავთავები
უპატრონოდ ხომ არ დაიგულეს?!
(თედორაძე, 1977: 28)

კავკასიონის მთაგრეხილი, საქართველოს დარაჯად რომ გაწოლილა, მრავალ ფიქრთა და მსოფლგაგებათა სიმბოლოდ ქცეულა ქართულ პოეზიაში... მის უმაღლეს მწვერვალს – იალბუზს, სისპეტაკის, მიუწვდომლობის მითური ხილვების თავშესაფარს, გულგრილი როდი დაუტოვებია დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირი – ეს მარადიული თანმდევი, უშრეტი ენერგიის მიმომფანტველი, მის ქვემოთ უფლის ნებით გადაშლილი ველ-მინდვრებით იშვიათ პოეტურ სახეთა შთაგონების წყაროა ამგვარი დიდებულების ხილვით მოხიბლული პოეტისათვის.

ლექსში „იალბუზი“(თედორაძე, 1999: 242-243) ფერმწერთაგან შესაშური საოცარი ვერბალური სურათი იხატება:

თითქოს სამოსს იხდიდა
ქალი მზეთუნახავი,
იმგვარად შორდებოდა
ნისლიცა და ღრუბელიც
იალბუზს და მთლიანად
კავკასიის ქედს.
. . . . . .
დაბლა მთები ცხვრებს ჰგავდნენ,
მაღლა – ცხენებს უბელოს,
გვერდით კიდევ – ასაფრენად
გამზადებულ მტრედს...

ბუნების ჭეშმარიტი ზეიმის – გაზაფხულის სისხლსავსე სურათი დაგვიხატა დავით თედორაძემ ლექსში „გაზაფხული“ (თედორაძე, 1999: 95-96):

ჩამოდნა, ჩამოილია
თოვლი ქმარმოკლულ ქალივით,

შემოგოგმანდა აპრილი
ტყემლების ფერუმარილით.
ჩიტებმა გამოზამთრება
ერთმანეთს სტვენით ახარეს
და სიხარულის ცრემლები
სველ მიწას გადმოაყარეს.

პოეტი უდიდესი სინაზითა და სითბოთი გვახედებს ყვავილებით მოქარგული მდელოსაკენ, სადაც „ფერადკოპლება პეპლები“ ნაზად ეფერებიან ყვავილებს; აზუზუნებული სკებისაკენ, სადაც გამრჯე ფუტკრების ფუსფუსია; სოფლის ერთ-ერთი სახასიათო პეიზაჟისაკენ, სადაც გამოფენილია ნახირი აჟღარუნებული ეჟვნებით; ბოჩოლებითა და ფურებით გალამაზებული ველ-მინდვრებისაკენ და არ შეიძლება, არ დაეთანხმო, რომ

მთას და ბარს, ზამთარგამოვლილს,
სულ სხვა ხიბლი და ფერი აქვს.

ამ ზღაპრული სილამაზის მხილველი კი, ბუნებრივია, გულწრფელსა და სიყვარულით სავსე სიმღერას მიუძღვნის ბუნების გამოღვიძებას:

...მღერიან გოგო-ბიჭები,
ემღერებათ და მღერიან.

მთა – მიწისა და ზეცის მტკიცე კავშირის ერთ-ერთი არქაული სიმბოლო, ადამიანთა ზესწრაფვის მატერიალური გამოხატულებაა და ვინ მოსთვლის, სამყაროს შეცნობის გზაზე რაოდენი სიმბოლიკით დატვირთა ბუნების ეს სიდიადე ადამიანის წარმოსახვამ!.. უპირატესი კი მაინც ის არის, რომ ცას მყარ კიბედ მიბჯენილი მთა – „ცის სვეტი“, ცისკენ აღმართული კიბე, როგორც საიმედო საყრდენი და ღმერთების სამეუფო, მსოფლიო და ქართულ მითოსურ მსოფლმხედველობაში წმინდა, კვრივი ადგილია, მასში ერთიანდება უზენაესი სულიერება, ზეშთაგონება, მადლი და იგავმიუწვდომელი სიძლიერე, სადამდეც მიწიერი სიბილწე ვერ აღწევს. მთის საკრალურობის უმნიშველოვანესი

მითოსური გამოხატულება ის არის, რომ უპირველესად სწორედ მასზე იყო აღმართული არქაულ რწმენა-წარმოდგენათა სიმბოლოები – კერპები და მონისტურ კონფესიათა სალოცავები – ეკლესიები და მონასტრები. ყველა ცივილიზაციას აქვს თავისი „წმინდა მთა“, რომელიც ღვთიური ნების გაცხადების ადგილია, ანდა – ღვთაებათა პანთეონი.

არქაული რწმენა-წარმოდგენების თანახმად, საქართველოში მრავალი მთაწმინდაა; როგორც მკვლევარი ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს, ყოველ მთაწმინდას თავისი წმინდა წარსული გააჩნია, თუმცა, დღემდე ფრაგმენტულად შემორჩა ხალხის მეხსიერებას. სწორედ ამ წარსულშია საძებარი „ერთ დროს არსებული წმინდა ანდრეზი, რომელშიც დაცული იქნებოდა კულტის, საკულტო ცხოვრების დასაბამის ამბავი“ (კიკნაძე, 1985: 178).

ამ არქაულ ნარატივთა სიმწირე-ფრაგმენტულობასა და ყოველ მათგანზე არსებული საკულტო ნაგებობათა მიღმა ბოლო დრომდე იკითხება მთის სიმბოლიკათა მთელი წყება, „მთას რაღაც ზედროული, აბსოლუტური განზომილება შემოაქვს ადამიანის ცხოვრებაში...“ (სიე, 2006: 146).

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ქართულ მწერლობაში ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი გამოჩნდნენ, მოაზროვნე ქართული საზოგადოების იმედიანი მზერა სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს მთისკენ მიემართა – იქიდან იღვრებოდა პირველქმნადობის უბიწოება და სისპეტაკე, გულწრფელობა და სამომავლო მუხტი, რაც აგრერიგად ესაჭიროებოდა უკვე ცივილიზაციის უხეში და ბილწი მტვრით ფილტვებდაავადებულ ბარს და მით უფრო – დედაქალაქს. სწორედ ამ მთის არწივებმა შესძინეს მთას ახალი საკრალური დანიშნულება – თავისუფლებისადმი სწრაფვა და ამ გზაზე უპირველესი საგზალი – შეუბღალავი ეროვნული სულიერება. ეს დიდი კულტურული რევოლუცია დღემდე გრძელდება, დღემდე მთა თავისი ზნეობრიობით ბარის მუდმივი შუქურაა და სრულიად ბუნებრივია, რომ დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირიც მუდმივად მთისკენ იმზირება – მთის ნამუსისკენ ლტოლვას გა-

ნიცდის, „სხვა კერპები ელანდება“, რადგანაც იქ, ღრუბლებთან ახლოს, დაუნჯებულია ჩვენთა წინაპართა ზნეკეთილობა, ადამიანურობა, საუკუნეობრივი გამოცდილება და სიბრძნე, რომელიც არ დაკარგულა, მთიელებმა შემოინახეს:

არაკს მეტყვი –
მეამება,
ჩემებურად მეც ჩემის მხრივ ვზომავ,
წარმართი ხარ,
სხვა კერპები გელანდება,
მთის ნამუსო – ლომანავ თუ ლომავ!
არაფერი იკარგება ჰაიჰარად,
შეავედრე დედაკაცებს ფუძე!
ო, რამდენმა ქარავანმა ჩაიარა
საქართველოს ალმოდებულ გულზე!
(თედორაძე, 2015: 222)

სულის საოხად, ეროვნული ენერგიის შესავსებად პოეტიც მთას მიაშურებს, რადგანაც იქ ეგულება დაულეველი მუხტი ქართველობისა, კაცურკაცობისა; იქ გადაიშლება გული წმინდა ჩანჩქერივით, იქ ყვავილობს ვაზი ჩვენს სისხლსა და ჩვენს რჯულში:

შემოდგომაა,
ჭალებს მოუკვეციათ თმები,
წამომდგომია თავზე
მთები,
მთები
და მთები...
მეც მთის სიმაღლეს ვნატრობ
და ჩანჩქერივით გულს ვშლი,
ვაზი ყვავილობს სისხლში,
ვაზი ყვავილობს რჯულში.
(თედორაძე, 2015: 190)

აქ, მთის სიწმინდეში, რომ დაივანებს სული, პოეტს ქალაქი ავიწყდება, რადგანაც „სული ივსება მზით და სიუხვით“ და მთელი გულით ეფერება მშობლიურ მთას:

სული ივსება მზით და
სიუხვით,
სიანკარით;
აღარც ქალაქი მახსოვს,
აღარც – ზღვა,
აღარც – ბარი...
კვლავ ვეფერები ქედას,
შუახევსა და ხულოს,
რომ ყვავილობდე მარად,
მზით შემოსილო სულო!
(თედორაძე, 2015: 191)

დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირი ბუნების მეს აიდუმლე და ტრფიალია. მისი ლექსების პირველივე კრებულში („ბეწვის ხიდი“, ბათუმი, 1977) დაბეჭდილი ლექსით „...ნუ გამითელავთ...“ ახალგაზრდა პოეტი, ქართული ხალხური მითოსის ცნობილი გმირის – ხოგაის მინდიასებრ ესათუთება მწვანე ბალახსა თუ ყვავილებს, რომელთა ხილვაც სულსა და გონებას უთბობს და კვლავ და კვლავ ანატრებს სოფელს, მის ხელშეუხებ, პირველქმნადობის მადლით ცხებულ გარემოს და ამგვარ სამოთხეში ერთადერთი თხოვნა აქვს ადამიანების მიმართ:

ნუ გამითელავთ
ყვავილებს და ამ მწვანე ბალახს,
მომნატრებია
სოფელი და ლაღად დავდივარ.
წყნეთელ ბიჭივით
გავაღვიძებ რიჟრაჟზე ქალაქს
და სოფლის მადლით ვუმკურნალებ
ყველა სატკივარს.

სოფელი – ყოველგვარი ადამიანური წუხილის მალამო, თბილი და გამტანი, უხვი და ავკარგიანი ქართული სოფელი დავით თედორაძისათვის ის შეუდარებელი სავანეა, სადაც არც ერთგულება გაქვს საძებარი და არც პირმომცინარე ბუნების ნაირფეროვნება. პოეტი ამაყია, რომ სოფლის პირმშოა, სოფელმა აღზარდა და ლექსში „...მე სოფლელი ვარ...“ (თედორაძე, 1980: 8-9) სიამაყით აცხადებს რა, სოფლელი ვარო, უიშვიათესი სიყვარულით ჩამოთვლის სოფლის ყველა სიკეთეს:

მე სოფლელი ვარ –
არა გულუბრყვილო და არა თავხედი,
ამ ბილიკს ვერაფრით ვარჩიე ქალაქი!
ის რად ღირს, წინაპრის საფლავს რომ დახედავ
და იცი, სადა გაქვს ძვალთშესალაგი.
ის რად ღირს, ზაფხულში რძიანი ცურებით
გაქეზებს ბუნება სულ პირმომცინარე.
მეზობლად სახლობენ შენი ერთგულები
და ყოველ ცისმარე ლოცავენ წინაპრებს.
ის რად ღირს, ბავშვი რომ ეზოში გაივლის,
ჭიშკართან წკმუტუნით შეგხვდება ნაგაზი...

მართლაც, ამ იდილიურ სამყაროში, სოფელი რომ უწოდა ქართველმა და, იმავდროულად, მთელი სამყაროს, მსოფლიოს სინონიმიც რომ არის, ყველაფერია იმისათვის, რომ ადამიანს აღმატებული განწყობა დაეუფლოს:

იდუმლად დაგათრობს სურნელი ყვავილის,
გწყურია სიცოცხლე, სიმღერა ლამაზი
ამოვა გულიდან, უცინი სამყაროს...
გგონია, თავადაც გიცინის მთა-გორი,
დღე ღამეს შეხვდება, ვით გოგო – საქმაროს,
ბაღნარებს შეაკრთობს სიოთა ამბორი,
რიჟრაჟზე იყივლებს ათასი მამალი,
ნახირი დილის მზეს შეხვდება ბღავილით.
ორღობეს ჩაივლის ბატების ამალა,
თვალ-წამწამს შეიშრობს წერწეტა ყვავილი.

მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში იშვიათად შეხვდები მადლმოსილი ქართული სოფლის ამგვარ სრულყოფილ ვერბალურ სურათს და პოეტისეული ბოლო აკორდიც – „არ მოგიშალოთ ღმერთმა ეს საუფლო!“ – ყოველთა ქართველთა გულებში ჰპოვებს სათანადო ექოს...

მთა და სოფელი, მართლაც, მითური ანტეოსივით სიცოცხლითა და ძალისხმევით ავსებენ პოეტს. ლექსში „ზაფხული ერგეში“ (თედორაძე, 2019: 155) იგი წერს:

ახლა აქ ყოფნა შვებაა,
რწმენა ამოდის მიწიდან;
მთები ხომ მიყვარს, – ეს წყალი,
ეს სიმყუდროვე მიზიდავს.

მთითა და მდინარით დამშვენებული მშობლიური სოფელი სიკეთის სამყაროა და ყოველგვარი დარდის მალამო:

გამაღვიძებენ ჩიტები,
დარდს ამომკენკვენ გულიდან,
გამალაღებენ, დამღლიან
სამშობლოს სამსახურითა.

დავით თედორაძის მშვენიერი ლექსი „ვარ ჩემთვის მშობლიურ ეზო-კარში“ (თედორაძე, 2013: 205) კიდევ ერთი დიდებული საგალობელია სოფლის იდილიისა. „დაგეშილ ქალაქს“ გამოქცეულ პოეტს მშობლიური სახლ-კარისათვის შეუფარებია თავი; სწორედაც, აქაურ მეზობლებსა და მეგობრებს შორის ეგულება მას სითბო და დასაყრდენი:

მომწყინდა ქალაქი დაგეშილი,
სოფელს შევაფარე თავი;
ჩემო მეგობრებო,
ჩემო მეზობლებო,
სითბო თქვენ გამიყავით!

ცივილიზაციის თანმდევი ცხოვრება, გაუცხოების ბალღამითა და ყინულით შეფერილი, „წრფელ გრძნობებს აცლის“ პო-

ეტს, შთაგონებას უწამლავს; ამიტომაც არ სურს, მავანთ დაემსგავსოს და თვალი და გული სოფლისაკენ მიუწევს, რადგან ავსა და ბოროტს იქამდე ხელი არ მიუწვდებათ:

ვარ ჩემთვის მშობლიურ ეზო-კარში,
ბუხარს მივაფიცხე ძვლები,
აქ სხვაა,
აქ ვერ მომწვდებიან
ავად დაგეშილი მგლები.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დავით თედორაძის შემოქმედება გრანდიოზული ვერბალური ტილოა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება პეიზაჟების ნებისმიერ ოსტატთა ფერწერას. აი, თუნდაც ნაწვიმარი ბუნების მისეული ხილვა ლექსში „... აღარ წვიმს“ (თედორაძე, 1980: 62):

აღარ წვიმს ახლა,
წვიმის წვეთები
ძუძუებივით ამშვენებს ფოთლებს;
აღარ წვიმს ახლა,
თეთრი ღრუბლები
ცის ლურჯ ტილოზე კრავებს ხატავენ;
გადაირია ჭოროხი წუხელ,
ზღვამ ჩაყლაპა და უთხრა: – პატარავ,
ჩემს ხელთა არის შენი სადავე!
ცაში კი,
ცაში თეთრი ღრუბლები
ისევ ხატავენ უმანკო კრავებს...

კალმის ერთი მოსმით, ერთი ამოსუნთქვით შეუძლია პოეტს, შექმნას საოცარი ვერბალური ტილო სხვათათვის ოდენ სტიქიისა და უნდობარი სურათისა:

გაავდრებულა,
გაწვიმებულა,
ვერ ვიხალისე წვიმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძინარემ...
რა დიდებულად
ადიდებულა
წყალგველა –
ჩემი სოფლის მდინარე!
(თედორაძე, 2004: 79)

ბუნების ამეტყველება, მისი ღვთაებრივი იდუმალებისადმი წვდომა ვაჟა-ფშაველას ქვეყანაში ვის გაუკვირდება, მაგრამ დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირისათვის ესოდენ დამახასიათებელი ღრმა განცდა „მბრძანებელი და იგივ მონა“ დედაბუნების ნიუანსებისა, მათი გაპიროვნებული წარმოჩენა, უიშვიათესი მხატვრული სახეებით შემკობა კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოვლენაა იმისა, რომ ადამიანი გარემომცველ ბუნებასთან ჰარმონიაში ჰპოვებს არსობის ჭეშმარიტ საზრისს.

„ცხოვრება რომ თამაშია, მთელი ეშხი ამაშია...“

ცხოვრება რომ თამაშია,
მთელი ეშხი ამაშია,
ამაშია
    სიმწარეც
        და სიტკბოც.

დავით თედორაძე

ვის არ უფიქრია ცხოვრების საზრისზე!.. ძველი სამყაროს ფილოსოფოსთაგან მოყოლებული ყველა ეპოქაში ცდილან ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გააზრებას, რაც გარემოსთან და საზოგადოებასთან ადამიანის ურთიერთობის, ადამიანის მატერიალური თუ სულიერი ძალების ურთიერთმიმართების, მიზნისა და მისიის სათანადოდ გააზრებას გულისხმობს. ამ ურთულესი საკითხის თაობაზე მეცნიერ ფილოსოფოსებს ტოლს როდი უდებენ ყველა დროის პოეტები – მათ უფაქიზეს სულიერ ქურაშიც გადამდნარა მსოფლგაგება ადამიანის დანიშნულებაზე, მის ღვთაებრივ მისიაზე, პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ყოფნის იგავმიუწვდომელ ფენომენზე; მათაც უფიქრიათ და ანგარიშგასაწევი, საკუთარი ხალხის შეუმცდარი სულიერი წიაღიდან მოხმობილი შეხედულებები გამოუმზეურებიათ. ამ თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა დავით თედორაძის შემოქმედებაც. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაწერილ ლექსში „...ვუახლოვდები ჩემი სულის უხილავ სიმებს...“ იგი ცხოვრებაგამოცდილი ბრძენის პოზიციიდან მსჯელობს წუთისოფლის წარმავლობასა

და მის შუქ-ჩრდილებზე, უსამართლობასა და ცრუ ავტორიტეტებზე:

...ვით სატრფოს ბარათს,
ვატარებდი რწმენას და იმედს
და სიჭაბუკე ისე გავიდა,
ცხოვრება, ასე რთული და ტკბილი,
ბაღი მეგონა სემირამიდას.
კაცი უჩინო, კაცი მაჩინი –
ყველას ერგება თვისი არჩივი,
მაგრამ ხანდახან ჩიტი-ჩიორა
დაუხატიათ, როგორც არწივი.
(თედორაძე, 1977: 32)

ლექსი „თენგიზ აბულაძის „მონანიების“ ნახვის შემდეგ“ კვლავ ამოატივტივებს რთული ცხოვრების, მისი საზრისის, წუთისოფლის რაობის მტკივნეულ პრობლემას, რაც ყოველ მოკვდავს ურევს მომავლის ხედვას. ბუნებრივია, პოეტსაც ბევრი აქვს სათქმელი ამ თემაზე; ცრემლგამშრალ წარსულთან შეხვედრა, როდესაც „გული ტირანთა დაფდაფში ოხრავდა“, ბევრ ტკივილს აშლის და დღეს სრულიად უცოდველ პოეტსაც უხდება ბოდიშის მოხდა იმ მძიმე წარსულის მსხვერპლთა ხსოვნისა თუ მათი შთამომავლობის წინაშე:

...მეც ვკიცხავ, ძვირფასო,
ჩემს დაღლილ დუმილს და
მდუღარე ცრემლებით ვტირი.
(თედორაძე, 2015: 94)

ჭაბუკური შემართებით, ფართოდ გახელილი უმწიკვლო თვალებით დანახული სიმრუდენი ამა სოფლისანი, პოეტის ღრმა რწმენით, ისევ წინაპართა სიბრძნის მიყოლით დაიძლევა და ეს არის მთელი ფილოსოფია მზისქვეშეთში გამეფებული არამარტივი ყოფიერებისა; სწორედაც, ეს გეზი აიღო დავით თედორაძემ თავისი მსოფლგაგების შესაზავებლად და, პოეტის გულან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებულობასთან ერთად, დღემდე შეუმცდარად იარა. მანამდე კი ეს ყოვლისმომცველი და დამაჯერებელი დასკვნა შემოგვთავაზა თავის პირველივე პოეტურ კრებულში „ბეწვის ხიდი“:

...შენ წინაპრების ნაქონი სიბრძნე
გადამიშალე თვალწინ კარტივით;
ამიერიდან მე მკაცრად ვიგრძენ,
არ არის ქვეყნად ყოფნა მარტივი.

დიახ, არ არის ქვეყნად ყოფნა მარტივი, რადგანაც წარმავალი ცხოვრება, ტკბილ-მწარე ისრებით შეიარაღებული, ათას საცთურს უგზავნის ადამიანს; ძალზე ხშირად კი

დიდ საქმეს არა, პატარა საქმეს
უყვარს შფოთი და უყვარს ხმაური...
(თედორაძე, 2019: 139)

ლექსში „ეს ცხოვრება ხან ასეა“ (თედორაძე, 1995: 139) პოეტი ხელისგულივით გადაგვიშლის ტკბილ-მწარე წუთისოფლის ავ-კარგს, წარმავლობის სევდაზეც დაგვაფიქრებს და დროთა მეფობის ოინებზეც, გაუტანლობათა და იმედგაცრუებათა ტკივილებზეც მიგვანიშნებს:

ეს ცხოვრება ხან ასეა,
ხანაც ისე წავა და
შენი მაქებარი მრევლი
არ ჩაგაგდებს წავადაც.
ვინ არ იყო, ვის არ ჰქონდა
ტახტი, სკიპტრა, გვირგვინი...
დრონი მეფობს,
ჩაგაქროლებს
დრო ქარივით ქირქილით.

წუთისოფლის კანონებს რომ მოკვდავი ადამიანი ვერ შეცვლის, კარგად უწყის პოეტმა; ის არ გაურბის, მისი წილი ტვირთი ზიდოს, მისი წილი შხამიც იგემოს და სიყვარულიც; ეს მზაობა

კი, მგოსნისაგან გაჟღერებული, გადამდებია, ერის აღმზრდელი და დამკვალიანებელია:

ჩემს მამულში
ჩემი წილი
ტვირთიც მე და
შხამიც მე,
ჩემს მამულში
ჩემი წილი
სიყვარული დამითმეთ!..

ხშირად ავად გამრჯელი და მწარედ მოუბარია წუთისოფელი, ვის რა ფუნქციას მიანიჭებს, ვის – რას ეს უცნაური მოთამაშე, მთელი სიბრძნე კი იმაშია, ყველამ თავისი ადგილი მონახოს მზისქვეშეთში, არ დაირღვეს არსთაგამრიგის მიერ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ჰარმონია... ამ რთული და ზოგჯერ ბნელი ლაბირინთის დაძლევაში, როგორც დიდმა ილიამ ბრძანა, ზეცამ დანიშნა და ერმა გამოზარდა პოეტი – მართალი სიტყვის მთესველი და ქართულ სინამდვილეში ერის წინამძღოლობის მტვირთველი; პოეტმა იცის თავისი მოვალეობა და ისიც მშვენივრად უწყის, რომ წუთისოფელში ყველას თავისი გზა აქვს, თავისი საკეთებელი; ერთ-ერთ ფილოსოფიურ ლექსში იგი ხელობას უქებს კუბოს მთლელსაც და აკვნის ოსტატსაც და, მიუხედავად ცხოვრების აღმართ-დაღმართებისა, მიუხედავად ჩასაფრებული სიკვდილის გარდაუვალობისა, თაყვანისცემას უცხადებს დროს, მის ქველობას:

მესაფლავის და კუბოს მთლელის
საქმეც საქმეა,
აკვნის მთლელზე ხომ არაფერს ვიტყვი –
სილამაზეა
რადგან აკვნის მთლელის ხელობა.
ვარ ცოცხალი და ვხედავ,
ჩემი მკვლელიც
აქვეა,

მაინც თაყვანი, დროო,
ცხონდეს შენი ქველობა!
(თედორაძე, 1980: 22)

დიახ, წუთისოფლის ლაბირინთებში მოგზაურობა, მართლაც, რთულია, მით უფრო – შემოქმედისათვის, ვისაც ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებენ. დავით თედორაძის პოეზიამ ეს ლაბირინთები რთულად, მაგრამ შეუცდომლად, გამოიარა, არასოდეს უღალატია წინაპართა სიბრძნისათვის; უწყის, რომ ვის, თუ არა პოეტის ყოვლისმხილველ თვალსა და უაღრესად სათუთ სულს ძალუძს სამყაროსეული ჰარმონიის შეგრძნება-გათავისება და ამ ღვთაებრივი პირველქმნადობის სიკეთის დამამშვენებელი მარადიულობის სახოტბოდ ჩანგის მომართვა. აკი ბუნების დიდებულმა მესაიდუმლე ვაჟა-ფშაველამ ლექსში „ღამე მთაში“ დაგვმოძღვრა, რომ სამყაროს მონოლითურობას ბილწი ხელი და შმაგი გონი არ უნდა შეეხოს:

ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ,
ყვავილნი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცინარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლგადამდინარედ!
(ვაჟა-ფშაველა, 1986: 29)

აჭარის თვალწარმტაც წყალ-ჭალას შეზრდილი და საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულის სიმშვენიერეს ნაზიარები დავით თედორაძე დიდი წინაპრების ნაანდერძევ ჭეშმარიტებას კიდევ უფრო აფართოებს, მზისქვეშეთში ყველას და ყველაფერს მისთვის განკუთვნილ ალაგზე ჭვრეტს, მისი ფუნქციისადმი ერთგულებას უწონებს და, სწორედაც, ეს არის სამყაროს შექმნის უფლისეული იდეის სრული, ფერადოვანი მოზაიკის სრულყოფილება, აგრერიგად რომ ამშვენიერებს მიწიერ ცხოვრებას; ამიტომაც ლოცავს პოეტი ყველას თავის დანიშნულების ადგილზე, რაც სოციუმის ღვთაებრიობის ჭეშმარიტი ფილოსოფიაა:

ჭალას უხდება მთიბველი,
გზას – მგზავრი, ზეცას – ფრინველი,
ტაძარს – მღვდელი და მლოცველი,
ციხეს – გულფიცხი მებრძოლი;
ცხენს შვენის ლაღი მხედარი,
სუფრას – პირტკბილი თამადა,
აკვნებს – მკერდსავსე დედანი,
ცხოვრების მოსართავადა.
დავლოცოთ, ვისაც რა შვენის!..
(თედორაძე, 2004: 176)

ყველა ჭეშმარიტ პოეტში მითოსური მინდიას სული ბინადრობს; აბა, სხვანაირად რას დაარქმევ ლექსად ამოთქმულ იმ უცნაურ, ზეადამიანურ განცდას, როცა აბეზარი ქარისაგან ნარწევ-ნაგვემი, სამოსშემოძარცვული მშვენიერი ყვავილის სევდა შეგიპყრობს, სევდა, რომელიც ღვთაებრივი ჰარმონიის რღვევას მოსდევს:

ქარს ნებდებოდა ყვავილი
კაცს მოწყურებულ ქალივით.
ქარი მოჰგავდა ჯაყოსა,
დაბუბნა, კი არ აკოცა.
კვნესა აღმოხდა ყვავილსა,
ქალისას ჰგავდა, ქალისას...
(თედორაძე, 2015: 122)

„გიყვარდეს მოყვასი შენი“, – ქრისტიანთათვის ეს უპირველესი მცნება დავით თედორაძის პოეზიის ლაიტმოტივია. ლექსში „სიყვარულით ბრმა ვარ“ (თედორაძე, 2015: 93) პოეტს განსჯის საგნად გამოაქვს ხალხში მოარული ფრაზა „სიყვარული ბრმაა“ და აქვე, ტყუპისცალივით, მიუსვამს ფრაზა – „სიძულვილიც ბრმაა“, თუმცა, უნდა დავუჯეროთ მისეულ აღსარებას:

ჩემი გულიც შეტოკდა
ასჯერ სიყვარულით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დღემდე არ ვიცი,
რაა სიძულვილი.

ცხოვრების ავ-კარგში კარგად ჩახედულმა პოეტმა იცის, რომ „აფერისტები ბევრია, ეფექტები – ცოტა“, რომ მეტ-ნაკლებად ყველა ცოდვილია და ისევ – მაცხოვრისეული შეგონება:

უცოდვილი ვინც არის,
ვინც დაიდგამს გვირგვინს,
ვეძებ, მაგრამ ვერასგზით
ვერ ვიპოვე ირგვლივ.

ამიტომაც გვიქადაგებს შენდობის ღვთაებრივ უნარს ყველა მოკვდავის მსგავსად თავისი ცოდვა-მადლის მტვირთველი მგოსანი და საბოლოო სენტენციად ისევ სიყვარულის ერთგულებას გვთავაზობს; ცხოვრების უმთავრესი საზრისიც ხომ ეს არის:

...სიძულვილით კი არა,
სიყვარულით ბრმა ვარ.

დიახ, სიყვარულით სიბრმავე და არა ბოროტების მსახურება – ოდითგანვე ასეთია უფლისეული მცნებების ერთგული ქართველობა და, ბუნებრივია, ამ ჭეშმარიტ მცნებას არის ნაზიარები დავით თედორაძის პოეზიაც, რომლის ლირიკული გმირიც „ყვავილების გზაზე დგას“ და სჯერა, რომ:

როგორც ამოვარდნა ქარის,
ანდა თებერვალში თოვა,
მეწყერის და წყალის ძალით
ჩემთან სიყვარული მოვა!

დიახ, წყლიდან და მეწყერიდანაც კი სიყვარულის მომლოდინეა პოეტი, რადგანაც, სწორედაც, წყალია სიცოცხლის მომცემი, მეწყრითა და წარღვნით წარიხოცება ქვეყნად ბოროტი და იზეიმებს განწმენდილი სიცოცხლე და სიყვარული – ზევსიც ხომ ოქროს წვიმად გარდაისახა და ამ გზით შეაღწია კოშკში ჩა-

კეტილ დანაესთან; აკი წარღვნით განწმინდა დემიურგმაც ცოდვილი დედამიწა! (დაბ., 7: 12).

სიკეთის მსახურება, სიკეთის ერთგულება დავით თედორაძის პოეზიის ერთ-ერთი წამყვანი რელიქვიაა. რიტორიკული სათაურის ლექსში „სულში ბოროტებას რა უნდა“ პოეტი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სოციუმში ბლომად დაგროვილა შხამი, მაგრამ ადამიანად ყოფნის მისტიკა სწორედ ის არის, რომ სულში ბოროტება არ გააჭაჭანო; ამიტომაც მიმართავს თანამედროვეთ:

ძმაო, ჩაჰბერე სალამურს,
სულმა სიმღერა იკადროს!
იმდენი მტერი მყოლია,
აბა, რომელზე ვიდარდო!
(თედორაძე, 2015: 185)

ზოგჯერ ისეც ხდება, იმძლავრებს ხოლმე „ოცდაათი ვერცხლის მსურველი“ და აქაც „სარკედ ქცეული გულითა“ და „გაგონილ-აწონილი“ სიტყვით ისევ პოეტმა უნდა იმარჯვოს, გამოაფხიზლოს გზასაცდენილი, შეახსენოს, „ვისი გორისაა“ და ომახიანად შესძახოს, რომ უპირველესად ერის პატრონობა ევალება:

ე, ბიჭო, ვისი გვარის ხარ?
შენც ხომ არ მაყრი ნაცარს?
სიყვარულს ფრთები შეასხი,
ერს დაუდექი კაცად!
უპატრონე და შეგერგოს
ქართული მიწის ხვავი!
(თედორაძე, 2015: 201)

გაუცხოებული სოციუმი ერთ-ერთი მოუშუშებული საწუხარია დავით თედორაძის პოეზიისა, თუკი პოეტი მართლაც „გარემოების საყვირია“, თუკი მშობელი ხალხის ზნეობრივი კათარზისისათვის იბრძვის; სწორედ ამიტომაც ამოიკვნესებს, „ადამიანებს არ უყვართ ერთმანეთი!“-ო; ამგვარი რეალობის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითცნობიერება და მით უფრო ხმამაღლა თქმა კი იოლი არ არის, თუმცა, არც მიჩუმათება ეგების, პოეტი ხომ მარტოოდენ „ტკბილ ხმათათვის“ არ მოუვლენია ზეცას! ვერ გაჩუმდება, ვერ დახუჭავს თვალებს ცუღლუტად, სიმწრის ზარი უნდა დაარისხოს:

ადამიანებს
არ უყვართ ერთმანეთი! –
ამის თქმას
მერჩია,
დამბაჩა
დაეხალათ ჩემთვის.
მერჩია,
მაგრამ სინამდვილეს
ვუცქერ თვალებში
და ცუღლუტობა
არ მქონია
დღემდე ხელობად.
ადამიანებს
არ უყვართ ერთმანეთი!..
(თედორაძე, 2004: 256)

სიყვარულის გზით მავალი პოეტი შენატრის იმ ნეტართ, ვინც მისდევენ მაცხოვრისეულ ცნებას – „გიყვარდეს მოყვასი შენი“; ამ მარადადამიანური სენტენციის პოეტისეული ტრანსმისია ლექსში „სიტყვა დააგდო“ (თედორაძე,1995: 91) ამგვარია:

ვერ გაამაგრებ სიძულვილს
გალავნით,
ბალავარითა, –
სიტყვა დააგდო ბრძენმა და
სიყვარულის გზით წავიდა.

მზითა და მთვარით აღვსება და სიხარული კი მისი ხვედრია, ვინც უკან გაჰყვა სიკეთის მქადაგებელ მხსნელს, ხოლო ვინც არ ინება ამ დალოცვილი გზით სიარული, „ცოდვამ წალეკა“:

ვინც უკან გაჰყვა –
მოიგო,
ხარობს მზითა და მთვარითა,
ვინც არა,
ცოდვამ წალეკა,
სული მოისპო შხამითა.

სწორედაც, პოეტმა უნდა დამოძღვროს რენეგატები, სხვათა „სითბოსკენ“ თვალგაქცეულნი, სხვათა „სამოთხეს“ დახარბებ-ულნი“; ლექსში „ცეცხლის პერანგი“ იგი მოუწოდებს მავანს:

ნუ დახარბდები სხვის სითბოს,
სხვა სამოთხეს და ყვავილს,
უცხო იადონს გერჩიოს
შენი ყრანტალა ყვავი!
(თედორაძე, 2019: 184)

ყველაზე დიდი სოციალური ბოროტება – შური, ანუ, როგ-ორც სულხან-საბამ განმარტა, „მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“, პოეტის საწუხარი სკივრის მუდმივი ბინადარია; „სარ-კედ ქცეული გული“ ვერ იგუებს ამ ქვენა გრძნობას, რომელიც ულმობლად ხრავს მის თანადროულობას, თუმცა გარდასულ სა-უკუნეთა შურის გამო გაწირულებზეც დარდობს და, სრულიად ბუნებრივად, ამ დროს წამოტივტივდება ხოლმე ხსოვნა დიდო-სტატისა... ამგვარი დიდოსტატები ხომ მრავლად ჰყავდა ჩვენს ქვეყანას და მათი უმეტესობა სწორედ შურს („რატომ კარგი აგიგია!..“) ემსხვერპლნენ... სხვადასხვა ისტორიულ ნაგებობებ-თან დაკავშირებული ამ თემატიკის თქმულება-გადმოცემები და ლეგენდები მრავლად შემოინახა საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა ზეპირსიტყვიერებამ. ამ ნარატივთა კარგად ცოდნამ და, ამავე დროს, მისი თანამედროვე სოციუმის იმავე ჭირმა ამო-ათქმევინა დავით თედორაძეს ლექსი „დიდოსტატზე ვდარდობ“. დიახ, დარდობს პოეტის გული, რადგანაც დროთა სვლაში ვერ მოვიშორეთ ეს სახადი – კვლავაც ასეა: როცა ოსტატს არ უხარია შეგირდის წარმატება, როცა სუზერენი ვერ იგუებს მასზე ჭკვია-

ნსა და აღმატებულს, ქვეყანას მომავალი არ აქვს და ვიდრე ასეა, ეს სევდიანი ფერწერული ვერბალი სულ თვალწინ გვექნება:

...ვზივარ ჩემთვის,
რად გასწირა!..
დიდოსტატზე ვდარდობ...
(თედორაძე, 1995: 181)

წუხს პოეტის ლირიკული გმირი მარჯვენამოჭრილ დიდოსტატზე და, იმავდროულად, ამხელს, რომ თანადროულობაც საკმაო სისასტიკეს იჩენს რჩეულისადმი:

...კარგისთვის
მარჯვენს არ ჭრიან, –
დღეს კარგს ხეხავენ ქვიშითა...
(თედორაძე, 2015: 230)

ადამიანთა ცხოვრების მთელი ფილოსოფიაა გადმოცემული დავით თედორაძის დიდებულ ლექსში „ცხოვრება რომ თამაშია“ (თედორაძე, 2004: 206-207) კაცობრიულ გამოცდილებასა და მშობელი ხალხის სიბრძნისადმი ზიარებით და, რაც მთავარია, პოეტის გულთამხილავობით გვიხასიათებს ავტორი მიწიერი ცხოვრების ავ-კარგს, სიტკბო-სიმწარეს და ასკვნის, რომ სწორედაც იმაში, რომ ცხოვრება თამაშია, არის მისი იგავმიუწვდომელი ეშხი და ხიბლი; აქ, მუდმივ დავასა და სწრაფვაში, დუღს და გადმოდუღს წუთისოფელი, დაუნდობელი და მაინც სანდომიანი, სადაც სხვადასხვა როლმორგებული ადამიანები მუდმივად რაღაცას ითხოვენ:

ცხოვრება რომ თამაშია,
მთელი ეშხი ამაშია;
ამაშია სიმწარეც და სიტკბოც. –
მრევლი მუდამ დავაშია,
რაკი დაობს –
სულ რაღაცას ითხოვს.

ცხოვრებისეულ თამაშში ჩაბმულან დიდებიც და პატარებიც და ამ ორომტრიალში ძნელდება კეთილისა და ბოროტის გარჩევა:

თამაშობენ დიდები და
თამაშობენ პატარები;
მიცქერიან სიკეთიდან
ჭინკები და სატანები,
ველარ ვარჩევ
ბოროტსა და კეთილს...

ცივილიზებულმა საუკუნემ, ბევრ სიკეთესთან ერთად, სიყვარული და ადამიანური ურთიერთობა წაჰგვარა საზოგადოებას, გაუცხოება და გულგრილობა გაამეფა და ეს უნდობარი დრო ვერ გამოეპარება პოეტის გრძნობასა და გონებას, რომელსაც „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი“:

...სიზმრებს შერჩა სიყვარული,
მოგონება ცახცახებს და თრთისო,
. . . . . .
აღარ არის დედაკაცი
მონა ღვთის და ქმრისო,
მობრძანდება საუკუნე
მარგალიტის თვლითო.

ამგვარი მეტამორფოზის შემყურე პოეტი, ვისი შთაგონებაც ძველქართველური ეშხითა და ღირსებით არის დაპურებული, ვინც ვერ მოერგება ტრადიციების ულმობლად წამლეკავ „ახალ“ დროებას, ბუნებრივია, ამოიკვნესებს და ერსაც შეუძახებს გამოსაფხიზლებლად, შეახსენებს, რომ ამნაირი მომავლისათვის არ უბრძოლიათ წინაპრებს:

ვაიმე, ჩემო აზიურო,
გაუწვრთნელო გულო!
ვისთან უნდა იდიდგულო,
ვისთან იხმაურო,

ვისთვის ცრემლი შეინახე,
ვისთვის რკინას კვნეტდი,
ვეღარ ვარჩევ,
ვეღარ ვარჩევ
ბოროტსა და კეთილს!

დიახ, უჯანყდება პოეტი ამგვარ სოციუმს, რომელიც არ არის ლოგიკური გაგრძელება გმირთა ჩვენთა მიერ გაწეული რუდუნებისა, დაღვრილი სისხლისა და დახარჯული ეროვნული ენერგიისა. დავით თედორაძის ფილოსოფიური ლექსში – „ასეა წუთისოფელი“ (თედორაძე, 1995: 116) ეს ის საძრახისი ბრბოა, რომელიც მხოლოდ გამარჯვებულის მხარეს დგება; ეს არის

მლიქვნელი,
განძის მძებნელი,
ხანს არ უძებნის ხარვეზებს,
ბრბო ბრმათა,
თუნდაც, ხილულთა,
დგას მოგებულის მხარეზე.

ამგვარია ეს ცრუ სოფელი ქართული ფოლკლორის კოლექტიური ავტორისთვისაც, სულ „მოსაჩვენრად ბრწყინდება“, „ცნობას არ გაცლის ძმისასა“ და მაინც ადამიანად ყოფნის ვალდებულებას გვიქადაგებს:

ეგრეთი გქონდეს გუნება,
ვით მოწმენდილი ცა არი,
თუ არ იწამებ ამასა,
მუცლით ნაშობი რა არი?
(ქ. ხ. ს., 1970: 374)

დავით თედორაძის ფილოსოფიური ლირიკაც ქადაგებს მიწიერი ცხოვრების სისპეტაკეს, მოძღვრავს ეშმაკის გზაზე დამდგარ ადამიანებს, რათა თვალხილულად იარონ, რადგან ამგვარ „ცრუ სოფელს“ მზის მადლი მოკლებული აქვს:

ასეა წუთისოფელი,
ასე ყოფილა წინათაც,
მზე არ დაჰნათის ცრუ სოფელს,
ნურვის ჰგონია – ინათა.

ასეთია სავალალო დასკვნა, თუმცა პოეტის გული ხომ გამოუსწორებელი, სიყვარულით ანთებული და ზღვასავით დაულეველი ოპტიმისტია და ლექსში „კაცი ვარ და სიყვარულზე ვმღერი“ (თედორაძე, 2015: 276) გაშლილ სუფრას და სიყვარულზე სიმღერას გვთავაზობს, გვირჩევს, დავტოვოთ ყველა მწიკვლი, უკეთურება და სიძულვილის დამხობასა და სიყვარულის სადღეგრძელოს გვთავაზობს:

მოილხინეთ, მოკეთევ და ძმობილო,
თქვენით, თქვენით ამაყია გული,
სიძულვილი უნდა დამამხობინოთ,
სადღეგრძელო შევსვათ სიყვარულის!

ლექსი „ჩვენს კეთილ სულებს გაუმარჯოს“ (თედორაძე, 2004: 212-214) კიდევ ერთი მოქალაქეობრივი სულის გამაღვიძებელი მოწოდება – სადღეგრძელოა (თავად დიდებულ თამადას ლექსი-სადღეგრძელოც დიდებულად ხელეწიფება!) ტყვეობაგამოვლილი, ჯვარზე ნაწამები, შხამით გაჟღენთილი, ცხვირიდან ძმარნადენი, უღრანებში ნათრევი კეთილი სულების გასამხნევებლად, რათა არ დაიღალნენ, არ დაჩლუნგდნენ, მზეს ადევნებულნი დარჩნენ მარადის, არ დაეკარგოთ მინდვრის ყვავილის სინაზე და ღვთისმშობლის სათნოება, მზის სითბო და ქარის ძალა, მადლი ყოვლისმომცველი სიყვარულისა და უზენაესი ნიჭი ერთგულებისა:

...ჩვენს კეთილ სულებს გაუმარჯოს,
ტყვეობაში ნამყოფ სულებს!..
ხომ ჯვარზე აცვეს,
ხომ შხამი ასვეს,
ხომ ძმარი ადინეს,

ხომ ათრიეს უღრანებში...
თქვით –
დაგეღალათ?!
დაგიჩლუნგდათ?!
მზეს ვეღარ ხედავენ?!
დაკარგეს განა –
სინაზე მინდვრის ყვავილის,
ღვთისმშობლის სათნოება,
მზის სითბო,
მადლი სიყვარულის,
ძალა ქარის და
ერთგულების უზენაესი ნიჭი?!

სწორედაც, ასე წარმოედგინა დიდ ილიას პოეტის ჭეშმარიტი მოვალეობა – ემხილა ნაკლი საკუთარი ერისა, რადგანაც სიჩუმე და „ჭირთა მალვა“ მტრობაა, უპატიებელი შეცდომაა... ილიასეული დევიზი – „არამარტო ტკბილ ხმებისთვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა“ (ჭავჭავაძე, 1984: 66) – დავით თედორაძის ღრმადმოქალაქეობრივი პოეზიის მრწამსია და ამიტომაც ადღეგრძელებს კეთილ სულებს, უსურვებს, არ დაემონონ კაცთმოძულეთა ვნებებს, არ შეეყაროთ „ოქროს სურდო“, „განძის ანთება“, „ბრჭყვიალა ქების ტიფი“ და „მრუშობის განგრენა“; არ შეითვისონ „მამულის გაჩუქება“, „ტყუილის ოსტატობა“, „ოინბაზობა“ და „უცოდველი პოზის დაყენება“; არ შეისწავლონ „წინაპართა სალოცავების შებილწვა“, „დედის ცრემლში შვილის ჩახრჩობა“, „მკვლელობის ფილოსოფია“ და „უზნეობის მარტივი თეორიები“.

ლექსის ოპტიმისტური დასასრული ქართული გენის სიმტკიცის, წაუბილწაობის, დაუმარცხებლობის რწმენაა და ამიტომაც ადღეგრძელებს პოეტი-თამადა კეთილ, ზნემაღალ, სათნო სულებს, შავთვალა მიმინოსავით გაუწვრთნელებსა და თავისთავადებს, რომელთა გადაკეთებაც შეუძლებელია:

...ქალბატონებო და ბატონებო!
ძმებო და კოლეგებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტისტებო!
ვერა, ვერ ასწავლეს
და, რაკი ვერ ასწავლეს,
ჩვენს კეთილ სულებს გაუმარჯოს –
შავთვალა მიმინოსავით
გაუწვრთნელ სულებს!

დიახ! – საუკუნეთა განმავლობაში ათასგვარი მუმლი გვესეოდა, არც გარეშე მტრები დაგვკლებია და არც შინაური რენეგატები, მაგრამ ვერ გაწვრთნეს, ვერ შებღალეს ქართული სული! ეს სიამაყე ჯანსაღი ქართული სოციუმის ელექსირია, დავით თედორაძის შემოქმედებას იმედის, ხვალინდელი დღის რწმენით რომ ავსებს და პოეტიც მზად არის და თანამოაზრეებსაც მოუხმობს, რათა ეს „წმინდა გრძნობა უშიშარად მოჰფინოს ხალხში, ბოროტთ საკლავად, – მათ სულთხდომის სეირს ვუყუროთ“ (ჭავჭავაძე, 1986: 72); სულმუდამ შეგვახსენოს, რომ არ გაიწვრთნება შავთვალა მიმინო – შეუბღალავი ქართული სული! სწორედაც, ეს არის ადამიანთა ჭეშმარიტი მისია მზისქვეშეთში – ამაღლდნენ ყოველდღიურ მწიკვლევანებაზე, ამაზე მიანიშნებს დავით თედორაძის პოეზიის ფილოსოფიურად მოაზროვნე ლირიკული გმირიც: ცხოვრება თამაშია და მთელი ეშხი, სიტკბოცა და სიმწარეც, სწორედ, ამ თამაშში ზნესრულობით, უფლისეული მცნებებითა და მშრომელი ხალხის საუკუნოვანი სიბრძნით აღჭურვილმა უნდა გაიმარჯვო!

„ჩემთან მეგობრობა ადვილია...“

ჩემთან მეგობრობა ადვილია,
ძალმიძს,
სიყვარულში დავიხარჯო,
ჩემი მეგობარი ხმატკბილია,
ჩემო მეგობარო,
გაგიმარჯოს!

დავით თედორაძე

ადამიანი სოციალური არსებაა, მისი ცხოვრება და ყოველ-გვარი გარჯილობა სოციუმში, სხვა ადამიანთა გვერდით, არის სარგოც და სამომავლოც. მეგობრობის, ურთიერთდახმარების, თანადგომისა და ურთიერთსაჭიროების აუცილებლობამდე არ-სებობის გარიჟრაჟზევე მივიდა ადამიანი. როგორც პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი აღნიშნავს, „უძველესი ცხოველთა ეპოსიდან დაწყებული ლირიკული პოეზიის ბოლოდროინდელ შედევრება-მდე ურყევი მეგობრობისა და ძმობის ქება-დიდება ისმის. ჩანს, ადამიანი თავიდანვე გამსჭვალული იყო ჰუმანური იდეებით და შემთხვევას არ კარგავდა, განუმეორებელი ხოტბა მიეძღვნა მისთვის“ (ჩიქოვანი, 1981: 19).

მეგობრობის ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული პრო-ბლემატიკა ერთ-ერთი უმთავრესი იყო ანტიკური ეთიკისათვის. „სიცოცხლე ჩირადაც არ ღირს იმისათვის, ვისაც თუნდაც ერთი ნამდვილი მეგობარი არ ჰყავს“, – ამბობდა დემოკრიტე (სიბრ. ს., 1987: 189). მეგობრობის უიშვიათესი მაგალითები გვხვდება

ყველა უძველესი ხალხის, და, მათ შორის, ქართველთა, მითოსში. მეგობრობის არსი და მისი ეთიკური ღირებულება დიდებულად წარმოჩინდა ჟანრობრივად მრავალფეროვან ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

ძმობა-მეგობრობა – ეს ზოგადკაცობრიული ჰუმანური გრძნობა, რომელიც ყოველგვარი სათნოების სათავე და პიროვნების ზნეობრივი სრულქმნის სკოლაა, რაც მას უმაღლეს სოციალურ ღირებულებას ანიჭებს, დავით თედორაძის პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა.

პოეტს მიაჩნია, რომ ამქვეყნად მეგობრობაზე ძვირფასი არაფერია. ვერავითარი განძი, საუნჯე, ვერ გადასწონის მეგობარს, თვით სამეფო სკიპტრაც კი არაფერია მეგობრობასთან შედარებით:

> განძს და საუნჯეს
> მეგობარი სჯობს,
> მეფის სკიპტრასაც
> სჯობს მეგობარი! –
> ასე მწამს...
>
> (თედორაძე, 1995: 110)

ლექსში „ჩემი მეგობარი ხმატკბილია“ (თედორაძე, 2015: 208) პოეტი წერს, რომ მისი გული და გრძნობა მეგობრობისათვის ღიაა, თუმცა, მასთან მეგობრობის მსურველიც, ასევე, გულითადი უნდა იყოს:

> ჩემთან მეგობრობას გული უნდა,
> გრძნობის სიწმინდე და სიფაქიზე,
> გაცემული თუ არ დაგიბრუნდა,
> სულის ლაბირინთებს რით აივსებ?!

სიყვარულით გულსავსე პოეტს შეუძლია, მეგობრის სიყვარულში ბოლომდე დაიხარჯოს და, ამდენად, მიაჩნია, რომ მასთან მეგობრობა ადვილია:

ჩემთან მეგობრობა ადვილია,
ძალმიძს, სიყვარულში დავიხარჯო,
ჩემი მეგობარი ხმატკბილია,
ჩემო მეგობარო, გაგიმარჯოს!

„არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მეგობრისათვის“, – გვასწავლის წმინდა სახარება (იოანე, 15: 13); მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური პოეზიაც ამ მხრივ სანიმუშო იდეალებს სახავს და დიდებულად ეხმიანება სახარებისეულ მცნებებს:

ძმადნაფიცისთვის სიკვდილი
სათემოდ შესამღერია,
მკერდჩანგრეულის სახელი
სამოთხის კარზედ სწერია.
(ქ. ხ. პ., 1974: 99)

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ყველას არ შეუძლია მეგობრული ერთგულება და კეთილმოსურნეობა, რაც მშვენივრად იცის პოეტმა და უნდობარ რეალობაზე გულისტკივილით საუბრობს:

ვწუხვარ, ნისლივით გაიკრიფა
ზოგი სამეგობრო მთა-ველიდან,
ზოგს მე განვერიდე, ზოგსაც კიდევ
გული არ ჰქონდა და განმერიდა.

მეგობრობისათვის გულგახსნილი პოეტი უხმობს და უფრთხილდება მათ, ვინც შემორჩნენ, რადგან იცის, რომ მათ გარეშე ვერ შეივსებს სულის ლაბირინთებს:

გიხმობთ, ვინც შემრჩით და მენატრებით,
თქვენთვის ეს ცხოვრება იხალისებს,
თქვენც თუ დამეკარგეთ, თქვენც თუ დამეღუპეთ,
სულის ლაბირინთებს რით ავივსებ?!

ამ ბრძნული, მრავლისმეტყველი სტრიქონების წაკითხვისას შეუძლებელია, არ გაიხსენო არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანში“ დახასიათებული მეგობრობა, მეფე პოეტი ქართველთათვის ერთ-ერთ სამაყო თვისებად რომ მიიჩნევს და წარმოაჩენს მის სიკეთეს:

ამხანაგის სიყვარული კარგია და მოუმატებს,
დაამშვიდებს, დაამდაბლებს, აღარავის აამაყებს,
სიტყვა მცდარსა დაამდაბლებს, ვინ ეწყობა სიტყვა როყებს?
იმას დია მოუხდება, ყმაწვილობით ვინ იბრიყვებს.
ვინ ძნელ საქმეს დაბმულიყო, უადვილებს გასაჭირსა,
ცოდვის თოკით მაგრა შეკრულს მოცაუშვებს მოსაჭირსა,
სევდა-ნაღველს განუქარვებს, უმსუბუქებს სენს და ჭირსა,
ამას გარდა სხვა მრავალი კიდევ ბევრი კაი სჭირსა.

(არჩილი, 1976: 22)

ჭირშიც და ლხინშიც ადამიანს მეგობარი სჭირდება; მეგობრებთან საუბარსა და ერთობაში შეიცნობა ცხოვრების ყველა ავ-კარგი და დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირიც მუდმივად მეგობრების ნატვრაშია, მათი შეძახილის გაგონება სწყურია. ლექსში „...მომენატრეთ...“ (თედორაძე, 2015: 283) პოეტი უხმობს მონატრებულ მეგობრებს:

მომენატრეთ, რჯულძაღლებო, მომენატრეთ,
ახლა თქვენთან საუბარი რად არ მიღირს,
თქვენს ამაყ შუბლს ვენაცვალე, ძმებო, აგრემც!..
რა აზრი აქვს მარტო სმას და მარტო ღიღინს.
გავგიჟდები, თუ ჩაჩუმდა თქვენი ხმები,
თქვენმა ჭექამ ვერ შეაკრთოს კაბადონი...

მეგობრების მონატრება კიდევ უფრო გამძაფრებულია ლექსში „უსაშველოდ წვიმს“ (თედორაძე, 2013: 95). წვიმიან დღეს, როცა „მთას ნიაღვარი წასკდება და მალე უსაშველო თოვაც დაიწყება“, უგუნებობა შემოეჯარება პოეტს, გზად ნაბიჯების ხმა ესმის და ბაგეებსაც ამოხდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე ვილაც მიდის ჩქარი ნაბიჯებით,
ნისლია და, ალბათ, ვერ ვიცანი მიტომ,
მაინც სად არიან ჩემი ძმა-ბიჭები,
აღარ მოვენატრე, დავიჯერო ვითომ?!

და, რაკი მოლოდინი ფუჭი აღმოჩნდა და მგზავრი სხვა მხარეს გაეშურა, კვლავ მოუსვენრობა ერწყმის მთის წვიმას... თუმცა, ფიქრს – „რამე გასაჭირი ხომ არ აქვს ძმაკაცს“ – ვერსად გაექცევა:

მგზავრი სხვაგან მიდის, სხვაგან მიიჩქარის,
ეს რა უცებ შეწყდა გაფიქრება ფუჭი,
ვერ ვისვენებ ისევ, ისევ წვიმა, ქარი...
ნეტავ, მთებში ძმაკაცს რამე ხომ არ უჭირს!

ლექსში „ძველ მეგობარს“ (თედორაძე, 2015: 62) ბათუმური პეიზაჟის ფონზე მეგობრის მონატრების ორიგინალური, უაღრესად გულუბრყვილო და, ამავე დროს, ღრმად ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური განწყობა იხატება:

ზაფხულია,
ვირუჯები მზეზე,
რომ იცოდე,
მე რას ვფიქრობ შენზე...
რომ ვიცოდე,
შენ რას ფიქრობ ჩემზე...
რომ ვიცოდეთ:
ცა გაგვიხსნის ბჭეკარს,
სიტყვას მეტყვი,
სიტყვას გეტყვი მჭექარს.

მეგობარი პოეტის – ვახტანგ ღლონტისადმი მიძღვნილ ლექსში „ვახტანგ ღლონტს“ (თედორაძე, 2013: 95), რომლის ბოლოდროინდელი ლექსებიც სავსეა სევდითა და ნაღველით თანადროულ სამშობლოს ორგულთა გამო, დავით თედორაძე, რომელსაც არანაკლებ სტკივა გული ქვეყნის ტკივილით, ამხნევებს თანამოკალმეს:

ცხოვრობ რაინდის ღირსებით,
უფლის ბაგაში ნაკურთხო,
გთხოვ, ამ ახვრების გულისთვის,
სამშობლოს არ შეაფურთხო!

და... აქვეა – მისთვის ჩვეული ფილოსოფიური სენტენციაც, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მეგობრისადმი მიმართვის დედააზრს:

ნაღდი პოეტი, არ ვცოდავ,
თვით ხელმწიფეზეც დიდია,
ჩინოვნიკები მოდიან,
ჩინოვნიკები მიდიან.
შენ რჩები ლექსით, სახელით
სამშობლოს გულში ჩარგული,
სისხლით და ნერვით პოეტი,
სულით და სუნთქვით ქართველი.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატის – ფრიდონ ხალვაშისადმი (1925-2010) მიძღვნილ ლექსში „ფრიდონ ხალვაშს“ (თედორაძე, 2015: 64) გამოხატულია უდიდესი სიყვარული და მოკრძალება უფროსი თანამოკალმის მიმართ; ქედიდან ჩამოტანილი ღვინის მადლითა და ურთიერთსიყვარულით გულსავსე პოეტი ამბობს:

აქ სიყვარული ვარვარებს,
როგორც ღადარში – ლითონი,
ზღვასავით შვენის ამ მხარეს
ფრიდონი, დიდი ფრიდონი!

მეგობარი სოხუმელი პოეტის – გენო კალანდიასადმი (1939-2017) მიძღვნილ ლექსში დავით თედორაძემ კალმის ერთი მოსმით გადმოსცა მშობლიურ სოხუმს დანატრებული ლტოლვილი პოეტის დარდიანი პორტრეტი:

ცალი წარბი მოღუშვია,
თვალებს უღლის ელდა,
მისი გული სოხუმშია, –
ვერ გათბილისელდა...
(თედორაძე, 2015: 72)

ქართველი კაცის ესოდენ დამახასიათებელი „ჭირსა შიგან გამაგრება“ და მეგობრის დანახვით გამოწვეული სიხალისე და სილაღე, სევდის უკუყრა, კიდევ უფრო სრულყოფს დავით თედორაძის მიერ შექმნილ მეგობარი პოეტის ვერბალურ პორტრეტს:

დაგინახავს, გალაღდება,
უკუ იყრის სევდას...
„მეგობრობა – გზად და ხიდად“ –
სულ ეს სიბრძნე სდევდა.
(თედორაძე, 2015: 72)

აფხაზეთის დამსახურებული არტისტის, მწერლისა და პოეტის – ჯანო ჯანელიძისადმი (1933-2009) მიძღვნილ ლექსში „ღმერთო, ისევ შეგვაერთე“ (თედორაძე, 2015: 77) დავით თედორაძე, გამოხატავს რა ერთიანი, გამთლიანებული საქართველოს ხილვის ნატვრას, ასევე, დიდი სიყვარულით საუბრობს კოლხ თანამოკალმეზე:

ტრაპიზონში ხელებს გაშლის,
სამსუნამდე გაწვდება,
დილამდე რომ აჯაღინო,
ერთხელ არ გაბრაზდება.
. . . . . .
ამოხეთქავს მარგალიტი
მეგრულ-ლაზურ-ჭანურად.
ეს ძველების სიმღერაა,
რომ არ შემოუღამდეს,
ღმერთო, ისევ შეგვაერთე,
ისევ შეგვადუღაბე!

ბათუმელ პოეტს გამორჩეულად უყვარს სავარდო და სამაისო ქუთაისი, განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებს ამ ძველთაძველ ინტელექტუალურ ქალაქში მოღვაწე შემოქმედებთან თუ რიგით ადამიანებთან, გულღია და სულღია იმერლებთან. ამ ძმური სიყვარულის გამოძახილია დავით თედორაძის ლექსი „ზიარების მისაღებად აქ მოდიან“ (თედორაძე, 2015: 56), რომლითაც პოეტი ეფერება ქუთაისს და პოეტების მექასა და მედინას უწოდებს; განსაკუთრებულად უქებს სტუმართმოყვარეობას, სიბრძნესა და ტკბილპოეტურ მეტყველებას:

ქუთაისი პოეზიის ქალაქია,
პოეტების მექაა და მედინა;
მის კარიბჭეს, მგოსნებისთვის მარად ღიას,
სიყვარული ფიანდაზად ეფინა.
ქუთაისი სიტყვის, სიბრძნის წალკოტია,
რითმითა და მეტაფორით რწყავენ,
ზიარების მისაღებად აქ მოდიან,
მერე ლექსით საქართველოს რთავენ.

ტრადიციული ქართული წეს-ჩვეულებებისა და მაცხოვრისეული მცნებებით ნასაზრდოებ ქართული კულტურის ერთ-ერთ უძველეს კერას – ქუთაისს, როგორც პოეტი გვარწმუნებს, სულ სხვა ღვთაებრივი ხიბლი სცხია და საქართველოს ამ დიდებულ კუთხეში – იმერეთში დაბადებულ მგოსანსაც „სხვა ძარღვი და სხვა ხიბლი აქვს“.

ქუთაისისადმი მიძღვნილ კიდევ ერთ ლექსში „შენს გულს შემოვევლები“ (თედორაძე, 2019: 101) დავით თედორაძე კვლავაც გამოხატავს სიყვარულს ქუთაისისადმი, იქაური მეგობარი მწერლებისა და პოეტებისადმი, რომლებიც მზესავით უთბობენ გულს. მთავარი პათოსი ლექსისა კი ორ ქალაქს – ბათუმსა და ქუთაისს – შორის არსებული მყარი მეგობრობაა, რომელიც სულის მოსაბრუნებელია, ძმობის მირონის მატარებელია და ყოველთვის დაუვიწყარი შეხვედრებით გვირგვინდება. სათითაოდ ეფერება რა ქუთაისელ თანამოკალმეებს, მწერალ ელგუჯა თავბერიძეს პოეტი ამგვარად ამკობს:

ძმობის მირონს წაგცხებს გულით,
სიყვარულით შეგრუჯავს,
საქმის კაცი, სიტყვის კაცი,
თავბერიძე ელგუჯა!

ამ დიდებული პროზაიკოსის, ქართული სიტყვის მესაიდუმ-ლის ხიბლს დავით თედორაძე დამსახურებულ ხოტბას უძღვნის, აგრეთვე, ლექსით „სიტყვის ხიბლი“ (თედორაძე, 2019: 77):

რა წიგნებს სწერ,
რა მირონით ინათლები,
სად პოულობ ოქროს უძრახ ზოდებს!
სიტყვის ხიბლით შემიმოსე წინაპრები,
უფალივით განიკითხავ ცოდვებს.

ეს მშვენიერი ლექსი მწერალ ელგუჯა თავბერიძის შემოქმე-დების ლაპიდარული, დახვეწილი პოეტური რეცენზიაა, რომ-ლითაც გამოიხატა არა მარტო მეგობრის, არამედ ჩვეულებრივი მკითხველის დამოკიდებულება, რომელმაც მეგობარი მწერლის ნაწარმოების კითხვაში ღამეები ათია, ვერ ელევა ქართული სიტყვის ხიბლით შექმნილ საუნჯეს და „ლოცვანივით თავთან უდევს“, რადგანაც მუდმივად ახსენებს, ვინ ვართ, „ვისი გორი-სანი“:

რა წიგნებს სწერ!..
რა მირონით ინათლები,
სულ
მახსენებ, ვინ ვიყავით, რა ვართ,
შარვაშიძის ანთებული ჩირაღდნებით
აფხაზეთში უსათუოდ ჩავალთ!
რა წიგნებს სწერ!
ღამეები მათევინა,
ფხიზელს მიდევს ლოცვანივით თავთან,
ვინ გიამბო, სად ნახე, რამ გათქმევინა,
აღარ მახსოვს სხვა რამ, წიგნის გარდა.

ქუთაისში მოღვაწე პოეტ თეიმურაზ ლანჩავასადმი მიძღვნილ ლექსში დავით თედორაძე სიტყვის ოსტატობას უქებს მეგობარს და, რაც მთავარია, მართლაცდა, უნიჭიერესი შემოქმედის პოეზიის თავისთავადობასა და მომხიბვლელობაზე მიანიშნებს:

...დღეს სიყვარულის ბაღი ხარ,
მეტაფორების ტბებით,
ცისკრის ვარსკვლავად ანთიხარ,
ვაჟას ბუხართან თბები.
(თედორაძე, 2019: 35)

ცხადზე ცხადია, თანამოკალმის მიმართ აგვარი სიტყვები ზერელედ, უგულოდ არ ითქმება; ამის თქმის უფლებას ავტორს ადრესატის პოეტური სიმაღლე და, ამასთანავე, ქართული ტრადიციის ერთგულება აძლევს; ქართული ხალხური პოეზია ხომ მრავალგზის აპრობირებულ მხატვრულ სამკაულთა სიუხვითა და მაღალპოეტურობით ყოველთვის გამოირჩეოდა, არ იშურებდა საქებარ სიტყვებს, რათა შეექმნა მეგობრის შთამბეჭდავი პორტრეტი; ეს კი მით უფრო ითქმის პოეტზე, ისიც – ორმაგად, როცა თავად პოეტი აღიქვამს მეგობრის სხივმფინარე, უფლის მირონით ცხებულ პოეზიას. სწორედაც, ამგვარი ამაღლებული განცდებით არის დამუხტული დავით თედორაძის ლექსი „მის ნახვას მომთხოვს გული“, რომელიც მეგობარ პოეტს – ბაღათერ არაბულს ეძღვნება (თედორაძე, 2019: 170). „სამშობლოს დარდით გამშრალისა“ და „ლექსში ნაგვემი გულის“ მქონე ხევსურ მეგობარს ხშირად მოინატრებს პოეტი, მოინატრებს ხალხისათვის „იმედის ჩამომრიგებელ“ ქართული სიტყვის მძერწავს და ეს მონატრება მარტოოდენ მეგობრის ნახვის წყურვილი როდია – მათი შეხვედრა სამშობლო ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე სჯა-ბაასი, ლამაზი მოგონებების გახსენება და, უპირველეს ყოვლისა, „გაუტანლობის უღრანებს ღვთის მადლით გადასული“ თანამოკალმის „მეტაფორების წალკოტით“ დატკბობა და კვლავ და კვლავ იმედის გაზიარებაა, რომ აუცილებლად გაბრწყინდება ნატანჯი სამშობლო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღორძინდება, აღსდგება,
ასჯერ რომც გადათელონ,
მტრისგან ნამუსრი ქვეყანა –
ნატანჯი საქართველო!

მართლაცდა, ვის, თუ არა მეგობარ შემოქმედს, შეიძლება გული გადაუშალო, საქვეყნოც შესტირო და პირადულიც, თუმცა, ქართველი პოეტი იმთავითვე ქვეყნის ჭირ-ვარამისა თუ სიხარულის უპირველესი მოზარეა; ასე იყო და ასე იქნება – ისინი ხომ, როგორც ილიამ ბრძანა, „ღმერთთან მიტომ ლაპარაკობენ, რომ წარუძღვნენ წინა ერსა“; პატარა ერის შვილობა და ისიც პოეტობა თუ მოგმადლა არსთაგამრიგემ, სალხინოდ აგრერიგად როდი მოიცლი! მერაბ აბაშიძისადმი (1950-2000) მიძღვნილ ლექსში დავით თედორაძე კვლავაც მამულის გასაჭირზე წუხს, იმ სატკივარზე მოთქვამს, რომელზე დარდმაც უნიჭიერესი ქართველი შემოქმედის სიცოცხლე შეიწირა:

საქართველოს,
ჩვენს მამულს,
დასტრიალებს ძერა,
მისმა დარდმა დაგღუპა,
მეც მკლავს,
მეც მსპობს, მერაბ...
(თედორაძე, 2019: 133)

ქართული მითოსური მსოფლმხედველობის თანახმად, მთა ერთ-ერთი წმინდა ადგილია, კავშირს ამყარებს ზეცასთან, ზეცისკენ ამავალი კიბეა და რა გასაკვირია, მთიელი ბარელზე უფრო ზნესრული, უფრო ტრადიციული, უფრო შემართებული რომ არის. დავით თედორაძის ლექსი „მთის კაცი“ (თედორაძე, 2015: 189), რომელიც ალეკო ჯიბლაძეს ეძღვნება, ავტორი გამოხატავს მთაში დაბადებული და გაზრდილი მეგობრით აღტაცებას, მის უზადო სულიერებასა და სილაღეს, სიყვარულის განსაკუთრებულ ნიჭს:

მთაში,
მთის კაცი,
მთების ფონზე,
სულით მაღლდები!
ხშირად მგონია,
შემოგნატრის ლაღი ფრინველიც,
კი არ ბერდები,
წელთა ქროლვით გოლიათდები
და სიყვარულშიც,
ნუ იდარდებ,
რჩები პირველი.

მეგობარ ალეკო ჯიბლაძისადმი მიძღვნილი კიდევ ერთ ლექსს „შე სიყვარულის აჩრდილო“ (თედორაძე, 1995: 221) დავით თედორაძე მისთვის ჩვეული აფორიზმული სიბრძნით იწყებს:

მთიელი კაცი ვერ გაძლებს
უმეგობროდ და ულხინოდ.
არ მახსოვს,
როდის გნახე და
ყანწს ძმობა რა დროს ჩავუთქვით,
დაგლოცავ –
სიბერეშიც გქმნა
ღმერთმა ასეთი ჩაუქი!

მთისა და ბარის ერთობას დიდებულად უმღერა ვაჟა-ფშაველამ პოემაში „ბახტრიონი“, როცა თუშ-ფშავ-ხევსურთა გაერთიანებული ლაშქრის მიერ კახელთა მხარდაჭერისა და ყიზილ-ბაშებისაგან ბახტრიონის ციხის განთავისუფლების გრანდიოზული სურათი დაგვიხატა. მანამდე კი ფშავში მაცნედ მისულ კვირიას ათქმევინა: „...უბაროდ, განა არ იცით, მთანიც რომ ვერა გვარობენ...“-ო (ვაჟა-ფშაველა, 1986: 135). დ. თედორაძის ლექსი „მთის კაცი“ იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ მთიელ ვაჟკაცს ბარიდან ესიყვარულებიან, მეგობრობენ, ერთმანეთ-

ისთვის ავთანდილ-შერმანდინობენ და ამ ერთობით სამშობლო ქვეყნის ერთიანობასა და სიძლიერეს უმტკიცებენ ლიბოს:

მეც ბარიდან
გეფერები,
შერმანდინო,
ლექსსაც გტყორცნი,
შურდულივით ჩაგიქროლოს!..

განსაკუთრებული შთამბეჭდაობით, სითბოთი, სიყვარულითა და პატივისცემით არის აღბეჭდილი დავით თედორაძის ლექსი „ხარ ანგელოზი“ (თედორაძე, 2019: 116), რომელიც ეძღვნება ბათუმელ ქალბატონს – ნარგიზ აბაშიძეს – დიდი მემედ აბაშიძის შვილიშვილს, თავადაც სამშობლო ქვეყნის უბადლო პატრიოტს და მეცენატს, დიდებული ოჯახის დედას, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – თეიმურაზ კომახიძის მეუღლეს. პოეტს არ ავიწყდება ის ტვირთმძიმე წარსული, რაც აბაშიძეთა ოჯახმა და თავად ამ უაღრესად სათნო ქალბატონმა გამოიარა, თუმცა, ღვთაებრივ გარეგნობასთან ერთად, გაუბზარავი და სპეტაკი სული და სიყვარულისათვის გახსნილი გული შეინარჩუნა:

ცხოვრება შენი ია-ვარდით არ მოფენილა,
ოჯახს ებოძა მძიმე ტვირთი საქართველოსი...
მამულისათვის სანთელივით ჩამოღვენთილთა
ცრემლის ტბებიდან ამოსული ხარ ანგელოზი!

პოეტი ხოტბას ასხამს დიდებული ქალბატონის ნასათუთევ ოჯახს, რომელიც წინაპრის სისხლით არის შედუღაბებული:

შენს სახლს, შენს ოჯახს სათნოების ტაძარი ჰქვია,
ლაღი არწივი, გაუწვრთნელი, ბედმა გარგუნა,
წინაპრის სისხლით ნაგლეჯ დუღაბს
ამშვენებს ია,
სულის მალამოდ,
სულის წამლად,
სულის სალბუნად.

ნარგიზ აბაშიძის მეუღლის, მეგობრისა და ამაგდარი მოღვაწის, მწერლის, მკვლევრის, მეცენატის – თეიმურაზ კომახიძისადმი მიძღვნილ ლექსში „ღამეთა თეთრად მათევარი“ (თედორაძე, 2019: 117) პოეტი ჩამოთვლის პროფესორ თეიმურაზ კომახიძის – ქალაქ ბათუმის ყოფილი მერის, აჭარის არ კულტურის ყოფილი მინისტრის, მრავალი ღირსშესანიშნავი მონოგრაფიის ავტორის – ღვაწლს და საგანგებოდ გახაზავს მის პირუთვნელ ხასიათსაც და ქვეყნისათვის გაწეულ ღვაწლსაც:

...ქვეყნის ჯურღმულებში ჩამახედე,
ღამეთა თეთრად მათევარო,
ძმისთვის ძმავ, მოღალატისათვის
ავად ალესილო სატევარო...
რამდენი გმირი გაგვიცოცხლე,
რამდენი ფერფლწაყრილი მარგალიტი,
სამშობლოს როგორ ვემსახუროთ –
შენა ხარ ამის მაგალითი!

დავით თედორაძის სამეგობრო წრე მარტოოდენ საქართველოთი როდი შემოიფარგლება. ოდითგან ტოლერანტი, ხალხთა შორის ძმობა-მეგობრობის მომღერალი ერის შვილმა, საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავებული და მშობელი ხალხის სულიერ ქურაში გამოტარებულ-გამობრძმედილი ჰუმანიზმის პრინციპებზე აღზრდილმა პოეტმა გულშიჩამწვდომი ოდა უძღვნა უკრაინას ლექსით „არ შეიძლება, არ უყვარდეს კაცს უკრაინა“ (თედორაძე, 1999: 192-193). პოეტი მოხიბლულია უკრაინული კულტურის ძეგლებით, დიდოსტატის მარჯვენის კვალი რომ ატყვიათ:

პეჩორის ლავრა –
უკვდავების ვნახე წიაღი,
მჯერა თქვენს სისხლში
დიდოსტატის
გენი ძლიერობს...

პოეტი მოხიბლულია კრეშჩატიკის სილამაზით, აღმშენებლობით, რაც მან იხილა უკრაინაში სტუმრობისას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრეშჩატიკზე ვარ
ქუჩის ხიბლით აღტაცებლი,
რა ნიჭმა შექმნა ეს ანსამბლი
სწორუპოვარი!

პოეტისათვის სასიხარულოა მოძმე ხალხის ყოველი წინსვლა და წარმატება, გამოთქვამს კმაყოფილებას ახლის შენების მხილველი:

არ მოისპობა ეს დიდება
ჟამთა ნიაღვრით,
ახალს აშენებთ,
ახალს ეძებთ, საბედნიეროდ.

რა სამწუხაროა, რომ დღეს ეს მშვენიერი ქვეყანა ცეცხლის ალშია გახვეული!.. არადა, ამ ლექსის შექმნის დროს უკრაინელი მეგობრების ღიმილი და სიყვარული აცილებდა პოეტს:

მიმაქვს მშობლიურ ზღვისპირეთში
თქვენი ღიმილი,
დაუვიწყარი სიყვარულის
მადლით შემკული.
მინდა, იცოდეთ,
იქ, კოლხეთში,
ღმერთს ცეცხლს სტაცებენ
თქვენს გასათბობად
ქართველები –
თქვენი ერთგულნი.

ლექსით „ესეც კიევი“ (თედორაძე, 1999: 194-195) პოეტი გამოთქვამს აღტაცებას უკრაინის დედაქალაქის – კიევის ნახვით და მას „ქალაქთა მამას“ უწოდებს. იგი იხსენებს უკრაინის გმირულ ისტორიას და სახელებს, რომლებიც ქართველ და უკრაინელ ხალხს ერთმანეთთან აკავშირებს:

...შენს ისტორიას –
გმირულს,
საოცარს,
შევჩენკოს სული მიხსნის.
მიხსნის ბაჟანი,
მიხსნის ლესია,
გურამიშვილი მიხსნის!

პოეტის ფაქიზ გემოვნებას ატკბობს და ალაღებს კიევის უმშვენიერესი ქუჩები, ეფერება შადრევნებსა და აყვავილებულ ხეებს, მშვიდად მომდინარე დნეპრს, თუმცა, არ ავიწყდება, რომ

...აქ, სადღაც ახლოს, ჩერნობილია,
ასე რომ სტკივა თბილისს...

სამწუხაროდ, ჩერნობილის ტრაგედიასთან ერთად, ახლა, ცივილიზებული კაცობრიობის თვალწინ, ახალი საშინელება დაატყდა თავს უკრაინას რუსული აგრესიის სახით.

დავით თედორაძეს უყვარს მეგობრებთან ლექსით სჯა-ბაასი, გულის გადაშლა, რჩევის მიცემაცა და მიღებაც. ღრმად დიდაქტიკურ ლექსში „წერილი მეგობარს“ (თედორაძე, 2013: 244) იგი ურჩევს მეგობარს, გულსაც უსმინოს და გონებასაც, რაც ცოდო-მადლის აწონვაში დაეხმარება:

მინდა, რომ უსმინო, ძმობილო,
გულის და გონების როკვას,
შენ, ჩემი ქვეყნისთვის შობილო,
აწონე მადლიც და ცოდვაც.

ჭრელ, ათასგვარი საცთურებით სავსე წუთისოფელში ძალზე ძნელია თავის გატანა და, ბუნებრივია, როცა სატანა მძლავრობს, შენ კი სხვათა ნებაზე ცეკვა არა გწადია, მეგობარი გეგულვის გზად და ხიდად, გულის გადასაშლელად, მოსაოხებლად, უღალატო დამრიგებლად.

მეგობარი პოეტის – შოთა ზოიძის ქალიშვილის – სოფიოსადმი მიძღვნილ ლექსში „შემოგნატროდეს მსოფლიო“ (თედორ-

აძე, 1999: 236) დავით თედორაძე გამოხატავს უდიდეს სიყვარულსა და სამომავლო სურვილებს:

ნიჭი გამოგყვეს შოთასი,
ანდა – საფოსი, სოფიო,
ვარსკვლავთა ჯგუფის დედოფალს
შემოგნატროდეს მსოფლიო!

იგი უხსნის გოგონას, რომ ქართველ ქალად დაბადება „ჯილდოა მცირედი“, თუმცა, ჩვენს მწარე დროში ძნელია ამ ტვირთის ზიდვა და, რაკი „ოცნება ცხვარივით გაკრეჭილია“, შემართება და დიდი ძალისხმევა მართებს:

უნდა იქროლო, სოფიო,
მთების თავნება ქარივით.

ლექსის – „თანამოდარდე“(თედორაძე, 2004: 66) სტრიქონებს პოეტის ცრემლები დღემდე არ შეშრობია; იგი ეძღვნება მეგობრების – ნარგიზ აბაშიძისა და თეიმურაზ კომახიძის გარდაცვლილ ვაჟიშვილს – დავით კომახიძეს, რომელთანაც პოეტი მეგობრობდა.

მიყვარდი, ბიჭო,
სიტყვის ბიჭო,
გვარის სანთელო,
შენ ხომ ერთი დღეც
არ ცხოვრობდი უსაქართველოდ! –

მიმართავს ავტორი 29 წლის ახალგაზრდას, ვინც უკვე მარადიულობას შეუერთდა და სჯერა, რომ სამოთხის ბინადარი გახდება:

იძინე მშვიდად,
წუთისოფელს დაუსვი ჯვარი,
ანგელოზებმა
გახსნეს შენთვის სამოთხის კარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობარი მხატვრის – ზურაბ ხაბაძისადმი მიძღვნილ ლექსში (თედორაძე, 1980: 43-44) დავით თედორაძე გამოხატავს აღფრთოვანებას მისი დიდებული ფერწერული ტილოების გამო, ეფერება მისი ფუნჯის შედევრებს, სულს მზესავით რომ ეფინება და სულ გინდა, უმზირო:

სულში მზესავით ვიწვენთ ნახატებს,
არ გვახსენდება სახლი...

„გაოცებული ვიყავი, ვარ და ვრჩები მისი შრომისმოყვარეობით – უღელში შებმული ნიშახარივით ეზიდება ხელოვანის უმძიმეს ჭაპანს; არც დაღლას უჩივის, წუწუნი არ სჩვევია ხელოვანს. ამ თავდაუზოგავი შრომისა და ნიჭის შედეგია მისი დიდებული ნახატები, გაოცებაში რომ მოჰყავს მნახველი“, – წერს პოეტი (თედორაძე, 2004: 14).

ზურაბ ხაბაძისადმი მიძღვნილ ლექსში „მომავლისათვის, წინაპარისთვის“ (თედორაძე, 2015: 21) პოეტი მოუწოდებს მეგობარს, მძიმე აწმყოს მიუხედავად, მომავლისათვის იღვაწონ:

ვწეროთ და ვხატოთ
მომავლისთვის,
წინაპარისთვის,
ხვალ რომ გაჩნდება, იმ ბიჭისთვის
და იმ ქალისთვის!..

ერთ-ერთ ინტერვიუში პოეტი ამბობს: „ბევრჯერ გამიგონია, რომ უთქვამთ, შეიძლება მხოლოდ ამდენი და ამდენი მეგობარი გყავდესო“. მე კი მგონია, რომ რამდენსაც გასწვდება შენი გული და კაცობა, იმდენი შეიძლება! ბევრი იქნება? – ამას რა სჯობს!..“ („თბილისელები“, 2000: №36).

„ერთი სახელმწიფო ჩემი ოჯახია...“

ერთი სახელმწიფო ჩემი ოჯახია,
სამანს ვერ დამიდებს მტერი,
ვსხედვართ სიყვარულის ხალიჩაზე
ბედნიერები და ვმღერით:
„ლალე, ლალე,
დივლი დალალალე,
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
შენ კი გენაცვალე!

დავით თედორაძე

ადამიანის, როგორც სოციალური არსების, ჰუმანისტური ორიენტაცია ვლინდება საზოგადოებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობასა და სინამდვილესთან მიმართებაში; ჰუმანურობა, როგორც ადამიანთა ურთიერთობის უაღრესად დახვეწილი ზნეობრივი ფორმა, ეფუძნება ინტერესთა ერთიანობას, ურთიერთპატივისცემას, ურთიერთთანადგომასა და ერთმანეთის უანგარო სიყვარულს, რომლის სათავეც უპირველესად ოჯახში, ოჯახის წევრთა შორის არის საძიებელი. „კვიცი გვარზე ხტისო“, – გვმოძღვრავს ქართული ხალხური ანდაზა და კაცობრიული გამოცდილებაც ადასტურებს, რომ ერთიან, მონოლითურ, ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით გაჯერებულ ოჯახში ჭეშმარიტი კაცთმოყვარენი იზრდებიან. „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“, – ეს პარემიაც ქართველი კაცის ნათქვამია და „უფალთან მოლაპარაკე“ პოეტის ლირაც, ბუნებრივია,

ოჯახის უაღრესი სიყვარულითა და პატივისცემით არის აჟღერებული, საუკუნეთა ბრძნული გამოცდილებით შემუშავებული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების უღალატო გზას მიჰყვება; ამ გზაზე კი უპირველესი მაინც მშობლებისადმი დამოკიდებულებაა. „პატივი ეცი მამასა და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს, მოუცია შენთვის“ (გამ., 20: 12), – ამგვარია რელიგიური სწავლებაც, რომლისადმი ერთგულება, მშობელი ხალხის სიბრძნესთან ერთად, უხვად გამოსჭვივის დავით თედორაძის ღვთივკურთხეულ პოეზიაში.

ლექსი „ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა“ (თედორაძე, 2015: 34) მონატრებაა ყმაწვილობისდროინდელი დიდი, ერთიანი ოჯახისა, როცა უკვე საკუთარ ბუდეში საკუთარი ოჯახის მამას და პოეტს განუზომელი სიყვარული და მოვალეობა ვერ მოასვენებს, მშობლებისა და და-ძმების გარემოს მოანატრებს და საოცარი სითბოთი და სინაზით აღვსილ სტრიქონებს დააწერინებს:

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა!
მე კი,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ –
ჩემთან ივლიან ჩემი და-ძმები...

დიახ, სადაც დედაა, იქ ზეიმობს ფუძის ანგელოზი, დედა კერიის ირგვლივ შემოიკრებს თავის ნაგრამს და, სწორედაც, ეს ამაღლებული სიხარულისა და ერთობის გრძნობაა გამოხატული დავით თედორაძის ლექსში; დედასთან მონატრებული საუბრით, დედის თვალებითა და სუნთქვით გამთბარი ზამთრის დღეების მოლოდინით სავსეა ეს მშვენიერი სტრიქონები:

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
და ეს ზამთარი იქნება თბილი,
ვივაზირებთ და ვიმუსაიფებთ
საღამოობით დედა და შვილი.

სამსტროფიან ლექსში ყოველი სტროფის მაჟორული დასაწყისი – „ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა!“ – უწმინდესი ზარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკვას ჰგავს, პოეტის სულის ზარისას, რაც საწინდარია იმისა, რომ სული დაივანებს დედის ირგვლივ შემოკრებილი და-ძმების შუქით გამთბარ გარემოცვაში; მაშინ კი ყოველგვარი მკაცრი ზამთარი ტკბილი და სასურველი იქნება:

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა,
ჩემი და-ძმების შუქით გამთბარი,
მე კი,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ –
მიახლოვდება ტკბილი ზამთარი.

ამგვარი გრძნობის გამოხატვა მადლიერი შვილის გულწრფელი ამოძახილია; შვილისა, რომელმაც კარგად იცის საანდაზო სიბრძნე: „შვილმა ხელის გულზე ერბოკვერცხი რომ მოიწვას, დედის ამაგს მაინც ვერ გადაიხდისო“; იცის ხალხური ლექსის პათოსიც:

ვაიმე, დედის ამაგსა
რო ვერ გადვიხდი, რა ვუყო?
ზურგს ავიკიდო საბლითა,
რო ვერა ვზიდო, რა ვუყო?
დავემხო დედამიწასა,
ქვესკნელს ჭინჭველას ხმა ვუყო?
(ქ. ხ. პ., 1979: 68)

იცის პოეზიის მადლით მოსილმა მგოსანმა და განა ამაგის გადახდას ცდილობს? ისევ დედის გვერდით, დედის სითბოსა და სინათლეში სურს ყოფნა თავად უკვე მშობელს, სურს, დედის მზრუნველი თვალისათვის საცნაური იყოს მისი ნაგრამის ყოველი ნიუანსი, დედის მადლით იყოს ცხებული მისი ახალი ბუდე-საცხოვრისი. ეს არის ჭეშმარიტი არსი დედაშვილობისა, ოჯახური სიწმინდისა და საზოგადოებრივი კვლავწარმოებისა, რადგანაც „მზე დედაა“ და ისევე, როგორც უზენაესი მნათობი ასულდგმულებს დედამიწას, მშობელი დედა შვილებისათვის სი-

ცოცხლის ძალის შთამბერავია; აკი სახალხო მგოსანიც ამბობს, „სანამ დედა მყავს, არ დავბერდები“-ო (ბსუქცფა).

მამა – ოჯახის უფროსი, წარმმართველი, აღმზრდელი და ძალის მიმცემი, საქართველოში ყოველთვის უმნიშვნელოვანესი პერსონა, რომლის უმაღლესი მხოლოდ უფალია. ნეტარი ავგუსტინეს სწავლებით, უფალი მამად, ხორციელ მამაზე აღმატებულად მოიხსენიება („ვევედრებოდი ყოველი მორწმუნის საერთო დედას – ეკლესიას, უფალო, მამად უმალ შენ მეგულვი, ვიდრე ჩემი ხორციელი მამა“ (ავგ., 1955: 13).

წარმართული კონფესიიდან მოყოლებული, ქართველთა უმაღლესი ღთაებანია დედა – მზე და მამა – მთვარე; მამა-ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, ქრისტიანული სამების თავში მდგომი უზენაესი ღვთაება მართლმადიდებელი ქართველისათვის მშობელი მამის კულტთან შერწყმულ-ასოცირებულია და რა გასაკვირია, რომ მისი კულტი აგრერიგად წარმოჩინდა ტრადიციებისა და ქრისტიანული კონფესიის ერთგული პოეტის შემოქმედებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დავით თედორაძის პოეზიაში მამის კულტი გამორჩეულია, თაყვანისცემისა და სიყვარულის შარავანდედით არის შემოსილი.

„მამაზე ყოველთვის ფანატიკურად ვიყავი შეყვარებული. წლებთან ერთად ეს სიყვარული სცილდებოდა შვილის ტრადიციულ დამოკიდებულებას მამისადმი და იგი უფრო თაყვანისცემას ემსგავსებოდა“, – წერს პოეტი (თედორაძე, 2004:3).

ჯერ კიდევ ჭაბუკი პოეტი უდიდესი კდემამოსილებით იხსენებს მამას – გამრჯე ქართველ გლეხკაცს, ქვეყნის გადამრჩენისა და აღმზრდელის ფუნქცია რომ მიანიჭა იმთავითე არსთაგამრიგემ; წუთისოფლის აღმართ-დაღმართების შემცნობი პოეტი ლექსში „...რამდენი რამე რჩება სადავო“ (თედორაძე, 1980: 39) ასე მიმართავს მშობელ მამას – უმწიკვლოსა და შეუბღალავს, მომავალი თაობისათვის მაგალითის მიმცემს:

> რამდენი რამე რჩება სადავო,
> სჯობს, არ იცოდე, ვინ ვის პატრონობს,
> მე სიყრმიდანვე ვხედავ შენს ხელებს,
> კოჟრიან ხელებს, მამავ ბატონო!

დიახ! ეს კოჟრიანი ხელებია სოციუმის ჭეშმარიტი შემნახველი, აღმზრდელი, დამკვალიანებელი; ზნეობრივად სრულქმნილი მამის აღზრდილ შვილს ამაზე უფრო მეტად, აბა, სხვა რა უნდა ჰქონდეს საამაყო!..

მშობლის წიაღში დაბრუნების გარდაუვალობა მსოფლიოს უძველეს ხალხთა (და მათ შორის ქართველთა) მითოსის ერთ-ერთი ღირებული მითოლოგემაა – ბოლოს ყველა და ყველაფერი ნებისმიერი ფორმით მშობლის წიაღს უბრუნდება და ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის ხანიერ გზაზე ამ ჭეშმარიტებას ალტერნატივა არ გააჩნია. პოეტ დავით თედორაძის შემოქმედებაში ამგვარი მითოლოგემაა მამისეულ სახლთან მიახლება, სადაც ღამითაც კი სცნობს ძაღლი და წკმუტუნით ეფერება, სადაც ელოდება მამა – სიბრძნის წყარო, რომელსაც დაუფარავად მიმართავს, რომ სხვებთან თათბირებისა და ბჭობის შემდეგ მისი მოსმენა უჯობს:

მესიამოვნა ძაღლის წკმუტუნი,
ცხოველმაც მიცნო ღამით;
სამსააათიანი თათბირის შემდეგ
ისევ შენ მოგისმენ, მამი!
(თედორაძე, 1980: 57)

სხვათა ნათქვამს, სხვათა დავა-კამათს ადვილად აისხლეტს გონება, მაგრამ მამისეული რჩევა-დარიგება შვილისათვის „სულში ჩაღვენთილი“ სარგო საგზალია:

რაზეც ითქვა და რაზეც დავობდნენ,
არდავიწყებას ვცდილობ,
ის კი შიგ სულში ჩაღვენთილია,
შენ რომ დაიწყებ: „– შვილოო…“
ვთვლი: თუკი სადმე ჭეშმარიტია
დარიგებები მზისებრ,
უპირველესად მშობლიურია,
მეც მამაჩემით ვიწყებ.
(თედორაძე, 1980: 57)

„მასზე სამართლიანი, შრომისმოყვარე, ძლიერი და პატიოსანი არავინ მეგულებოდა. ასეც იყო – მკაცრსა და სიტყვაძუნწს, სიტყვის ფასიც ესმოდა და საქმისაც. რაინდობის ეტალონი იყო ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, გულუხვი, ყველას გამკითხავი და შემწე. ჯანმაგარ, ახოვან ვაჟკაცს არ ჰყავდა სოფელში ბადალი. მასთან რჩევის საკითხავად მიდიოდა ჩინიანიც და უჩინოც, განათლებულიცა და უბირიც.

პირდაპირი იყო, პირდაპირი და სამართლიანი; ამის გამო, ხშირად – მოურიდებელიც კი, მაგრამ – ერთი შეხედვით; ხასიათის ეს თვისება იმოდენა სიყვარულთან ჰქონდა შეზავებული, რომ ყოველთვის პატივისცემასა და მოწიწებას აღძრავდა“, – ასე ახასიათებს პოეტი მამას (თედორაძე, 2004: 3).

მამის ზნეობრივი გზით მავალი შვილი დღემუდამ იმაზე ფიქრობს, ტალახში არ ამოსვაროს მშობლის ავტორიტეტი; ისე მოიქცეს, მამას რომ გაუხარდებოდა და კმაყოფილი დარჩებოდა; სწორედაც, ასეთია ჭეშმარიტი მამაშვილობა:

„აი, ეს მამას გაუხარდება,
ეგ მშობელს ლაფში გარევს“, –
ვფიქრობ და ვიცი, კმაყოფილია
ჩემი გამზრდელი მხარე.
(თედორაძე, 1980: 57)

და კვლავ, როგორც დავით თედორაძის კალამს სჩვევია, იხატება უმშვენიერესი ვერბალური პორტრეტი კერიის პირას მიმჯდარი მამა-შვილისა:

და ახლა, როცა გადავიღალე
ორატორით და სკამით,
კერიის პირას ჯორკოზე დავსხდეთ
და შენ მოგისმენ, მამი!
(თედორაძე, 1980: 38)

მამისეულ პორტრეტს დავით თედორაძე ნაირფერ ასპექტებში გვიხატავს. ლექსში „...აგვისტოს ხვატით შეკირული...“ (თედ-

ორაძე, 1980: 21) ვხედავთ, „ნადირობის ღმერთს შეწირული“ მამა როგორ ეფერება მწევარს, თუმცა ამ, თითქოსდა იდილიურ, სურათს მინორული ელფერიც დაჰკრავს – მამას მუხლი ძველებურად აღარ მოსდევს და აღარც ტყე-ველია სავსე ფრინველით, აღარც ცერზე შემჯდარი მიმინო მოსჩანს და მშობლის სახესაც სიმძიმილი შეჰპარვია; პოეტი შვილის გულთამხილაობასა და სათუთ მზერას არც ეს გამოეპარება – ის ხომ მამის თვალებით უმზერს სამყაროს:

აგვისტოს ხვატით შეკირული,
სოფელში,
ვაშლის ჩრდილში, ვწევარ.
მამა –
ნადირობის ღმერთს შეწირული –
ეზოში ეფერება მწევარს.
იყოს ტყე-ველი, იყოს ფრინველი,
ჰქონდეს მუხლი და ჰყავდეს მიმინო,
ჭარმაგი მამა – ნათლის მკმეველი,
მეყოლებოდა უსიმძიმილოდ.

მამის გარდაცვალებით გამოწვეული უსაზომო ტკივილია გადმოცემული ლექსში „გარდაცვალების დღეა“ (თედორაძე, 2015: 49):

გარდაცვალების დღეა
სულზე უტკბესი მამის,
გული წუხილის ტყვეა,
სული სავსეა შხამით.

მამის საფლავთან მდგარი მხრებჩამოყრილი შვილის განცდების გამოსახატავი პოეტური სახე – „ცრემლებით სავსე სურა“ – ამ მინორული ლექსის ღვთით ნაკარნახევი უიშვიათესი სამკაულია, ნებისმიერ გენიოსი მხატვრის ფუნჯს რომ შეშურდებოდა:

...ახლა საფლავთან ვდგავარ –
ცრემლებით სავსე სურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვეფერები წყნარად
გრანიტზე ნახატ სურათს.

მამის მონატრება კიდევ უფრო ძალუმი ხდება, რაც დრო გადის, რაც ასაკი ემატება ადამიანს; დავით თედორაძის ლექსი „მამაჩემი“ (თედორაძე, 2015: 43) ამ უსაშველო მონატრებით იწყება:

მენატრება მამაჩემი,
გზაც მოკლდება მამისაკენ,
როგორც გულს და
როგორც თვალებს,
ვუფრთხილდები მამის სახელს.

ამ მშვენიერ ლექსში, რომლის ადრესატი პოეტის ამაგდარი მამაა, ზოგადქართველი მამის შთამბეჭდავი სახეა დახატული; მამისა, რომელიც შვილებს რაინდულ სულს უნერგავს და სულხან-საბას იგავების სიბრძნით აპურებს:

მამა გვზრდიდა რაინდებად
საბას იგავ-არაკებით,
არასოდეს უცხოვრია
დალხენით და გალაღებით.

ზოგადკაცობრიული ზნეობრიობით შემკული მამისეული პორტრეტის წარმოჩენის დიდოსტატია დავით თედორაძე; იგი გვაცნობს ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ოდინდელი მაღალმოქალაქეობრივი თვისებების ოჯახის უფროსს, რაც ესოდენ ამშვენებს მშობელს, ღირსეულ მოქალაქეს, სოფელში ჭკუასაკითხავად მიჩნეულს, აწონილი სიტყვის მქონეს:

სოფელს მისი ჰქონდა რიდი,
სიტყვას მისას ჰქონდა წონა,
სძულდა მშიშარა და ფლიდი,
სძულდა მლიქვნელი და მონა.

მამისეული სახლ-კარი პოეტისათვის შეუვალი ციხესიმაგრეა, სადაც ის სიმყუდროვესა და სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებს,

სადაც, თითქოს, ფიქრიც მეტია და სევდაც, მაგრამ, ამასთანავე, უფრო მეტი ფასი აქვს ცრემლსაც და ღიმილსაც:

მამის მამულში გამოკეტილი
უფრო მშვიდი ვარ, უფრო კეთილი.
თითქოს აქ დარდი გულს ასწყვეტია...
აქ ექვსში ხუთი მაინც კაცია,
ცრემლსაც, ღიმილსაც მეტი ფასი აქვს.
(თედორაძე, 2015: 112)

მამა-მეომარი კიდევ ერთი შთამბეჭდავი სახასიათო შტრიხია პოეტის მშობლის დასახასიათებლად:

მამამ შიში არ იცოდა,
ომმა გამოსტაცა შიში –
კურსკთან სიკვდილს ეთამაშა,
კენისბერგში ითარეშა,
გამარჯვება დაიმშვენა,
დაფლეთილი ეპყრა დროშა.

მამის მოსაგონარ წერილში „ხსოვნის ჩირაღდნები“ დავით თედორაძე გვაცნობს ერთ მეტად მნიშვნელოვან შტრიხს მამის ვაჟკაცური პორტრეტისათვის: „პირველივე წელს „მიუსწრო“ სტალინის ცნობილმა ბრძანებამ ზემოაჭარაში დაბადებულთა ფრონტიდან გათავისუფლების შესახებ. როგორც ზემოაჭარაში (დედულეთში) დაბადებულს, აღნიშნული ბრძანება მასაც ეხებოდა, მაგრამ არ წამოვიდა, სირცხვილად და სიკვდილად მიაჩნდა ასეთ დროს თანამებრძოლების მიტოვება.

„ცნობა რომ წავიკითხე, ნახევრად მძინარ ბიჭებს გავხედე. სირცხვილის გრძნობა მწვავდა. რა უნდა მეთქვა მათთვის – მე სახლში მივდივარ, თქვენ კი აქ ჩაიხოცენით-მეთქი? ჩემთვის რომ რომელიმე მათგანს ასეთი ცნობა ეჩვენებინა, იქვე მივახვრიტავდი...“ (თედორაძე, 2004: 5).

და ბოლოს... ახოვანება მამისა და სიძლიერე, ყმაწვილობიდან რომ ხიბლავს და აამაყებს, ზღაპრულ სამყაროში რომ გადაჰყავს ყველა შვილი, მამისადმი მიძღვნილი ამ დიდებული ლექსის ბუნებრივი, მაღალრეგისტრიანი დასასრულია:

მამა იყო ახოვანი,
გუმბათივით აზიდული,
ბაყბაყდევის ძალა ჰქონდა
და კეთილი ბავშვის გული.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დავით თედორაძე ის მადლმოსილი პოეტია, ვინც მამის კულტი დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში, ვინც არა მარტო ლექსებში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მამისეული სამყაროდან ჭვრეტს მოვლენებს, მამისეული გამოცდილების უტყუარი თვალსაწიერიდან გვესაუბრება და ყოველთვის შეუმცდარია, რადგანაც კეთილ საგზლად აწ უკვე წინაპრადხმობილი მამისეული სიბრძნე მოჰყვება. ლექსში „სამშობლოს დარდი მაცვია“ (თედორაძე, 2019: 75) ჩვენს წინაშეა ქვეყნის სვე-ბედით სულშეძრული უკვე ასაკოვანი შემოქმედი, რომელსაც „სამშობლოს დარდი აცვია“, რომელიც საკუთარ ჩრდილში ვერ ჩერდება და მამისეული სამყაროდან იხედება, რომელსაც იმედები არ უბერდება; იგი მიმართავს გულში უსაშველო „ტკივილად ჩანაჭედ“ მამას:

საბედნიეროდ, მე ვბერდები
და არა – ჩემი იმედები,
საკუთარ ჩრდილში ვერ ვჩერდები,
შენი სამყაროდან ვიხედები.

დავით თედორაძემ უთბილესი ლექსი უძღვნა ბებიას ხსოვნას. ლექსით „მოდის, ჭრილობას მირჩენს“ (თედორაძე, 2015: 53) პოეტს შეჭირვების ჟამს ბებიის გახსენებაც კი შველის:

როცა მაყრიან ნაცარს,
ურცხვად
ზედ გულზე მკბენენ,

მოდის, ჭრილობას მირჩენს
ჩემი გურული ნენე.

ბებია – გურიიდან აჭარაში გამოთხოვილი ქალბატონი ხატია ჯაში პოეტის შთაგონებაში ქართული სულის ერთიანობის, მშობელი ქვეყნის განუყოფლობის სიმბოლოა:

იმის სულს ვენაცვალე! –
მისი თვალებით ვხედავ
ხიდისთავს,
ჩოხატაურს,
ერგეს –
ადგილის დედას,
სადაც საფლავებს შორის,
ჩასმული გედის ფრთაში,
არის ძვირფასი
ბორცვი –
ჩემი ხატია ჯაშის.

ღირსეული ბაბუა-ბებიისა და მშობლების სიყვარულით, ურთიერთპატივისცემით გაჯერებულ ოჯახში, სადაც ადამიანის ზნეობა უმაღლესი ღირებულებაა, ბუნებრივია, ღირსეული შთამომავლობა იზრდება; თედორაძეების ოჯახი თავისი განშტოებებით ამისი ნათელი დასტურია.

ოჯახი ის საოცარი ნავსაყუდარია, სადაც სული დაივანებს, სადაც სულმუდამ გელიან და საიდანაც უფრო ამაყად, უფრო თვალნათლივ სჭვრეტს პოეტი სამყაროს:

ვჯდები,
გრილ ოთახს ეფინება
თამბაქოს ბოლი...
. . . . . .
ვარ ბედნიერი
ოჯახით და
ცოლ-შვილის ყოლით!..
(თედორაძე, 1999: 220)

წინაპრის უტყუარ კვალზე მავალი პოეტი შვილებსაც ნაცადი მამა-პაპური სიბრძნის კვალობაზე ზრდის – არ კარგავს საუკუნეთა მანძილზე ქართველთა სულიერ მონაპოვართა სიკეთეს, რადგან იცის, რომ მრავალტანჯულ ქვეყანას, მის გმირულ ისტორიას ღირსეული გამგრძელებლები სჭირდება; ასეთებად კი, სხვათა გვერდით, საკუთარი ნაგრამიც ეგულება. ლექსში „ხვალ უსათუოდ საქართველო გალამაზდება“ (თედორაძე, 2013: 41) დავით თედორაძე დარწმუნებით აცხადებს:

ხვალ უსათუოდ
საქართველო გალამაზდება
ჩემი თეათი,
შორენათი, ჩემი ირაკლით
და აღსრულდება ყოველივე, რასაც ვინატრი
ისევ თეათი,
შორენათი,
ისევ ირაკლით.
იგრძნობს მამული
მოჭარბებულ გრძნობას სიახლის.

რა აძლევს პოეტს ამგვარ თავდაჯერებას? სწორედაც ის ზნეობრივი პოტენციალი, რასაც მან, მისმა კდემამოსილმა მეუღლემ – მადონა ფალავანდიშვილმა და, ზოგადად, თედორაძეთა დიდმა ოჯახმა აზიარა შვილები და რითაც ყოველდღიურად პირადი ცხოვრებისეული მაგალითებით აპურებს მათ ერის მოჭირნახულე მამა-პოეტი, რომელიც მუდმივად შთააგონებს, რომ უნდა იამაყონ წინაპართა სიბრძნით, ქვეყნის ისტორიული წარსულით:

იამაყებენ ისტორიით,
სიბრძნით, წინაპრით,
ჩემი თეონა,
შორენა და
ჩემი ირაკლი.

მარტოოდენ სიამაყე რომ არ კმარა და ღირსეულმა მამულიშვილმა მსხვერპლის გაღებაც უნდა იცოდეს, ამასაც შეახსენებს მამა-მოძღვარი:

უნდა იცოდნენ მამულისთვის
მსხვერპლის გაღება
ამ კუდრაჭებმა,
ამ ცელქებმა,
მხნე და ლაღებმა!

შთამომავლობამ რომ არ უნდა დაივიწყოს მტერთაგან სამშობლოს სხეულზე უმოწყალოდ ჩამოჭრილი და წაგვრილი მამულდედული, მათზე რომ მუდმივად უნდა იფიქრონ და იზრუნონ, არც ამ ანდერძ-სენტენციას აკლებს შვილებს მშობელი ქვეყნის ძველი და მარად ახალი ტკივილების ჭირისუფალი პოეტი:

უნდა იცოდნენ, მივითვლიდით
რასაც სულ ადრე,
ტაო-კლარჯეთზე,
არტანუჯზე
უნდა ზრუნავდნენ.

ახალი საუკუნის სიკეთეებთან ერთად, გარდასულ ეპოქათა ყველა ნანგრევი რომ უნდა სტკიოდეთ, ესეც მგოსანი მამის დანაბარებია:

უნდა სტკიოდეთ ყველა ციხის ლოდი ბებერი,
იცხოვრონ,
როგორც საუკუნეს
ახალს შეჰფერის.

სიკეთის მსახურება, სწორად სვლა და ცხოვრების უმთავრეს საგზლად სიმართლის შუქის წამძღვარებაც თავად გულმართალი და წმინდა სულის მქონე მამისეული დალოცვაა:

არ დაივიწყონ უმთავრესი სისხლი სიმართლის
ჩემმა შორენამ,

ჩემმა თეამ,
ჩემმა ირაკლიმ!

შთამომავლობისადმი მიძღვნილი დავით თედორაძის დიდაქტიკური ციკლის ლექსთა ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია ვაჟიშვილის – ირაკლისადმი მიძღვნილი ლექსი; ესეც გასაუბრებაა მამისა შვილთან, რომელმაც ღირსეულად უნდა განაგრძოს მამა-პაპათა გზა, უნდა ამოავსოს ყველა უკმარისობა, რაც წინაპარმა ვერ შეძლო. როგორც პოეტს სჩვევია, ამ ლექსის (თედორაძე, 2015: 169) დასაწყისიც ფილოსოფიურია:

შენ გაჩნდი,
შვილო,
რომ მე უარმყო
და ამომივსო სული ვარდებით,
ჯვარზე გააკარ ტკივილი ჩემი,
ქარებს მიუგდე ჩემი დარდები!

დავით თედორაძე შვილს უპირველეს მოვალეობად სამშობლო ქვეყნის სამსახურს უსახავს:

...გრძნობა და სიტყვა გულს დასახალი
იწყება, შვილო,
საქართველოთი!

პოეტი ცხოვრების რეალურ სურათს უხატავს შვილს და არიგებს, გულგრილობის სენი არ შეეყაროს, თვალი არ გაექცეს წუთისოფლის საცდურებისაკენ:

შენც შეგბოჭავენ კოშმარულ სიზმრით,
აგიცახცახებს ბაგეს კრწანისი...
არ გამიცივდე ოქროზე ფიქრით,
ერისთვის ტანზე თაფლი წაისვი!
ერისთვის,
შვილო,
თუკი იცოცხლებ,
ამომევსება სული ვარდებით...

ჯვარზე გააკარ ტკივილი ჩემი,
ქარებს მიუგდე ჩემი დარდები!

მსოფლიო პედაგოგიკამ მრავალი თავჩენილი თუ უჩინარი მამის წერილი-სენტენცია იცის შვილისადმი და, ალბათ, კვლავაც მრავალი დაიწერება, მე კი თამამად ვიტყოდი, რომ დავით თედორაძის ლექსების – „ხვალ უსათუოდ საქართველო გალამაზდება“ და „ირაკლის“ – ბადალი ლაპიდარული, ისტორიული წარსულის მსახურებისადმი მხურვალე მოწოდებით აღვსილი და მომავალზე ორიენტირებული, ღრმად ფილოსოფიური სენტენციური პოეზია ქართულ ენაზე იშვიათია.

დავით თედორაძის შემოქმედებაში სრულიად ცალკე თემაა შვილიშვილები, მათდამი სიყვარული და ზრუნვა...

მოსახელე შვილიშვილს ლექსში „პასუხი დათუნას“ (თედორაძე, 2019: 149) პოეტი ყმაწვილს მისთვის გასაგები და მახლობელი ლექსიკით ესაუბრება:

ბაბუ, როგორ მიყვარხარ,
რანაირად მოვყვე!
ბაბუ, შენი გულისთვის
დევებს თავებს მოვკვეთ!

და აქ მარტოოდენ ზღაპრის დევები რომ არ იგულისხმება, კარგად ხვდება მკითხველი. ბაბუამ უნდა ააცილოს მემკვიდრეს ყოველგვარი უკეთურება, ყველა საცთური, რითაც აგრერიგად სავსეა წუთისოფელი.

არც ის არის გასაკვირი, რომ სიყვარულზე ტკბილსა და გარდამეტ შვილიშვილს პოეტი-ბაბუა იმთავითვე მამულიშვილობისათვის ამზადებს:

უკვდავების წყარო ხარ
ციდან ჩამონადენი,
ლოცვანივით წმინდა ხარ და
ლოცვასავით ნათელი,
ისე შვენი სამშობლოს,
როგორც ტაძარს – სანთელი.

ლექსში „შვილიშვილს“(თედორაძე, 2015: 63) პოეტი მადლიერებას გამოთქვამს უფლის მიმართ, რომ ამგვარი სიცოცხლით სავსე, ხალისისა და იმედის მომგვრელი გვარის გამგრძელებელი აჩუქა:

...ამ სასწაულის შემყურე,
სად წავალ, როგორ მოვკვდები!..
გული სულ მისკენ მიმიწევს,
ვერსად ვძლებ, სახლში რომ მიცდის,
მადლობა უფალს ამგვარი
სიხარულების მოგვრისთვის!

კიდევ უფრო ნაზი და სათუთია საყვარელი ბებიის მოსახელე შვილიშვილის – ხატიასადმი მიძღვნილი ლექსი (თედორაძე, 2015: 231):

მზის თვალო და
თვალისჩინო,
გულისგულში მიხატიხარ,
მალამო ხარ,
სალბუნი ხარ,
დასაფიცარი ხატი ხარ!

პოეტის უმშვენიერესი და უსათუთესი შვილიშვილი ქართულ ლირიკაში აპრობირებული მრავალი შედარების ადრესატია („ყვავილი ხარ“, „მზის სხივი ხარ“, „აისი ხარ“, „ცისკარი ხარ“), რომლის სიხალისე და სიკასკასე ბაბუას გულს მალამოდ ედება:

ხალისი ხარ,
ჭრილობების მომრჩენი და
დამთრგუნველი;
სხვა ხიბლი გაქვს,
სხვა სიტკბო გაქვს,
სხვა სითბო და სხვა სურნელი!

მოსიყვარულე, თბილი და გამგები და, თანაც, დამთბობი, საოცრად დამთმობი, მეუღლე ჰაერივით სჭირდება ყველა პოეტს,

რადგანაც ის „ხან მიწისაა, ხან – ცისა“. ქართველ პოეტთა არაერთ ცხოვრების თანამგზავრს ვიცნობთ, შემოქმედი მეუღლეებისათვის თავშეწირულებს; სწორედ, ამგვარი ბრძანდებოდა დავით თედორაძის თანამეცხედრე, უიშვიათესი კდემამოსილებით, სითბოთი, ყურადღებიანობით, გონიერებითა და გარეგნული ხიბლით შემკული ქალბატონი მადონა ფალავანდიშვილი – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუდენტთა საყვარელი პედაგოგი, სამი სასახელო შვილისა და შვილიშვილების აღმზრდელი და პოეტი მეუღლის გვერდით მდგომი ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში. სიყვარულით, ურთიერთგაგებითა და პატივისცემით შექმნილ ოჯახში ქალბატონი მადონა ყოველთვის იყო გულთბილი, ყურადღებიანი, სასურველი მასპინძელი უხვმეგობრიანი მეუღლისა, რომლის სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე მრავალი სტრიქონის ადრესატი თავად ბრძანდებოდა და შეშვენოდა კიდეც ყველა განზომილებით...

ოჯახის, ცოლ-შვილის თანადგომა პოეტმა მშვენივრად გამოხატა ლექსში „...ლექსს დაწერო...“:

ლექსს დაწერო –
გაიხიზნენ შვილები და ცოლი,
მარტო ვარ და ჩემს სენაკში
კედლებს უნდა ვუყურო...
თქვენ რომ მყავდით,
მაშინ ვიყავ პოეტების სწორი,
გული გაგყვათ, ძვირფასებო,
რა დავწერო უგულოდ!
(თედორაძე, 1980: 50)

სატრფო – მეუღლე – დედა – ბებია – ყველა დროში თვალწარმტაცი ქალბატონი მადონა უხვად აპურებდა მეუღლის შთაგონებას „...მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა!“ – ბრძანა აკაკიმ... 2020 წლის 12 ნოემბერს 45 წლიანმა ოჯახურმა სიმყუდროვემ ქალბატონი მადონას გარდაცვალებით ერთგვარად ნირი იცვალა, მით უფრო პოეტისათვის, სიჭაბუკიდან სი-

ჭარმაგამდე პირველად მეუღლეს რომ უკითხავდა გულის სიღრმიდან ამოქროლილ სტრიქონებს. მეუღლისადმი მიძღვნილ ლექსში დავით თედორაძე ესაუბრება ცხოვრების ერთგული თანამგზავრის უფაქიზეს სულს და კვლავაც სიყვარულს უხსნის:

სხვა რა დამრჩა,
ვეფერები
ჩვენთვის ძვირფას
თარიღებს...
კარზე აღარ ვაკაკუნებ,
კარს არასდროს გამიღებ...
თურმე, როგორ
მყვარებიხარ
და რა გვიან გავიგე.

თედორაძეების სანიმუშო, სტუმართმოყვარე, ტრადიციული ოჯახის ხიბლი კარგად არის ცნობილი მთელს საქართველოში. აქ მუდმივად თავს იყრიან საქართელოს ყველა კუთხიდან დავითის მეგობარი მწერლები; მათთვის სათანადო პოეტური ოაზისის შემქმნელი ბრძანდებოდა ქალბატონი მადონა. სტუმარი არც არასდროს დაელევათ თედორაძეებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ შეეგებებათ პირმცინარი და სიკეთით სავსე დიასახლისი... ეს დღეებიც მოსანატრებელი აქვს პოეტს და გულისტკივილითა და ერთგვარი სიამაყითაც აღნიშნავს, რომ მათ ოჯახზე ლეგენდები ითხზვებოდა... დიახაც, ასე იყო და ამ ლეგენდების წყაროცა და უმთავრესი ადრესატიც ოჯახის დიდებული დედა-დიასახლისი ბრძანდებოდა. ახლა კი, როგორც პოეტი ამბობს გულდაწყვეტით, მის საფლავთან მისვლით ინუგეშებს თავს და მარტოობის კოშმარს ეგუება:

ჩვენს ოჯახზე სხვები
თხზავდნენ
ლეგენდებს და
სიმღერებს...
შენთან მოსვლით
ვინუგეშებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამწარებულ სიბერეს...
მარტოობას ვეგუები,
კოშმარული დღის მერე...

ლექსი აღვსილია მწარე რეალობის განცდით, ცალუღელად დარჩენილი პოეტისათვის ტკბილ მოსაგონრად რჩება უზომო სიმთვრალის ჟამს მეუღლის სიყვარულიანი დატუქსვაც:

აღარც დარი გახარებს და
არც გაწუხებს ავდრები,
აღარ მტუქსავ
სიყვარულით,
უზომოდ თუ დავთვრები...

მუდამჟამს ოპტიმისტი პოეტი, მიუხედავად უკიდურესი მინორული განწყობილებისა, ამგვარ ვითარებაში დაუვიწყარი მეუღლის მოგონებებით განაგრძობს ცხოვრებას:

სხვა რა დამრჩა,
მოგონებებს
ღამე უნდა ვუთიო,
სანამ მეც მანდ გეახლები,
გეახლები უთუოდ...

წუთისოფლის კანონები ვის შეუცვლია!.. „ყველანი სიკვდილის შვილები ვართო“, – მოგვძახის ჩვენი ბრძენი წინაპარი და, ამავე დროს, იმასაც გვასწავლის, რომ „თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“ (ჭავჭავაძე, 1984: 451). ესეც კარგად უწყის მშობლიური ზეპირსიტყვიერებისა და სიტყვაკაზმული მწერლობის მოტრფიალე მგოსანმა – ოჯახის უფროსმა და წარმმართველმა და გვჯერა, ძვირფას მეუღლეზე მოგონებებთან ერთად, მის ირგვლივ ყველას და ყველაფერს კვლავაც ძველებურად დაამშვენებს, მისებურ ძარღვიან სტრიქონებს არ მოაკლებს, მისებური ღიმილითა და მზიანი სიტყვით გაათბობს არცთუ სახარბიელო დღეში მყოფ თანადროულობას... პოეტის ღვთაებრივი მისიაც ხომ ეს არის!..

„ჰკაფავს სიყვარულს...“

ჰკაფავს სიყვარულს,
სიძულვილის მძლავრობს
ქარბუქი...
ღმერთო მაღალო,
გონს მოაგე
ეგ უბადრუკი!

დავით თედორაძე

ყოველი შემოქმედი მეტ-ნაკლებად მისი თანადროულობის რუპორია, ანუ, როგორც აკაკიმ ბრძანა, „გარემოების საყვირია“; ეს გარემოება კი უწინრესად მისივე დროა, ის სოციუმია, სადაც დაიბადა, გაიზარდა და მოღვაწეობს. ბუნებრივია, უწარსულოდ და, ამავე დროს, სამომავლო ზრუნვის გარეშე აწმყო უფუნქციო არარაობაა. შემთხვევითი არ არის, რომ ერის მამად შერაცხილმა ილია ჭავჭავაძემ თავის ერთ-ერთ საპროგრამო ლექსს – „ქართვლის დედას“ – ეპიგრაფად წაუმძღვარა ცნობილი გერმანელი მეცნიერის, ფილოსოფოსის – გოტფრიდ ვილჰემ ლაიბნიცის (1646-1716) სიტყვები: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ (ჭავჭავაძე, 1984: 49). დიახ, წარსული, აწმყო და მომავალი ყოველი ეპოქის მოღვაწეთათვის უმნიშვნელოვანესი სამებაა, თუმცა, ქმედითი ეპოქა, რომლის შეცვლა და გაკეთილშობილება, წარსულის ღირსეულ მემკვიდრედ და სამომავლოდ ხნულში ჩაგდებულ მარცვლად ქცევა არის შესაძლებელი, აწმყოა. აკი იმავე ლექსში ილიამ ეპოქალური მოწოდებით მიმართა თანამედროვეთ, უპირველესად კი ქართველ დედებს:

მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
(ჭავჭავაძე, 1984: 49)

დიახ, თანადროულობაში იხარჯება შემოქმედი, რაგინდ ისტორიული თემატიკითა და სამომავლო ფანტასტიკით იყოს გატაცებული; მყოობადია მისი სამოქმედო დრო და სივრცე და გმირული ისტორიის გახსენება თუ სამომავლო ედემის დახატვა მის გასაკეთილშობილებლად სჭირდება. დავით თედორაძის უაღრესად თავისთავადი, მრავალფეროვანი თემატიკით დახუნძლული პოეტური მემკვიდრეობისთვისაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა პოეტის თანადროული სოციუმი, მამულისა და მშობელი ხალხის აწმყო თავისი შუქ-ჩრდილებით, ლხინითა თუ სატკივრით; მშობლიური სიტყვაკაზმული მწერლობისა თუ ზეპირსიტყვიერების ტრადიციებზე აღზრდილს, არ ძალუძს, მართალი სიტყვა არ უთხრას ერს, დამალოს მცირედი სიმახინჯეც კი, რაც აწმყოს ხრავს, წარსულს არცხვენს და მომავალს წინასწარვე ანგრევს. ასეთია მისი პოეტური კრედო – არ დაარქვას კახაბერი, „ვინც არა ჰგავს კახაბერსა“, ასეთია მგოსნობის უპირველესი მისია:

შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ;
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს.
(თედორაძე, 2019: 44)

ლექსში „იქნებ, არმოსვლა მერჩია“ (თედორაძე, 2015: 48), რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ვაჟა-ფშაველას სტრიქონები: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა?..“, პოეტი გულდაწყვეტით ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ვაჟამ ეს სტრიქონები ამოთქვა, „სიგლახემ ასჯერ იმატა“ და რაღა თქვას თანამედროვე პოეტმა, როცა

ქვეყანა არეულია
და ყველგან შხამი თესია
და უმტკიცებენ ძმები ძმებს,
ვინ ვისზე უკეთესია.

უსანდომო დრო, ძმათა შორის შუღლი და აშლილობა ახალ „ქართლის ჭირად“ დასტყდომია თავს მშობელ ქვეყანას და ვინ უნდა აიმაღლოს ხმა, თუ არა პოეტმა:

საშოვრად უნდათ სამშობლო,
ნახვეჭ-ნაძარცვით ტკბებიან,
ხალხს აბრიყვებენ, მშრომელ კაცს
სიმშვიდე მონატრებია.

სოციუმში გამეფებულმა ლიქნმა და მაამებლობამ გმირთა ქვეყანას ღირსება წაჰგვარა, რაინდთა ნაცვლად ქურდბაცაცები ზეობენ:

ლიქნმა კაცობა წაბილწა
და პირფერობამ – ღირსება,
ქვეყანა გმირთა, რაინდთა,
ქურდბაცაცებით ივსება.

არსებული ვითარება, რაც ღირსეული ისტორიის მქონე ერს თავს დაატყდა და ულმობლად აკნინებს, იმადაც უფრო სავალალოა, რომ გამკითხავი არავინ არის, არც კანონი კანონობს, არავის აწუხებს, ხალხს რა სწყინს, ან რა უხარია:

განმკითხავს სადღა შეხვდები,
ყველა კანონი მკვდარია,
ვის ენაღვლება, რა გიჭირს,
რა გიმძიმს, რა გიხარია!

ასეთ დროს სამშობლოს ტკივილების მოზიარე მგოსანი უკიდურესი გულისტკივილით იტყვის:

შე დალოცვილო, მე რა ვთქვა,
ვის ამოვუდგე გვერდშია,

იქნება, არ მოვსულიყავ,
იქნებ, არმოსვლა მერჩია.

ლექსში „ჭორის სურნელი“ (თედორაძე, 2015: 74), რომლის მინორულ განწყობას ალიტერაციაც შეჰხამებია, პოეტს სააშკარაოზე გამოაქვს სამშობლოს „პატრონებად“ მოვლენილთა ავი გარჯილობა: აგორებული ჭორების საფუძველზე ამოხოცეს გმირები, ქვეყანა ერთ დიდ ჭას დაამსგავსეს და მის გარშემო პარპაშობენ ჭინკები და თხუნელები, რომლებიც, სამწუხაროდ, ხალხის ბედს განაგებენ:

აღაზევეს აღმა ერთი,
ჩამოართვეს სხვას ჩინები...
რაღა იყო ამის მეტი –
ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები.
ჭაჭანებდნენ ჭის გარშემო
ჭინკები და თხუნელები,
იღვრებოდა, იშლებოდა
ჭორი ჭარბი სურნელებით...

ამგვარ ქაოსში, სადაც სიმართლისა და სინდის-ნამუსის ადგილი ვეღარ მოინახება, ზეობენ ახალი დროის ყვარყვარეები და ბოლომდე პატიოსნად ცხოვრება გმირობის ტოლფასი ხდება:

სამშობლოში
სამში ორი
ყვარყვარეა თუთაბერი,
გმირობაში ჩაგეთვლება,
პატიოსნად თუ დაბერდი.

იცის პოეტმა მოსახელე წინამორბედის დანაბარები: „მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ მალვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“ (გურამიშვილი, 1964: 44) და აღარც მალავს ჭირს, რომელიც, ხალხური ანდაზისა არ იყოს, თავს მაინც ვეღარ დამალავს, რადგან შედეგი უკვე უკიდურესად სავალალოა:

სამშობლო ასცდა ლიანდაგს,
უკვდავებისკენ მიმავალს,
ხალხი მოწყვიტეს ნიადაგს,
ერი მოწყვიტეს წინაპარს.
ითვლიან ფინანსისტები
გარე ვალსა და შინა ვალს,
მისაწვდომს ველარ მივწვდებით,
ვერ ვნახავთ, რაც რომ გვინახავს!
(თედორაძე, 2015: 83)

აჭრილ, ფარისევლებით სავსე სოციუმში ძნელია მტრისა და მოყვრის გარჩევა და წუხს პოეტი, რომ „უკან დარჩა ბედნიერი წლები“, რომ მტრებს დაძმობილებია, რომ ცოდვილები ნიანგის ცრემლებს ღვრიან... თუმცა, აქვე არიან ზნესრულნიც, რომლებიც უფლის წინაშე ლოცულობენ:

...მაოცებდნენ ცოდვილები ცრემლით,
უცოდველი სახეებიც ვნახე,
ზნესრული და ზნემაღალი მრევლი
წარმოსთქვამდა ლოცვით უფლის სახელს.
(თედორაძე, 2015: 86)

კიდევ უფრო მრუმე სურათს გვიხატავს პოეტი ლექსით „ორას დოლარად“ (თედორაძე, 2004: 197); იგი ამხელს საზოგადოებად წოდებულ გარემოს, სადაც ყველაფერი ფულზე იყიდება:

...ორას დოლარად იყიდი მწერალს,
ორას დოლარად იყიდი მხატვარს.
დაემსგავსება გამოწვრთნილ მწევარს
კაცი, რომელიც აივსებს სტომაქს,
ორას დოლარად იყიდი მკვლევარს,
მეცნიერს – ძველის თუ ახლის ქომაგს.

ამგვარ ყოფაში უძნელესია სათნო ადამიანის ყოფა, მაღალი იდეალებისადმი სწრაფვა, რადგანაც ძალზე ადვილია, იყიდო იმედგაცრუებული არტისტიც და მკერდი დაიმშვენო ჩინ-მედლებით:

ჭირს არსებობა, ყოფაა მძიმე
(ამ დღეში ჩამაგდებს მიეცეს დარდი!),
როცა დაკარგავს ყოველგვარ იმედს,
ორას დოლარად იყიდი არტისტს,
ორას დოლარად გაიჩენ ბორდელს
მზემოკიდებულ ბანოვანების,
ორას დოლარად მიიღებ ორდენს
მასმედიაში გახმოვანებით.

უმძიმესი სულიერი შეჭირვება პოეტის გულს ხრავს და აღარ იცის, ვის გაუმხილოს სადარდელი, რადგან ყველა თავისას წუხს... ამიტომაც ენატრება ის დრო, როცა ადამიანები ერთმანეთზე ზრუნავდნენ, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ:

დარდი მხრავს,
დავალ უდარდელივით,
შემომეჩვია გულზე ჭვალვა ჭრელი გველივით.
ვის გავუმხილო,
ვის ავკიდო ეკალ-ბარდები?!
ყველას თავისი, მეტ-ნაკლებად,
არყევს დარდები.
რომც გავუმხილო,
მიმტანია ვინმე გულამდე?!
ვიხსენებ იმ დროს,
ერთმანეთზე როცა ზრუნავდნენ.
(თედორაძე, 2015: 98)

ლექსით „ნუ მიწყენ“ (თედორაძე, 2013: 98) ვერა და ვერ შეგუებია პოეტი მის ქვეყანაში ამ შავბნელ დღეებს! გამოთქვამს რწმენას, რომ ამ ქაოსის შემოქმედთ შავ ნიღბებს ჩამოხსნიან და დამთავრდება მათი ბოგინი; მანამდე კი მთელი ხმით გაჰყვირის:

ამ დღეებს –
შავბნელს და შხამიანს
ახდიან შავ ნიღბებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავ ფარდებს
ბოგინი
შარიან შავების –
დამთავრდეს,
დამთავრდეს,
დამთავრდეს!

უკიდურესად სულშეძრული პოეტი ებოდიშება მშრომელ ქვეყანას:

ნუ მიწყენ,
თუ მწარედ შევკივლე,
სამშობლოვ,
კეთილო დედავ,
სამშობლოვ,
სვემწარევ,
სვეტკბილო,
გეყოფა ღირსების ცვეთა!

ერის წყლულების მოზიარე პოეტი გმობს სამშობლოს მღრღნელთა თავგასულობას, რომელთაც, თითქოს, ქვეყნის ბედი აწუხებთ, სინამდვილეში კი მოსაჩვენებლად ცოტას „წაიმიტინგებენ“, „წაიქართველებენ“, შემდეგ კი ქეიფსა და განცხრომას მიეცემიან და ქვეყნის მმართველებთანაც მშვენივრად გარიგდებიან:

ღრღნის საქართელოს,
მისი ბედით
თითქოს მწყრალია;
წაიმიტინგა,
წავიდა და ღვინო დალია.
წაითამადა,
წაიმღერა,
წაიქართველა,
უგუნურები შეუსია
ერს სამართველად.

ამგვარი სიძულვილის ქარბუქში სიყვარული ნადგურდება და პოეტის შემნდობი გული უფალს შესთხოვს, გონს მოიყვანოს დროის უკეთურებას აყოლილი თანამედროვე:

ჰკაფავს სიყვარულს,
სიძულვილის მძლავრობს
ქარბუქი...
ღმერთო მაღალო,
გონს მოაგე ეგ უბადრუკი!

ლექსში „მიყვარდნენ და მეტირება“ (თედორაძე, 2015: 247) დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირი ისევ და ისევ გზა-აბნეულ მოყვასზე მოტირალია:

ახლა ვხვდები,
ამ სოფელზე,
სულ ბალღურად მიცქერია,
ვინც მოყვარედ მეგულება,
იგი მომკლავს, ის მტერია!
ყელს გამომჭრის,
გამომღადრავს
უთავბოლო შეპირებით...
კი არ მძულან უძლურები,
მიყვარდნენ და
მეტირება...

ლექსში „...მტკივა...“ (თედორაძე, 2004: 210-211) დავით თედორაძის სამოქალაქო პოეზიის ლირიკული გმირი წუხს აჭრილ-აწეწილი დროის შედეგით – „შეწყდა წმინდა ტაძრისაკენ მიმავალი ნაბიჯი“ და ქუჩა გახდა ქვეყნის „მართვის“ ადგილი:

თითქოს ჭერი არ ჰქონდეთ,
ჟინით და მონდომებით
იმართება ქუჩებში
პარლამენტის სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკივა, აბა, არ მტკივა?
მიჭირს, აბა, არ მიჭირს?
შეწყდა წმინდა ტაძრისკენ
მიმავალი ნაბიჯი.

ლექსი „ღმერთმა დალოცოს ილია“ (თედორაძე, 2015: 193), რომელსაც ეპიგრაფად უძღვის ილია ჭავჭავაძის სტრიქონები ლექსიდან „ბედნიერი ერი“ – „ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?..“ – დავით თედორაძე, გამოხატავს რა მისი თანადროულობის სიმძიმილს, ამხელს რა ფიტულებად გადაქცეულთა მჭლე ეროვნულ გულისცემას, დროშების ფრიალის ამაო ხიბლით თროობას, ხოლო დასასრულს ისევ და ისევ ღრეობას, ლოცავს ილიას სიმართლის თქმისათვის მისი ეპოქის საქართველოს მდგომარეობაზე, რომლისგანაც არ განსხვავდება ახლანდელი ვითრება:

ღმერთმა დალოცოს ილია
გულზე სიმართლის დახლისთვის!..
ვისთვის ცხოვრება ტკბილია,
ვისთვის ბრძოლაა ახლისთვის.

დიახ, ცხოვრება ბრძოლაა ახლისთვის, სიკეთისათვის, ქვეყნის მომავლისათვის; ეს ბრძოლა ურთულესია, რადგან ერის მოღალატენი მომრავლებულან. ლექსში „ცეცხლის პერანგი“ (თედორაძე, 1999: 54) გადმოცემულია პოეტის განცდა იმის გამო, რომ ირგვლივ მომრავლებულან ოცდაათი ვერცხლის მსურველები, რომლებსაც ამხელს და მოუწოდებს, ერისთვის ილვაწონ, უპატრონონ ქართულ მიწას და ნუ დახარბდებიან უცხოთა სამოთხეს:

ნუ დახარბდები სხვის სითბოს,
სხვა სამოთხეს და ყვავილს,
უცხო იადონს გერჩიოს
შენი ყრანტალა ყვავი!

პოეტს გული სწყდება, რომ მისი თანამედროვე ქართველები ზნეშეცვლილები არიან, რომ ვეღარ ვიამაყებთ ქართველობით, რომ დღეს ძმათა დასახოცადაც კი მოვიცალეთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფერუმ, როგორ ვდიდგულობდით
ჩვენი ქართველობით ღვთიურით!
ღმერთმა მოიკითხოს მოსაკითხი,
ნუ ვეძებთ უბრალოს და ბრალიანს...
ქვეყნის საშენებლად გაჩენილებს
ძმათა დასახოცად გვცალია.
(თედორაძე, 1999: 117)

ლექსით „გარეწარი“ (თედორაძე, 1995: 109) დავით თედორაძე კიცხავს უფროსებთან მლიქვნელობითა და სხვათა „ჩაშვებით გალაღებულს“ და სვამს ძალზე მტკივნეულ სოციალურ პრობლემას: ამგვარი მამა, სახლში რომ მიდის და შვილები კოცნიან, ფურთხადაც არ ღირს:

ჩაუშვა კაცი,
უფროსებმა
აქეს ჩამშვები,
ტოვებს კაბინეტს
ისე ლაღად,
თითქოს, ეკურთხა...
შუბლზე კოცნიან
სახლში მისულ
მამას ბავშვები,
ღირს კი ერთ ფურთხად?!

იმაზე მეტი ტრაგედია რა უნდა იყოს, როცა მშობელი ქვეყნის მოტრფიალე მგოსანი ამოიგმინებს, „დროა მწარე და მზაკვარიო“, როცა სისხლისმწოველები ერისკაცობას ჩემულობენ; ასეთ დროს დუმილი კი ოქრო ნამდვილად არ არის:

ცრემლი მომგვარა ყვავილმა,
კლდის ყელზე ამოყვანილმა...
დროა მწარე და მზაკვარი,
პროზით თუ ვიტყვით – ზერთული,

ერისკაცობას იბრალებს
სისხლისმწოველი სეთური.
(თედორაძე, 2015: 207)

მართალია, როგორც ლექსში „წონასწორობა“ (თედორაძე, 2004: 183) ამბობს პოეტი, ჩვენს მრუმე დროში „პირში წყალდაგუბებულებს უფრო სცემენ პატივს“, მაგრამ უფალთან მოლაპარაკე მგოსნის მისია გაჩუმება და ჭირის მიჩუმათება არ არის, ის „გარემოების საყვირია“ და პირში წყალს ვერ დაიგუბებს, უნდა ამხილოს კაცთა გულგრილობა, ნიღბოსანთა უსანდომო თეატრი, შეშლილი ბრბო, თავს რომ საზოგადოებას უწოდებს, არადა, ეს ისინი არიან, რომლებიც

მოკლავენ მინდიას,
მოკლავენ თევდორეს,
მეფეს გაყიდიან გროშად,
მკვლელების ხელები
ააფრიალებენ
მამულის ჩალისფერ დროშას.
(თედორაძე, 1999: 109-110)

ვერა და ვერ შეეგუება პოეტი პირადი ინტერესებისათვის სამშობლოს დამანგრეველს, უნდა ამხილოს კიდეც და საზოგადოებასაც მოუწოდოს მათი ალაგმვისაკენ:

რო გაუჭირდეს,
სამშობლოს
მტერს მიუგდებს და მოლეწავს...
ბევრს გაუმწარა სიცოცხლე,
ბევრს კიდევ დააღონებსა,
როდემდე უნდა ვუცქიროთ
მას და მის მაძღარ მონებსა?!
(თედორაძე, 2004: 193)

ესენი ის უკეთურები არიან, წიწამურში რომ ტყვიას გაისვრიან, ოჯახს რომ ამოგიწყვეტავენ და ამდენი ბოროტების შემხედვარე მგოსანიც ზღვას მიაბღავლებს:

მაინც რისთვის ეს გოლგოთა,
ეს ღალატი მაინც რისთვის?!
(თედორაძე, 2015: 211)

პოეტი სასტიკად გმობს სხვის დუდუკზე მოცეკვავეს, თუ-ნდაც მისი ნათესავი იყოს, გმობს და, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, ებრალება კიდეც. ლექსში „ვის დუდუკზე როკავ“ (თედ-ორაძე, 1999: 114-115) იგი მიმართავს რენეგატებს:

დაგიკრეს და
შენც გამოდი საცეკვაოდ,
ვის დუდუკზე როკავ!..
დიდებისთვის გაჩენილო
ნათესავო,
შენი დარდი მომკლავს!

დარდთან ერთად ბრძნულ სენტენციასაც არ იშურებს მგოსანი:

უკეთ იცი,
რას მოუტანს საქართველოს
მონობა და სამსახური ქირით,
ცეცხლმა დაწვას
ტახტიცა და გასამრჯელოც,
თუ შენს გამო შენი ერი ტირის!

ცისა და მიწის შუაკაცად მოვლენილი პოეტი, რომლის „სარ-კედქცეული გულიც ბუნების ნათავხედია და მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია“, ყველას და ყველაფერს თავის სახელს არქმევს: ლექსში „ჩვენი ხსნა იოლი არ არის“ (თედორაძე, 2004: 200) დავით თედორაძე სარკაზმს მოიშველიებს და უაზროთა ფაფხურს „ეროვნულ-სავარძლურ“ რევოლუციას უწოდებს, რომელსაც შედეგად ფულის გაფეტიშება და ფარხმალდაყრილი სიმართლე მოაქვს; პოეტი გმობს მიტინგებს, სადაც მძარცველი ენამახვილობს, ქალს ქალურობა აქვს დაკარგული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუცია მძვინვარებს
ეროვნულ-სავარძლური,
გავაფეტიშეთ სკამი და
გავაფეტიშეთ ფული.
სიმართლევ,
ფარხმალდაყრილო,
შემკრთალო მიტინგებით,
მძარცველი ენამახვილობს,
დიაცი იკბინება.
დღეები გველის რთული,
გავაფეტიშეთ სკამი და
გავაფეტიშეთ ფული.

პოეტის გულისწუხილი იმადაც ძლიერია, რომ ღვთისაგან ბოძებულ ქვეყანაში „რაც მტერს გადაურჩა, მოყვარემ მოგვისპო“ და სათარეშოდ გაიხადა:

ცოდო ვართ,
ცუდად ვიქცევით,
აუგს პირჯვარით ვფარავთ,
ქვეყანა სათარეშოდ აქვს
უამრავ ფლიდს და მპარავს.
(თედორაძე, 1999: 120)

დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირი, სულშეძრული მძაფრი განცდებით, რაც რეალური ვითარების შედეგია, ლამის სასოწარკვეთილებამდე მისული, ლექსში „ვინ რას გიშველის“ (თედორაძე, 2019: 181) კითხულობს:

ეს სიძულვილი სიდან მოვიდა,
ვინ ჩაგვიღვარა სულში ბალღამი,
როდის დაიწყო, რომელ დროიდან,
აღარც დედის გვწამს და აღარც მამის...

არეულ, უგუნურებამდე მისულ სოციუმში, სადაც შვილებიც შეშლილი თვალებით იმზირებიან, სადაც „შიშმა წალეკა მთაველი“, აღარც ისტორიის ნათელი ფურცლები ახსოვთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილებს შეშლილი მოაქვთ თვალები,
შიშმა წალეკა ლამის მთა-ველი,
არც ცოტნე გვახსოვს, არც სააკაძე,
არც შავლეგო და არც რუსთაველი...

ასეთ დროს სინდისს, ტრადიციას, მოქალაქეობრივ ვალდებულებებს, არავინ დაგიდევთ და შემთხვევითი არ არის, რომ პოეტს სირცხვილის გრძნობა ეძალება, უცხოელ მეგობრებთანაც ვეღარ ამაყობს გმირი ერით; ლექსით „სირცხვილით სიტყვაც ვერ დამიძრავს“ (თედორაძე, 1999: 119) დავით თედორაძე მიმართავს მშობელ ქვეყანას:

მამულო,
სიუხვემ შემაძრწუნა
ავაზაკთა და მეკობრეთა,
სირცხვილით სიტყვაც ვერ დამიძრავს
შენს საზღვრებს მიღმა – მეგობრებთან.

ამგვარი სოციუმი ვერ გაალაღებს შემოქმედს, თუმცა, აფხიზლებს და ერის ხსნის გზების ძიებას აწყებინებს, იმ მიზეზთა ძებნას აწყებინებს, რამაც აქამდე მიგვიყვანა – „რითი ვცდუნდით, რა ხილისგან“; დავით თედორაძის შემოქმედების ლირიკული გმირიც ამ მიზეზთა მიზეზის ძიებაშია; მრავლისმეტყველ ლექსში „...წამო, ბიჭო...“ (თედორაძე, 2015: 61) ამგვარი განწყობაა გადმოცემული:

წამო, ბიჭო, წყალი ვნაყოთ,
გამოვხადოთ რახი წყლისგან,
გვეტყვის, ალბათ, ბრძენი ვნახოთ,
რითი ვცდუნდით, რა ხილისგან.
ბრძენი გვეტყვის, ამ ყოფაში
საწამლავი ვინ გარია,
ჩარჩენილებს ბალღობაში
ღვინოს ვთხოვდით, წინ ძმარია.
ძმარი ვსვათ და წყალი ვნაყოთ,
გამოვხადოთ რახი წყლისგან,

ბრძენი გვეტყვის, ბრძენი ვნახოთ,
რითი ვცდუნდით, რა ხილისგან.

დიახ, გზააბნეული, ლიანდაგსაცდენილი სოციუმის მარტოოდენ მხილება რომ მის კათარზისს ვერ გამოიწვევს, ესეც კარგად იცის პოეტმა და, რაკი „ღმერთთან მოლაპარაკეა“ ბრძენის ფუნქციასაც კისრულობს, ცდილობს, მშობელ ხალხს დაანახოს მიზეზი, აუხსნას, რომ „ეს მოჰყვა აზიურ როკვას, კუდის ქიცინსა და ცანცარს“ და, თუ გონს არ მოვეგეთ, მრავალგზისი ეგზეკუციები გველის, რადგანაც არ გასწორდება კუზიანი, ირმის რქა, ძაღლის კუდი და კირჩხიბი:

ვერ გაასწორებ
რქას ირმის,
ლეკვის კუდს,
კირჩხიბს, კუზიანს...
კიდევ მრავალჯერ ჩაივლის
ვარდების ეგზეკუცია.
(თედორაძე, 2019: 94)

ქვეყნის გადაგვარების მიზეზს მგოსანი გაუკულმართებულ არჩევნებშიც ხედავს. ლექსში „არჩევნები“ (თედორაძე, 2004: 198-199), რომელსაც ეპიგრაფად უძღვის სიტყვები: „ერთ უბანში, ერთ ადგილზე, ერთმანეთზე უარესი ცამეტი კაცი იყრიდა კენჭს“, პოეტი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ ცამეტ კაცში ერთიც არ არის, ქვეყნისათვის რომ იზრუნებს; ამიტომაც, მისი აზრით, გაუფასურებულია ამგვარი არჩევნები:

მოდით, ვინც გინდათ, შემოხაზეთ,
მოხაზული გვაქვს ისედაც,
ამათში ერთიც არ არის,
ქვეყანას გულს რომ მისცემდა.

პოეტი ვერ დაფარავს სამწუხარო რეალობას – უთოფო ყაჩაღების დრო მოვიდა და აშლილ-აწეწილი ქვეყანა მტრის საძარცვავი გახდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო მოდის უთოფო ყაჩაღების,
თოფიანები ციხეშია,
ქვეყანა, აშლილ-აწეწილი,
საძარცვავად მოსულ მტრის ხელშია.

ხალხს ცრუ დაპირებებით და ლოზუნგებით კვებავენ, პურის ნატეხის მიგდებით აჩუმებენ და გრძნობს პოეტური ალღო, რომ სულ მალე მოდუნდება, დაჩლუნგდება ოდესღაც გმირობისა და რაინდობისათვის მოწოდებული ხალხი და მუხლებს დაუკოცნიან მათ, ვინც ამ ყალბი არჩევნებით სავარძლებში მოკალათდებიან:

ჩვენ რა ხანია, ვიკვებებით
შეპირებებით და ლოზუნგებით,
პურის ნატეხით გვაჩუმებენ
და მალე ისე მოვდუნდებით,
მუხლებს დავულოკავთ მონებივით,
დღეს ვინც სავარძლებში მოკალათდნენ...

ლექსის ბოლოს კი გამაფრთხილებელი შეძახილი აღმოხდება პოეტს:

ცამეტში ცამეტივე ფლიდია და
ცამეტში ცამეტივე მოძალადე!

ყველა ჭირთან ერთად, ქვეყანას გაუცხოების სენიც შეჰყრია. ლექსში „SOS“ (თედორაძე, 2004: 242-243) პოეტი არ მალვს, რომ უცხოეთიდან გაუცხოების სენი მოვიდა, მოიტანა სიცივე და ფულით ნაყიდი ერთგულება, მოიტანა ქართველთათვის, და, ზოგადად, კავკასიელთათვის, ოდითგან ტრადიციად ჩამოყალიბებული კუთხე-მეზობლობისა და მეგობრობის მოშლა, როცა ყველა ოდენ თავის მიცვალებულს გლოვობს:

უბოროტესი ყოვლის,
სულის დამხშობი წყენით,
მოდის
ევროპის მოვლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუცხოების სენი.
მოდის,
სიცივე მოაქვს
და ერთგულება ქირით,
შენც შენსას ივსებ სტომაქს,
შენს მიცვალებულს ტირი.

გადაგვარებულ სოციუმში ხალხი ძნელი შესაცნობია, მტერსა და მოყვარეს ძნელად გაარჩევს ადამიანი; ბრბო სკამს, თანამდებობას სცემს პატივს და არა – ადამიანის ღირსებას. არც ეს ვითარება გამორჩება პოეტს; ლექსში „უკეთ მოჩანს“ (თედორაძე, 2004: 258) იგი წერს:

ხალხი, რომელიც გახვევია
ირგვლივ ხალისით,
ვერც რით შეიცნობ,
თუ დაჰყურებ მხოლოდ ზემოდან.
დაკარგე მძლავრი სამსახური,
დაეშვი დაბლა, –
კარგი და ცუდი
უკეთ მოჩანს, თურმე, ქვემოდან.

გაუფასურდა, გადაგვარდა ქართული ყოფისათვის დამამშვენებელი წეს-ჩვეულებანი, ჩაირაზა კარი ბინისაც და გულისაც; აღარავის ახსოვს მოყვასისათვის ხელის გაწვდენა და ასეთ დროს როგორ შეუძლია ჭეშმარიტ პოეტს, მთელი ხმით არ იყვიროს:

ნუ
ნუ აიმღვრევ მირონს –
ქართულ სულს არ შეშვენის!
მოისპოს, გაიწიროს
გაუცხოების სენი!

თანადროული „ქართლის ჭირის“ ერთ-ერთ მიზეზად პოეტს ისიც მიაჩნია, რომ სიტყვა „თავისუფლება“ უკულმართად იქნა

გაგებული, ყველა იმას ყრანტალებს, რაც პირზე მოადგება; ლექსში „და ვინც გუშინ“ (თედორაძე, 2004: 202-203) პოეტი „თავისუფალი მრევლის“ ამაზრზენ სურათს ხატავს:

თქვითო! –
ნება დართულია,
რაც გაწუხებთ, თქვით! –
თქვეს და
მრევლი გაერთო
ისტორიის ჭრით...

ითხზვება ათასგვარი ჭორი, ფართო გასაქანი მიეცა ლაყბობასა და ცრუ ისტორიების შექმნას, ყალბ ურთიერთობებს, ვიღაცა წამებულის როლს ირგებს და ურცხვად ცდილობს, ავტორიტეტი მოიხვეჭოს; საბოლოოდ კი გუშინდელი ჩამშვებ-გამცემი ერისკაცობას ჩემულობს და

დღეს ქალაქში უცოდველი
მოძღვარივით დადის.

ამიტომაც ვერ შეიყვარებს პოეტი მლიქვნელებსა და მაბეზღარებს, ვერ დაინაგვიანებს სულს:

ვერ შეგიყვარებთ,
მლიქვნელებო,
მაბეზღარებო,
წმინდად და სუფთად ვინახავ
გულს,
რომ შეუცდომლად,
გაურყვნელად ჩავაბარო
მარადისობას –
ჩემს ბოლო პატრონს.
ვერ შეგიყვარებთ,
მლიქვნელებო,
მაბეზღარებო!

(თედორაძე, 1999: 217)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემთა შუღლი, კუთხური კინკლაობა ძველთაგანვე უსიამოვნო ლაქად ატყვია ჩვენს ისტორიას; გვახსოვს და ვიცით, როცა „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“, ორივეს რაც დაემართა; გვახსოვს, მაგრამ ვაი, რომ არ მთავრდება ძმათა შორის შუღლი და პოეტსაც, მისი წინაპრის მსგავსად, „მეტად მწარედ გული სტკივა“, ვერც მისი სატკივარი დაჰფარავს ჭირს, შიგნიდან რომ ხრავს ქვეყანას და ისიც გმობს „აღმა მხვნელსა და დაღმა მბარავს“; ლექსში „და მიდის წუთისოფელი“ (თედორაძე, 2004: 254) დავით თედორაძე უდიდესი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ქვეყანა გადაგვარებულია, დავიწყებულია სინდის-ნამუსი და ქართული ეროვნული ენერგია უმისამართოდ იხარჯება – ქვეყნისადმი მსახურების ნაცვლად, კუთხური შუღლია გაჩაღებული:

...ნამუსს აქ არავინ კითხულობს,
ვის რად სჭირდება ულვაში,
მკლავიც – სახანჯლე, საგუთნე,
არგიათ მარტო ცურვაში,
დროს ხვრეპენ კუთხურ კუნკულში,
ერთიმეორის მდურვაში.

პოეტს ყველაზე მეტად ამგვარი „კუნკულის“ მოსალოდნელი შედეგი აწუხებს და ღრმად ფილოსოფიური სტრიქონებით აფრთხილებს თანადროულობას:

...და მიდის წუთისოფელი
თავზე წისქვილის ბრუნვაში.
მზე ჩავა,
ჩამოღამდება
მტრის და მოყვარის კრულვაში,
დაიწერება შავ ლოდზე –
იყვნენ,
ჩაძაღლდნენ მდურვაში.

ლექსში „...თანდათან როგორ ღონდები...“ (თედორაძე, 1999: 116) კვლავ ამ მწვავე სოციალურ პრობლემაზე და მის ტრაგი-

კულ შედეგზე გოდებს პოეტი, რომელსაც ძმათა შუღლის დანახვას სიკვდილი უჯობს, რადგან ცხადად ხედავს, როგორ ხარობს და ქირქილებს მტერი:

...არც ზეცა გხიბლავს, არც მიწა,
აღარც – მთა, აღარც – სერი,
გოდებ და გესმის მომსპობი
ჩაქირქილება მტერის.

ასეთ დროს, ბუნებრივია, პასუხი ერის მამების როლმორგებულთ მოეთხოვებათ და ამას ვინ მოსთხოვს უპირველესად, თუ არა პოეტი!.. ლექსით „თქვენ გეკითხებით“ (თედორაძე, 2015: 249) იგი მიმართავს ქვეყნის მესვეურთ, რატომ გახდა ქვეყანა ნაღვლიანი, უღიმილო:

თქვენ გეკითხებით,
დარბაზისერნო,
რომ შემომცქერით
და ვერ მამჩნევთ –
რატომ გაუქრა ჩემს მეგობარს
ვარდისფერ ღაწვზე
გულუბრყვილო ღიმილის ჩრდილიც?
თქვენ გეკითხებით,
დარბაზისერნო!

იცის პოეტის უტყუარმა ალღომ, რომ ეს კითხვა დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“ და ისევ ყოვლისშემძლე უფალს შესთხოვს:

გამჩენელო,
ერს ჩაუდგი
ევროპიდან მომავალი
საბას სული!
თურქთან?! –
ნურას უკაცრავად...
ამაოა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსსაც ნუ ვთხოვთ,
გადიხადოს
ჩვენი მწარე
მოთმინების საფასური.
(თედორაძე, 2015: 80)

ასეთია ცით ნაკურთხი მგოსნისეული დასკვნა – ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ ჩვენს ქვეყანას, არავისი ხელში შემყურე არ უნდა ვიყოთ; ამას განიცდიდა ევროპიდან მომავალი იმედგაცრუებული სულხან-საბა და ეს გაკვეთილი ყველა ჯურის მეზობლებმა კარგა ხანია, ჩაგვიტარეს...

ერის მოძღვრობას ბევრი ცრუ და ფარისეველი იბრალებს, თუმცა, პოეტმა კარგად იცის, რომ „საყოველთაოდ“ მიღებული ნორმების მონა-მორჩილი ხალხის წინამძღვრად არცერთი გამოდგება; ლექსსი „მოძღვრად ვერ გამოადგები“ (თედორაძე, 1990: 124) იგი ასეთ რჩევას აძლევს თავის მშობელ ხალხს:

როდესაც ემორჩილები
საყოველთაოდ მიღებულს –
საუზმეს,
სადილს,
ვახშამს და
ქალის მადლს –
სიტკბოს დიდებულს,
მოსაჩვენებლად ზნეობის
ნორმებში ჩაწიკწიკებულს,
მოძღვრად ვერ გამოადგები
ერს – გალაღებულს სიბრძნითა,
ჩვენ საქართველოს სიყვარულს
ჯვარცმული კაცი გვიხსნიდა!
(თედორაძე, 1999: 129)

ლექსით „ჩვენს კეთილ სულებს გაუმარჯოს“ (თედორაძე, 2004: 212-214) პოეტი მიმართავს თანამემამულეთ და შეახსენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სულები ტყვეობაში

ამყოფეს, ჯვარზეც გაგვაკრეს, შხამიც გვასვეს, ძმარიც გვადინეს, ულრანებშიც გვათრიეს, მაინც არ უნდა დავიღალოთ, არ დავჩლუნგდეთ, არ მოვდუნდეთ:

ქალბატონებო და ბატონებო!
ძმებო და კოლეგებო!
არტისტებო!
ჩვენს კეთილ სულებს გაუმარჯოს –
ტყვეობაში ნამყოფ სულებს!
ხომ ჯვარზე აცვეს,
ხომ შხამი ასვეს,
ხომ ძმარი ადინეს,
ხომ ათრიეს ულრანებში...
თქვით,
დაგეღალათ?!
დაგიჩლუნგდათ?!..

ეს პოეტის გამამხნევებელი შეძახილია, რადგან მშვენივრად იცის, რომ ქვეყნის ჭეშმარიტ პატრონებს ესაუბრება და სწორედ მათშია ძალა, სამომავლო ენერგია, რისთვისაც არ უნდა გატყდნენ, მზის ენერგიით სავსენი და მინდვრის ყვავილივით ნაზნი უნდა იყვნენ, არ უნდა შემოადნეთ ღვთისმშობლის სათნოება, სიყვარულის მადლი, ქარის ძალა, „ერთგულების უზენაესი ნიჭი“, რაც ქართველთა ოდინდელი თანმდევია და ვერარა ძალა მოათვინიერებს, ვერ მოიალაფებს მათ დაუდგრომელ, დაუმორჩილებელ სულებს:

მოიშინაურეს?!
მოიალაფეს?!
მოიმღურძლეს
დროის კაცთმოძულე კნიაზებმა?!
შეჰყარეს განა –
ოქროს სურდო,
განძის ანთება,
ბრჭყვიალა ქვების ტიფი და
მრუშობის განგრენა?!

ამ ტკივილიან კითხვებს კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე ემატება მომდევნო სტრიქონებში, როცა მამულის გაჩუქება-გასხვისებ-ასა და მოღალატეობაზეა საუბარი, როცა ფარისევლობისა და წინაპართა წმინდა სალოცავების შებილწვას ეხება საქმე:

ასწავლეს განა –
მამულის გაჩუქება,
ტყუილის ოსტატობა,
ოინბაზობა და
სუსხიანი ღიმილით
გახლეჩილი ბაგის
უცოდველ პოზაში დაყენება?!
ასწავლეს განა –
წინაპართა სალოცავების შებილწვა,
დედის ცრემლში შვილის ჩახრჩობა,
მკვლელობის ფილოსოფია და
უზნეობის მარტივი თეორიები?!

ამ, უაღრესად ღრმააზროვან, რიტორიკულ სტრიქონებში ერის წყლულის საკუთარ წყლულად აღმქმელი პოეტი თითქმის ყველა პრობლემას ეხება, ყველა სენი დაასახელა, რაც ნების-მიერ ერს მოსპობს და გადააშენებს, დასასრულს კი მთელი სა-მყაროს გასაგონად აცხადებს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილების სულებს გადაგვარება არ უწერია, ვერავინ დააყენებს უკეთურების გზაზე, ვერავინ აზიარებს „უზნეობის მარტივ თეორიებს“:

ქალბატონებო და ბატონებო!
ძმებო და კოლეგებო!
არტისტებო!
ვერა, ვერ ასწავლეს!
და, რაკი ვერ ასწავლეს,
ჩვენს კეთილ სულებს გაუმარჯოს –
შავთვალა მიმინოსათვის
გაუწვრთნელ სულებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანადროულობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტკივილად იქცა სამშობლოდან გახიზნული ქართველების პრობლემა. ლექსში „თქვენ აქ რა გინდათ“ (თედორაძე, 2019: 134-135) დავით თედორაძე გულისტკივილით მიმართავს ქართველ ემიგრანტებს:

თქვენ აქ რა გინდათ,
ბედკრული ქვეყნის
სიყვარულისთვის გაჩენილებო,
სამშობლო გიხმობთ!..

იცის პოეტმა, რომ ქართველისათვის იმ ადგილზე უძვირფასესი არსად მოიპოვება, „სადაც შობილა და გაზრდილა“; აკი ქართული ხალხური ანდაზაც გვასწავლის: „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადი იქ არისო“; ამიტომაც, მთელს ლექსს ექოდ გასდევს სიტყვები: „თქვენ აქ რა გინდათ?!“:

თქვენ აქ რა გინდათ?!
თქვენი სული საქართველოს
ელაციცება,
ცივია თქვენთვის ქალაქები
განათებული...

ისიც იცის პოეტმა, რომ ქართველი დამგროვებლად ვერ გამოდგება, სიძუნწე უცხო ხილია „ხასანბეგურასა“ და „შავო მერცხალოს“ შემქმნელი ერისათვის, რომ სამშობლო ქვეყნის სიყვარულში და დაბრუნების იმედთან ლაციცში არიან დღემუდამ მშობლის კალთას დანატრებულნი და მოუწოდებს, მალე დაუბრუნდნენ მათ მომლოდინე მკერდგამშრალ დედასამშობლოს:

თქვენს მომლოდინე საქართველოს
უშრება მკერდი...
დაბრუნდით მალე,
სამშობლოში შეიკრას წრედი,
თუკი განაღვლებთ,
თუ გადარდებთ

სამშობლოს ბედი,
დაბრუნდით მალე!
საქართველოში
სიყვარულის შეიკრას წრედი!

ღმერთმა ისმინოს პოეტ დავით თედორაძის ნატვრა – სიყვარულის წრედი შეკრულიყოს ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანაში! ამინ!

„...ვერასდროს ვერ წარმოვიდგენ...“

...რა ვქნა,
ვერასდროს
ვერ წარმოვიდგენ
იმ დღეს,
როდესაც
მე არ ვიქნები.

დავით თედორაძე

დასაბამიდან აღელვებს კაცობრიობას ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემა. როგორც აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე წერს, „ეს საკითხი, ძველი ინდოეთიდან დაწყებული, ყველა ხალხის მოაზროვნეს აინტერესებდა და აინტერესებს დღესაც. იგი არის წყარო რელიგიური განცდისა, იგი არის დასაბამი პესიმისტური სულიერი განწყობილებისა...“ (უზნაძე, 1986: 186-187).

სიკვდილი – ეს დაუძლეველი, ამოუხსნელი ფენომენი – უხსოვარი დროიდან აწუხებს ადამიანის გონებას; მითოსური მსოფლმხედველობიდან მოყოლებული, მსოფლიო აზროვნების კორიფეებითა თუ რიგითი მოკვდავებით დამთავრებული, ყველას საფიქრალია კითხვები: „წუთისოფელი რა არი?“ „რა არის ჩვენი სიცოცხლე?“ „ნეტავ, რა ზნე სჭირს სიკვდილსა?“ „მამა-პაპანი რა ქნილან?“ და სხვა.

სიკვდილის შეცნობის რთულსა და ხანიერ გზაზე ადამიანთა შემეცნება აღმავალი გზით მიემართება. ამ ურთულესი, მარადიული პრობლემის გადაწყვეტას მზისქვეშეთში მრავალი ფი-

ლოსოფიური თუ უაღრესად პრიმიტიული (და შინაგანად კიდევ უფრო ღრმად ფილოსოფიური) მოსაზრებანი მიეძღვნა (უზნაძე, 1986: 186-187; ნუცუბიძე, 1983: 64-78; კასირერი, 1983: 142-144; შიოშვილი, 2002: 123-197).

ყოფნა-არყოფნის პრობლემის გააზრების ყველა მცდელობას თან სდევს დაუძლეველი დილემა – სიკვდილის შიში, რომელიც იმავდროულად დიდი სტიმულიც არის – ძალასა და მიმართულებას აძლევს ადამიანის არსებობასა და მოღვაწეობას. მართლაც, „მთელი ჩვენი ცხოვრების ფორმა, სახე, სიკვდილმა წარმოშვა; ამიტომ იგი განუყრელი დარაჯივით მუდამ თან გვსდევდა და კვლავაც გვსდევს“ (უზნაძე, 1986: 16).

მსოფლიოს ხალხთა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ყოფისა და თანამედროვე, განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ტომების რწმენა-წარმოდგენების შესწავლა ცხადყოფს, რომ ადამიანმა უნდობარ სიკვდილს იმთავითვე სიცოცხლის ურღვევი მთლიანობის რწმენა დაუკავშირა და, როგორც ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ცნობილ წარმომადგენელს – ერნესტ კასირერს მიაჩნია, ეს არის ტოტემისტური რწმენა-წარმოდგენები, რომლითაც შენარჩუნდა და განმტკიცდა ყველა ცოცხალი არსების ერთიანობის ღრმა რწმენა მაგიური წეს-ჩვეულებებისა და რელიგიური რიტუალების მკაცრი დაცვით (კასირერი, 1983: 142).

ამ წყევლაკრულვიან საკითხს ანიმისტური მსოფლმხედველობის პრიმიტიულმა რელიგიებმა პასუხი გასცეს სულთა სამყაროზე შემუშავებული რწმენა-წარმოდგენებით, რაც, ბუნებრივია, გარკვეული წინგადაგმული ნაბიჯი იყო სამყაროს შეცნობისა და სიკვდილის კვლევის გზაზე, თუმცა, სიკვდილის დამარცხების რწმენა ვერ განავითარა ვერც ყოვლად მოწესრიგებულმა ბერძნულმა მითოსურმა სამყარომ, ვერც წინაპართა კულტის ნიშნით აღბეჭდილმა რომაულმა რელიგიამ; ვერც შუამდინარულმა ეპოსმა – „გილგამეშიანმა“ დააგვირგვინა ეს პრობლემა სასიკეთოდ და, როგორც მარკუს ავრელიუსი აღნიშნავს, „სიკვდილმა ერთმანეთს გაუსწორა ალექსანდრე მაკედონელი და მისი მეჯორე“ (კარტოზია, 1986: 151). ქრისტიანობამ, რომელმაც ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიგიური მსოფლმხედველობისაგან ბევრი რამ შეისისხლხორცა, ყოფნა-არყოფნის პრობლემა თავისი მოძღვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად აღიარა, სააქაოს დროებით შემოსაზღვრულ ცხოვრებას (სიცოცხლეს) საიქიოს მარადიული ყოფნა დაუპირისპირა და სიცოცხლის აზრად მარადიულობისაკენ სწრაფვა დასახა. ამ გზაზე კი სიკვდილის დამარცხება მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა, „სიკვდილისა სიკვდილითა დათრგუნვა“ იყო, რითაც განხორციელდა იესო ქრისტეს ამქვეყნიური მისია – „მოკვდავ ხორცში მოეკლა სიკვდილი საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის საწინდრად“ (კიკნაძე, 1997: 17).

სიკვდილ-სიცოცხლის შემეცნების ამგვარი ევოლუცია (ველური ტოტემიზმიდან რელიგიის უმაღლეს ფორმამდე) დამაჯერებელ ახსნას უძებნის ერთი და იმავე რელიგიური და ტომობრივი ერთობის წევრთა უმტკიცეს კავშირს, რაც ადამიანებს ღმერთთან აკავშირებს და რაც წმინდა ეთიკური პრინციპია (კასირერი, 1983: 143-144).

„სიკვდილის ფენომენის მარადიულ პრობლემასთან დაკავშირებით დასტურდება, რომ ადამიანის გონება გამუდმებით ცდილობდა და ცდილობს ამ საკითხის მოგვარებას, სიკვდილის გაუვნებელყოფას, მაგრამ ეს შეუძლებლად, გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება“ (შიოშვილი, 2002: 126-127); შუამდინარული ეპოსის გმირმა გილგამეშმა ყველა ღონე იხმარა, „სარქველი ახადა ოკეანის ჯურღმულებს“, მიაგნო კიდეც უკვდავების ბალახს, მაგრამ, რაკი შეუვალია ღმერთების ნება და შეუძლებელია ადამიანის უკვდავება, მან დაკარგა სიცოცხლის ბალახი, რომელსაც დაეპატრონა გველი – ადამის მოდგმის მტერი და განჭაბუკდა კიდეც:

...გველმა იყნოსა ბალახის სურნელი,
წყლიდან ამოცურდა, ბალახი წაიღო,
დაბრუნებისას გადიძრო პერანგი.
(„გილგამეშიანი“, 1984: 103)

დიახ, ამაოდ დაშვრა ურუქის ხელმწიფეც: „შორი გზით იარა, დაშვრა და დაბრუნდა“ ურუქში ხელცარიელი, რადგანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცთა მოდგმა რომ შექმნეს ღმერთებმა,
სიკვდილი კაცთა მოდგმას დაუდგინეს,
მარადი სიცოცხლე თავად ირგუნეს.
(„გილგამეშიანი“, 1984: 86)

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის აზრით, ქართული მითოსის გმირის – ამირანის ჩაყლაპვა შავი ვეშაპის მიერ ბუნების სიკვდილს ნიშნავს, ხოლო მისი გამოსვლა – ახალ ცხოვრებას, სიკვდილის ძლევას, რასაც მკვლევარი „რკალისებრივ განვითარებას“ უწოდებს და ასკვნის, რომ ეს არის პრობლემა ზეცის დაძლევისა, „მაგრამ არა ზეცის გამო და ზეცისათვის, არამედ ადამიანისათვის, მიწაზე ცხოვრებისათვის“ (ნუცუბიძე, 1983: 64, 78).

გილგამეში ნებდება გარდაუვალ აუცილებლობას – სიკვდილს, ურიგდება ბედს, რადგანაც ასეთია ღმერთების ნება; „ამირანიანში“ კი სიკვდილი მხოლოდ ხელახალი დაბადებით ითრგუნება და ეს არის ქართველურ ტომთა მსოფლგაგებაში უძლიერესი ნახტომი; მიუხედავად ამისა, სიკვდილი მაინც დაუძლეველ ბედისწერად რჩება და ამგვარია რწმენა ძველეგვიპტელებისაც, თუმცა, ეს პესიმიზმის წყარო არ არის – ძველეგვიპტური ლირიკა ოპტიმიზმს, სიცოცხლით ტკბობას გვთავაზობს:

სამარისაგან მოთქმა-ტირილს არვინ უხსნია
და ამიტომაც იზეიმე დღე მშვენიერი.
ხედავ, ქონება ჯერ თან არვის არ წაულია,
ხედავ, წასული ჯერ არავინ დაბრუნებულა.
(„ძველეგვიპტური...“, 1969: 84)

...ვინ მოსთვლის, კაცობრიობის ისტორიაში რამდენი გონება გაისარჯა სიკვდილ-სიცოცხლის ძველი და მარად ახალი პრობლემის შესაცნობად!.. მის ფილოსოფიურ გააზრებას ქართველმა ხალხმაც უამრავი ძალისხმევა შეალია და მრავალსაუკუნოვანი, ჟანრობრივად მდიდარი ზეპირსიტყვიერებით სრულიად ჯანსაღი დასკვნაც გამოიტანა: მან დაგმო და დაწყევლა სიკვდილი, რომელიც „შიგ გამაარჩევს ვაჟკაცსა, რომელიც მოეწონება“ და მისი დათრგუნვის გზაზე ზნეობრივი მრწამსი გა-

მოიმუშავა – სახელოვანი სიკვდილი, ქვეყნისათვის თავდადება, ხალხისათვის თავშეწირვა სიცოცხლის გამარჯვებად მიიჩნია.

ქართული ფოლკლორის ჯანსაღი ნაკადი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას ზნეობრივ კატეგორიად აღიქვამს და მიაჩნია, რომ თავისთავად „სიკვდილი არ არის ბოროტება, რადგანაც უფლის მიერ არის დადგენილი“, ბოროტებაა შიში სიკვდილის წინაშე და ამიტომაც სიცოცხლის დასრულება სახელოვნად, კაი ყმის სიკვდილით სიკვდილზე გამარჯვებად მიიჩნევა; სწორედ ეს არის სიკვდილის სიკვდილით დათრგუნვის ზოგადსაკაცობრიო იდეალი (შიოშვილი, 2002: 197).

ამგვარია დიდი რუსთველისეული დასკვნაც: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“; ამგვარია სიკვდილის სიკვდილითვე დათრგუნვის ქრისტიანული მრწამსიც.

ვრცელი წიაღსვლა დამჭირდა იმისათვის, რათა ცხოვლად წარმომეჩინა ჩვენი თანამედროვე მამულიშვლის – პოეტ დავით თედორაძის ღრმად მოქალაქეობრივი პოეზიის ფილოსოფიური ნაკადის შეუმცდარი კრედო, რომელიც უპირველესად მშობელი ხალხის წიაღში, მის სულიერ ქურაში გადადნობილი ზნეობრივი იდეალებიდან აღიქვამს ამ უაღრესად მტკივნეულ ზოგადკაცობრიულ პრობლემას, სიცოცხლესთან ერთად რომ ჩნდება და მისი მუდმივი თანამგზავრია.

ლექსში „უფლის სურვილით“ დავით თედორაძის ლირიკული გმირი გამოთქვამს წუხილს ტრადიციულ, ხანიერსა და მარად ახალ პრობლემაზე – წუთისოფლის წარმავლობაზე, სიკვდილის გაშინაურებაზე, თუმცა, აქვე შეგვახსენებს, რომ მზისქვეშეთში უფლის უნებური არაფერი ხდება:

დრო კი არ მიდის, მიფრინავს,
ვიბრძვით,
ვუსინჯავთ სვავს კბილებს,
გაშინაურდა სიკვდილი,
არც არაფერი გვაკვირვებს.
ვაცილებთ, თითქოს მიდიან
წამოსაწოლად მდელოში,

ვმრავლდებით უფლის სურვილით
ზეციურ საქართველოში.
(თედორაძე, 2015: 248)

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემის განსჯის ერთ-ერთი ღრმად ფილოსოფიური გადაწყვეტაა თავად სიკვდილზე ფიქრი, მისი გარდაუვალობიდან გამომდინარე მცდელობა იმისა, რომ ადამიანმა „არ მისცეს წყევით თვისი სახელი შთამომავლობას“, – როგორც დაგვიბარა ნიკოლოზ ბარათაშვილმა; ზნეობრივად ვიცხოვროთ, რათა სიკვდილის შემდეგ ღირსეული სახელი დავტოვოთ ამქვეყნად, როგორც გვასწავლის ხალხური პოეზია; როგორც გვიქადაგა ვაჟა-ფშაველამ, ვინც სიკვდილის „ღვაწლი“ იმგვარად წარმოაჩინა, რომ გოლიათური ნაბიჯი იყო სიკვდილის დამარცხების მცდელობის გზაზე:

ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა,
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ნაწყენობითა.
(ვაჟა-ფშაველა, 1986: 46-47)

დავით თედორაძე ლექსში „მიწა სასაფლაოსი“ (თედორაძე, 1995: 146) გვირჩევს, გვახსოვდეს, რომ საფლავის მიწა გველის, რადგანაც საუკუნო სავანეზე ფიქრი სააქაოს აკეთილშობილებს, არღვევს უკეთურების ქაოსს, სიძულვილს სიკეთით, სიძვას კი ზნესრულობით სცვლის:

რომ გვახსოვდეს ყოველთვის მიწა სასაფლაოსი,
რომ შეგვეძლოს დანახვა საუკუნო სავანის,
გაირღვევა ქაოსი –
სიძულვილის, სიძვის,
დამშვენდება სიკეთით კაცთა მოდგმის
სავალი.

მათ, ვინც „მოირგო კაი კაცის ჩრდილი“, ვინც მღვრიე წყალს ეტანება და ქაოსით მოხიბლულა, პოეტი შეახსენებს:

...რისთვის ვავიწყდებიო, –
მწარე ცრემლით ტირის
მიწა სასაფლაოსი,
მიწა სასაფლაოსი...

ადამიანურ შიშთაგან რომ სიკვდილის შიში ერთ-ერთი უმთავრესია, მრავალი ხალხის ფოლკლორული შემოქმედება თუ ცალკეული მოაზროვნენი თანხმდებიან. ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკის კოლექტიური ავტორისთვისაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორედ სიკვდილის შიშია დამთრგუნველი და ამ შიშმა შექმნა, სწორედ, კაი ყმის კულტი, ვაჟკაცური სიკვდილის იდეა, რაც ჩვენისთანა მცირე ერისათვის უპირველესად მამულისათვის სიკვდილს ნიშნავს. ჩვენი ქვეყნის ტვირთმძიმე ისტორიის მანძილზე ამგვარი თავგანწირვა ითვლება უკვდავების საწინდრად; თუმცა, ეს თანდაყოლილი შიში („რა წამს კი დავიბადებით, იქვე სიკვდილი მზა არის“) ბოლომდე დაუძლეველია. არც ეს პრობლემა გამორჩენია დავით თედორაძის პოეტურ ალღოს; ლექსით „...არც ცოლის მჯერა...“ (თედორაძე, 2019: 76) იგი სრულიად თამამად, ტრადიციული ეპიკური მთხრობლის ტონით აცხადებს, რომ ადამიანი სიკვდილს შეგუებული უნდა იყოს, უნდა ემზადებოდეს საიქიო ცხოვრებისათვის, „საგზალს“ იმზადებდეს, რაც მისი ზნესრული მიწიერი ცხოვრებით განისაზღვრება:

არც ცოლის მჯერა, არც შვილის,
არც მეგობრების მჯერა,
ვზივარ და გასამგზავრებელ
ჩოხა-ახალუხს ვკერავ.

როცა ადამიანს გააზრებული აქვს, რომ ზესთასოფელში მისთვის ძვირფას ადამიანებს შეხვდება, სიკვდილის შიშს იქ აღარაფერი ესაქმება:

სამოთხის კართან დამხვდება
ჩემიანების გუნდი,
მკერდზე ვემთხვევი მამაჩემს,
ამაყს, გულუხვს და გულდიდს.

– რამ მოგიყვანა? –
წარბშეკვრით
საყვედურს მკადრებს დედა;
დედის გარშემო სულმნათი
ანგელოზები სხედან.

ბუნებრივია, პოეტიც არ არის უხორცო და უნდობარი სიკვდილის შიში მის ქვეცნობიერშიც იმთავითვე ფესვგადგმულია, მაგრამ „ერის მოძმემ„ და „დიდის ღმერთის საკურთხევლის ცეცხლით გაღვივებული გულის“ მეპატრონემ აქაც უნდა უწინამძღვროს, უნდა გაუადვილოს მოძმეს ეს უსანდომო გზა. ლექსის დასასრულს მგოსნისეული წარმოსახვა, სწორედაც, ამგვარ სიმაღლეს აღწევს – უჟმური შიში დაძლეულია:

აუ, რამდენი ყოფილხართ,
ჩემი სისხლის და ჯიშის!
ამაოდ მქონდა აქ მოსვლის
უჟმურშეყრილი შიში!

ლექსს „მამულის ცაზე ვასკვლავები მუდამ ინათებს“ (თედორაძე, 1977: 42-43) ეპიგრაფად უძღვის ხალხური ეპიტაფია სიკვდილის გარდაუვალობაზე:

თუ იტყვი, რომ მე ვარო,
მეც ვიტყვი რომ მე ვარო,
ყველა ასე წამოწვება,
ახლა მე რომ ვწევარო.

ამ ღრმად პატრიოტულ-ფილოსოფიურმა ლექსმა დავით თედორაძის პირველივე კრებული – „ბეწვის ხიდი“ დაამშვენა და დღემდე მისი პოეზიის ერთ-ერთ მარგალიტად რჩება, როგორც ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდა პოეტის თავდაჯერებული, აწონილი ბრძნული პასუხი კაცობრიობის საუკუნოებრივ დილემაზე, რომლითაც ავტორმა მშობელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სიბრძნის ფლობაც და საკუთარ პოეტურ ქურაში მაღალმოქალაქეობრივ, პატრიოტულ რეგისტრში აყვანაც მოახერხა.

ამ დიდებული ლექსის ლირიკული გმირის სული, რომელიც სიცოცხლეში „მზის მოტრფიალე“ იყო და „ახირებულად სძულდა საღამო“, სიკვდილის შემდეგ გვესაუბრება, წუხს, რომ დასრულდა მისეული მიწიერი შფოთი და სამარადისო ღამე ჩამოწვა; სახალხო მთქმელის დარად, იგი საყვედურს გამოსთქვამს წუთისოფლის წარმავლობაზე:

მაინც როგორი სწრაფი ყოფილა
წუთისოფელი თავის ავ-კარგით!
მასვა სამსალა, არ მამყოფინა,
მაშვრალს, საბრალო მკვდარი დამარქვა.

ერთ დროს უსაზღვრო სივრცეების დამლახავს, ბობოქარი სულის პატრონს, ხმლის მამაცურად მქნეველს, ევიწროვება, ეპატარავება კუთვნილი ძვალთშესალაგი და ითხოვს, მკვდრად არ მოიხსენიონ, ცოცხლად ჩათვალონ და არც კაი ყმის შესაფერი ანდერძი ავიწყდება – მასავით იზრუნონ მამულისათვის:

ჰოი, რა ვიწრო, რა პატარა არის საძვალე,
ერთ დროს უსაზღვრო სივრცეებს და
ველებს ვნატრობდი,
მკვდარს ნუ დამარქმევთ, საყვარლებო,
ცოცხლად ჩამთვალეთ,
რადგანაც ვიყავ ბობოქარი სულის პატრონი.
ნუ იტყვი, ძმაო, ნურასოდეს,
მე ვარო... მეც ვარ...
ხომ ხედავ, ვიყავ, ხმალს ვიქნევდი
და ახლა ვწევარ...
თუ გინდა, იყო შენი ხალხის ბრდღვიალა გულთან,
ვიდრე იცოცხლებ, მამულისთვის იზრუნე მუდამ!

ეპიტაფიური სტილი აქ სრულიად ბუნებრივად, სრულიად მიზანმიმართულად ჩაექარაგმა ქართველი კაცის პატრიოტულ სულისკვეთებას, წინაპართა წმინდა ხატებას და, რადგანაც საქართველოს გადასარჩენ სამსხვერპლოზე იხარჯება გმირთა

სიცოცხლე, მათი სიკვდილი სიცოცხლის ტოლფასია. აქ პოეტი სრულ ჰარმონიაშია ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკის მსოფლმხედველობასთან.

მრავალჭირნახულ ერის წიაღში გამოზრდილ პატრიოტ პოეტს სჯერა და, ბუნებრივია, ჩვენც მტკიცედ გვაჯერებს, რომ სიკვდილის შემდეგ ხალხის გულში მხოლოდ ის დაიდებს ბინას, ვინც სიცოცხლეში მამულზე ზრუნავს; მამულიშვილთა ამგვარმა სულისკვეთებამ გადაარჩინა მრავალ ისტორიულ ქარტეხილს ჩვენი ქვეყანა და ეს დიადი მრწამსი საფლავშიც ათბობს გმირთა დაღლილ ძვლებს:

მაშინ საფლავშიც გაგითბება დაღლილი ძვლები
მამულის მზით და
სახელი მკვდრების გაჩირაღდნდება
წინაპრების წმინდა სახებად,
რადგან ჩვენ მოვკვდით
საქართველოს გადასარჩენად,
ჩვენი სიკვდილი სიცოცხლეს ნიშნავს!

ამ ფილოსოფიური შედევრის ლირიკული გმირის სულს პოეტმა თანადროულობის მოძღვრის ფუნქცია დააკისრა და საიქიოდან მისი საუბრის უმთავრესი მიზანიც ეს არის – არ გაახარონ მტერი, არ დაადგმევინონ გულზე ბინძური ფეხი, ხოლო ქვეყნის ორგულების გახრწნილი სულები გააშიშვლონ:

მე მეშინოდა, მაგრამ ჩემს გულზე
მტერს ფეხის დადგმა
აღარ ეღირსა,
შენ კი ორგულებს,
მაწანწალებს,
მათ გახრწნილ სულებს
ვერ ააფარებ ფოთოლს ლეღვისას.

ლექსის დასასრული მიცვალებულთა მიერ ჭეშმარიტი მამულიშვილების დალოცვაა და ეპიტაფიური სტილიდან ლექსის

ტრადიციულ დალოცვა-სადღეგრძელოდ ტრანსმისიაც პოეტ დავით თედორაძის დიდოსტატური კალმის ნაყოფია:

მამულის თავზე ვარსკვლავები მუდამ ინათებს,
სიცოცხლე მამულს,
„იავნანას“,
აკვნის მრავლობას,
ვინაც აშენებთ რუდუნებით, ვინაც ინახავთ
წმინდა სავანეს,
რომ გადასცეთ შთამომავლობას!

...და, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტის – დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირიც, მარადიულ საკაცობრიო პრობლემაზე მსჯელობისას, უზენაეს ადამიანურ ზნეობრივ-მორალურ სიმაღლეებს აღწევს, ქადაგებს რა ცხოვრების, სიცოცხლის არსის ერთ-ერთ უპირატეს ფენომენზე – მამულის მსახურებაზე, რომელიც ერთიანად მოიცავს კაცობრიობის მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის ერთგულებასა და ვალდებულებას – განაგრძოს, განავითაროს, მომავალ თაობებს გადასცეს წინაპართა მონაპოვარი და, თუ საჭირო გახდა, შეეწიროს კიდეც ამ ღირებულებებს.

მშობელი ქვეყნის სიყვარულით, მისი მომავლის რწმენით აასაუბრა მგოსანმა მამულს თავშეწირულის სული ეპიტაფიური სტილის ლექსში „...მეორედ მოსვლა ამაოდ არ მწამს...“ (თედორაძე, 1977: 52-53), რომელსაც ეპიგრაფად უძღვის ეპიტაფია „დანერგულ ვარ ამა ლოდ ქვეშ“. ლექსი მიცვალებულის გულწრფელი აღსარებაა, წუხილია ტკბილ-მწარე საწუთროსთან განშორებაზე, ადამიანურ უმადურობაზე, სულის დამთრგუნველ ხორციელ ბოროტებაზე, რომელიც ხშირად უკარგავს ადამიანს შესაძლებლობას, გაჰყვეს „პაპის კვალს“ – ეს მტკივნეული პრობლემები აწუხებდა ახალგაზრდა პოეტს და მშვენიერი ფორმაც მოუნახა: სულთა სამეუფოდან მოიხმო შეუმცდარი შეფასება წუთისოფლის მდგმურთა ყოფიერების გასააზრებლად, ცხოვრების უმთავრესი საზრისის შესაცნობად, სიკვდილ-სი-

ცოცხლის მარადიული ჭიდილის არსის გასაგებად. ლექსის ლირიკული გმირი, ღრმა სინანულთან ერთად, იმედიან განწყობას გვიტოვებს, რადგანაც კმაყოფილია იმით, რომ მისი სიცოცხლე გრძელდება შთამომავლობაში, რომ გაგრძელდება მისი შტო, რომ არაფერი იკარგება წუთისოფელში:

დანერგილი ვარ ლოდქვეშ და მჯერა,
მეცა ვარ შენი ერთი ფურცელი.
თუმც, სიჭაბუკე ვერ შევაჩერე,
ბოლომდე გული დამრჩა უცვლელი
და წრფელი გულით ვტირი მარჯვენას.
. . . . . .
მე ქვეყნად დამრჩა ცრემლის დამდენი...
და წავა ჩემი შტო გაფოთლილი
სავსე აპრილით, მზით და ვარდებით,
თუ არაფერი იკარგება წუთისოფელში,
ჩვენც ვინერგებით, არც ჩვენ არ ვქრებით.

ხალხური ეპიტაფიისათვის ესოდენ დამახასიათებელი მინორული განწყობა ლექსში ზოგადკაცობრიულ პრობლემამდეა ამაღლებული, რაც სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების კიდევ ერთი ფილოსოფიური გააზრებაა.

სიკვდილ-სიცოცხლის მტკივნეულ ფენომენთან მიმართებაში მეტად ორიგინალურია დავით თედორაძის ლექსი „რა იქნებოდნენ“ (თედორაძე, 2015: 242); პოეტი სვამს რიტორიკულ შეკითხვას:

...რა იქნებოდნენ არაგველები
უბეწვისხიდოდ
და უკრწანისოდ?!

ლექსით „ჩემი თაობის ბედნიერო მემატიანევ“ (თედორაძე, 2004: 116) მან დიდებული პასუხი გასცა ამ მარადიული პრობლემის ირგვლივ დასმულ კითხვას: თუ არა მტრებთან ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობა და თავგანწირვა, როგორ ეცოდინებო-

დათ ჯერ თანამედროვეთ, ხოლო შემდგომ – შთამომავლობას, თუ რა გმირული გული ძგერდა ცხრა ძმა ხერხეულიძეთა, სამას არაგველთა თუ სხვა მრავალ მამულიშვილთა მკერდში; ამიტომაც მტერს ამგვარად მიმართავს პოეტი:

...შენ მილამაზებ საქართველოს, –
იცოცხლე, მტერო! –
ბასიანითა,
დიდგორითა
თუ შამქორითა...

პოეტი ამაყია, რომ მსოფლიოს ბევრ ერს არ გააჩნია ჩვენებრ მძიმე, მაგრამ სასახელო ისტორია; რომ ჟამთასვლამ თან წარიტანა მრავალი ხალხის უჩუმარი, ვერაფრით გამორჩეული ცხოვრება, თუმცა, კაცობრიობას შემოუნახა ჩვენი ღირსსახსოვარი წინაპრების სახელები, რომლებმაც უკვდავება მამულისათვის გაღებული სიცოცხლითა და მსახურებით მოიპოვეს:

მოისაკლისებს
ბევრი ერი მკაცრ ისტორიას,
მოითარეშა
ჟამმა უღვთოდ ბევრის სამანი,
კაცობრიობას უსათუოდ ემახსოვრება
უპირველესი დედოფალი –
დედა თამარი.

(თედორაძე, 2004: 116)

ვინ, თუ არა პოეტმა, უნდა შეასხას ხოტბა გმირ წინაპრებს, ვალმოხდილებსა და მამულისათვის დახარჯულთ; ვინ, თუ არა პოეტმა, უნდა მოუწოდოს თანამედროვე მემატიანეს, მანაც იღვაწოს და შთამომავლობას შემოუნახოს ღირსეული ქვეყნის შესაფერისი წიგნი – სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსოვნისა და დიდების წიგნი:

ტკბილად ვიგონებ,
ვალმოხდილი ვინაც წასულა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარს მამული,
მიწა მიყვარს,
მიყვარს ფერი ცის!
ჩემი თაობის ბედნიერო მემატიანევ,
აკინძე წიგნი საქართველოს შესაფერისი!

დიახ, ყველა თაობამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ცხოვრებაში, სამშობლოსადმი მსახურებაში, უნდა გაამართლოს დედამიწაზე მისი მოვლინების ღვთაებრივი მისია, რომლის განხორციელებაშიც ძალზე დიდია წინაპართა მიერ გაკვალული გზა, მათი ზნეობრივი ძალისხმევის, იდეალების ყოვლისმომცველი აღმზრდელობითი მაგალითების მიყოლა და გათავისება. სწორედ, მათი არდავიწყებიდან იწყება სიკვდილის დამარცხება; ქვეყნის წარსულიდან მანათობელ შუქურებად შემორჩენილ-შემონახული გმირი წინაპრების სახეები, მათი ნამოქმედარი ის ფასდაუდებელი ეროვნულ-კულტურული საუნჯეა, რომელიც ყოველი მომდევნო თაობისათვის წმიდათაწმიდა ვალდებულებაა, მაგალითია სამოქმედოდ, რათა დაბლა არ დაუშვას თვითშეგნების, მეობის დროშა, ამაყად ატაროს წინაპრებისაგან უძვირფასეს არმაღანად გადმოცემული ეროვნულ-კულტურული ღირებულებები, მისხალიც არ მოაკლოს, პირიქით – გაამდიდროს, განავითაროს და ამაყად გადასცეს მომავალ თაობას. სწორედაც, ეს არის პროგრესი, ეს აცოცხლებს ერს, ამას ჰქვია ცხოვრების საზრისი და ადამიანად ყოფნის უზენაესი მისია. ლექსში „კაცი ვარ და სიყვარულზე ვმღერი“ (თედორაძე, 2015: 276) პოეტი მოუწოდებს თანამეინახეთ, უპირველესად მოიგონონ გმირი წინაპრები, რომელთა მიმართ უიშვიათესი მეტაფორა – „სამშობლოთი გადარჩენილნი“ – შემოგვთავაზა და, მართლაც, მათი ხსოვნის მარადიულობის საწინდარი ხომ სამშობლოსათვის შეწირული ყველაზე დიდი მსხვერპლია – სიცოცხლე:

კაცი ვარ და გამიშლია სუფრა,
გული ზღვაა, მოდით, რამე ინატრეთ,
ჩემს წალკოტში სადღეგრძელო ვუთხრათ
სამშობლოთი გადარჩენილ წინაპრებს.

აი, ეს არის სიკვდილის ჭეშმარიტი დამარცხება! სიკვდილზე გამარჯვება ქვეყნის, სამშობლოს გადასარჩენად, თუმცა, პოეტის შესანიშნავი მიგნებაა „სამშობლოთი გადარჩენილი“ და ეს კი ნამდვილად ზეაღმატებული გამარჯვებაა ადამიანისა სიკვდილზე, რაშიც მისივე სამშობლო ეხმარება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ურთულესი პრობლემის გააზრების ხანიერ გზაზე ამგვარ ურთიერთგადაჯაჭვულ ცნებათა („სამშობლოსათვის მკვდარი“ და „სამშობლოთი გადარჩენილი“) გაიგივებით უნდობარ სიკვდილზე ადამიანის გამარჯვება დავით თედორაძის პოეტური ნოვაციაა.

დავით თედორაძის პოეზიის ლირიკული გმირი იმთავითვე უაღრესად ქმედითი, მშოფთვარე სულით, ცხოვრებისეულ მწვერვალთა დაპყრობის დაუოკებელი ჟინით არის აღბეჭდილი. პირველივე კრებულში შესული ლექსით „...რამ დაადუმოს...“ (თედორაძე, 1977: 31) პოეტმა ამგვარად გამოხატა ყოფიერების საზრისის მისეული კრედო, რაც სიცოცხლისადმი დაუოკებელ სწრაფვაში, მზისადმი ლტოლვაში, მოღვაწეობისათვის მზადყოფნაში ესახებოდა პოეზიის დიდ გზაზე მყარად დამდგარს:

...მაცალეთ, ოღონდ ცოტა მაცალეთ...
ქარში ცახცახებს ალუჩის ტოტი,
ნაბახუსევი მთვარე ბანცალებს,
მზის ეტლით თეთრი აპრილი მოდის!
ლამის დავლეწო სულის ჯებირი,
დღეს ყვავილების მათოვს ფიფქები,
რა ვქნა, ვერასდროს ვერ წარმოვიდგენ
იმ დღეს, როდესაც მე არ ვიქნები!

(თედორაძე, 1977: 31)

ლექსში „...დილა, შუადღე, საღამო...“ (თედორაძე, 2015: 231) პოეტის ლირიკული გმირი, რომელმაც იცის, რომ „მოვა წამყვანი ყოველთა და მეც ამ ქუჩით წამიყვანს“, რომ წუთისოფლის დილა, შუადღე და საღამო მალე გაივლის და მაინც ბოლომდე რჩება სიცოცხლის ტრფიალი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე ჩვეულებრივ გაიარს,
დილა,
შუადღე,
საღამო...
სიცოცხლე ისე კაია,
დამტოვე დაუსაბამოდ!

და ისევე, როგორც უტყუარი, საუკუნეებგამოვლილი ქართული ხალხური პოეზია გვმოძღვრავს, პოეტი დავით თედორაძეც ბოლომდე უნდა გაიხარჯოს, ბოლომდე იგემოს წუთისოფლის თაფლიც და მარილიც, ხალასი სიყვარულიცა და სულის აწყვეტაც გამოსცადოს და ქარბორბალას ძალაც, ქარავნის მოთმენაც შეძლოს და მამულის მსახურებაც. აი, ეს იყო სამოღვაწეო ასპარეზზე ახალგამოსული პოეტის ოცნება და, მართლაც, ასე იარა დღემდე. მისი გულწრფელი ნატვრა იყო:

მინდა, შეუმჩნეველი მამულს მეც არ ვყავდე,
ამ დალოცვილ მიწაზე მინდა, არვის ვგავდე!
ვიდრე ობლის კვერივით ჩაგეკვრები მდუმარი,
როგორც მირაჟებიდან გაპარული სტუმარი.
(თედორაძე, 1977: 33)

მამულისაგან შეუმჩნევლობა მხდალთა და ორგულთა ხვედრია; მისადმი მსახურების უქრობი სურვილით იმთავითვე ანთებულმა პოეტმა კი ჭაბუკობიდანვე გაითავისა ადამიანური საზრისი, ცხოვრების მიზანი და, გმირი წინაპრების დარად, სამშობლოს სიყვარული, ქვეყნისათვის მსახურება დასახა უნდობარ სიკვდილზე ადამიანის ძლევამოსილ გამარჯვებად.

ბოლოთქმა, ანუ „შენ ხარ მგოსანი...“

შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ,
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს!

დავით თედორაძე

დავით თედორაძის შემოქმედებითი გზა სწორხაზოვანი და მირაჟების სანავარდო არასოდეს ყოფილა. იმთავითვე, როცა პირველივე კრებულს „ბეწვის ხიდი“ უწოდა, კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ პოეტის ცხოვრება ბეწვის ხიდზე სვლაა, თუმცა, ისიც უწყოდა, უფლის ხმას უნდა მიჰყოლოდა და არც შემცდარა... მრავალი ბეწვის ხიდი გამოიარა მგოსანმა მშვიდობიანად, შეუცდომლად, მშობელი ქვეყნის მსახურების სრული შეგნებით. მისი პოეტური მემკვიდრეობა ეპოქის ღვიძლი შვილია – ერთი შეხედვით, თითქოსდა, უმტკივნეულო, მოწესრიგებული სივრციდან მოყოლებული, რომლის შინაგანი დუღილი პოეტის ყოვლისმხილველ თვალსა და ღვთივკურთხეულ სულს ვერ გამოეპარებოდა (და აკი სათანადოდ გამოეხმაურა კიდეც: „სამსაათიანი თათბირის შემდეგ ისევ შენ მოგისმენ, მამი!“). მღელვარე, ბობოქარი გარდამავალი ეპოქის ტკივილებით, სიხარულით, ხინჯითა და ღირსებით განვლილი წლები პოეტის შთაგონებას ხან წამლავდა, ხან ღირსების გრძნობით ავსებდა... დღესაც ასეა... ნანატრი თავისუფლება ასე იოლად არ მოიპოვება და ეს უპირველესად იცის მგოსანმა, რომლის სტრიქონებსაც ცრემლად მიჰ-

ყვება „აბჯარასხმული წუხილი“... სწორედაც, ამგვარ ჭიდილში იწრთობა მისი უმდიდრესი პოეტური პალიტრა.

მავანთა მსგავსად, ლექსი ლექსისთვის არასოდეს დაუწერია. დიახ, როცა სული სთხოვს, მაშინ წერს და მერე როგორ!.. მშობლიური ერგეს ადგილის დედისაგან კურთხეულ მის თავანკარა, თავისთავად პოეზიას, როგორც გოგლა ლეონიძე იტყოდა, მართლაც რომ „მშობელ მიწაში უდგას ფესვები“; მშობელი ხალხის სიბრძნის წიაღიდან მომდინარე ღალიან-ბარაქიან მის სტრიქონებში მრავალტანჯული მამულის გულისთქმა ისმის; აწმყოს ტკივილებთან ერთად, წარსულის კანონიერი სიამაყეც იფრქვევა და საქართველოს უსათუო გაბრწყინების ცხოველმყოფელი იმედიც!

ბევრი რამ გადაფასდა, შეირყა, ფერი იცვალა... რაოდენ საამაყოა, რომ დავით თედორაძე ფერუცვლელი და მარად ერის წყლულების მოზიარე შემოქმედთა შორის მტკიცედ დგას; კარგად იცის, რომ „საქართველოში ოდითგან ლექსი მებრძოლი იყო“, რომ ჭმუნვასა თუ გასაჭირში ერის მოძმედ მყოფი პოეტის

სუნთქვაში,
გულის ფეთქვაში
ჩაისახება ლექსი,
როდესაც ღმერთთან საუბრობ,
უფლის ხმა როცა გესმის.
(თედორაძე, 2015: 11)

პირველი პოეტური აღმაფრენიდან მოყოლებული, მზისკენ ილტვიან მისი ძარღვიანი, ნათელი სტრიქონები, სულიც და გულიც სამზეოზე გამოუტანია, ყოველგვარი მწიკვლოვანებისაგან განზე მდგომს.

გულზე საქართველოს მზედახატული პოეტი ამაყად, ყველას გასაგონად აცხადებს, „ვაჟკაც მტერსაც არ ვაძაგებო“; სწორედ, ეს არის კაი ყმობის ჭეშმარიტი დასტური!.. მის მზიურ აბჯარს ამშვენებს იშვიათი სათნოებანი: მიმტევებლობა, სულიერების ძიება, ქველმოქმედება, ძმობა-მეგობრობა, სხვათა ლხინისა თუ ჭირის გაზიარების სურვილიცა და უნარიც...

მშობელი ხალხის ბედითაც და უბედობითაც ყოველთვის ერთნაირად ედაგება გული; იცის, რომ „მშიერი მტაცებელია, მაძღარი – ძუნწი“; რომ სვეგამწარებულ სამშობლოში ბევრი ყრუ-მუნჯია; რომ ხშირია იმედგაცრუება, მაგრამ მეგობრის, აწ გარდაცვლილი დიდებული მხატვრის – ზურაბ ხაბაძისადმი მიძღვნილ ლექსში „მომავლისთვის, წინაპარისთვის“ მთელი პოეტური შემართებით ღაღადებს:

...უნდა ვიხაროთ ყვავილებით,
ზეცის სილურჯით,
ვწეროთ და ვხატოთ
მომავლისთვის, წინაპარისთვის,
ხვალ რომ გაჩნდება, იმ ბიჭისთვის
და იმ ქალისთვის...
ვწეროთ და ვხატოთ, მეგობარო,
მხოლოდ ხვალისთვის!
(თედორაძე, 2013: 16)

დიახ, დღევანდელობის თვალსაჩინო პოეტის ჭეშმარიტი სტრიქონები სახვალიო სიკეთეთა საწინდარია! დღეს კი მთელი ძალისხმევით მოგვძახის:

უშველეთ საქართველოს,
ბრძოლებით დაღლილს და დაქანცულს,
უშველეთ საქართველოს,
მოუსყიდველ და ამაყ სულს!..
(თედორაძე, 2015: 22)

ამიტომაც გამოითხოვა წარსულის ანალებიდან ქართველი სარდლის სულშიჩამწვდომი სიტყვები, ბრძოლის წინ რომ მიმართავს ქართველ შევარდნებს:

ხმლებით ნაწერი
გვაქვს ისტორია,
ქართველთა დაჩოქება
არ მოდის!

სამშობლოსათვის
დაღუპულებს
უფალი აჯილდოებს
ს ა მ ო თ ხ ი თ“.
(თედორაძე, 2015: 24)

აკი ამასვე ღაღადებს მისი გამზრდელი ხალხიც და სახალხო მთქმელის უტყუარი სტრიქონებით გვარწმუნებს, რომ „მკერდ-ჩანგრეულის სახელი სამოთხის კარზე სწერია!“

როგორც ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა, მშვენივრად იცის, რომ მტრის სიყვარულის მქადაგებელი ქრისტიანული რელიგიისათვის წყევლა პრინციპულად მიუღებელი ფენომენია, მაგრამ, როცა საქმე წმიდათაწმიდა მამულს ეხება, როცა საქმე საქართველოს ერთგულებას ეხება, შემოგვთავაზა ლექსი-შედევრი, რომლითაც კიდევ ერთხელ ღრმად დააფიქრა ყველა დროის რენეგატი:

ვინც საქართველოს უორგულებს,
ცაც გაუშავდეს,
წყალიცა!
. . . . . .
ვინც საქართველოს უორგულებს,
სულიც დაუბრმავდეს,
თვალიცა!..
(თედორაძე, 2015: 9)

ცეცხლის პერანგში ნაწრთობი დარდის მანტია აცვია და ნატრობს, მალამოდ ექცეს სამშობლოს, რათა ახირებული ღვიძლი შვილებისაგან დაჭრილ-დაკოდილს ესალბუნოს; ამიტომაც შესძახის ღირსებამივიწყებულ თანადროულობას:

მივიწყებულო ღირსებავ,
ჩემო ერო და ბერო,
ცრემლებით, გულისტკივილით
როდემდე უნდა ვწერო!
(თედორაძე, 2015: 5)

მშობელი კუთხის ტანჯული ისტორია გულის ფიცარზე აქვს ამოტვიფრული და რა გასაკვირია, სხვაზე მეტად რომ უყვარს ჯვარი, ვაზი, სანთელი, ხატი... ვის, თუ არა დავით თედორაძეს – აჭარის მკვიდრსა და ეკლესიის მაშენებელს, მართლაც, ხმამაღლა ეთქმის:

ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში!
ვერ ჩამიქრეს –
კლდე გამიხრავს
ჯავრისაგან კბილით,
„იავნანა“ მშველოდა და
კაბა-კალთის ჩრდილი...
(თედორაძე, 2015: 25)

დრო ვერ დაამარცხებს დავით თედორაძის უშრეტ სტრიქონს, გაუცხოების სენზე რომ მოთქვამს და იმ დროს აღმერთებს, როცა ქართველები ერთმანეთზე ზრუნავდნენ; ტბეთის ტაძარსა თუ ტაო-კლარჯეთის სხვა სალოცავებს რომ ეძღვნება; მშობლიური ქვეყნის გაზაფხულსა თუ ბათუმურ თოვლსა და წვიმას რომ ეფერება; მედეას მრავალსაუკუნოვან ტკივილს რომ ეხმიანება; მშობლების უზენაესი ამაგით სულშეძრულ სამადლობელს რომ აღავლენს; სხალთის ტაძრის აღმშენებელს რომ განადიდებს; ისტორიის ბედუკულმართობით შუაზე გაყოფილ სარფის ტკივილს რომ შეიგრძნობს; შავშეთში, კლარჯეთსა თუ ტაოში დღემდე ამაყად მდგარ თამარ მეფის ხიდებსა და მათზე ამოსულ ყვავილთა ეშხით რომ ტკბება და იმ აღტაცებას, როცა აღმოაჩენს, რომ „ჰგავს ეს ხეობა აჭარისას ტყუპისცალივით“, რომ „სულ ჩვენებური ხასიათი“ შემორჩენიათ ჩვენსავე სისხლსა და ხორცს...

მისი დიდებული ოჯახი სამი შვილით რომ გაბრწყინდა, დაწერა:

ხვალ უსათუოდ საქართველო გალამაზდება
ჩემი თეათი,

შორენათი,
ჩემი ირაკლით
და აღსრულდება ყოველივე,
რასაც ვინატრი...
(თედორაძე, 2015: 41)

აღსრულდა კიდეც! პოეტის ზნესრული შთამომავლობა, მართლაც, ალამაზებს ჩვენს დღევანდელობას. ამავე ლექსში არა მარტო საკუთარ შვილებს, არამედ ქართველთა მომავალ თაობას საპროგრამო სტრიქონები უძღვნა:

იამაყებენ ისტორიით, სიბრძნით, წინაპრით
ჩემი თეონა,
შორენა და
ჩემი ირაკლი.
უნდა იცოდნენ მამულისთვის მსხვერპლის გაღება
ამ კუდრაჭებმა,
ამ ცელქებმა,
მხნე და ლაღებმა!
უნდა იცოდნენ – მივითვლიდით რასაც სულ ადრე,
ტაო-კლარჯეთზე,
არტანუჯზე
უნდა ზრუნავდნენ.
უნდა სტკიოდეთ ყველა ციხის ლოდი ბებერი,
იცხოვრონ,
როგორც საუკუნეს
ახალს შეჰფერის!
(თედორაძე, 2015: 41-42)

დიახ, ეს პოეტ დავით თედორაძის მაღალმოქალაქეობრივ პოეტურ სტრიქონებად აკინძული კრედოა საქვეყნო მომავლისათვის, რომელიც ყოველთვის, ყველა თაობისათვის აქტუალური სენტენცია არის და იქნება.

მშობელ მიწაში ღრმად ფესვებგადგმული, ერთნაირი სიყვარულით ეფერება საქართველოს ყველა კუთხეს. მარტო ქუთაი-

სისადმი, იმერელი მგოსნებისადმი მიძღვნილი სტრიქონები რად ღირს!.. მათში უხვად არის ჩაწნულ-ჩაჩუქურთმებული სიტყვით, სიბრძნით საქართველოს მოსართავად თავგადადებულ ქუთათურთათდმი სიყვარული და მათით აღტაცება:

ქუთაისი პოეზიის ქალაქია,
პოეტების მექაა და მედინა,
მის კარიბჭეს, მგოსნებისთვის მარად ღიას,
სიყვარული ფიანდაზად ეფინება...
(თედორაძე, 2015: 56)

დავით თედორაძემ ღირსსახსოვარი სტრიქონები მიუძღვნა მშობლიურ სასწავლებელს – შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რითაც თაობების სათქმელი გამოიხატა; ლექსზე მშვენიერი მუსიკაც დაიწერა და ჰიმნადაც იქცა:

რუსთაველის მადლი გამკობს,
რუსთაველის ხიბლით თბები,
შენი სუნთქვით ვიკვებები,
შენს ემბაზში ვინათლები,
მენატრება შენთან ყოფნის წუთები...
(„ბათუმის უნივერსიტეტი“, 2015)

თედორაძეების გვარს, მათ დალოცვილ ჯიშს საამაყოდ ის ხელიხელსაგოგმანები პოეტური მემკვიდრეობაც ეყოფოდა, რომლის შექმნის ნიჭითაც უხვად დააჯილდოვა უზენაესმა გვარში გამორჩეული პოეტი და საზოგადო მოღვაწე, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა, მამაპაპისეულ მამულში კიდევ ერთი უდიდესი ნათლის სვეტი დაავანა – დიდებულ ძმებთან ერთად ააგო წმინდა თევდორე მღვდლის სახელობის ეკლესია, რითაც უზენაესი პატივი მიაგო მათივე გვარის მესაძირკვლე წმინდანს და კიდევ უფრო განასპეტაკა არა მარტო მშობლიური ერგეს სანახები, არამედ – სრულიად საქართველო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით თედორაძე ის ბრძენი გუთნისდედაა, წინაპართა ნაკვალევს რომ არასოდეს გადახნავს! პირიქით – ელოლიავება და კარგად იცის, რომ „უკვდავებისთვის ეყოფა ცხრა ერს დავითის მეფობა!“ იცის და სჯერა, რომ დავიწყების ბინდი არ გადაეფარება იმ სათნოებებს, რაც აგრერიგად შეჰყვარებია:

...არ ბერდება,
არ შედგება სიძულვილის კლდეზე,
დადის, დააქვს
ჩემი კუთხის საგანძური,
სიწმინდეს და ერთგულებას ეძებს!
(თედორაძე, 1995: 45)

დიახ, „წარვლიან წლები მტვრევით, ხმაურით, სულ სხვანაირი მოვა დროება“, დავით თედორაძის დიდებულ პიროვნებასთან შეზავებული მისი ჭეშმარიტი პოეზია კი დარჩება, როგორც ღირსსახსოვარი არმაღანი მშობელი ხალხისადმი, როგორც უფლის მიერ „ერის მოძმედ“ მოვლენილი მგოსნის გულითადი აღსარება, რომელიც შეჭირვების ჟამს ასეთი სტრიქონებით აფხიზლებს მუზების მსახურთ და მოუწოდებს, არ დანებდნენ „უნდობარ დროს“:

შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ,
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს!
(თედორაძე, 1995: 5)

ბიბლიოგრაფია

1. არჩილი, 1976 – არჩილი, „საქართველოს ზნეობანი“, თბილისი;
2. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2015 – გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი;
3. ბსუქცფა – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორული არქივი;
4. „გილგამეშიანი“, 1984 – „გილგამეშიანი“, ძველი შუამდინარული ეპოსი. აქადურიდან და შუმერულიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ, თბილისი;
5. გურამიშვილი, 1964 – დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, თბილისი;
6. ვაჟა-ფშაველა, 1986 – ვაჟა-ფშაველა, „თხზულებანი“, თბილისი;
7. „თბილისელები“, 2000 – ჟურნ. „თბილისელები“, №36, თბილისი;
8. თედორაძე, 1977 – დავით თედორაძე, „ბეწვის ხიდი“, ბათუმი;
9. თედორაძე, 1980 – დავით თედორაძე, „ორღანი უკრავს“, ბათუმი;
10. თედორაძე, 1983 – დავით თედორაძე, „მზე ჩუქურთმებში“, ბათუმი;
11. თედორაძე, 1986 – დავით თედორაძე, „ცეცხლის პერანგი“, ბათუმი;
12. თედორაძე, 1989 – დავით თედორაძე, „გულის ძახილი“, ბათუმი;
13. თედორაძე, 1995 – დავით თედორაძე, „შენი ვარ“, ბათუმი;
14. თედორაძე, 1999 – დავით თედორაძე, „ერთტომეული“, ბათუმი;

15. თედორაძე, 2004 – დავით თედორაძე, „და მიდის წუთისოფელი“, ბათუმი;

16. თედორაძე, 2004 – დავით თედორაძე, „ხსოვნის ჩირაღდნები“, ბათუმი;

17. თედორაძე, 2012 – დავით თედორაძე, „მომავლისთვის, წინაპარისთვის“, ბათუმი;

18. თედორაძე, 2013 – დავით თედორაძე, „როცა სული მთხოვს“, ბათუმი;

19. თედორაძე, 2015 – დავით თედორაძე, „რჩეული“, ქუთაისი;

20. თედორაძე, 2019 – დავით თედორაძე, „მელაპარაკე ქართულად“, ბათუმი;

21. თსუფა, №1160 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი;

22. „ირინოლა“, 1968 – „ირინოლა“, სვანური ხალხური ლექსები. სვანურიდან გადმოიღო დავით წერედიანმა, თბილისი;

23. კარტოზია, 1986 – ბიძინა კარტოზია, „დიმიტრი უზნაძე ყოფნა-არყოფნის პრობლემის შესახებ და ქართული ხალხური პოეზია“, – ჟურნ. „ცისკარი“, №8, თბილისი;

24. კასირერი, 1983 – ერნესტ კასირერი, „რა არის ადამიანი? ცდა ადამიანური კულტურის ფილოსოფიის აგებისა“. გერმანულიდან თარგმნა ლამარა რამიშვილმა, თბილისი;

25. კიკნაძე, 1985 – ზურაბ კიკნაძე, „ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა“, თბილისი;

26. კიკნაძე, 1997 – ზურაბ კიკნაძე, „ჩვენთან არს ღმერთი – შობიდან შობამდე“, თბილისი;

27. ლეონიძე, 1962 – გიორგი ლეონიძე, „თხზულებათა სრული კრებული“, ტ. 1, თბილისი;

28. ნუცუბიძე, 1983 – შალვა ნუცუბიძე, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, წიგნი 1, – შალვა ნუცუბიძე, „შრომები“, ტ. 8, თბილისი;

29. სიბრ. ს., 1987 – „სიბრძნის საუნჯე“, თბილისი;

30. სიე, 2000 – „სიმბოლოთა ილისტრირებული ენციკლოპედია“, ტ. 1, თბილისი;

31. ტაბიძე, 1973 – გალაკტიონ ტაბიძე, „რჩეული“, თბილისი;

32. უზნაძე, 1986 – დიმიტრი უზნაძე, „ფილოსოფიური საუბარი, სიკვდილი“. – დ. უზნაძე, „შრომები“, ტ. 9, თბილისი;

33. ქად., 1913 – „ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა“, ტ. 2, ქუთაისი;

34. ქ. პ., 1977 – „ქართული პოეზია“, თბილისი;

35. ქ. ხ. პ., 1972 – „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. 1, მითოლოგიური ლექსები, თბილისი;

36. ქ. ხ. პ., 1974 – „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. 3, საგმირო ლექსები, თბილისი;

37. ქ. ხ. პ., 1979 – „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. 7, თბილისი;

38. ქ. ხ. ს., 1970 – „ქართული ხალხური სიტყვიერება“. ქრესტომათია. შეადგინა, შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დაურთო ქსენია სიხარულიძემ, თბილისი;

39. შიოშვილი, 2002 – თინა შიოშვილი, „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, ტ. 1, ბათუმი;

40. შიოშვილი, 2014 – თინა შიოშვილი, „თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში“, თბილისი;

41. ჩიქოვანი, 1981 – მიხეილ ჩიქოვანი, „კლასიკური ფოლკლორის იდეურ-ესთეტიკური და ზნეობრივი მნიშვნელობა“, თბილისი;

42. ჩოხარაძე..., 2015 – ჩოხარაძე, თანდილავა, თავდგირიძე, „სარფი მხატვრულ ლიტერატურაში“ – კოლექტიურ მონოგრაფიაში „სარფი“, ბათუმი;

43. „ძველეგვიპტური...“, 1969 – „ძველეგვიპტური ლირიკა“, თარგმანი მურმან ლებანიძისა, თბილისი;

44. ჭავჭავაძე, 1984 – ილია ჭავჭავაძე, „თხზულებანი“, თბილისი;

45. ჰელიმიში, 2005 – ხასან ჰელიმიში, „ლექსები“, ბათუმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

„...მოვინახულებ... ერგეს...“ 3
„...თვალებში მიდგას ზეცა მამულის...“ 10
„...საქართველოში ოდითგან ლექსი მებრძოლი იყო...“ 48
„ხმლებით ნაწერი გვაქვს ისტორია...“ 69
„სარფი – ტკივილი...“ 109
„...ახირებულად მძულდა საღამო“ 116
„არაფერი არ ყოფილა...“ 125
„ნუ გამითელავთ ყვავილებს...“ 148
„ცხოვრება რომ თამაშია, მთელი ეშხი ამაშია...“ 159
„ჩემთან მეგობრობა ადვილია...“ 175
„ერთი სახელმწიფო ჩემი ოჯახია...“ 193
„ჰკაფავს სიყვარულს...“ 212
„...ვერასდროს ვერ წარმოვიდგენ...“ 237
ბოლოთქმა, ანუ „შენ ხარ მგოსანი...“ 253
ბიბლიოგრაფია 261

დაიბეჭდა გამომცემლობა სამშობლოს სტამბაში
ქ. თბილისი, რობაქიძის, 7